

ՕՆՆՆՆՆ



1967

2

# მისწერი

## 2

თებერვალი

1967

ლიბერატურულ-  
მხატვრული და  
საზოგადოებრივ-  
პოლიტიკური  
ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა  
და მწერალთა კავშირის ორგანო

---

თბილისი

# თქვიშური-სუპირო ქოუბისკენ ვკედხბნ

## ლენინის ტომი

ბევრი წიგნი მაქვს ყმაწვილს ნანახი,  
ბევრჯერ მიგრძენია აღფრთოვანება,  
ზოგში მომწონდა იგავ-არაკი,  
ზოგში — მარტოდენ ხატოვანება.

ბევრი მათგანი სულ არ გაჭრილა,  
გაჰყვა საყვარელ ქალს თუ მეგობარს,  
ბევრი კი შერჩა ჩემს შავ განჯინას,  
ვით მტვერწყაყრილი უიმედობა.

ბევრი გახუნდა ბედის ტრიალში  
და ნელ-ნელ მიდის შავ სამარემდის,  
მაგრამ ეს ერთი, ცისფერყდიანი  
ჩემს მაგიდაზე დარჩა მარადის.

მან მოარჩინა ჩუმი წუხილი, —  
ჩემს სიმღერებში გამოვლენილი,  
მის ფურცლებიდან შუბლშეჭმუხენილი  
მესაუბრებდა მამა ლენინი.

ის ლაქვარდევით ფურცელგაშლილი  
ჩემი მზე გახდა, ჩემი მშვენება,  
მან შემასწავლა მე კომკავშირით  
განახლებული ქვეყნის შენება.

ასე გულდაგულ ვერ ვიბრძოლებდით,  
რომ არ გვიძლოდეს მისი ცისკარი,  
იგი წიგნია ჩვენი ცხოვრების,  
ყოველდღიურად წასაკითხავი.

ბევრი წიგნი მაქვს ყმაწვილს ნანახი,  
ბევრჯერ მიგრძენია აღფრთოვანება,  
ზოგს შემოაცვდა ყდა და ვარაყი,  
ძველი ვერ შერჩა ხატოვანება,

ზოგიც გახუნდა ბედის ტრიალში  
და ნელ-ნელ მიდის შავ სამარემდის,  
მაგრამ ეს ერთი, ცისფერყდიანი  
ჩემს მაგიდაზე დარჩა მარადის.

ლადო ასათიანი.





ანა კალანდიაძე

## ჭაუხეებისკენ

### დიდ მზემქალაი ჩამოდის როშკას

ო, დედაქალო, ეამი დგას უკვე  
 ცისკართ გაღების:  
 ამომავალი მზე... არ ჩანს როშკას...  
 — ჭაუხთ მაჰყვების,  
 ფეხთ მოიკიდებს მწვანე შიბებზე  
 მიუვალ კლდეთა,  
 წყვდიადს განაფრთხობს: ურძანის კოზი  
 უპყრია ხელთა...  
 გამოაღვიძებს გუგულის კაბას,  
 სხამას და ჭიმას...  
 ეგე, კლდის თავზე დიდ მზექალაის  
 გვირგვინი ბრწყინავს  
 და მისი ზილფი ჩამოდის კლდეზე,  
 გულისწამლების...  
 დიდ მზექალაი ჩამოდის როშკას,  
 ჭაუხთ მაჰყვების...

\* \* \*

— თოვლწყალო, შორს ა ჭაუხი?  
 — უნდ მაღლა, მაღლა იარო...  
 — შენ... რისთვის მიხვალ თავდაღმართს?  
 — მომბეზრდა კლდე და ფრიალო...  
 — დეკა ასულა ჭაუხთან,  
 თითქმის მიჰკერია ჭაუხებს...  
 არ ზრება მისი ყვავილი?  
 — ზოგიერთს ვინ რას გაუგებს!

## როშკის წყალს

ქვეყნის დამქცევი გრგვინვით  
 შხეფებს ღრუბლებში აფრქვევ...  
 ებრძვი გოლიათ ლოდებს —  
 რა გააჭირეს საქმე:  
 გზას გილობავენ მკერდით...  
 დაფშენი, დაღწავ, დაფლეთ...  
 მაგრამ... რა არის მერე?  
 არავცს... ნებდები... აქვე!

## აბუღელაური

თვალეზამკამა ტბაო,  
 ფსკერზე გფენია მოლი...  
 იმდენი წყალი ჩაგქუხს,  
 გადაირევი, მგონი...  
 თოვლ-ყინულების წყალი  
 ყოველმხრივ, ყოველ კუთხით...  
 თვალეზამკამა ტბაო,  
 ხშირად ჩაგხედავს შურთხი  
 და უშიშარი დეკა —  
 ხეცსურთ ქალაის გვარად...  
 რუკაზე... თუ არ ჩანხარ,  
 რა გენაღვლება, არა?

\* \* \*

აქ, პაწაწინა ღუღელთ წისქვილში,  
 რომ დაუფარავს შამბსა და ეკალს,  
 უღონოდ ბრუნავს ცალი დოლაბი,  
 ზტის სარეკელა, ზარივით რეკავს...  
 არაეინა ჩანს სოფლად ბანებზე...  
 მხოლოდ სათიბში — ზევით და ზევით —  
 ბალახს თიბს ვიდაც... უშიშა თუა,  
 ნათელისძე, ან ნანაისძე...  
 უნდობლად გვხვდება ღუღის წისქვილი —  
 კარს გვიღებს შიშით და გულისძგერით...  
 ვეშვიდობებით... ის... ისევ ისე  
 იღლება გზათა, ბილიკთა მშერით.

\* \* \*

შენც დაიღალე ჩემებრ, ნაღველავ,  
 ნაზო ყვავილო, სოსანა კაბით?  
 თავდაღმართისკენ მიიხედეთო:  
 ნიაფი ქრისო, დედიკა ამბობს.

არ გაშინებენ ეს უგზო წყლები,  
დაგიებულნი ჭაუხთა ხილვით?  
მო, დავიჭეროთ ხევსური ქალის,  
თორ ჭაუხამდე ჩვენ ველარ ვივლით...

\* \* \*

კვლავ და კვლავ სცვივათ ლოდნი ჭაუხებს  
სინდიურისძის ისრით ნაპობნი:  
იქ, ჭაუხების შორ მწვერვალებზე  
სინდიურისძე წევსო, ამბობენ...  
ქუხან ჩანჩქერნი ჭაუხთა მკერდზე,  
ჯიხთა საუფლოს ფარვენ ნისლები...  
ქაჭებია თუ ეშმაკებია,  
ყინვარზე ლოდებს ჰყრიან ისევე...  
და საუკუნო ისმის გუგუნი  
როშკის ხორხამდე — გულთა გამობი:  
შემორჩენილი ავბედით მწვერვალს  
სინდიურისძე ხმობსო, ამბობენ.

\* \* \*

მშვენდება ნაზი მინდორი  
ფრინტათი, ხარისძირათი,  
ვით საღიაცო — ყაწიმით,  
ნაჭრელა — ძვალსილილათი...  
მოჩხრიალებენ თოვლწყალნი  
თავექდმოგლეჯით, ყირათი...  
ცვარ-გრეხილათი შემკულან —  
სვლა საუკუნო იმათი!

## მიიჩქაროდა თავძვე ხევსური


ქმოსტის წისქვილთან შემოგვხვდა ქორძო,  
წყლისპირ მჯდომარეთ სალამი გვითხრა...  
არხოტის მთიდან ბარისახოსკენ  
მიიჩქაროდა იმისი წითლა...  
ჩიტი ჩაიფრენს, ალბათ, ქვეთაგორს,  
მხოლოდ არხვატში... მზეც ვერ გადავა...  
მიიჩქაროდა თავქვე ხევსური —  
ცხენს მიშვებულნი ჰქონდა სადავე...  
ყრულ ხმინაობდნენ რაშის ფლოქეები  
ფხვიერ მიწაზე — დამბალნი წყლითა...  
ქმოსტის წისქვილთან შემოგვხვდა ქორძო  
და ხევსურული სალამი გვითხრა...

## ისევ გირდეას

ლილა სულხანაშვილი

ჩემო ბერდედავ, ზიხარ ყორესთან  
და არწივის თვალს მიდამოს ავლებ...  
ახლა, საცაა, არხოტიონნი  
აიყრებიან, ჯვარობას წავლენ...  
ამლა და ჭიმლა და ახიელი...  
შეიყრებიან ხატში სოფლები...  
ალარ ქსოვ წინდას — შენ თითქოს გესმის,  
გრძნობ, სოფელს როგორ ამწყალოებენ...  
შენ... ფეხმორთხმული ზიხარ შუაფხოს,  
ლამის, ასი წლის ზღვართან მისული...  
სახლჩი დავინთავ, ბეჩავ, სანთლები  
და ათენგენას ძალას ფიცულობ...  
ისევ იყნოსე მწარე ბურნული,  
ისევ მოსძებნე წინდის ჩხირები...  
მაგრამ... შენ ისევ ველურ ყიფინით  
ჩაგიჭროლებენ არხოტივნები...  
იქნებ... არწივის თვალი გატყუებს,  
იქნებ... არაგვის ხმაური იყო?  
თვით შესევნიან ქისტების სოფლებს,  
თუ... მათ ცხენდაცხენ მოჰყვება ღიღლო?  
მათ გაჰყვება... მუხლი შენ ალარ გერჩის,  
არწივის შზერას მიდამოს ავლებ...  
ალბათ, საცაა, არხოტიონნი  
აიყრებიან, ხატობას წავლენ.





მოთხრობა

იმ ოამეს, ენდრე უნგვარმა ბოშა ქალის ამბავი რომ მიაშმო, ვერაფრით ვერ დავიძინე. დავკარი ფეხი და რიყეს მივაშურე მარტო. შუალამემდე ზღვას გავყურებდი. წყნარი იყო მთვარის შუქით მოვერცხლილი ზღვა. როგორც იქნა, დავიმშვიდე აფორიაქებული სული და შინ გამოვბრუნდი.

— ელმირას დაკარგვის ელდამ, ალბათ, დიდი ტრავმა მოგაყენა? — უფრო თანაგრძნობისათვის ვკითხე ენდრეს დალით.

— რა თქმა უნდა, იმ ამბავმა ბევრი რამ შეცვალა ჩემში. ერთხანობას თითქოს გულის ცეცხლი გამინელა, კაბუტური მგზნებარება და სითამამეც წამართვა, ციდან მიწაზე დავენარცხე. მაგრამ ისე კი უცვლელი დავრჩი: ვერ განაბორბოტა, სული ვერ მომიწამლა, ადამიანის სიყვარული ვერ მომიშპო.

იმ დღეებში ყველა ბოშა ქალიშვილი ელმირად მეღანდებოდა. თითქოს უნგვარის ზეაშიაღი მეც ჩამისახლდა გულ-

ში. შემდეგ მეტი თანაგრძნობით ვეპყრობოდი ამ ნათელი ფიქრის ადამიანს. მე უფრო ხშირად ვეპატიეებოდი, მზე გავაცილოთ-მეთქი. მერე ერთად მივეუყვებოდი საცალღებო ბილიკს, განმარტოებულ მაღალ კბოღეზე ვდებოდით და ჩუმად გავყურებდით ზღვისა და ცის დასალიერს, სადაც ზღაპრული სილამაზით ნელ-ნელა იძირებოდა დაისის უზარმაზარი მზე.

— ეჰ, — ამოიხვნეშა ენდრემ, ჩაჯდა და ხელეზი თვალებზე მიიფარა.

— რამ შეგაწულხა?

— მზე თითქოს კი არ ჩავიდა, სისხლად დაიღვარა და ეს სისხლი ზღვას შეერია. ომის შემდეგ ასეთი რამ აღარ მომლანდებია.

— მაშინ ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდი, თუ...

— ეჰ, გრძელი ამბავია.

— მაინც?

— ასე იყო თუ ისე, ამ ომმა ჰქეა მასწავლა. დავრწმუნდი, რომ სხვის მაწაზე საომრად არ უნდა მივიდეს კაცი... სამშობლოს დასაცავად თოფი ყოველთვის გატენილი უნდა ჰქონდეს ადამიანს, მაგრამ სხვისი მიწა-წყლის ხელში

„ცისკრის“ 1966 წლის მეორე ნომერში დიბეჯდა აკაკი გეწაძის მოთხრობა „პატარა კუნძული“, რომლის თავისებური ვაგრძელებაა ეს ნაწარმოები.





ჩასავლებად არ უნდა გაილაშქროს. ისტორიას არ ახსოვს ენატეხილი დამპყრობელი, რომელსაც ბოლოს თავი არ წაეგოს სამარცხვინოდ. იმარჯვებს თავისი ქვეყნის დამცველი ხალხი, ის ხალხი, ვინც სამშობლოს ღირსებასა და რწმენას იცავს, თავისი ხალხის სინდის-პატიოსნებას იცავს. იმ ომის დროს რუსეთის მიწაზე, იცი, გერმანელთა რამდენი სასაფლაო გაჩნდა? სადღა ახლა ის სასაფლაოები? ომის დამთავრებამდე წაიშალა. წაშალა მზემ, ქარმა, წვიმამ, თოვლმა და გუთანმა, წაშალა თვითონ მიწამ... სამშობლოს დამცველთა ძეგლები კი თანდათან მეტი შარავანდელით ბრწყინდება. ხომ მართალია?

— ეს ბუნებრივია. დამპყრობელს სახელიც ეკარგება და საფლავიც. კაცმა თუ შტრულად დაადგა სხვის მიწაზე ფეხი, კიდევ რომ გაიმარჯვოს, ის გამარჯვება დიდხანს არ შერჩება. ხოლო თუ სხვის მიწაზე დაეცემა, მიწა არ უპატრონებს. იქნებ დამარხოს დამპყრობლის გვამი, მაგრამ მის საფლავს სახელს არ დაარქმევს. ასეთი ბრძენია მიწა..

— ერთი ფიქრი გვექონია ახლა მე და შენ. ეს უნდა ახსოვდეს ყველას, ვინც სხვისი მიწის დასაპყრობად იარაღს აეღარუნებს.

— გეტყობა, ეგ სატყეოვარი შენ დიდი ხანია ვულში გიტრიალებს.

— სწორედ გულშინ გადავიკითხე ომის-დროინდელი ჩემი დღიურები. ო, რა ჯოჯოხეთი იყო. იმ დღიურებმა ბევრი რამ მომაგონა და ხელახლა გამიხსნა მშინდელი ჭრილობები. სხვათა შორის, ერთ ქართველ კაპიტანსაც შევხვდი მშინ.

— არ წამაკითხებ?

— უნგრელი კაცის ნაწერს რას გაუგებ, თორემ, შიგ მარტო ჩემი სატყეოვარი როდია. არც დასამალავი მაქვს რამე, თითქოს აღსარებას ვწერდი.

ასე რომ ადამიანი დაგანტერესებთ, მოისვენებთ? ვთხოვე, თუ მე ვერ გავიგებ, ის შენი რვეული წინ დაიდე და მითარგმნე-მეთქი.

ზაფხულის თბილი ღამე თეთრად ვათენეთ.

იანერის დილაა. ხევარიელად თოვს. ჩემს ნაქირაგებ ოთახში ვარ. ვიწრო ფანჯრიდან ბუნდოვნად ჩანს ბუღა. უნივერსიტეტში წასასვლელად ვემზადები. კაკუნი მესმის. ქარზე ვილაღ სამხედრო მომდგარა:

- ენდრე უნგვარი შენა ხარ?
- მე გახლავართ, რა მოხდა?!
- სამი დღეა გეძებთ, სად იმალე-ბოდი?

— არსად. ვის უნდა დაემალოდინ?!

მამა ვინახულებ.

— ჰო, მიზეზს კი გამოიხატეთ უმაღლეს-თბილად ჩაიცივი და გამომყვიცი!

— ბოდიშს ვინდი და... ხომ უნდა ვიცოდე, ვის მივეყვარ ან სად?

— თავს ნუ იკატუნებ. ჭარში გიწვევენ. პე, აიკარი ვუღა-ნაზადი!

— ჭარში? მე სტუდენტი ვარ, მესამეკურსელი.

— სტუდენტობა მერე, ომი რომ დამთავრდება. ჩქარა, ათასი საქმე მაქვს!

— მადროვეთ მაინც, მამას შეეატყო-ბინებ, ავადმყოფი დავტოვე.

— ავადმყოფი არ ვიცი მე! რა დროს ავადმყოფია!

— შორს კი არაა. ვაცში ცხოვრობს, ხვალ დილით აქ ვიქნები.

— არ შეიძლება! ემელონი ამალამ უნდა გავიდეს ბუდაბეშტიდან!

ათიოდე დღის წინათ ასე მიადგნენ სტუდენტ ბაშტის, დამალვა სცადა, დაიპირეს და მეორე დღესვე გაუსამართლებლად დახვრიტეს.

— ასე ცარიელ-ტარიელი ხომ არ წამოვალ, რამეს წამოვიღებ...

— ბევრი არაფერი გინდა. შინ საგზა-ლი თუ რამე გაქვს, წამოიდე. თბილი წინდები იგულე, მეორე წყვილი საც-ლებიც. მოვრჩით!

ათოვს მარგიტის ზიდს, დუნაისაც ათოვს. თოვლი მდინარეში ფეხს ვერ იკიდებს. ცაში კი ფანტელები ირევა და ირგვლივ ყველაფერი ბუნდოვნად ჩანს.

შუაღღეა. ჯარში გასაწვევი ხალხი საბარგო სადგურის მახლობლად გაქიმულ შენობაში შეგვეყარეს ჯგუფ-ჯგუფად. ეტყობა, აქ საწყობები იყო და საგანგებოდ დაცალეს. შიშველია კედლები და ცემენტის ქუჭყიანი იატაკი.

ვისაც სად მოუხერხდა, იქ მიაგდო ბარგი-ბარხანა. ზოგი ჩემოდანზე ჩამოჯდა, ზოგიც — ზურგჩანთაზე.

მალე კამეჩივით მოუქნელი კაცი ზანტად შემოხებტა, აგვეხედავებოდა და მკაცრად გვითხრა:

— მე თქვენს ჯგუფის უფროსი ვარ — ანტალ ბაროტი. აქედან უნებართვოდ ფეხი არავინ მიიცივალს. რაც დაგჭირდეთ, მე მკითხეთ. ეშელონის უფროსის ოთახში ვიქნები.

ბაროტი ერთი შეხედვით სამხედროს არც ჰგავს, მაგრამ ცხრა ტყავიდან ძვრება, მეთაურის იერი რომ მიიღოს. გაქუცული პალტოს ქვეშ სამხედრო მუნდირი აცვია, ისიც გახუნებული. კისერი არც უჩანს, გვეგონებათ, მხრებში ჩაურგავსო. თვალებგადმოკარკულულს წვრილი თავი და გრძელი ყურები აქვს. გვიბრძანა, შემოგვიბღვირა და წაიზღაუნა.

რკინის რიკულებით ფანჯრებმაქვედელ გრძელ შენობაში ორმოცდაათამდე კაცი ვართ. ამდენ ხალხში ერთი ნაცნობი არავინ ურევია, ზეაზიადი რომ გავანდო. ფანჯარასთან ვდგავარ. ისევ თოვს.

აქეთ რომ მოვიდიოდი, ქუჩის მეორე მხარეს გოგომ ჩაიარა. ქუჩანა მეგონა, გავიქეცი, დავემშვიდობები-მეთქი. უცნობი აღმოჩნდა. გულდაწყვეტილი გამოვბრუნდი.

ეჰ, კარგი გოგოა ქუჩანა, მაგრამ, მე რა?

ვიმანაზია რომ დავამთავრე, ერთ ბოშა გოგოს გადავეყარე, ელმირას. უცებ შემიყვარდა. მერე, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ — არ ვიცი, კარგა ხანს ვეძებე... გულში ჩავითქვი: ამიერიდან თუ ვინმეს შევიყვარებ, ელმირასნაირი თვალები უნდა ჰქონდეს-მეთქი.

ხელმოკლე სტუდენტს იმდენი არც ფული მქონდა, არც დრო, რომ თავი-

სუფლად მესეირნა. ზოგჯერ მაინც წამძლივდა სული და საღამოზე საცეკვაოდ გავბრბოდი.

ერთხელ ქალიშვილმა ვადაშირბინა წინ. გოგო რომ ჩავივლის, შესაძლოა, არ მიაქციო ყურადღება, მაგრამ თუ ვარბის, უეჭველად გააყოლებ თვალს. ქალიშვილი საცეკვაო მოედანთან შეჩერდა და თვალებით ვიღაცას დაუწყყო ძებნა.

ელმირას თვალებს წაეაწყდი, გულ-ათრთოლებული მივეუახლოვდი.

— ქუჩანა, იქით გაიხედე, ერთი ბიჭი სულ შენ ვითვალთვალებს, — უთხრა ბოშასთვალეზიან ქალიშვილს ამხანაგმა.

— მიყუროს, ვიდრე თვალში სინათლე არ გამოვლევა.

გადავწყვიტე ქუჩანასთან მისვლა. ყველაზე იოლია გოგოს გაცნობა თუ საცეკვაოდ გამოგყვება. მივედი, თავი ზრდილობიანად დავუქარი.

— ველოდები! — ისე მკაცრად შემომხედა, უნებლიეთ დავიხიე უკან, ოღონდ შორს არ წაესულვარ. ცოტა შევიცადე, ისევ დავუდექი წინ, ქუსლი ქუსლს მივარტყი და თავი კვლავ თავაზიანად დავუქარი.

ახლა პასუხის ღირსიც არ გამხადა, ერთი შემომხედა კულტად, შებრუნდა და ხალხში გაერია.

ვინაა ეს უქარება, ზედაც რომ არ მიყურებს-მეთქი, უფრო დავინტერესდი. გავყვი და გზა გადავუქერი.

— ხეპრე ყოფილხარ! — ეს უკვე ზიზღით მესროლა და გულმოსული გამ-შორდა.

შარშან ზაფხულს ბიოლოგიის ფაკულტეტისაკენ შევიარე და მეორედ იქ შეგხვდი ქუჩანას. თურმე ისიც სტუდენტი ყოფილა. ბოდიში მოვეუხადე, იმ საღამოს უხეშად მოვექეცი-მეთქი. ქუჩანამაც მომიბოდიშა: მეც მკვანედ მოვიშორეთ.

— ამბობენ, კარგი ნაცნობობა ჩხუბით იწყებაო. — შემოვუარე შორიდან.

— ეგ არ ვიცი, — მომიგო ქალიშვილმა, — კარგ ნაცნობობასა და მეუობრობას მარტო ჩხუბი არა ჰყოფნის.



— სადაური ხარ?

— ვაკციშეთფალუ გავიგონია?

— ორიოდეკერ ვყოფილვარ კიდევ. დედ-მამა იქ ცხოვრობს?

— ეჰ, მე აღარც დედა მყავს, აღარც მამა, ბიძა მზრდის...

ეს იყო და ეს. ვერ გავიგე, შეყვარებული პყავდა თუ არა. შემოდგომაზე სწავლას თავი დაანება და მერე აღარსად შემხვედრია. ძალიან კი მინდოდა დაახლოება.

ახლა, თოფიან კაცს რომ მოვყავდი, სულ ქუქანაზე ვფიქრობდი, ალბათ, იმიტომაც მომელანდა.

„ეჰ, რას ეოზამთ... სხვა რა არის ჩვენს ნებაზე, სიყვარული რომ იყოს?“

ფანჯარაში დანახულმა ფანტელებმა თვალი ამიქრელა. შემოვბრუნდი.

ფანჯრის ახლოს, ყავისფერ ჩემოდანზე, ფაქიზად გამოწყობილი საშუალო ხნის კაცი ზის, მხრებში კოხტად გამოყვანილი ძვირფასი პალტო, ჩაშვებული შარვალი და ლაკის მსუბუქი ფეხსაცმელი აცვია. ფეტრის ქუდი ახურავს, კისერზე ლამაზი კაშვი მოუხვევია. სადა პიჯაკის ქვეშ ყილეტი მოუჩანს, ყილეტის შიგნით — ქათქათა პერანგი. პირი ამ დილით გაუპარსავს. რაღაც სქელ წიგნს კითხულობს.

— ამ ცივ ბოსელში რომ შემოგვიყვანეს, ვითომ რაო? მე იმათი დედა! — კურდღლისტუჩა ბიჭმა ცხრასართულიანი გინება დაახვავა.

ჩემოდანზე ჩამომჯდარმა კაცმა თავი ისე სწრაფად ასწია, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო:

— ყმაწვილო, ეს რასა ჰვავს?! ხალხში რომ ხარ, დაგაიწყდა?

— ხალხში ვიყავი, ახლა ჯარში ვარ, — მოუჭრა კურდღლისტუჩამ.

— ზრდილობა ყველგან მოეთხოვება ადამიანს.

„ნაღდად მასწავლებელია“, გავიფიქრე და ვკითხე კიდევ.

— დიახ, ვაქთა გიმნაზიაში გერმანულს ვასწავლიდი, ახლა კი...

ახლა კი მასწავლებელი ფერენც კო-

ვაჩი ჯარისკაცი უნდა გახდეს და ვერც ცეცხმა კაცის კვლა ასწავლონ.

— ძალიან გაიჭიმა ომი! ჰიტლერს კი ეგონა...

— ჯერ სადა ხარ! — ჩაილაპარაკა მასწავლებელმა.

— მაინც რა ცეცხლი წაეკიდათ, ასე უცებ მესხანდრებევით რომ გამოგვრეკეს შინიდან? — გავენდე ახალგაჯნობილს.

— სტალინგრადში ჰიტლერის ჯარს რუსებმა ალყა შემოარტყეს, ამბობენ, ჩვენი მეორე არმია სწორედ იმ ფრონტზე იბრძოდაო. ჯარს სასწრაფოდ უნდა შევსება... იქნებ ჩვენც მალე გავგავზავნონ მისაშველებლად. თოფის სროლას ორიოდე დღეში გვასწავლიან და: ჰერი!

ხალხს მალე მოშივდა. ბევრს ხორაგით გამოტენილი ტომარა მოაქვს. ყველამ ვაშლა ტაბლა, ზოგმა — ზურგჩანთაზე, ზოგმაც — ბრტყლად დადებულ ჩემოდანზე.

— ეჰ, დაუსველებელი ლუქმა ყელში არ გადამდის! — თქვა კაფანდარა ბიჭმა. პირხმელმა და გრძელკისერამ და კარისკენ გასწია.

— ლასლო, სად მიხვალ? — დაადევნა კურდღლისტუჩამ.

— წამომყვი, თითო ჰქია გადავკრაო.

— არ მინდა.

— აბა, შენს მაგივრადაც დავლევ.

შინ ცოტა ლორი, ძეხვი, პური და შაქარი მქონდა. ერთიანად მოხვეუტე და ჩავეუძახე ჩანთაში. ახლა, კაცმა რომ თქვას, არ მშია, მაგრამ ყველა სადილობს და მე მოწმესავით ხომ არ დავდგები? პურს ძეხვის ნაჭერი დავადე და უშალოდ ჩავკბიჩე.

მასლობლად ტანმალალი და ფართომხარბეჭიანი კაცი მიზის. გვერდით ორი ტომარა უდევს. ცალი ხელით ლორის ლურთი უჭირავს, მეორეთი — შინ გამოცხვარი დიდი პური. მაღიანად ილუკება. პირისახეზე ნაყვავილარი ამჩნევია.

შენაყრებულმა ბიჭებმა ერთმანეთს პურის ნატეხები დაუშინეს.

ჩოფურამ თავი გადააქან-გადმოაქანა.



დინჯად წამოდგა ეს ზვინივით კაცი, ძირს დაყრილი პურის ნატეხები აკრიფა და ფანჯრის რაფაზე დაალაგა.

— ბიძია, სავზლად იგროვებ თუ გასაყიდად? — ჩაიქირქილა ერთმა.

— ჯერ მოვადგროვებ და ვნახოთ. ეჰ, ისიც არ იცით, რა ცოდვას ჩაღმხაროთ... პური წმიდათა-წმიდაა, შვილო...

— რა მოხდა, გავიხუმრეთ, — თქვა იმ ბიჭმა და ისევ ჩაიქირქილა.

ასე ზმირწარბიანი აღამიანი პირველად ვნახე. თმა თხელი აქვს, წარბები კი ტვერივით გაუშვია.

— თითოეული ლუკმა პურის მოსაყვანად იცით, რამდენ ოფლსა ღერის კაცი?

— ახლა ბიძაჩემი იმასაც გვეტყვის, ღუზია გლეხის ოფლიაო! — როყიოდ გაიცინა ისრინისფერთვალეზიანმა ბიჭმა, ხეუბუქ ქოჩოზზე ხელი გადასხვა და ბეჭეების ქნევით გაიარ-გამოიარა. ეს იმ-რე ბენკია, ასე დაუძახეს წელან.

— იცინეთ, პო, იცინეთ! მალე ვნახავ, გამხმარი პურის ქერქი რომ მოგენატრებათ! — ჩოფურამ ხელი ჩაიქნია და ტომრებშუა ჩაქდა.

— პალოცელი ხართ? — კვითხე ცოტა ხნის შემდეგ.

— ღაოშდიერის იქით ვცხოვრობ, მთაში.

— გლეხსა ჰვავხარ.

— ყველაფერი ვარ, რაც შემხვდება. ტყესა ვჭრიდი. ნახირსა ვმწყემსავდი, ვნადირობდი. ზოგჯერ ბარად ჩამოვდიოდი, ღურვლოვით ორიოდ პენგოს ვშოულობდი... ჩვენს მიწაზე ჰვავის მეტი არაფერი მოდის და ოჯახს რჩენა არ უნდოდა?

მიყვარს მშრომელი კაცი. ვინაობაც კვითხე, მათიან ბიხარი ვარო.

ნასადილეც იმრე ბენკემ და მდიდარულად გამოწყობილმა ბიჭმა, ტიბორ ნადის რომ ეძახიან, ბანქოს თამაში გააჩაღეს. მალე სხვებიც შეუერთდნენ.

ტიბორ ნადის თბილსარჩულიანი წითელი ტყავის პალტო, შალის შავი სვიტრი და გალიფე აცვია. ქრომის ჩექ-

მა წვივებზე შემოუწყებია. ქუდი არ ახურავს. მაჯაზე ოქროს საათი უკეთია. ტანსქელია და პირისაზეც ისეთი აქვს. გასიებული გეგონებათ. მაგრამ ეს მსუქანი ბიჭი ერთობ მარდი და ხელსწრაფი ჩანს. თანაც, საოცრად მშვიდია. რაც არ უნდა მოხდეს, ხმას არ აუწყებს. სხვები აქაქანდებიან ხოლმე, ის ყველას წყნარად უთვალთვალებს. იგობს თუ აცებს. სახეზე ერთი ძარღვი არ შეუტოკდება. ოღონდ ეს არის, წამდაუწყუმ პაპიროსს ეწევა და ბოლს ცხვირიდან უშვებს ხოლმე.

მითხრეს, ტიბორის მამა დიდი კაცია, ქონებაში ყელამდე ჩაფლულიო. არა მგონია: დიდკაცთა შვილები ყოველთვის ადვილად ახერხებენ ჯარიდან თავის დაძვრენას... მით უმეტეს, თუ მდიდრებიც არიან.

„იქნებ ნადისათვის ჯარში წამოსვლაც თავისებური კარტის თამაშია? ვთქვათ, რაიმე დააშავა და, რომ არ დაეპირათ, აქ გამოასწორო... ასეც ხდება ხოლმე... ზოგჯერ დამნაშავე ჯარს აფარებს თავს — ციხის კედლების ხეხვას ისევ აქ ყოფნა სჯობიაო“.

ტიბორ ნადიმ უცებ ბანქოს ხელი დააფარა და მოთამაშეთა მახლობლად ძალღივით ჩაყუნცულ ცხვირისსკარტა ბიჭს შემოტბორუნდა:

— რა ანიშნე?

— არაფერი... ისე ხელის აქნევა არ შეიძლება? — ცხვირისსკარტა ბიჭს წარბებქვეშ ღრმად შემაღული მომწვანო თვალები აცა-ბაცა გაექცა.

— ამ შუა ზამთარში ბუზმა შეგაწუხა? ისე ხელს არ იქნევენ. ადე, იქით გადაკეტი.

— გადავკლები რა...

— მოიცა, მოიცა! — დააკვირდა ცხვირისსკარტას ტიბორი, — შენ ანდრამ გერა არა ხარ?

— კი, გერა ვარ...

— რა შეშინებული მიყურებ? ბანქოს თვალთვალი შენი ხელობა რომ არ არის. რაზე იწუხებ თავს? პა! — ნადიმ ფული გადაუფრიალა გერას, — მოუსვი, მახლობელი დუქნიდან ორი ბოთლი კაი

ღვინო მოგვიტანე! ნუ გეზარება, ხურ-  
და შენი იყოს!

ანდრამ გერა გახარებული გაიქცა.  
ტოკაის ღვინო მოაცუნტეულა და ტი-  
ბორს ამბავიც მოუტანა: კიშკართან ვი-  
ლაც ქალი გკითხულობსო.

— მარტოა?

— არ ვიცი... იქ უამრავი ხალხი  
ირევა.

— ლოყაზე ხომ არაფერი ამჩნევია?

— კი, ნაჭრილობევი.

— უთხარი, რომ აქა ვარ?

— აგრე მიცნობ? ჰაიპარად ჩავუღა-  
პარაკე, ვიკითხავ-მეთქი.

— ზოგჯერ ჭკვიანი ხარ. ჰა, ესეც შე-  
ნი იყოს! — ნადიმ შიკრიკს ხურდა ჩაუ-  
ჩხრიალა პეშეშა. — გაბრუნდი და უთხა-  
რი, მავანი კაცი აქ არ არის-თქო, გაიგე?  
რამდენისთვის თვალი ჩამიკრავს, ყველა  
რომ აქ მომადგეს, იმათ ცრემლს რა  
დაამშრობს!

ანდრამ გერა ახლა რატომღაც მხრებ-  
ში მოიხარა და კუზიანივით გაიქცა. კარ-  
ში ლასლოს შეეჯახა. კაფანდარა ბიჭი  
შექიფიანებული დაბრუნდა და ხალხს  
დასჭყვილა:

— დარდის დედა კი ავატირე! რას ჩა-  
მოგიყრიათ ყურები? დალიეთ და გამ-  
ხიარულდით! ჰე, ჰეი! — შესძახა და სიმ-  
ღერა მოაყოლა:

ვისაც არ ჰყავს გულის ვარდი,  
ღვინო შესვას ფერად ლალი,  
დაიჯერებს, რომ ნამდვილად  
მისთვის კვდება ყველა ქალი... ჰეი!

პეტეფის ლექსს თავისებურად მღე-  
რის, ხმა უწყიდება ხოლმე. მაინც არ  
ეშვება:

სატრფო არ მყავს, ფული არ მაქვს,  
დარდი მაქვს და რაც ვარ, ეს ვარ,  
ამიტომაც სხვაზე მეტი,  
საჭერ მეტი უნდა შევსე... ჰეი, ჰეიიი!

— ლაცი, შენ ჯარში რა გინდა, ოზე-  
რაში უნდა მღეროდე, — კურდღლის-  
ტუჩამ მხარზე დაჰკრა ხელი.

— ეს შენა ხარ?! ზოლტან ფარკაშს  
გაუშარჯოს! შენ გგონია, იხუმრე? ნამ-  
დვილად ჭივარგებ! ა, მიყურე! — ლას-  
ლომ ხელი გულთან მიიღო, ფეხის წვერ-

ზე შედგა, პირი უშველებელზე მოაღ-  
და ქათამივით აჯაყანდა. მერე კაკანი სიმ-  
ღერად გაქიმა და ბოლოს ხელი მოწყ-  
ვეტილად ჩაიჭინა: — მართლაც აფსუსი  
არ არის, მე ჯარში მივდიოდე და ვილაც  
ხმაჩაწყვეტილები ოპერაში მღეროდ-  
ნენ?! უჰ, ამის დედა კი ავატირე!

— შენ ფრონტზე თოფი არ დაგჭირ-  
დება, რუტებს სიმღერითაც დააფრთხობ.

— რატომ უნდა დავაფრთხო? სანგ-  
რებში ჩავაძინებ, მერე მივალ და ტყვე-  
ებად წამოგვრეკავ...

— აბა, შენ იცი და შენმა ვაყკაცობამ!  
მაგას რა სჯობია, მოწინააღმდეგეს თუ  
სიმღერით მოერევი, — ვუთხარი მე, —  
ყველა რომ შენისთანა იყოს!..

— ა, კაცი! — ჭეშმარიტად გეხარდა  
ლასლოს. — მოდი, ერთი ვაკოცო!

უკან დახევაც ვერ მოგასწარი, გადა-  
მეხვია და ჩამოღმნა, ღვინის სუნი უსი-  
ამოდ შეცა.

— გაწყენინე რამე! მოგიკვდეს ლას-  
ლო ვარადი, თუ...

— აჰ, რა უნდა მწყენოდა!

— შენი სახელი მაჩუქე, ძმობილო!

— ენდრე... ენდრე უნდგარი.

— ჰო, შენ გენაცვალე სულში! მოდი,  
ენდრე, ერთხელაც ვაკოცო!

გასაქტევი გზა არ იყო, კიდევ ვა-  
კოცინინე. ლასლო გარეთ გავიდა და მო-  
მღერალი ბოშების დასტას შემოუძღდა.

— აბა, საცეკვაო დაუკარი!

აძუნძულდა ლასლო, მერე ჩაბუქნა და  
ჩაბუქნა. გულისამოგარდნამდე იცეკვა.

— აბა, ახლა შენ იცეკვე, ძმობილო! —  
ისევ მე მომადგა ლასლო. — ბოდიში,  
დამავიწყდა სახელი.

— ენდრე.

— ენდრე, არ გამაწბილო, თორემ მე-  
წყინება, ღმერთს ვეფიცები.

არ ვიცი, ლასლოს ხათრი უფრო და-  
ვიდე თუ ვიოლინოზე დამკვრელი ბოშა-  
სი, ვიცეკვე. ცეკვაც დავამთავრე და ან-  
ტალ ბაროტიც შემომბრაზუნდა:

— მოემზადეთ! მატარებელი ერთ სა-  
ათში ჩამოდგება! ახლა სადგურში გა-  
ვალთ. ის ხომ არ გამოჩენილა, მოი-  
ცა... — ჯიბიდან ფურცელი ამოიღო და

ჩახედა: — იანოშ ველდემი არაინა აქ? კაციშვილს არ დაუძრავს კრინტი.

— ბოღში, ეკ რომელი იანოშ ველდემია? — დავინტერესდი მე.

— ორთავლა და ორფეხა. რა ვიცი მე... სიაში ჩამოწერეს, კაცი კი ჯერ არსად ჩანს. აბა, აკრიფეთ ბარგი-ბარხანა! სადაცაა ჩამოდგება მატარებელი. სამ მწერივად მოეწყვეთ! მიეჩვიეთ, ჯარში ხართ უკვე!

„ის თუ ჩემი ნაცნობი იანოშ ველდემია, მარტო აღარ ვიქნები.“

ერთ ზაფხულს ბადაჩონში ვისვენებდი დეიდამვილთან. იანოშ ველდემიც იქ ჩამოვიდა — ბიძამისი მეზობლად ცხოვრობდა. მაშინ მე თორმეტი წლისა ვიყავი, იანოში — თხუთმეტისა. არდადეგები ერთად გავატარეთ. ბალატონში ვბანაობდით ხოლმე, ფეხბურთს ფეხშიშვლები ვთამაშობდით. იანოშს მეზღვაურის ხალათი ეცვა და გემის კაპიტნობაზე ოცნებობდა.

იანოშს მეორედ შარშან ზაფხულს შევხვდი. მოედანზე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტ ფეხბურთელებს შემოუძღვა, მე ისტორიკოსთა გუნდში ვთამაშობდი. ასე ვთქვათ, მეტოქეებად მოვევლინეთ ერთმანეთს.

„ნუთუ ორივეს ერთად გვიკრეს ჯარში თავი? ის ხომ წელს ამთავრებდა? თუმცა, ახლა ისეთი დროა, ვის ეღარდები!“

მივყვები ხალხს და ფეხი მერევა — იანოში მიდგას თვალწინ.

მატარებელი ჩამოდგა და ლურჯი ნათურებით განათებულ ბაქანზე ტრიბუნა შემოათრიეს.

— აგერ ნახავ, თუ ისევ მიტინგი არ გავგიმართონ. — თქვა ლასლომ.

ტრიბუნაზე სქელი სამხედრო კაცი შედგა, ხელები აწავსავა და აყვირდა:

— მამულიშვილებო, დაგელოცოთ გზა! თქვენ სამშობლოს რჩეული ხალხი ხართ, ჰოდა, სამშობლო სწორედ თქვენ ვანდობთ მისი წმიდათა-წმიდა ინტერესები პირნათლად დაიცვათ რუსებთან ბრძოლაში!

იქაქანა და ბოლოს გვიცოხა:

— წამსვლელთაგან ხომ არავის სურს სიტყვის თქმა?

— აგერ დიულა ჩორდამი გვთხოვს გამოსვლას! — წამოიძახა ბაროტიმ და წინ გაიგდო ლაბადამოხურული ხმელხმელი ქერა ბიჭი, რომელსაც ლოყა დასწვია (ალბათ, ბავშვობისას) და დამწვრის დაძმა მრგვალი ზეპედივით დამჩნევია.

— მე ლექსი მაქვს, ბატონო!

— მოდი!

დიულა ტრიბუნაზე შედგა, გულისჯიბიდან გრძელი ფურცელი ამოიღო, წინ გაიშალა და უშეგლებელი ლექსი წაიკითხა. ენას უქიდებდა და სიტყვას ისე ჭიმავდა, თითქოს ყრუ კაცი მღერისო. ლექსი კი არა, უშნოდ გართმული ლოზუნგები იყო: დიდება პორტის, ამხელა ნღობას რომ გვიცხადებს და რუსებთან საომრად გვიშვებსო. მტრის სიძულვილი მკერდში ნაღმად მიდევს და სული მელევა, სანამ ამ ნაღმს ფრონტზე ავაფეთქებო.

ორიოდე კაცმა დაუტყაბუნა ტაში, ვინც ტრიბუნასთან ახლო იდგა. დიულამ თავი დაუქრა ყველას, ფურცელი დაეცა და მთავარ ორატორს შეაჩჩა ხელში, აქაოდა, თქვენ იცით, თავდადებას თუ დამიფასებთ და ამ მშვენიერ ლექსს დამიბეჭდავთო.

ტრიბუნიდან თავმოწონედ ჩამოსულ ბლუ მოლექსეს ხალხმა გზა უტია, მხოლოდ ლასლო გადაუდგა წინ და ხელი მაგრად ჩამოართვა:

— უჰ! ძალიან გავგახარე! მომილოცავს, მომილოცავს! ეს რა პოეტი ყოფილხარ, კაცო! კინალამ ტრიბუნაზევე აფეთქდი და ჩვენც აგვისროლე ცაში.

— ააბა, რა! — ვერ მიხვდა დაცივვას.

— პირდაპირ ტყვიამფრქვევით მიიყარე. — განაგრძო ლასლომ. — ოღონდ, იცი რა, ლექსი სხვას რომ მიეცი, შენ აღარ გინდა? არ მოგპაროს ვინმემ, ქვეყანა მამაძალეებითაა სავსე.

— იიჰ, ხალხის დასანახად წაავიკითხე, თორემ შეეპირადაც კი ვიცი... ჯერ თავში დავწერე.

— ჰო, გაუფრთხილდი, გაუფრთხილ-



დი! ამისთანა ლექსი საუკუნეში ერთი ან ორი იწერება, მცეტი კი არა. არ უნდა დაკარგო...



სახალხო მატარებლის ვაგონები უბილეთო მგზავრებით გაიქედა. ბაროტიმ ფურცელს ჯიბის ფარანი დააშუქა და სია ამოიკითხა. მერე ისე დაგორავდა და შეინახა, თითქოს ამ ქალაღღში ჩვენი სულიც ვაახვია და ეშინია, არ გაექცესო.

იანოშ ველღღეში არა ჩანს. თუ ჩვენ მოგვეყვება, საღ დაიკარგა ამღენ ხანს?

მთელ ვაგონში ერთი ნათურა ანთია, ისიც ლურჯი. ყველას მკედრის ფერი აღვეს, მეშინია ხალხის დანახვა.

ამბობენ, ლურჯი სინათლე შორიდან არ ჩანს და შუქშენიღღვისათვის მოიგონესო. იქნებ უფრო იმისთვის მოიგონეს, აღწამიანები სიკვდილის დანახვას შეაჩვიონ?

ჩემს პირდაპირ, კუთხეში, წვერგაბურღღვნილი კაცი მიიკუნჭა, ქუღდი მოხაღა, პირჯვარი ვაღაიწერა, თვალეღი ვაგონის ჭერს მიასო და აჩურჩღულღა. გრძელი პირისახე, ვაღატკეციღი მაღალი შუღბლი და ნაღღლიანი თვალეღი აქვს იოყეფ კეღეშს. აღბათ, ჩვენს მაგღვრადაც ლოცუღღობს. ღმერთს ევეღრღება — კეთიღღად ვვატარე და შინ მშვიღღობით დაგვაბრღუნეო. იღღოცოს, ხელს არ შევუშღღო, ვითომ ვერ ხეღღდავ. მე ღმერთი არა მწამს, მაგრამ არც მორწმუნეს დაეციღნი. რაღღაც ხომ უნღღა ვწამღღდეს, რაც ვანუღღეღღებს?

— ლასღღო ვარაღღი, ლასღღო ვარაღღი! — ვიღღაც ვოგომ შემოგვეძახა ბაქნიღღან. ლასღღომ უშაღღვე მოპკრა ყური და ვაგონიღღან ჩახტა. ქალიშვიღღი მოეხვიღღა.

— საცოღღემ მოაკითხა. — მითხრა ზოღღტან ფარკაშმა. — საქორწიღღოდ ეშაღღღებოღღენ და უცეღღბ...

— გეყოფა, ვოგო, ვაჩუღღდი! — ხმაღღა მაღღა შეუტღღია ლასღღომ საცოღღეს. — რა ვატღღრღებს? არა ვრცხვეღღია? ვაჩუღღდი, თორემ სულ მტღღრალი მომაგონღღები! იღღონკა, გეყოფა ახღღ! შორს კი არ მიეღღ-

ღღივარ. ფრონტზე, შეიღღღება, სულ მომიწიღღოს წასღღლა. ავერ ვაგღრბენ-ვაგღრბენ, თოვღღს დავეტკეპღღნი და მოვღღალ შინ. გეყოფა! თორემ მაგ ცრემღღზე მატარებღღელს ფეხი მოუცუღღრღდება, ვაღღა-ბრუნღღდება და მერე ორივეს დაგვიტეღღრენ, ჰო, ეგრე! ვამიღღღემ და ვამიციღღენ!

— მივეღღივართ! — დაიჩხავღღა ბაროტიმ.

ღღასღღომ ქალიშვიღღი ვაღღაკოცღღა, ციბრუტივით შემოტრღღიღღდა და ვაგონს შემოახტა. ვვერღღდით რომ ვამიღღარა, შევენღღშინე: ცრემღღი ეკიღღა თვღღალზე, ლურჯი ცრემღღი. ვამშორღღა, ცრემღღი მოიწმინღღდა, თავი ფანჯარაში ვაყო და იღღონკას ისეღღ ვაუღღღიმა:

— ნახვამღღის! ნუ გეშინიღღა, წერიღღს ყოვეღღღღე ვამოგავზავღღნი.

საცოღღეს ღღიმიღღიც ვაუღღგზავღღა და ჰვეროღღანი კოცნაც, ცრემღღი კი დაუშაღღლა.



ვაგონში მაღღაღღ-მაღღალი ახღღგაზრღღა კაცი შემოვიღღდა. თავი რომ ასწიღღა, ფოსოიანი მრგვღღალი ნიკაბი და ფართო შუღბლი დავეინახე. ტახტიღღან ვაღღმოფღღრინღღდი:

— იანოშ! მოხვეღღი? საღ იყავი აქამღღღე?

— წუხელ მანქანეღღით დაგვაწიღღეს მატარებღღელს... გუშინ მთელი ღღღე საღღღაც ვვატარეღღს...

იანოშის ჩემოღღანს ჩემი ზურგანთის ვვერღღდით ვამოგუნახე აღღვიღღი.

უცნაური ვარ. აღღამიანი იმიღღთ მომწონს, როგორი თვალეღი აქვს. მგონიღღა, კაცის მთელი სული თვალეღღში ჩანს.

იანოშს ცისფერი თვალეღი აქვს, საოცრად ნათელი და კამკამა. აღბათ, ასეთი ფერისა იყო ღღუნაი ოღღესღღაც, ვიღღრე მის ნაპირებზე ტყეეღღი არ ვაიჩხებოღღდა. და ქალაქეღღბის ჭუჭუყი არ ამღღღვრეღღდა.

მე უკვე მარტო აღღარა ვარ.



ღღებრეცენში კარგა ხანს ვაგვაჩღღრეს. ანღღრამ ვერა ვაიპარა და ღღიღი კაღღათით შევიღღდი ბოთღღი ღღენო ამოიღღტანა.

— ეს რა არის?! — დაუღღრღიღღა ბა-

როტიმ. — ახლავე გადაყარე! მე აქ ქორწილი არა მაქვს. დაიფიყეთ ძველებური, ჯარში ხართ უკვე! გადაყარე-მეთქი, თორემ ავიღებ და თავზე გადაგაფშვნი!

გერა შეცბა, კალათა ძირს ფრთხილად დაღო და ღრმად შემალული თვლები გაექცა-გამოექცა. ხან ბაროტის შეხედვდა, ხანაც — ზედა ტახტზე ბიჭებში ჩამჯდარ ტიბორ ნადის. დამფრთხალს ნისკარტა ცხვირი თითქოს უფრო დაუგრძელდა, ისედაც ვიწრო ნიკაბი სულ დაუპატარავდა და დაეკარგა.

— ანტალ, მოეშვი მაგ ბიჭს! — ჩამოსძახა ტიბორმა.

— ჯერ ერთი, მე შენთვის ანტალი არა ვარ, მეორეც, შენ ვინა გკითხავს?

— ეგ ღვინო მე ამოვატანინე.

— მაშინ ამ ბოთლებს შენ გადაგამტვრევ თავზე. ჩემთვის აქ ყველა ერთი ხართ!

— ვინ გგონივარ მე შენ? — ტიბორი ტახტიდან ფოცხვერივით გადმოხტა, ბაროტის წინ დაუდგა და მკერდში მუჯლუგუნო ჰკრა:

— შე ტიბორ ნადის მეძახიან. თუ აქამდე არ გაგიგონია ჩემი სახელი, ბუდელ ბიჭებსა ჰკითხე, ვინცა ვარ!

— რა მოხდა, შე კაი კაცი, საწყენად არ მითქვამს, — წყალში ჩაგდებულ ორცხოზობასავით მოღბა ბაროტი. შეატყო, ამასთან ვერას გავხდებიო. — უფროსმა რომ ჩამოიაროს და მთვრალეზო გნახოთ, სასტიკად დაგსჯით, თორემ შე რა შენაღვლება!

— წადი, ერთი, შენცა და შენი უფროსოც!

ბაროტიმ უტია, გაშორდა იქაურობას, კბილები კი გაახრჭიალა ბრახიანად.

მატარებელმა თითქოს გვირაბში შერგო თავიო, სულ ჩამოხვლდა. იანოშველდეში წამოწვა. მე ვაგონის ფანჯარას ავეჯარი და წყვდიადში შექს დავუწყე ძებნა. ჩავუთქვი: თუ სინათლეს დავინახავ, ოჰს ცოცხალი გადავურჩები-მეთქი. შექს ლანდალაც ვერ მოვკარი თვლი. მეწყინა.

— ენდრე, არ წვები? — მკითხა იანოშმა.

— შომკლა ამდენმა ძილმა.

— აბა, მაგ წყვდიადში რას უყურებ? ფიჭვი არ დამიძალავს:

— სინათლეს ვეძებ. მიყვარს, სიბნელებში შექი რომ გაიცმიციმებს.

— არ ჩანს?

— ჯერჯერობით არა.

— რას იზამ...

— ეჰ, ამაღამ, ალბათ, უნგრეთი უკან დაგვრჩება.

— შენ კი გეგონა, დებრეცენში ვაგვაჩერებდნენ ან ისევ ბუდელდეში დავაბარუნებდნენ, ოფიცროს ტანსაცმელს მოგვეცმდნენ და ექიქებოდით არხეინად...

— მარტო მე მეგონა? ჯარისკაცურად ხომ უნდა გამოგვაწყონ? თოფ-იარაღი არ გვინდა? ფრონტზე ასე ხომ არ გავვრეკავენ?

— ფრონტამდე დიდი გზაა. რომელიმე რუსულ ქალაქში ჩამოგვსხამენ და იქ დაგვირიგებენ ყველაფერს.

— შემთხვევით ხომ არ გაგიგია, საით მივდივართ?

— მაგას ვეტყვიან!

— აი, გამოჩნდა, გამოჩნდა! — ჩემმა უეცარმა წამოძახილმა მევე გამაკვირვა.

— რა გამოჩნდა?

— შექი... ეტყობა, ქოხში ანთია, პატარაა.

— ახლა ყველგან პატარა შექს ანთებენ. ასე გვიანობამდე შექის დატოვება ზოგჯერ გაჭირვებისაა. შეიძლება ავადმყოფს უთევენ ღამეს.

მე მინდოდა, გზა ბედნიერების შექს დაელოცა და არა — უბედურების მომასწავებელს. პასუხი უცებ მომადგა ენაზე:

— რატომ მაინცდამაინც გაჭირვების? ლაშა უფრო ხშირად ლხინის სუფრას ანთებს.

— გეტყობა, შენ მარტო სინათლეს კი არა. სიყვითესაც ეძებ... ერთი მითხარი, ლექსებსა წერ?

— არა... რატომ მეკითხები?

— რატომღაც მეგონა, წერდი.



— გიმნაზიაში სწავლისას დავცდებინე ერთი დღე. ერთხელ ბოშებს ქარმა კარავი მოსტაცა და... ხომ იცი, ლექსის წერა საყმაწვილო სენივითაა.

— ლექსის წერა ყველასთვის არ არის საყმაწვილო სენი.

— მივხვდი, ჩემგან მეორე პეტეფი არ დადგებოდა და... შენ, ალბათ, წერ.

— არა, არ მემარჯვება. ფიქრში ყველაფერს ღამაზად ვაწყო, კალამს რომ მოვკიდებ ხელს. არაფერი გამომდის... ისე, ვისაც კალამი ემორჩილება, უშეშველად უნდა წეროს. ცოტა ილაპარაკოს და ბევრი წეროს. წინაპრებს რომ არ ეწერათ, რამდენი კარგი ფიქრი დაიკარგებოდა უკვალოდ. ენა ხშირად ტყუის. ფიქრი — არასოდეს. დღეებში თუ გიწერია?

— არა.

— არც აპირებ?

— არ ვიცი.

— ჭარში უკეთესი რა უნდა გააკეთო? გირჩევ წერო.

— არ ვიცი... რვეულელებიც არ წამომიღია.

— თუ მარტო ეგ გიშლის ხელს. სამი სქელი რვეული წამოვიღე...

ხდება ხოლმე. რაიმეს გაკეთებას აპირებ და ვერ მოგიბაძს თავი. მერე ვიღაც გირჩევს და... ორივე ხელს მოჰკიდებ. მეც ასე მომივიდა. იანოშმა წამაქეზა და დამაწყებინა წერა. ზოგჯერ თავს მაინც შევიყოლიებ, რაღაც ჩემი საზრუნავი მექნება...

შორეული შუქის სინათლე გულში პატარა იპედად ჩამელვარა. მშვიდად დავიძინე.



ძილში ვიგრძენი, მატარებელი შეინჯღრა და გაჩერდა. შიშველ ტახტზე ტანგაუხდელად მიწოლილი ხალხი წამოიშალა.

— სადა ვართ? — მკითხა იანოშმა.

ფანჯრები დაორთქლილი იყო, ქაღალდით გავწმინდე და გავიხედ-გამოვიხედე.

— თოვლიანი მინდორი და ღრუბლიანი ცა ჩანს, სხვა არაფერი.

გარეთ ბუკი ააზმიანეს.

— აბა, ძილისგულდებო, აკრიფეთ ბარგი-ბარხანა, ჩაეღვიარო! — ეს ბაროტის ხმაა, — დაბოხებული. ნამძინარევე კაცს საერთოდ ასეთი ხმა აქვს, მაგრამ ბაროტი ხმას ისედაც იბოხებს ხოლმე, აქაოდა, მეთაურის რიხი მაქვსო.

მატარებელში, ასე თუ ისე, თბილად, გარეთ კი ზამთრის სუსხიანი დილა შემოგვეგება. სახალხო მატარებლიდან ასიოდე ნაბიჯის დაშორებით, სხვა ლიანდაგზე, საქონლისა და პირუტყვის გადასაზიდი ვაგონები დგას. ორთქლმავალი ხენშის და კვამლს ცაში ბოლქვა-ბოლქვა ისვრის. ორი თოფიანი ჯარისკაცის თანხლებით, ჩვენკენ კაპიტანი წამოვიდა.

— ეშელონის უფროსია, — ჩურჩულით გავაცნო ბაროტიმ და კაპიტანს მხედრულად მიესალმა.

— ჯგუფები სამ-სამ მწყრივად მოაწყვეთ! — ბრძანა უფროსმა.

— ბატონო კაპიტანო, ბარგს რა ვუყოთ? — ბაროტიმ უფრო იმიტომ ჰკითხა, ოფიცრის ყურადღება რომ მიექცია.

— წინ დაილაგეთ, მალე წავალთ.

მატარებლის გასწვრივ გრძელი რიგი გაიჭიმა, ათასამდე კაცი იქნება.

— მალიარებო, სახელოვანი პორტი ჩვენზე ჰემშარიტ იმედს ამყარებს და ეს იმედი უნდა გავამართლოთ. — აყვირდა ბორცვზე შემდგარი კაპიტანი. — მიზანი ნათელია, მიწის პირიდან აღევავთ მსოფლიოში გაბატონების მზრახველი ყველა კომუნისტი, გავანადგუროთ ბოლშევიკების მთავარი ბუდე — წითელი რუსეთი... ამ წმიდათა-წმიდა ომში ჩვენ გვყავს უძლიერესი მოკავშირე — გერმანია. ეშვი არ გვეპარება, ბრძოლას გამარჯვებით დავაგვირგვინებთ. ჰიტლერს მთელი გულითა სწამს, რომ ჩვენ გმირი ხალხი ვართ. მამაცი და შეუპოვარი. ჰოდა, ეს ნდობაც უნდა გავამართლოთ. იქნებ ზოგმა შტერულად იფიქროს, რუსები ჩვენს მიწა-წყალს რომ დასხმოდნენ თავს, სამშობლოს მაშინ დავიცავდითო. აკი შარშანწინ კამა დავიბომბეს კიდევ, არ დასცალდათ, თო-

რემ კიდევ დაგვესმოდნენ თავს. ჰოდა, რუსების ქვეყანაში იმიტომ შევიჭერთ, ჩვენი მიწა-წყლისა და სამშობლოს აზრება რომ დაგვიბირეს. დღეიდან ჯარისკაცები ხართ. მართალია, ჯერ არც სამხედრო მუნდირები გაცვიათ, არც თოფები გიჭირავთ, მაინც ჯარისკაცები ხართ. სათქვენო სამხედრო ტანსაცმელი უკვე გავზავნეს და ადგილზე დაგვდებათ. თოფ-იარაღსაც იქ მიიღებთ. შეკითხვა ხომ არავისა აქვს?

ვარადიმ ასწია ხელი, ბაროტიმ კამეჩივით შეუბღვირა.

ლასლოსთანა ხალხს მალე ეცნობიან. ანტალმა უკვე იცის, ვარადიმ რაღაც ეშმაკურს ისე ღინჯად და სერიოზულად იკითხავს, ხალხს გააცინებს, უფროსებს კი ამგვარი შეკითხვები არ უყვართ.

— ბატონო კაპიტანო, საჩვენო ტანსაცმელ-საჭურვლით დატვირთულ ეშელონს რომ ვერ დავეწიოთ, უკანვე გამოგვაბრუნებთ?

— როგორ თუ ვერ დავეწიოთ? — წარბი შეიკრა კაპიტანმა.

— ყველაფერი მზესავით ნათელია! — ამოიძახა ბაროტიმ.

ბელურასავით მობუზულმა ზოლტან ფარკაშმა კურდღლის ტუჩები ააცმაცუნა:

— ბაროტი, ნუ მეტიჩრობ, გვაცალე! — და კაპიტანს მიუბრუნდა: — მაინცდამაინც ამ შიშველ მინდორში რატომ გააჩერებინეთ მატარებელი და ჩამოგყვართ? სადმე ქრისტიანულ ადგილას არ შეიძლებოდა?

— შეგცივდა?

— ყველას შესცივდა.

— მალე გავათბობთ. აგერ, იმ ვაგონებში უნდა გადავსდეთ. რუსების ლიანდაგი უფრო ფართოა, ჩვენი მატარებელი ვერ დადის. ახლა კი ისმინეთ ბრძანება! წაიკითხეთ! — კაპიტანი ბორცვთან გახევებულ სერჟანტს მიუბრუნდა.

სერჟანტმა ფურცელი გაშალა და გაყინული ჰაერი ომახიანი შექახილით გააპო:

„ბრძანება № 1.

თითოეულ ვაგონში მოთავსდეს ორ-

მოცდაათ-ორმოცდაათი ჯარისკაცი. ვაგონს დაენიშნოს მეთაურ-მამასახლისი.

ვინც ეშელონს ჩამორჩება, დეზერტირად ჩაითვლება და დახვრეტენ გაუსამართლებლად.

ეშელონის უფროსი — კაპიტანი ფორგაჩი. 1943 წელი, 31 იანვარი“.



მატარებელი დგას და არ იძვრის. ირგვლივ თოვლის გარდა არაფერი ჩანს. ძნელია უსაქმოდ გდება. რვეულს მოვკიდე ხელი.

კედელთან, სადაც ბაროტი იძინებს, ლასლომ მსხვილი ასოებით დაწერილი ფურცელი გააკრა: „ტახტის ესე ადგილი უბყრია ამა ვაგონის მეფე-იმპერატორს ანტალ ბაროტის — ქრისტეს არმცნობსა და ეშელონის უფროსის მონა-მორჩილს. თაყვანსა სცემდეთ და ერიდებოდეთ! მოყვასი ყოველთა კეთილთა ძე ღმთისა“.

ანტალმა წაიკითხა და თვალები ისე გაღმობქანა, ლამის ბუდეებიდან გადმოუცივდა:

— ვინ დაწერა?

ყველამ ზურგი შეაქცია, აქოდა, შეკითხვა არ გაგვიგონიაო.

— ვინ დაწერა-მეთქი? დაყრუდით? სიცილიც არავის წასცენია.

— მიხაი გონდა! მიხაი გონდა!

— რა გნებავთ, ბატონო მამასახლისო? — თავი წამოყო ტახტზე გულანმა გაშოტილმა მიხაი გონდამ და გემრიელად დაამთქანა.

— შენ სულ აქა გორაობ, ვინ გააკრა ფურცელი?

— რა ფურცელი, უფროსო?

— ეს! — ბაროტიმ ფურცელი ჩამოგლიჯა და ბრაზიანად მოკმუჭუნა.

— არ ვიცი, მე მეძინა. — გონდამ ისევ მიდო თავი ჩანთაზე და თვალი მილულა.

— მათიამ ბიხარი, სულ აქ ტრიალებ, არც შენ დაგინახავს?

— არ დამინახავს და რა ვქნა?

გერამ შეკითხვას არ დაუცადა, თითი ბაროტის დასანახავად ლასლოსკენ გაიშვირა.

— ვარადიმ, ადგილზე რომ მივალთ,



იცოდენ, ანგარიშს მერე გავისწორებ. მე მეტიჩარა ხალხი ჭირივით მძლუს! — დაემუქრა ბაროტი.

— მეც! — მშვიდად მოუჭრა ლასლომ.

ბაროტიმ რაღაც ჩაიბურტყუნა, ეტყობა, მაგრად შეუჭურთხა თამამ ბიჭს.

— ბიჭებო, გაიხედეთ, — უკან მივდივართ! — წამოიძახა გედეონ გროშიჩმა და წარბების ტევრი აციმციმებულმა თვალებმა გაუნათა.

რომელიღაც სადგურიდან უკან გავბრუნდით. ჩამობნეულა. დავგაბრუნენსო, აჭყლობინდა ყველა. კაჩაღდა სიმღერა. ლასლომ იცეკვა კიდევ. გვიან დავიძინეთ და ადრე გავიღვიძეთ. წინააღმდეგ გავლილ გზას მივამგვანეთ მიდამო. სიხარული ერთიორად გაგვეზარდა. მეზობელ სადგურში გავიგეთ, ჩრდილოეთისაკენ წავსულვართ.

ყურები ჩამოვყარეთ. რაღაც მოხდა: ეტყობა, დანიშნულ ადგილას ვერ მივედით, გზა-კვალი აებნა ჩვენს ეშელონს და არ გვიმხეღენ.

დღეს გამოგვიცხადეს, აქედან ბარათების გაგზავნა შეიძლებაო. ყველამ ააშრილა ფურცელი. მე ერთი წერილი მამას გავუგზავნე, ერთიც...

ჩვენს ეშელონს უამრავი ხალხი დახვდა. რაჟი მე იქ არავინ მელოდა, სადგურისკენ გვიან გავიხედე, ეშელონი რომ დაიძრა. უცებ ხალხში თავშლით შეფუთვნილ გოგოს მოვკარი თვალი, ხელი დაუქნით და გავსძახე კიდევ:

— უუჟანა, ჰაუ, უუჟანა! აქეთ მოიხედე, უუჟანა!

იქ ყველა რაღაცას გაჰყვიროდა. ვერ გავიგე, იმ გოგომ ჩემი ძახილი გაიგონა თუ არა, მაგრამ ასე კი მომეჩვენა — თვალი სწორედ ჩვენს ვაგონს გამოადევნა-მეთქი. მერე რუსეთში მოსვლამდე მომდევდნენ ის თვალები, ელმირას თვალთა მსგავსი თვალები. ერთი პირობა ნუგეშად ამასაც ვფიქრობდი: „იქნებ უუჟანამ როგორღაც გაიგო, მე რომ ჯარში წამომიყვანეს და სადგურზე ჩემს შესახებდრად მოვიდა? ქალიშვილს ზურგს რომ შეაქცევ, სწორედ მაშინ გამოგედევნება ხოლმე“.

ახლა გადავწყვიტე, რაღაც არც მსგავს წერილს გავუგზავნი-მეთქი. იქნებ ამ წერილმა უუჟანამდე ვერც მიადწიოს... ამიტომ დღიურშიც ვწერ.

„ჩვენი მატარებლის ორთქლმავალმა დილით ასოდის სადგურს მიაკივლა, იქაურობა გამოაღვიძა, ხუთიოდე წუთს შეჩერდა და კვლავ შეუტია გზას. ცოტა ხნის შემდეგ რატომღაც მომაგონდა, რომ ასოდის მარცხნივ, არც ისე ახლოს, სადღაც არის სოფელი ვაკციშუფალუ. იმ სოფელში ცხოვრობს ერთი ჩემი ნაცნობი, მაგრამ ვინ? უცებ არ გამახსენდა.

გარბოდა მატარებელი.

გავიარეთ ხატვანი, გავიარეთ დებრეცენი, მერე გავცილდით უნგრეთის მიწა-წყალს და რუსეთში ამოვყავით თავი. აქ ფიქრში კვლავ ამოტივტივდა ასოდის სადგური. ანაზღვეულად გამახსენდი შენდა... წერა დავიწყე.

მიდის მატარებელი. ხან მზე ეფინება სახეზე, ხან ქარაშოტი მიწყაროლის ქვიშას აყრის თვალებში, ხან თოვლის თეთრი თოკი ეხვევა ყელზე, ხან შორეული მთების სუსხი უბერავს, ხანაც სტეპების ცივი ქარი... წვიმადა აკლია. მატარებელი კი მიდის... მიდის და მიჰქრის... მიჰქრის და მიღაგდაგებს თოვლში გართხმულ ლიანდაგზე.

როგორ ჰგავს ეს ოხერი მატარებელი ადამიანს, ლიანდაგი — ბედს, ამინდი კი — კაცთა ცხოვრების ცვალებადობას! მიდის ადამიანი, მიდის თავისი ბედის გზაზე და ამ გზიდან გადახვევა არ შეუძლია, მიდის და მის გარშემო ყოველ წუთს იცვლება ცხოვრება: ხან ქარია, ხან — თოვლი და ხანაც — დარი...

მატარებელში მარტო არა ვარ. უამრავი ხალხი მახვევია, მათ შორის მხოლოდ ერთია ჩემი კარგი ნაცნობი. მხოლოდ ჩვენ ვანდობთ ფიქრებს ერთმანეთს, მაგრამ ყველა ფიქრს — არა. მაგალითად, სიყვარულზე ჭერ არცერთს არ დაგვიძრავს კრინტი, თითქოს ახლა ამისთვის არცა გვცალია, უფრო სხვა რამ გვაწუხებს, რაც შენთვის, ჭერჭერობით, საინტერესო არ უნდა იყოს...

და მიგუგუნებს მატარებელი რუსეთის მიწა-წყალზე...

სალამი ვაკეში უფალს! სალამი ბუდაპეშტს! სალამი უნგრეთს! და ყველა უნგრელ ქალიშვილს, ლამაზსა და უშნოს!

აქეთკენ რომ წამოვედით, უნგრეთშიც თოვლა, თუმცა არც ისე ციოდა, აქ მასპინძლად სასტიკი ზამთარი შემოგვეგება. გაყინულია თოვლი, გაყინულია გზა, ყინვას მოუხატავს პატარ-პატარა სახლების ფანჯრები და ვერ ვხედავ, შიგრა ამბები.

მატარებელი გაჩერდა და მუხლის გასაშლელად ძირს ჩავედი. თოვლი ორივე ხელით ავიტაცე და დავაგუნდავე. აქაური თოვლი, თითქოს შშრალი ქვიშააო, ძნელად გუნდავდება. ვის ვესროლო ამ ცივი თოვლის გუნდა? დავფიქრდი და ლიანდაგს დავანარცხე. ლიანდაგი ხომ ადამიანის ბედსა ჰგავს. ჰოდა, ბედს ვესროლე გუნდა. ამაოდ: გუნდა თუ არ მტერად გაიბნა ლიანდაგზე...

ალბათ, თქვენშიც მოვიდოდა თოვლი. ხომ გუნდაობ ხოლმე? ჰო, ვიცი, იგუნდავებ და თავს გაუფრთხილდი, არ გაცივდე, გოგონი! ეს ტიალი, წამოსვლის წინ ცული სიზმარი ვნახე — ან შენ გახლები ავად, ან მე. ჩემი თავი ჟანდაბას. ოღონდ შენ ნუ გახლები ავად!

გარბის მატარებელი.

საით? რა ვიცი მე! არც ის ვიცი, ამ ბარათს რომელი ქალაქიდან ეგზავნი. მაპატიე, რომ ვერ გინახულე! თუმცა, იქნებ არც იყო საჭირო“.



თითქოს განგებ შეარჩიესო, აქ ათიოდე კაცის გარდა ან სტუდენტია, ან გიმნაზიადამთავრებული... ყაზარმაში შესვლისთანავე, ალბათ, ყველას ოფიცრის ჩინს მისცემენ. ამ ხალხმა გერმანული იცის, ზოგმა გამართულად, ზოგმა საყველპუროდ.

ჩვენს ვაგონში ყველამ ჩამოყარა ხორცი, ბაროტი კი გასუქდა. ეშელონის საწყობიდან ხორავი ბაროტის მოაქვს და ბლომიდაც გვპარავს.

სულ სხვანაირია მიხი გონდა. ორი ლასლოსოდენაა. ზოგი გადაბმულს ეძახის, ზოგი — ნამყენს. გამხლართულა ზემო ტახტის კუთხეში და ხერინავს. საწოლიდან იშვიათად ჩამოდის, ალბათ, ეშინია, ადგილი არ დაეკარგო და ცხენივით ფეხზე არ დაეჩრჩეო.

— მიხია, ადე! ვიხილ-გამოიხიდე, რა ხდება ქვეყანაზე! — დასძახის ლასლო.

— შენ თუ გლვიძავს, კარგს რასა ხედავო? ბუზლუნებს მიხია.

გვერდით მათიაში მიწევს. თავქვეშ ორი ცარიელი ტომარა უდევს. ბავშვივით ღრმა ძილი იცის, ოღონდ გლუხკაცურად დილით ადრე ეღვიძება.

მათიაშის იქით გედგონ გროშინი წევს, ლასლომ მეტსახელად „წარბა“ რომ შეარქვა. გედგონი მხრებმოხრილი დადის ხოლმე. ერთი კვირაა ყრუდ ახველებს და ავადმყოფობას უჩივის.

ტიბორი, ასე ვთქვათ, ფულს ნიჩბით ხვეტავს. არ ვიცი, რად უნდა. რომელიდაც სადგურზე უნგრული ფული სხვა ფულზე გადაგვიხურდავეს. ნაღი ფულს ხვეტავს, მაგრამ იმდენად ფული არ უყვარს, როგორც თამაში. რამდენიმე მობანქოვეს მოგებულნი ფული დაუბრუნა, რომ ხელახლა მოეგო. ერთმა მეზობელვაგონელმა პალტო წააგო. გახადა, ქვეშ დაიგო, ხუთიოდე წუთს იჯდა ზედ, მერე აიღო და დაუბრუნა:

— ჩაიცვი, ოღონდ იცოდე, ეს უკვე ჩემია და მეორედ აღარ გაათამაშო.

გუშინდამ ლაიომ გრიობლის ფული დაეკარგა. სულს ცოდვილო, ეჭვი გერაზე მაქვს. ასლა სხვა ვინ დახარბდებოდა ფულს?! თუმცა, იქნებ იმრე ბენკემაც იხელმრუდა? ორიოდე დღის წინათ სულ წააგო ფული, ჯიბეები ამოიფხიცა, გუშინ კი ისევ თამაშობდა.

ნაღიმ ქურდობის ამბავი გვიან გაიგო და წარბი შეიკრა:

— ლაიომ, შემთხვევით იმ ფულის ნომრები ხომ არა გაქვს ჩაწერილი?

— არა, რატომ მეკითხები?

— სათამაშოდ ნაქურდალი ფულით რომ ვინმე მომადგეს, დედას ვუტირებ! ყველაფერს გავხდი და გაქანებული ვა-



გონიდან შიშველს გადავაგდებ. ბევრი მოგპარეს?

— კაცს ზარალი გეწყინება, თორემ... უნგრეთში ხბოს თუ იყიდდა ახლა.

ტიბორმა პალტოს შიდა ჯიბიდან დასტა ფული ამოიღო:

— ჰა, და, გაუფრთხილდი, ესეც არავინ მოგპაროს.

ლაიოში არ ართმევდა, ტიბორმა ძალით ჩაუტენა ჯიბეში:

— სესხად იყოს. შინ რომ დაებრუნდებით, მაშინ მომეცი. ისე, თუ გაიგო, ვინ მოგპარა, ჩუმად მითხარი და მე გაუუსწორდები.

ამბობენ, ადამიანი გაპირვების უამს იცნობაო. აქ გაპირვება არ გვაკლია. გზა და გზა, ალბათ, ბევრ ვინმეს გავიცნობ კიდევ.



საჭიატო სარკმელში დილამ შემოიხედა. თითქოს უფრო აცივდა. რაკი ჯერ ბაროტის არ გაუცია აღგომის განკარგულება, ყველა წევს.

— თუ ძმა ხარ, ერთი ჰკითხე ამ მატარებელს, ხომ არ გადაირია? — კისერი აყინა ლასლომ. — ჯერ მატლივით მოცოცავდა, ახლა გაჩერებას აღარ აპირებს. არ გადაახტეს ფრონტის ხაზს და რუსებთან არ ამოგვყოფინოს თავი... ო, რა დაფრთხებიან — დესანტი მატარებლით გადმოაფრინესო...

— ფრონტისაკენ არ მივდივართ, რას გადაახტები!

— აბა, სად ჯანდაბაში მივქლოშინობთ?

— რა ვიცი... სადღაც, ჩრდილოეთისკენო.

— მაინც, რა გაუთავებელი სჭირს ამ გზას?!

— გეჩქარება?

— ეეჰ! — ამოიხვნეშა ფერენც კოვაჩმა, ჯიბის საათს დახედა, თავი გადააქნია, ტახტიდან ჩოჩვით გადავიდა, ერთმანეთში თითებგაყრილი ხელები ზურგზე შემოიწყო და ლუმელთან ბოლთის ცემა დაიწყო.

ჯერჯერობით ყველაზე მეტად ფერენც

კოვაჩი შეიცვალა. წვერი იოჟეფ კეპეშვიტით მოეზარდა და ახლა გაბურძვნილი დადის. ბოლო დროს ყველაზე გვიან წეება და ადრე დგება. ცუდად სძინავს — ზოგჯერ ღამით აბოდებს კიდევ. წიგნებს აღარ კითხულობს.

ბოლთის ცემას თავი დაანება, კარს მიადგა და სახელურს მოეჭიდა. აჯაჯგურა, ვერ გაალო. აიღო წერაქვი, ბრტყელი პირით კარის ღრიჭოში გააკვეტა და ჯიქურ მიაწვა. მაინც ვერ დასძრა.

დავეპვი: „თავმოძულებულმა კაცმა უცებ ფეხი რომ დაჰკრას და გაქანებულნი მატარებლიდან გადაეშვას, არ უნდა გაგიკვირდეს. ვაითუ...“

— ჰეი, წიგნის ქიავ, რას ამტვრევ? — წამოიზღაზნა ბაროტი.

— არაფერს არ ვამტვრევ, წერაქვი მოხვდა ლუმელს.

— შე ოხერო და მუდრეგო, თუ იცი, სადა ხარ? ორი წიგნი რომ წაგიკითხავს და ინდაურივით გაფხორილი დაიარები, ეს ქვეყანა მართო შენი გგონია?

— ვის უყვირი?! — ახლა ჯარში ხარ და სამხედრო წესებს უნდა დამეორჩილო! მე ჯერ აღგომა არ გამომიტხადებია. ადი, დაეგდე...

— ღმერთო ჩემო, ეს რა მესმის? მოგკლავ!

— შენი მოკლული შენისთანა იქნება, საცოდავო!

ფერენცმა წერაქვს წამოავლო ხელი. ანტალი მარდად წამოხტა, მასწავლებელს ხელებში ეცა, წერაქვი წაართვა და თვითონ მოუქნია. ფერენცი სწრაფად დაიხარა და წერაქვმა იატაკზე მოადინა ბრავვანი.

იანოშმა საბნის მაგივრად წამოხურული პალტო თვალის დახამხამებაში გადაიგდო, ტახტიდან ისკუბა და ანტალს ზურგზე დაახტა. ბაროტი ამას არ მოელოდა, წაბარბაცდა და წაიქცა. იანოშმა მუხლი მუცელზე დაჰკრა და მკლავი გაუქავა.

— მოგკლა? ჰა, მოგკლა? მითხარი!

გაფითრებულ ანტალს ენა ჩაუვარდა. ხალხი ჩოჩქოლით წამოიშალა. გონდამაც კი გაიღვიძა:

— რა ამბავია?! თავს დაგვესხნენ?!  
მერე დაინახა, რაც ხდებოდა და მაშინვე მიდო თავი ჩანთაზე.

— მოეშვი! თუ კიდევ გაბედავს, თავად გაგუსწორდები! — ხელი მოჰკიდა ფერენცმა ქომავს.

მოჩნებრები ისე გააზავეს, მუშტი არაღის მოხვედრია.

ვაგონმა ერთხანს იჩოჩქოლა და დაწყნარდა. ფერენცი გულაღმა დაწვა და თვალი გაბოლოდ ჰქერს მიაღურსმა. მე და იანოში ცალკე დავსხედით, სარკმელთან.

— გადაგემტერება ახლა შენ ბაროტი.

— გადამემტერება და ავუგებ ანდერძს... მე კრავი კი არა ვარ.

— საინტერესოა, ასეთ უხეშ და უვიც კაცს რატომ ნიშნავენ უფროსად? აქ ამდენი ჰკვიანი ხალხია, ნასწავლი და განათლებული. მაინცდამაინც ეგ კი ამოირჩიეს!

— ვინ ამოირჩია? თვითონ დაიჩემა და ეშელონის უფროსმაც კვერი დაუტრა... ისიც კაი ხეპრე ჩანს და ხეპრეს რად უნდა ჰკვიანი ხელქვეითი! ახლა ფაშისტური ხელისუფლებისაკენ სულ ბაროტისთანა უხეში და უგუნური ხალხი არ ისწრაფვის? ბევრ რამეს მოვითმენ და მასწავლებელი კაცის აბუჩად ავდებას — ვერა.

— მამაჩემიც მასწავლებელია.

— მართლა?!

— ერთხანს ციხეში ჩასვეს, ჰორტი გიგინებიაო. ავადმყოფობამ უშველა, მაგრამ სკოლაში კი აღარ შეუშვეს. რეპეტიტორობით ირჩენს თავს.

— ბატოსანი კაცი ყოფილა. — იანოში ცოტა ხანს გაჩუმიდა და განაგრძო: — ყველა მასწავლებელი მიყვარს... თანაც მეცოდება. რამდენ სიყვითესა თესავენ და რა ცოტას იმკიან. ერთი მასწავლებელი მყავდა, რომის ისტორიას მასწავლიდა, მამასავით მიყვარდა. ავად გახდა, მისამართი გავიგე და სანახავად წავედი. სარდაფს მივადექი. თვალს არ დავუჭერე, მასწავლებელი აქ როგორ იცხოვრებს-მეთქი. შევედი შიგ, ვერაფერი გავარჩიე და შევჩერდი. „აჰ, ველდემი,

შენა ხარ?“ — მომესმა ნაცობი ხმა. სიბნელეს თანდათან შევაჩვიე თვალი, დავინახე რკინის საწოლი და საბანში გახვეული მასწავლებელი. ცოლმა ჰრავი აანთო. სარდაფს კუთხეში ვიწრო სარკმელი ჰქონდა, ეს იყო და ეს. სარკმლიდან ჰქერის ქვაფენილი მოჩანდა მხოლოდ. ჰქერი იცრემლებოდა და ნესტიანი კედელი ბათქაშს ძლივს იკავებდა. ჰქერს რაღაც მიღები მისდევდა, ალბათ, წყალსადენისა და კანალიზაციის. საყვარელი მასწავლებელი რომ ამ ყოფაში ვნახე, გული ჩამიკვდა. იქიდან გამოსული ისეთ გუნებაზე დავდექი, მინდოდა, ყველა იდილი სახლის ჰქვეშ ნაღმი ჩამეღო და დამენგრია. მეგონა, ისინი ჩრდილადნენ სარდაფებს, საღაც ასეთი პატიოსანი აღამიანები ცხოვრობდნენ.



საღლაც ქარი მიაფრიალებს ბოშათა კარებს. მართლა ბოშათა კარებია თუ გემის აფრები? იმ აფრებს ჩასქიდებია ბოშა გოგო...

ახლა ჩვენც მოხეტიალე ბოშებსა ვგავართ — კვამლით გაბოლილ-გაზანგულეები. აბა, სად მივდივართ? რა დაგეკარგვია ამ უტხო ჰვეყანაში?

უცებ შორს, ძალიან შორს ელმირას თვალეები აკიაფდა. მაღე იმ თვალეებს ეუქანას თვალეები შეენაცვლა. თითქოს ელმირას ადგილი ეუქანამ დაიჭირა: ეუქანა რალაციტ ჰგავს ელმირას. ისიც ელმირასავით მოქნილი, თვალბრიალა და ეშხიანია. ეუქანას ვილაც სხვა უყვარს და ჩემს სიყვარულს არ უთანაგრძნობს, ბოშა გოგოს კი გაგიყვებით ვუყვარდი და ასევე ვეყვარებოდი მარად, ქარს რომ არ მოეტაცუნა. ეჰ, მე ის ენდრე აღარა ვარ... გამომცვალა ელმირას ამბავმა. რა შეიკვალა ჩემში. არ ვიცი, მაგრამ რალაც ნამდვილად შეიკვალა.

იქნებ ბედმა რუსეთში განგებ გადმომაგდო, რომ აქ მაინც ვიპოვო ელმირა? ვიცი, გულუბრყვილო ფიქრია, მიყვარს ხოლმე ასეთი ფიქრი. მინდა, როგორმე უმიზნო არ გამოდგეს რუსეთში ჩემი მოსვლა: რაც ჩემს ჰვეყანაში დავკარგე,



აქ ვიპოვო... ცარიელი ოცნებაა? მერე რა! როცა ირგვლივ საშინელი სიცარიელეა, სჯობს, ის სიცარიელე ცარიელი ოცნებით მაინც შეავსო...

ეს ღამეც ელმირას თვალბივით შავია, მაგრამ შიგ იმ თვალბივის ცეცხლი არ ანთია — ცარიელია ეს ღამე, არ ანათებს... შავ თვალსა ჰგავს, ოღონდ ჩამქრალს.

ყველაზე უფრო ის მაწუხებს, რომ ვერ გავიგე, საით მივდივართ. არ გვიჩვენებენ, სამხედრო საიდუმლოებააო.

— ენდრე, არ გძინავს? — ფიქრს მაწყვეტილებს იანაში.

— არ დამეძინა.  
— სინათლეს აღარ ეძებ?  
— ეძებ, ოღონდ გარეთ არა.



მატარებელს თითქოს რაღაც დაეჯახაო, შეირყა და შეძიძგილდა. დამფრთხალი ხალხი წამოცვივდა და დახურულ კარს მიაწყდა. მატარებელი უცებ გაჩერდა და გავიგეთ, არაფერი საშიში არ მომხდარა.

ათიოდე წუთიც და უკვე ვაგონის წინ ვდგავართ. ფეხებს ვაბაკუნებთ და ყურებს დაუნდობლად ვისრესავთ. ყინვა ცხვირის წვერსა გვწვავს. შვიდი საათია და ჭერ არ გათენებულა. უღრუბლო ცას მიმცხრალი მთვარე ჰკიდია. თოვლიან მინდორს ბურუსი გაჰკვრია.

არა, ეს სადგური არ უნდა იყოს. სადგურში არ შეგვიყვანეს, მოშორებით გაგვაჩერეს.

— ესეც შენი დაპირებული ედემი! — ხელებს იფშვინეტს ლაიოშ გრიობლი.

— ჭერ სადა ხარ! მალე ამ ედემის ხილს მოგართმევენ და ნამდვილ გემოს მაშინ გაუგებ! — აიმედებს ლასლო. — დიულა, აბა, გააშანშალე ლექსი — მოვედით და სიხარულით ცის ჰერი აეწიეთ-თქო.

— ერთი შენც მოგცლია! — გამწარებული აბაკუნებს ფეხებს მუზაგაყინული მელექსე.

— ლასლო, ნუ ხარ ენამოწამლული, მოასვენე ადამიანი! კაცს თავისი ვაჭირ-

ვება ჰყოფნის! — ჩორდაშს ექომაგება გროშიჩი და ყრუდ ახველებს.

ბიჭები აბოლებენ: ეგებ თამბაქოს კვამლით მაინც მოვიგვრიოთ სუსხიო.

— დამალეთ ცეცხლი, სად გგონიათ თავი! — ჩხავის მორიგე.

— ჩააქრეთ! — ყვირის ბაროტი.

— ჭერ ფრონტზე ხომ არა ვართ? პაპიროსის მოწვევაც აღარ შეიძლება?

— რეგენები ხართ და მეტი არაფერი. ფრონტი ახლა ყველაგანაა. რუსეთის თვითმფრინავები ყოველ ღამე ბომბავენ სადგურებს.

ბიჭები პაპიროსებს პალტოების სახელოებში მალავენ და ისე ეწევიან.

დაგვათენდა.

კაბიტანმა ფორგაჩმა ჩვენი თავი გერმანულ ოფიცრებს ჩააბარა.

— კარგი ბიჭები ხართ! — შეგვაქო ერთმა მაღალმა ოფიცრმა და გულითადი მასპინძელივით კიდევ მოგვეფერა.

— მებენარი გყავთ? — გკითხა მეორე გერმანელმა.

— ღვთის წყალობით, ბლომად; ზოგს ჩვენი, ზოგს — სხვისი, — მიუგო ლასლომ.

— აქ კარგი აბანო გვაქვს. მარცხნისაკენ!

გზაზე გავედით. ფეხქვეშ თოვლი ჭრიალებს.

სამსართულიან სახლს ჩავუარეთ. ჭიშკრის თავზე უშველებელი აბრაა. ზედ გერმანულად აწერია — „კომენდანტი“. ჭიშკართან მიდი-მოდის კისერზე ავტომატჩამოკონწილებული მწვანეთარაჯიანი ჰიტლერელი ჯარისკაცი.

ცოტაც გავიარეთ და დიდ ეზოსთან გაგვაჩერეს. უშველებელი შენობის ფართო კარიდან ორთქლი ბოლქვა-ბოლქვა გამოდის.

— ეს იქნება აბანო, — ამბობს ფარკაში.

— მაგას შენს მეტი ვერავინ მიხვდებაო.

ორი გერმანელი ჯარისკაცი ხალხს მოერეკება — მოხუცებსა და დედაბრებს. აქა-იქ თითო-ოროლა ახალგაზრდაც ურევია. ზოგს ბავშვიც მოჰყ-

ვება. თითქმის ყველას თეჟის ჩექმა და დაბამბული პალტო აცვია. კაცებს ყურებიანი ქუდეები ჩამოუფხატავთ, ქალებს თავშლები მოუხვევიათ.

— საღ მიგყავს? — ჰკითხა ოფიცერმა ბადრაგას.

— ნანგრევების გასაწმენდად! — მიუგო ბადრაგამ და ჩამორჩენილ დედაბერს ნალდაკრული ჩექმის წვერი ამოჰკრა: — შნელ! შნელ! ბისტრო! ბისტრო!

— ისედაც ძლივს მილასლასებს საწყალი, ეგ ოხერი კი წიხლს ურტყამს. — ჩამილაპარაკა ბიხარმა.

ლასლომ უნგრულად შეუკურთხა ვერმანელ ჯარისკაცს. უცებ ორმოციოდე წლის ქალმა შემოგვხედა და უნგრულად გვკითხა:

— მაღიარები ხართ, შვილებო?

შევები. რალაც სხვანაირად მომხვდა გულზე, ამ უცხო ქალაქში პირველმაცე ხმისგამცემმა ჩვენებურად რომ დაილაპარაკა და შვილებიც გვიწოდა.

— ჰო, მაღიარები ვართ, დედი!

— ტყვეები?

— არა, ჯარისკაცები!

— ჯარისკაცები?!

— ტანსაცმელს აქ მოგვეცემენ ახლა.

— მოხალისეები ხართ?

— არა, ასეთ ომში თავისით ვინ მიდის? შენ საიდან იცი უნგრული?

— მაღიარი ვარ, ვარაღი ევიკე... ევა, ეველინი.

— ე, ბიჭო, ლასლო, შენი მოგვარე ყოფილა!

— სადაური ხართ, ქალბატონო? — გამოოცხლდა ლასლო.

— შალგოტარიანი გაგიგონია?

— მინახავს კიდეც. მე იასბერენელი ვარ. მაღიარი ქალი აქეთ რა ქარმა გადმოგავდო?

— შნელ, შნელ! — ახლა ევას მოადგა ბადრაგა.

— ჩვენებურია, დაანებე ორიოდ სიტყვის თქმა. — უთხრა ლასლომ გერმანელს.

მოკლედ გვითხრა ევამ თავისი ამბავი: ცხრაას თვრამეტს უნგრეთში ტყვედ მოხვედრილა დაპირილი რუსი ჯარისკა-

ცი გერასიმე სმირნოვი. ეველინას გადაურჩენია. მერე შეუღლებულან კიდეც. გერასიმე სამშობლოში გამოუშვიათ და ეველინაც წამოჰყოლია.

— საღ არის ახლა შენი ქმარი? — ვკითხე მე.

— ქმარიც და ვაჟიც წავიდნენ. კარგა ხანია მათი ამბავი არ მომსვლია.

— ვისთან წავიდნენ, ბოლშევიკებთან?

— აბა, ვისთან უნდა წასულიყვნენ?

— ეჰ, იმ შენმა ვაჟმა, ალბათ, ჩვენ უნდა გვესროლოს ტყვია. იქნებ თავისი ბიძაშვილ-დედაშვილიც გამოასალმოს სიცოცხლეს, ესაა საქმე?

— რა ვიცი, რა ვიცი, შვილო! ისე აირია ქვეყნიერება, ახლა ვერ გაიგებ, ვინ ვის ესვრის. აი, ეს ქალიშვილია დამარჩა შინ. — ევამ ხელი მოჰკიდა ქერა გოგოს და ჰვერდით ამოიყენა.

— რა ჰქვია? — დაინტერესდა ტიბორ ნადი.

— ვერა, ვერონკა.

— ვერონკა, ჩვენებური ლაპარაკი თუ იცი?

— ცოტ-ცოტა.

— შნელ, შნელ! — კვლავ მიუბრუნდა გერმანელი ევას, მერე ქალიშვილს დააკვირდა, პირისახე გაეზადრა და გოგო ხარბად შეათვალიერა.

— თუ ახლოს დაბინავდეთ, მეწვეით, შვილებო, ჩვენებურ ადამიანთან დალაპარაკება მენატრება.

— როგორ მოგაგნოთ? — ჰკითხა ნადიმ.

— გაღმა ჩემი სოფელი, პეტროვკა ჰქვია. გზისპირას დიდი ჭაა, ოწინარიანი, იმ ჭას რომ გასცდებთ, იქვეა ჩემი სახლი, ოციოდე ნაბიჯზე.

— მოვალ, უეჭველად მოვალ! — დაპირდა ნადი და ვერონკას თვალი გააყოლა.

— ასეთი ბედი მაქვს მე, — თქვა ლასლომ, — მთვარეზე რომ გადაფრინდე, იქაც დამხვდება მოგვარე, ოლონდ ჩემზე საწყალი და გაპირებული.

— არ ვიცოდი, თუ შენ იასბერენელი იყავი. ამბობენ ჰუნთა მეფეს, ატილას,



იქ ედგა ტახტიო. იქნებ შენ მისი შთა-  
მოშავალი ხარ, ლასლო?

— არ მეტყობა მეფური იერი რომ  
მაქვს?

რამდენიმე ჯგუფი აბანოს მოსაცდელ  
ღარბაზში შეგვიყვანეს.

— დალაქობა ვის ემარჯვება? — იკი-  
თხა მალაღმა გერმანელმა.

— რად გინდათ დალაქი? — დაინტე-  
რესდა ანდრაშ გერა.

— ყველამ უნდა გადაიბარსოს თავი.

— უფასოდ?

— ჯარში ასეთი რამეები უფასოა.

გერამ ხელი ჩაიქნია.

— პატიმრები ხომ არა ვართ? სავალ-  
დებულოა თმის გადაბარსება? — ხუჭუჭ  
თმაზე გადაისცა ხელი იმრე ბენკემ.

— ახლა აუცილებელია, რაკი მკბენა-  
რი გაგჩენიათ...

— მე ვიცი დალაქობა! — წამოიძახა  
ლასლომ. — ოლონდ ხელსაწყო არა  
მაქვს.

— მიდი ჩვენს ზემდეგთან და მოგ-  
ცემს. სკამიც წამოიღე, აქვე გაპარსავ  
ხალხს.

გერმანელმა სხვა ოცეულისაყენ გას-  
წია.

— ლაცი, მართლა იცი დალაქობა თუ?

— იცი რას გეტყვი, ამ ჯარში სხვა რა  
უნდა გაეაკეთო? რალაც ხელობას მაინც  
ვისწავლი... განათლებას ბევრგან ვერ  
გამოიყენებ, ხელობა ყველგან დაგარ-  
ჩენს. გადავლიჯნი თმას, როგორც მომი-  
ხერხდება, ვისაც არ მოეწონება, წაეი-  
დეს და ფიურერთან მიჩვილოს.

ლასლომ ზურგჩანთა კედელთან მიავ-  
ლო და გაიქცა. სკამი და საპარსი მანქა-  
ნა მოარბენინა, გაიჯგომა და დაიძახა:

— აბა რომელი ხართ პირველი? რიგ-  
ში ჩადექით და დაიცავით წესრიგი!  
ეპარსავ იაფად და ნისიად. არავის გინ-  
დათ? ენდრე, მოდი, პირველად მე გა-  
დამბარსე, იქნებ მერე სხვასაც გაეხსნას  
მადა! — საპარსი მანქანა ხელში შემო-  
მაჩეჩა, პალტო გაიხადა, ზურგჩანთაზე  
ფაქიზად მიდო, ქუდი პალტოზე მიავლო,  
სკამზე მედიდურად ჩამოჯდა და თავი  
მომიშვირა.

საპარსი მანქანა ლასლოს თავზე აეხრია.  
ქიალე და შავი თმის ბულული კუთხეში  
ფეხით მიეყარე. თავგადახორტილი სხვა-  
ნაირი მეჩვენა — თითქოს უცებ გახდაო,  
ცხვირი დაუგრძელდა და თვალები გაუ-  
დიდდა.

— ვაიმე, ეს რა მოგვლია? იმის ნახე-  
ვარი კაცი აღარა ხარ, ბუდაპეშტის სად-  
გურზე რომ გნახე!

— ვიკვირს? გზაზე ჯერ ქუჭუჭა შემ-  
ქამა, მერე სხვისმა ჯლიბებმა მომითავეს  
ხელი — ძვლებზე ხორცი არ დამიტო-  
ვეს. აბა, მოდი, შენი ჯერია.

ახლა მე გავიხადე პალტო და დარდი-  
მანდულად მოვისროლე ქუდი.

მანქანამ ორჯერ ისე მომწიწკნა თმა.  
სიმწრით დავიშინე. მთელი ჩემი ტანჯ-  
ვა ცრემლებად გადმოვყარე და საკუ-  
თარ თმას დავაფრქვიე.

— შე კი კაცო, ხეშეშ თმას გლოვობ?  
ამას გადაიბარსავ და ხუჭუჭი ამოგივა. —  
დამიმიედა დალაქმა. — შენ თუ ასე აღ-  
ვარღვალე ცრემლები, ბენკემ რალა  
ქნას?

ჩემს ხეშეშ თმას ბენკეს ხუჭუჭი ქო-  
ჩორი დაეყარა, ბენკეს ქოჩორს — ფე-  
რენც კოვაჩის ორიოდ ღერი თმა.

— აბა, წარბა, შენი ჯერია! — უთხრა  
ლასლომ გროშიჩს და სკამზე დასვა. —  
რაა, შე ღმერთგამწყურალო, ამდენი მკბე-  
ნარი რომ მოგიჩიშებია?

— ბევრს ნუ ლაქლაქებ, ენაწაადებუ-  
ლო! თუ მპარსავ, მომპარსე, მკბენარი  
სქელ თმაში იბულებს, მე კი თხელი თმა  
მაქვს!

კარგა ხანს აღრქიალა მანქანა ლას-  
ლომ.

გედენს მოთმინების ძაფე გაუწყდა:

— ვედარ გაათავე?

— ცოტაც და, თავისუფალი იქნები.

გროშიჩი ფეთიანივით წამოხტა, ყე-  
ლის ძარღვები დაებერა და პირისახე  
სისხლისფერი გაუხდა:

— რა ქენი, შე რეგვენო, წარბი მომ-  
პარსე?!

— ვაი?! უცებ გადამცდა ხელი.

— ვიცი, რა ხელიც გადაცდა.

— რას წამოხტი და გადაირიე? ესე

ხომ არ იელო, ცალწარბზობარსული? და-  
ჯექი, ბარემ მეორესაც მოვეუთავებ ხელს  
და აღარ შეგეტყობა.

— ხელს მოგიუთავებ მე შენ!

— თვითონვე არ თქვი, მკბენარი სქელ  
თმაში უფრო იბუღებდსო? უშველებელი  
ტვერი რომ ამოგსვლია წარბების მაგიე-  
რად...

— მოგკლა ახლა შენ?

— თუ არ გინდა, ვინ გეხვეწება?  
ფულს მაძლევ თუ რა? იარე ვგრე, ცალ-  
წარბგაბურძვნილმა, მოაჯიშე ჭლიბები.

გროშიჩმა ჯიბის სარკე ამოიღო და ჩა-  
აშტერდა, მერე ჩემკენ გამოთაყვანებუ-  
ლი შემობრუნდა:

— რაღა მეშველება ახლა?!

მე მხრები ავიწურე.

— უნდა დაჯდე და მეორე წარბიც  
მოაპარსინო. — ურჩია კურდღლისტუ-  
ჩამ.

— ჰა, მოსწიე და დამშვიდდი! — ში-  
წოდა თუთუნის მათიამა.

გროშიჩის თხელ თმას მისი წარბების  
ტვერი შეერია, გროშიჩის წარბებს ია-  
ნოშის წაბლისფერი ქოჩორი, მერე  
ერთმანეთში აირია ნაირნაირი თმა —  
ქერა და შავი, ზღარბა და აბრეშუმისე-  
რიბილი, ხუჭუჭა და სწორი. ლასლომ  
ბულული ფეხით მიყარა კუთხეში.

თავგადახორტილი ხალხი ერთმანეთს  
დაემგვანა.

ჩვენზე წინ აბანოში სხვები შეუშვეს.  
შევიდნენ ნაირნაირ ტანსაცმლიანები.  
გამოვიდნენ ერთნაირად ჩაცმულ-დახუ-  
რულნი. ახლა უფრო ძნელი გახდა ხალ-  
ხის ერთმანეთისაგან გარჩევა.

ყველა ჯარისკაცს ფარაჯა გერმანული  
ეცვა, შარვალი და ბათინკები კი — რუ-  
სული.

— ეს რა ამბავია, კაცო? — პირი დაა-  
ლო ლასლომ. — ვის ჯარში ვართ?!

გასახდელში შეგვიყვანეს. ტანსაცმე-  
ლი ცალ-ცალკე შეგვაკვრევინეს ფუთე-  
ბად და სადღეინფექციო კამერაში ჩანგ-  
ლებით დაგვაკიდებინეს. საათი, ფუ-  
ლი, ჯაყვა, რვეული, ფანქარი, ჯიბის  
სარკე, სურათები, სამართებელი, პორტ-  
სიგარი და ათასი სხვა ხარახურა ერთ

დიდ კარადაში შევალავეთ. ბაროტიმ კა-  
რადა დაქეტა და გასაღები მაჯაზე შეიბა-  
ციხის დაარჯივით.

კარგა ხანს ვიდექი შხაპქვეშ, ერთი  
თვის ქუჭუს ვიცლიდი და თავი სამოთხე-  
ში მეგონა.

მოსუცი რუსი შემოვიდა — ფეხშიშ-  
ველა და ტანგაუხდელი, არყის ხის წყი-  
რები შემოიტანა ცოცხად შეკრული და-  
რადაც ბრაზიანად ჩაილაპარაკა.

იანოშმა ენაგატეხილად იცის რუსუ-  
ლი, გაეპასუხა.

— რაო, რას ამბობს?

— სტუმრებო, რუსული ცოცხი მო-  
გიტანეთ, მოგიხდებათო.

— ეშმაკი ბერიკაცი ყოფილა, — ჩაი-  
ლაპარაკა ვარაღიმ. — მიყვარს ასეთი  
ხალხი. ცოცხი მართლაც მოგვიხდება...

აბანოდან სხვა კარით გავვიყვანეს. მე-  
ზობელ ოთახში იტაკზე ეყარა ქულები,  
ტანსაცმელი და ბათინკები.

— ვისაც რომელი მოერგოს, ის ჩაიც-  
ვას! — მივევიშვა ჩვენს ნებაზე ბაროტიმ.  
შეიქნა ტაკიაობა.

— მიხაი გონდა სად არის? — უმაღვე  
მოსისაკლისა ბაროტიმ.

— სად იქნება? იერუსალიმში ხომ არ  
წავიდოდა? იმ სითბოში მეც კინაღამ  
ჩამეძინა... — მიუგო ლასლომ.

— წადი, ნახე!

ლასლომ აბანოდან ნამძინარევი მიხაი  
გამოიყვანა. იტაკზე ორი წყვილი ბა-  
თინკალა ეყარა. ერთი წყვილი გონდამ  
აიღო, მეორე — ლასლომ.

ის-ის იყო ფარაჯა ჩავიცივი და ლას-  
ლოს სიცილიც გავიგონე:

— ამის დედა ავატირე, კიდევ იტყვის  
ვინმე, ლასლოს ძაღლის ბედი არა აქვსო?

— რამე გავახარა, ძმაო?

— ერთი ძველი ამბავი მომაგონდა:  
შვიდწლიანი ომის ღროს თურმე ჩვენე-  
ბური ჯარისკაცი ბერლინში შეიჭრა და  
პრუსიის მეფე ფრიდრიხ მეორე გააქთა.  
პირად ნადავლად მთელი დუქინი თათ-  
მანები ერგო. გასინჯა და ყველა მარჯვე-  
ნა ხელისა გამოდჯა. გახსოვს, ენდრე?

— კი, მისწავლია. მერე?

— თუ ძმა ხარ, გამიგე, ვინმეს აქ



ორივე ფეხი მარჯვენა ხომ არა აქვს? ორივე ბათინკა მარცხენა ფეხის შემგზავლა. არა გჯერა? ჰა, შენი თვალთა ნახე! ბაროტიმ კარადა ვაალო, შეათვალ-შემოათვალეო, ხომ არაფერი აკლიაო და ნიეთები ჩამოგვირიგა.

იანოშს ტოლალები შეეხსნა და ჩამოებურდა. სანამ წესიერად შემოიხვევდა და შეიკრავდა, მისი ნიეთები ბაროტის მე გამოვართვი. მერე იანოშს მივაწოდე. რეეულიდან სურათი გამოცურდა და ძირს დაეარდა. დავხედე და გავშეშდი. ყველაფერს წარმოვიდგენდი და ამას — ვერა.

სურათზე ორი წრე იყო, თითქოს ფანჯრის მრგვალი ჩარჩოებიო. ერთი ფანჯრიდან ეუქანა მიცქერდა, მეორე ფანჯრიდან — იანოში.

ორივე მიცქერდა და მილიმოდა. მე კი არა, ერთმანეთს ულიმოდნენ. სურათი აეიტაცე და თითქოს ხელი დამწვაო. გამივარდა. იანოში დაიხარა ასაღებად, მე დავასწარი. დასვრილი იყო, ფარაჯის სახელოთი გადაეწმინდე და პატრონს მივაწოდე.

— ეს გოგო ეუქანა კოლოქვარს ჰვავს.

— ნამდვილად ეუქანა. იცნობ?

— შორიდან. შენი საცოლეა?

— როგორ გითხრა... ქორწილი არ გადაგვიხდია, მაგრამ... ცოლია უკვე.

— აქამდე არაფერი გითქვამს, უცოლო შეგონე.

— ეს ამბავი ჩემს ოჯახშიც არ იცინა. ჯერ... ხელი არ მოგვიწერია... რაღაც ისე მოხდა ყველაფერი.

დავმუნჯდი. კრინტის დაუძრავად გავშორდი იანოშს. იმ წუთში არ შემემძლო მის გვერდით დგომა.

ბაროტიმ ცარიელ დარბაზში გავვიყვანა. იქ გერმანელი ობერლეიტენანტი, ლეიტენანტი და ეფრეიტორი დაგვხდნენ.

კედელთან დაგვაყენეს.

— გერმანული ვინც იცის, ხელი გამოიშვიროს! — თქვა ობერლეიტენანტმა და მწკრივს თვალი გააყოლა.

ბეერმა გაიშვირა მკლავი.

ობერლეიტენანტმა კვლავ შეათვალეი-

რა მწკრივი, ნელა, თითქოს ხელმს ითვლისო.

დაეკვირდი: ტყვიისფერი თვალები აქვს, ცივი. ასეთი თვალების მეშინია ხოლმე და ვცდილობ არ შევხედო. ახლა რატომღაც არ მოვარიდე თვალი. თითქოს ჩემი ნებისყოფისა და სიმტკიცის გამოცდა მინდოდა. თამამად ავხედ-დავხედე კიდეც.

ობერლეიტენანტი კობტად არის გამოწყობილი, როგორც ნამდვილ ოფიცერს შეჰფერის. ქულზე სვასტოკა უბზინავს, მხარმარცხნივ მოკლე, ლამაზქარქაშინი დაშნა ჰკიდია. მარჯვენა ხელის შუათითზე ბეჭედი წამოუტყვამს. ფეხზე რატომღაც გერმანული ჩექმის ნაცვლად ფინური ჩექმები აცვია, ცხვირაწეული, თანაც ისე წითელი, გეგონებათ, მთელი თავისი დღე და მოსწრება სისხლში უვლიაო. უცებ შემზარა და გამაყრკოლა. ტყვიისფერ თვალებს გავუძელი და ამ ჩექმებს ვერა, არც მინდა დავიხანხო.

— კარგია, ბეერს სცოდნია! — კმაყოფილებით ჩაილაპარაკა ობერლეიტენანტმა. — ვინც არ იცის, მცოდნენი და ეხმარებიან. ჩვენ საერთო ენას ადვილად გამოვხანავთ, მოკავშირენი ტყუილად ხომ არა ვართ! სამხედრო ენა ყველაზე იოლია. ჯარისკაცისათვის მთავარია თოფის კარგად სროლა და არა ლაპარაკი. ახლა გავცნოთ ერთმანეთს: მე ვიქნები თქვენი ასმეთაური — ობერლეიტენანტი პაულ გოლცერი. ოცეულს უმეთაურებს ლეიტენანტი ოტო კრაფტი, ხოლო პირველ ათეულს — ფრონტგამოვლილი ეფრეიტორი ალფრედ კომპლერი. ოცეულის მეთაურის თანაშემწედ ენიშნავ სერჟანტ ანტალ ბაროტის. იგი იქნება თქვენი ფელდფეხელიც. გასაგებია?

კრინტი არავის დაუძრავს. ბაროტიმ გადმოგვხედა და თითქოს რაღაც მოაგონდაო, ქუსლები ერთმანეთს მიუჯახუნა, ხელი წინ გაიშვირა და გიჟივით წამოიძახა:

— ჰაილ პიტლერ!

წამით შეჩერდა და ძალღივით დაიყვინძა: — ჰაილ ჰორტი!

მთელი მწკრივიდან ბაროტის მხოლოდ ორმა კაცმა აუბა მხარი — ანდრამ გერამ და დიულა ჩორღაშმა.

— პაილ! — შესძახა ობერლეიტენანტმა. — ახლა წადით და ისადილეთ!

მე და იანოში ერთმანეთის მხარდამხარ დაგვყენეს.

არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს, მე კი კვლავ ის სურათი მიდგას თვალწინ. თავს ვარწმუნებ, რომ მე კვლავ ჩემი ელმიტა მიყვარს და ქუქიანაც მხოლოდ ელმიტას სიყვარულმა მომამწონა, სხვა არაფერი ყოფილა.

თავს უხერხულად ვგრძნობ და იანოშს ხმას არა ვცემ. რატომღაც იანოშიც არ მეღაპარაყება, იქნებ ისიც ქუქიანზე ფიქრობს?

„მოდი, გავუმხელ იანოშს მთელ ჩემს ცოდვას — ქუქიანას მონადირება რომ მინდოდა და გზიდან ბარათიც რომ გავუგზავნე... ეს არც ისეთი დანაშაულია“...

რამდენჯერმე დავაპირე საუბრის წამოწყება, ენა დამება, ვერ მოვაბი სათქმელს თავი.

ეჰ, რა არის ცხოვრება? ოცნებით ამ მიწა-წყალზე რას არ ვეძებდი, ნამდვილად კი ვნახე მხოლოდ ომის ცეცხლში გახვეული ქვეყანა და გაევიგე, რატომ არ შემომხედდა ქუქიანამ წყალობის თვალით. ყველაფერ ამას კი იანოშ ველდემის ნახუქარ რვეულში ვწერ.

...ქალაქს გავცილდით და ჩამობნელდა კიდევ. წინ არაფერი ჩანს მგონი, სადღაც უდაბნოში მიგვერეკებოდა.

●

ღამით გრძელ დერეფანში შეგვიყვანეს. ბაროტი სადღაც წავიდა. უკან მობრუნებულმა ჯიბის ფარანი მოგვანათა. მეორე ხელში კარტოფილის სანთელი ეკირა. დერეფნის ბოლოს ფართო კარი შეიღო, შევიდა და სანთელს მოუქიდა.

— მშვიდობა სახლსა ამას! — შესძახა ლასლომ.

იოჟეფ კეპეშმა პირჯვარი გადაიწერა და მარჯვენა ფეხი შეაბიჯა ფრთხილად. უზარმაზარ ოთახში უშველებელი სა-

წოლია — გაუშალაშინებელი ფიცრებით ვაკეთებული. მთელ სიგრძეზე, შუაში ლატანი გასდევს. აქაოდა, ტახტი ვაყოფილია, ხალხი ორმწკრივად უნდა დაწვეს ისე, რომ ორივე მწკრივს თავი ლატანისკენ ჰქონდესო. ფიცრებზე ძველი თოვლია დაყინული. ფანჯრებზე შავი ქალღია აკრული, ალბათ, შუქშენილბვისათვის. ტახტის აქეთ პატარა მოედანია და იქ მაღალი ღუმელი დგას. ღუმელს მილი თუნუქით აქედით სარკმელში გაუყვია. იატაკზეც თოვლია დაყინული.

გულს შემომეყარა:

— ხალხო, აქ სად შემოგვრეკეს?

— ყაზარმა თუ საყინულე?! — თვლები შუბლზე აუცივდა ზოლტანს.

ბაროტიმ სანთელი ღუმელს დააწვეთა და ნაღვეთზე დაამაგრა.

— აბა, დაწვექით ბარემ, სანამ სინათლე გვაქვს.

— ამ დაყინულ და შიშველ ფიცრებზე?! — ხელები გაშალა წარბებმოპარსულმა ჯარისკაცმა.

— შენ რა, გეგონა, ჯარში ბუმბულის ლეიბ-საბანს დაგახვედრებდნენ?

— ვაი ჩვენს დღესა და მოსწრებას! ამასთან შედარებით ვაგონი სამოთხე იყო, ღმერთმანი. — ამოიხვნეშა გროშიჩმა.

— ის ვინ იყო, ვაგონიდან ჩახტომა და ფეხით წამოსვლა რომ უნდოდა, — იკითხა ლაიოშ გრიობლიმ.

— მე ვიყავი, რა ვინდა მერე? — მიიღო გროშიჩმა.

— აქ მოგეჩქარებოდა?

— ერთი ჯოჯოხეთიდან მეორეში თუ გვიკრავდნენ თავს, ამას წარმოვიდგენდით?

— ჩუმად, ენა ნუ დაიგრძელებო! — გაწყრა ბაროტი და ჯიბის ფარანს მრგვალი შუქი ჰკერზე შეათამაშა. — ღია ცის ქვეშ რომ არ გაათიეთ ღამე, მაღლობელი არა ხართ? უნდა შეეჩვიოთ, ფრონტზე არც ტახტი აქვთ, არც ჰერი, მშვენივრად კი სძინავთ ხოლმე.

— არც ვახშამს გვაქმევთ? — იკითხა გრიობლიმ.



— ამალამ ვახშამს აქ ვინ მოგიტანს? დღევანდელ ვახშამსა და ხვალინდელ საუზმეს ერთად მოგვიტანენ. დაწეკით-მეთქი!

— ეს აბუჩად აგდებია, სხვა არაფერი! უნდა ვიჩივლოთ! — უცებ გაცეცხლდა ფერენც კოვაჩი.

— ჰო, წადი და პორტის მიართვი სა-ჩივარი! უმაღვე გამოფრინდება და აქ ბუმბულის ლეიბებს დაგვიგებს! — ხმა ამოიღო ჩაფიქრებულმა იანოშამაც.

— დავიჭერო, სულ უპატრონოდ გად-მოგვყარეს აქ?

— რატომ უპატრონოდ? ვერა ნახე, მთელ დღეს გერმანელები რომ დაგვ-ტრიალებდნენ თავს? მოგვივლიან, აბა რა იქნება, მოკავშირეები ტყუილად ხომ არა ვართ?

— იდეკით ახლა ასე და ილაყბეთ, ვნახოთ, ვინ წააგებს ბოლოს! — ეს უკ-ვე მშვიდად თქვა ბაროტიმ და ჩამოჯდა ტახტზე.

— ეჰ! — ხელი ჩაიჭნია მიხაი გონდამ, ფარაჯის საყელო აიწია, ღვედი შეიხსნა და ტახტზე მიეგდო.

— თოვლსა და ყინულზე რამდენჯერ მძინებია, ვითომ ეს თოვლ-ყინული მი-ზამს რამეს? — თავისთვის ჩაილაპარაკა ბიხარმა და გონდას მიუწვა.

— გულს ნუ გაიტეხთ, ბიჭებო! ადამიანის ცხელი სისხლი ყველაფერს ად-ნობს, — ტახტზე გულალმა გაიმოტა ლასლო.

გატყდა ნავსი — ნაბანოვარი ხალხი გაყინულ ტახტზე მიწვა.

ბაროტიმ სანთელი ჩააქრო.

დაღლილმა და გაწამებულმა ბიჭებმა მალე დაიძინეს.

მე ქული თაქვემ დავიდე და ბნელ კერს მივაშტერდი. ფიქრი ყაზარმაშიც შემომყვა. ის სურათი თვალიდან ვერ მოვიშორე.

„მე მიყვარს იანოში — გულნათელი ვაქცატი, ნამდვილი მაღიარო, გაბედული და სიპართლის მოქმელი. ვიცი, იანოშ-საც ვუყვარვარ, ღვიძლ ძმასავეთ მიყუ-რებს და ამ მეგობრობას რამე ლაქა რა-ტომ უნდა მოეცხოს?“

კარგად რომ დავუფიქრდი, საღლატ გულის კუნჭულში მესიამოვნა კიდევ-ეუქანას მოზდენილი და ჰკვიანი ვაჟა-ცი რომ ჰყვარებია და არა ვილაც ქარაფ-შუტა.

„მე ჩემს გულთან მართალი ვარ. ეუ-ქანამ ხომ ნამდვილად ელშირას თვალე-ბით მომხიბლა და მეტი არაფერი. მერე, ვერც დამავიწყა ელშირა... არა, იანოშს არასოდეს გავუმხელ ამ ამბავს. არც რვეულს ვაჩვენებ, — გულში მაინც ეწ-ყინება და იეჭვიანებს...“

ჭარისკაცების გინებამ და სიციფემ გა-მომალეძა. მიმოვიხედე, წყვარამის მეტი ვერაფერი დავინახე. ნამძინარევეს მეგო-ნა, ბიჭები ბაროტის ეჩხუბებიან, ასე აღრე რატომ გავვადვიძეო, მაგრამ ბა-როტის ხმა არ ისმოდა.

— ადგომა მინდა და ფარაჯა არ მიშ-ვეებს, ტახტს მიეყინა, — თქვა ვილაცამ.

— აიწე და აგყვება.

— საქმევ ეგ არის, არ ამყვა. დაბმუ-ლი ვარ.

სხვებმაც დაიწყეს ჩივილი — მიეყე-ნითო. მოვსინჯე, მეც იმ დღეში ვიყავი.

— ოჰ, მე მისი დედა... ვინც ჩვენ აქ გადმოგვყარა! — მასწავლებლის ხმა ვი-ცანი და გამიკვირდა.

— ფერენც, შენც იგინები?

— აბა, რითი მოვიფხანო გული? თო-ფი რომც გქონდეს, აქედან ბუდაბეშტ-ში მაინც ვერ მიუწვდენ ტყვიას.

— ღმერთმანი, იობის მოთმინება გვაქვს, — ხმა ამოიღო იოჟეფმაც.

ბაროტიმ სანთელი აანთო. გამოიკვირ-და, ასე ჩუმად როგორ აღვა, რომ არა-ვის შეავინა-მეთქი?

დავაკვირდი, ფარაჯა არ ეცვა.

— ვინც მიყინულია, ფარაჯიდან გა-მოძერეს და ისე ადგეს. ფარაჯები, შეიძ-ლება, ადვილად დაიგლიჯოს. უნდა გა-ვუფრთხილდეთ. გათენდება და ყველა-ფერს მოვაგვარებთ. ყინულს ავჩეხავთ, ღუმელს დავანთებთ და ტახტზეც აღა-რავინ მიეყინება! — რბილად გვითხრა ბაროტიმ.

ფარაჯებიდან გამოვძევრით და გათე-ნებას დაველოდეთ.

სანთელი დაილია და ღუმელს და-  
აკვდა.

ვილცამ ფანჯარას ქალაღი ჩამოხს-  
ნა. ოთახში სინათლე შემოიღანდა.

ვერ გავარჩიე, ეს სინათლე თოვლისა  
იყო, მთვარისა თუ რიქრეისი.

„ალბათ, ფანჯარას ყინული აქვს აკ-  
რული“. — გავივლე გუნებაში და ხე-  
ლით შევეხე. ცივად მომხვდა. ბიჭებმა  
ყველა ფანჯარას ჩამოხსნეს ქალაღი და  
დაწვა დაუპირეს. ბაროტიმ კუთხეში მი-  
ყარა.

როგორც იქნა, გათენდა.

ბაროტიმ საიდანდაც რკინის სამი პა-  
ტარა ბარ-ნიჩაბი, ორი ნაჯახი და სქელი  
მუყაო მოიტანა.

— აბა, აჩეხეთ ახლა ეს ყინული, მუ-  
ყაოზე დაყარეთ და გარეთ გაიტანეთ,  
თორემ ამაღამაც ყინულზე იცახცახებთ.  
ტახტსაც გაწმენდთ და გახურდებით კი-  
დეც.

ბიხარმა ნაჯახს წამოავლო ხელი და  
ყინულს ბრაზიანად დაუშინა. მე ნიჩაბი  
ავიღე და დამსხვრეული ყინული მუ-  
ყაოზე დავყარე. ლასლომ და ზოლტანმა  
ყინულისხვევიანი მუყაო ასწიეს და სირ-  
ბილით წაიღეს.

გახურდა მუშაობა. ფარაჯებს ირგ-  
ვლივ შემოვამტვრიეთ ყინული და ავაძ-  
რეთ. მიხაი ვონდამ თავის ფარაჯას ერ-  
თი ხელის აკვრით დაუპირა აძრობა და  
ზურგი გამოავლიჯა.

— ფუ, ამის შემკერის... სულ დამპა-  
ლი არ ყოფილა?!

— ალბათ, პირველი მსოფლიო ომის  
შემდეგ სადმე ნესტიან საწყობში ეგდო.

— ხომ გავაფრთხილე, მე შენი! — უყ-  
ვირა ბაროტიმ, — ღმერთს შენთვის  
არაფრის შნო არ მოუცია! ყველამ ადამიანურად  
ააძრო და აშან მანცლამანც მხეცურად  
აავლიჯა. იარე ახლა ზურგ-  
გამოფრეწილმა!

ბიჭებმა საიდანდაც შემა მოარბენი-  
ნეს. ნედლი იყო, თანაც თოვლში ნაყა-  
რი. მალე ერთი ხელი ფიცარიც იშო-  
ვეს, მათიამა დააჩილიჯა და ძლივს მო-  
უციდეს. შემა აწუწუნდა და ატირდა,  
ყაზარმაში მწარე კვამლი დააყენა.

თუნუქის თხელი მილი გაუწითლდა  
ღუმელს.

ლასლომ დაორთქლილ ფანჯარას სა-  
ლოკი თითი მოუსვა და მინაზე მსხვილი  
ასობით გამოიყვანა — „პაილ ბაროტი!“

მალე ფანჯრის ორთქლი გაწყალდა და  
წარწერას ცრემლივით ჩამოედვენთა.

— დიულა, პეი, დიულა, სადა ხარ? ამ  
ბურუსში კარგად ვერ ვარჩეე ხალხს, —  
შესძახა ლასლომ.

დიულა ჩემს გვერდით იჯდა ტახტზე,  
ხმა არ გაუღია.

— აჰ, აქა ხარ, პოეტო? — მიავნო  
ლასლომ. — რამ დაგამუნჯა? მუზა გეწე-  
ვია? მე ხომ არ დაგიფრთხე? აქ მუზა  
ბევრჯერ დაგიფრთხება. არაფერია, შე-  
ეჩვევი. მოდი, შეეთანხმდე: ამიერი-  
დან მე ვიქნები შენი მუზა. აბა, დაწერე:  
ყაზარმის ფანჯრები ტირიან... მაგრამ  
უბრალოდ კი არა... სიხარულის ცრემ-  
ლები სცვივათ, როგორც ვაზს ვაზა-  
ფხულზე... ჩვენი სიხარული გადაედო-  
თქო! პა, დაწერე, რაღას უცდი?

დიულა ისევ უხმოდ იჯდა.

ნასაუზმევს დილური დავწერე, მერე  
ქული ჩამოვიფხატე და ლასლოს მივა-  
დექი:

— გავიაროთ, დავათვალიეროთ, სადა  
ვართ, ვინ იცის, როგორ დავგვირდეს...

— მე უკვე დავათვალიერე, წინდახე-  
დული კაცი ვარ.

— აბა, წამომყვიე და მეც გამანათლე!

— მოგიკვდეს ჩემი თავი, მაგაზე გა-  
წყენინებ?

უზოში გავედით.

— ხედავ, სოფლის ახლოს, გზაჯვარე-  
დინთან, ოწინარს ყანჩასავით რომ აუ-  
წევია კისერი? იმ ხისგვიმიანი ჰის აქეთ,  
ორსაკვამლეშილიანი ქოხმახი რომ ჩანს,  
ის ყოფილა ჩვენი სამზარეულო. შიგ  
ჯერ ცეცხლი არ ანთია. ეს გზა სოფლი-  
დან გამოდის და ველის გადავლით ნაძე-  
ნარში შედის, მერე არ ვიცი, სად მიდის.  
გზის აქეთ, მოგეხსენებათ, ჩვენი ყაზარ-  
მაა. სხვათა შორის, მეორე ოცეულის  
მეთაური ლეიტენანტი შტეფან რო-  
ზენაუ კარგი კაცი ჩანს, თავის ბი-  
ჭებს ისე ტყბილად ესაუბრებოდა, მო-

მეწონა. ჩვენსას არა ჰგავს. ფილოლოგი ყოფილა, რუსულიც იცის და უნგრულიც... გზის იქით რომ ყაზარმებია, იქ სხვა ასეულები ჩაასახლეს. იქვეა ექიმის ოთახი და ოფიცრების ბინა. აი ეს გავიგე ჯერჯერობით. შეკითხვა ხომ არა გაქვს?

— შენ როგორ გგონია, ლასლო, ეს შენობები ყაზარმებია ვითომ?

— არა მგონია. ახალი აშენებული ჩანს, სახელდახელოდ, ალბათ, ტყვეთა ბანაკისათვის. ვიდრე დახურავდნენ, დაუთოვია და შიგ დარჩენილი თოვლი ყინულად ქცეულა.

— ტყისკენ რომ ოწინარი ჩანს, იქაც ჭაა?

— ჰო, ჭაა, გაუქმებული. იმ ჭისაკენ არცერთი ბილიკი არ მიდის.

არ მიყვარს გაუქმებული ჭა, თვალი მოვარიდე. ისედაც მეჩვენებოდა, რომ ქვეყანას მოგვწყვიტეს და სადღაც უდაბნოში გამოგვრეკეს. მიტოვებულმა ჭამ ეს ფიქრი კიდევ უფრო გამიღიზიანა.

— ჰეი, ენდრე! ჰეი, ლასლო! მივიხედე, მათიანი გვეძახდა.

— რა ამბავია?

— არ ვიცი, ყველა ყაზარმაში უნდა იჯდეს, მალე ასმეთაური მოვაო.

ბაროტი გამწყრალი დაგვხვდა:

— სად დახეტიალობთ?

— არსად არ დახეტიალობთ, გარეთ გავედით.

— ვისა ჰკითხეთ?

— არავის.

— ვინ მოგცათ უფლება, მეთაურის დაუქითხავად იაროთ იქით-აქით?

— არ ვიცილით. ამიერიდან უკითხავად ფეხს არსად გავდგამთ.

— ჰოდა, ეგრე! დაჯექით ახლა!

— შეიძლება ვისუნთქო? — ხელები განგებ აკანკალა ლასლომ.

— დაეგდე!

გოლცერს ლეიტენანტი კრაფტი და ეფრეიტორი კოპლერი შემოჰყენენ. კედელთან დაგვაყენეს, ტახტის გასწვრივ.

— მამაცო მადიარებო, არ გგგონოთ, რომ ამ უმეთვალყუროდ ხართ გადმოყ-

რილნი ბედის ანაბარად, — რისხვანად დაიწყო გოლცერმა და დაშნაზე მოიკიდა ხელი, — ქალაქში დგას გერმანელთა ქვეითი პოლკი — თქვენი მოკავშირე და მფარველი. თუ ვინმემ გაბედა თავდასხმა, ის პოლკი უმალვე აქეთ გამოეშურება. გერმანელთა ერთი ოცეული უფრო ახლოს დგას, გზის იქით, ასე რომ, არ შეგეშინდეთ!

„ვის ატყუებ, შე ღორო, — გავიფიქრე მე, — ძალიან კარგად ვიცი, გერმანელთა პოლკი და ის ცალკეული ოცეული ჩვენს ახლოს რატომაც დგას. გვითვალთვლებს ფხიზლად, რომ ჰიტლერს არ ვუღალატოთ. გერმანელი მეთაურებიც იმიტომ დავეინიშნეს, არ გვენდობიან... ვიცი, რა მოკავშირეებიცა ხართ!“ გოლცერი პატარა ხანს შეყოვნდა და განაგრძო:

— მალე მიიღებთ თოფ-იარაღსა და საჭურველს. ჯერჯერობით, ვიდრე თქვენს სამზარეულოს გავმართავთ, სასმელ-საჭმელს საველე ქვებით მოგვაწვდის გერმანელთა სამზარეულო. ფანჯრები რატომ არ არის შენიღბული? ასე დაგვხვდათ?

— დილით ჩამოხსენით შავი ქაღალდი! — მყისვე მიუგო ბაროტიმ, თითქოს სათქმელი ენის წვერზე ეკილაო.

— ჰო, დილით მოხსენით ხოლმე და ღამით ისევ გაუქეთეთ. იანოშ ველდემი რომელია?

იანოშმა წინ წადგა ნაბიჯი.

— უნივერსიტეტი დაამთავრე?

— ვერ მოვასწარი.

— გერმანულად კარგად ლაპარაკობ და წერ?

— დიახ.

— რუსულიც იცი?

— ისე, რა...

— ასეულის კანცელარიაში იმუშავებ გადაწყვირად. რატომ შეყოყმანდი, არ გინდა?

— ვიმუშავებ.

●  
რალაც მღვრიე წვენი შევხვრიბეთ. შიგ ვაყინული კარტოფილი და მკავე

კომბოსტოს ორიოდ სიფრიფანა ფოთლის ნაჭერი ეგდო. ასეთმა სადილმა უფრო დაგვაშინა. ყურებმა მოყრილი ხალხი ტახტის კიდეზე ჩამოვდა და გაირინდა. გარეთ ჩექმების პრახა-ბრუხი გაისმა და ასმეთაური შემოვიდა:

— რამ ჩავაფიქრათ? გულზე ნაღველი შემოვაწვით? ასე იცის უსაქმოდ ჯდომამ. ბაროტი!

— გისმენთ, ბატონო ობერლეიტენანტო.

— გაიყვანე ოცეული გარეთ და ყაზარმის გარშემო მოედანი გააკეთებინე! რამ გავაშტერა, ვერ გაიგე? თოვლს გადაყრით შორს. თუ გადაყრა არ გინდათ, დატყენეთ. აბა, ჰე! თორემ ხომ ხედავ, ხალხს უსაქმობა კლავს!

გავაშტერე და გავიყვანეს. ოცმეთაური კრაფტი და ფერეიტორი კომლერიც გამოგვყვნენ.

— აი, იქით გაბეგრეთ თოვლი! — ხელი გაიქნია ოცმეთაურმა.

— პეშვით? — ლასლომ თათმანიანი ხელი ნიჩაბივით დაიჭირა.

— ჯარისკაცი ფხიანი უნდა იყოს. შეხედეთ, მეორე ოცეული როგორ მუშაობს!

ყაზარმის კიდეში მეორე ოცეული ფუსფუსებდა. თოვლს ფანერის ფიცრებით ყრიდნენ განზე.

— ბიჭებო, სად იშოვეთ ფანერი?

— რად გინდათ, ჩვენც წყალსა ვნაყავთ. ამ თოვლს მაინც ვერაფერს დააკლებთ.

— ვსინჯავთ.

— საშარეულოს შენობაში ყრია.

შეიდი ცალი მოვიტანეთ.

დაყრით ზედ თოვლს, ავწევთ ფანერს და უმაღლე თოვლი ძირს იყრება. საქმეს ბარაქა ვერ დავატანეთ.

— დატყენით! რაი არ იყრება, დატყენით! — გვირჩევს ათმეთაური.

ეს ეფერეიტორი გერმანულად კი ლაპარაკობს, მაგრამ ეშმაკმა უწყის, ვინ არის — არ ჰვავს გერმანელს. ტანდაბალია, ცხვირპაჭუა, თვალდაკუსული, დაბალი შუბლი და მოკლე კისერი აქვს — მხრებში ჩავარდნილი. ტუჩები ისე წა-

მოუგდია წინ, გეგონებათ, პირის პატარა გარმონს უქრავსო.

ფანერის ფიცრები ყაზარმის კედელზე მივაყუდეთ. თოვლს ტყეპნით.

— გინდა ეს გიკეთებია და გინდა დანადგების უძირო კასრში წყალი გისხამს! — ბრაზობს ფერენც კოვაჩი, იგინება კიდეც. ყველა იგინება და ისიც ველარ იკავებს თავს. აგინებენ ამ შშრალ თოვლს, სველ ყაზარმასა და ჩუმ-ჩუმად — მეთაურებსაც. კიდევ კარგი, ჰიტლერელებს რომ არ ესმით.

ლასლოს წამდაუწუმ ეშლება და სძვრება ტოლადები. ახლაც აებურდა. შეიკრა და თოვლს ტყეპნის მაგივრად წიხლები დაუშინა.

— ერთი ახლა ჰიტლერი ჩამადგებინა ხელში, ლუკმა-ლუკმა დავგლეჯ კბილებით... მერე ჰორტისაც მივაყოლებ...

— თქვენ აქ რას შიშინებთ თოვლში ჩავარდნილი ნაკვერცხლებივით? — წარბი შეიკრა კრაფტმა.

— რა კარგი იქნება, ეს თოვლი რომ უცებ თეთრ პურად იქცეს, წამში შევჭამთ-მეთქი! — მკვირცხლად მიუგო ლასლომ.

— ლაყბობ! პური ახლა სულ არ გისენება, ჩემი მოტყუება ადვილი არ გეგონოთ! შენ ჰიტლერი და ჰორტი ახსენე...

— განა არ შეიძლება მათი ხსენება?

— აუგად ახსენე! შეგატყვე!

— არა, ბატონო ლეიტენანტო, აუგად არ მიხსენებია, მე ვთქვი, ჰორტი მაღიარების ფიურერია-მეთქი. — ლასლომ უცებ ქუსლი ქუსლს მიარტყა, ბრეზენტის უშნო თათმანში დამალული ხელი მოწყვეტით გაისროლა წინ და როყიოდ წამოიძახა:

— ჰაილ ჰიტლერ! ჰაილ ჰორტი!

— მშვენივრად გცოდნია გერმანული და უნგრულად რატომღა ლაპარაკობ? რა ხმატკბილი ენა ეგ არის? ხან შიშინებთ, ხან იყფებთ!

— მე, ბატონო ლეიტენანტო, თქვენი ენაც ვიცი და ჩვენიც, თქვენ კი მარტო თქვენი ენა იცით, ასე რომ...



— თუ გერმანული იცი, სხვა ენის ცოდნა არც არის საჭირო! ჭკვიანად მოიქეცი! — კრაფტმა კამათი აღარ გააგრძელა, ერთი რაღაც ჩაიბურღლუნა და გაგვიშორდა.

— ერთი ჩვენი ფიურერი და თქვენიც! — ცხრასართულიანი გინება მიაცოლა ლასლომ და თოვლს კვლავ ტლინკები მიაყარა.

ოცმეთაურმა ბაროტისა და კოპლერს დაუბარა, ხალხს ყური უგდეთო, და თვითონ წავიდა, ალბათ, გასაბოძლად.

სასტიკად გაითოშა ხალხი და აყაყანდა: მეტი აღარ შეგვიძლია, ყაზარმაში შეგვიყვანეთო.

— რა გაჯაჯლანებთ? თოვლს რატომ არა ხვეტავთ? — სწორედ ამ ღროს წამოგვადგა თავს ასმეთაური.

— არ იხვეტება, ბატონო ობერლეიტენანტო! — მივუგე მე. — არც იტკეპნება.

— პირველსავე დღეს ურჩობას იწყებთ? განაგრძეთ მუშაობა! ჩქარა! აქ ყალბაზნაობა არ გაგვივათ! ვახშობამდე ყაზარმაში შესული არავინ ვნახო!

ასმეთაური წავიდა. თვალი გაავაყოლე. თოვლში მისი ჩექმები უფრო წითელი ჩანდა.

— ხომ გაიგონეთ ბრძანება! — ასმეთაურის გასავონად აიმაღლა ხმა ბაროტიმ. გადაყარეთ თოვლი! უნგვარი, რას გამტერებულხარ?

— კიდევ კარგი, რუსული თბილი ქუდეები გვახურავს, თორემ მოგვეყინება ყურები.

ჩვენ მეორე ოცეულისაკენ მივიწევთ, მეორე ოცეული ჩვენკენ მოიწევს.

— რა ქენით, ბიჭებო, ვერ მოაშორეთ ყაზარმას თოვლი? — ისე გვკითხა მეორე ოცეულის მეთაურმა, თითქოს ძველი მეგობარიყო.

— რაღაც ჭიუტი თოვლია, მივერეკებით და არ მიდის. — მივუგე მე.

— ასეა, აბა რა გეგონათ! — ეს უკვე უნგრულად თქვა შტეფან როზენაუმ.

— ჰოდა, რაღას გვაწვალებთ? შეგვიყვანეთ ყაზარმაში! ფეხები გავგილიგვდა, ჩვენია თუ სხვისი, აღარ ვიცი.

— ხომ გაიგონეთ, ასმეთაურმა რა თქვა? მეთაურებს ურჩი ხელქვეითები არ უყვართ. ვახშობამდე აქ უნდა ვიყოთ. მე, კრაფტი და ობერლეიტენანტი გოლცერი ფრონტზე ერთად ვიყავით. კარგად ვიცნობ ორივეს და მორჩილებას გირჩევთ. გოლცერს სიტყვას ნუ შეუბრუნებთ, ყველაზე უფრო მაშინ ავდებმა, ვინმე რომ შეეკამათება.

— ის ფინური ჩექმები სად იშოვა? .

— ლამაზია, არა?

— შემზარავად ლამაზი.

— შენ რა, იცი მაგ ჩექმების ამბავი?

— არა?!

— აბა, რატომ მოგეჩვენა შემზარავად ლამაზი?

— არ ვიცი!

— ეგ ჩექმები ერთ მკვდარ ოფიცერს ეცვა. გოლცერმა გახდა დაუბირა, ვერ მოახერხა, შიგ ფეხები იყო ჩაყინული. მოიტანა ნაჯახი და მკვდარს ფეხები მოაქრა მუხლისთავთან; წამოიღო, გააღწო, ფეხები გადაყარა, ჩექმები კი გააპრიალა და ჩაიცვა.

— ცოლ-შვილი თუ ჰყავს?

— ჰყავს, სწორად იღებს წერილებსა და სურათებს.

— მერე?

— მერე და მერე!

გზაზე დიდქვაბიანი მარხილი გამოჩნდა. ყაზარმაში შემოგვიყვანეს. აქაც ცივა, მაგრამ გარედან შემოსულებს ყაზარმის სიცივეც კი სითბოდ მოგვეჩვენა. კრაფტი ყაზარმაში დავეხვდა.

უფრო შტეფანის სიმართლის შესამოწმებლად ვკითხე ოცმეთაურს:

— ჩვენმა ასმეთაურმა ის ცხვირაწეული ფინური ჩექმები მართლა ფრონტზე მოინადავლა?

— ჩემი თვალთ ვნახე.

— მკვდარს გაყინული ფეხები მოაქრა და ისე?

— მკვდარს არა სტენია, კრინტიც არ დაუძრავს.

— მამაცი და შეუპოვარი ყოფილა.

— ვინ? მკვდარი?

— ჩვენი ობერლეიტენანტი. ასეთ რამეს სხვა ვერ ვაბედავდა.

— კაცია და გუნება. იმ დღეს მეც ვი-  
შოვე ჩემები, ოღონდ ეგეთი წითელი  
და ცხვირაწეული არა, — რუსული ჩექ-  
მები, ქრომის.

— შენც ფეხები მოაჭერი?

— ღმერთმა დამიფაროს. ნელთბილ  
მკვდარს ვახვადე. არც ჩამიცვამს —  
მკვდარს ჩემას რა ჩამაცმევდა? რუსულ  
„სამაგონკაში“ გავცვალე. მერე ერთ ჩა-  
ბუტატუნებულ ქვრივს შევეუხინდი, ჩაის  
კიჭით ვახუზვინე, გამოვათვრე და კაი  
დროც ვავატარებინე. სხვას რას გამო-  
ჩები ამ ტიალ წუთისოფელს! ხომ ასეა?

თავი დაფუქნე. მოდი და ნუ დაეთან-  
მები ასეთ ხალხს — ორ კაპიკად გეს-  
ვრის ტყვიას, მერე შენი ტანსაცმლით  
ისე იქიფებებს. შენს შესანდობარსაც არ  
დაღვეს.

●  
კვირაა. ერთი საათით გვიან უნდა ავ-  
დგეთ. მაინც იმ დროს გამეღვიძა, ჩვეუ-  
ლებრივ რომ გვაყენებენ. მათიამს გა-  
დავხედე. უცნაური კაცია: უშველებელ-  
ტერფიანი შიშველი ფეხები ფარაჯიდან  
გამოუყრია, ტახტიდან გადაუყიდებია და  
ხვრინავს გულიანად. ფარაჯა ვადმოვუ-  
წიე და ფეხებზე დავაფარე. ისევ გამო-  
ყარა ფეხები ფარაჯის გარეთ.

— მათიამ, ჰა, მათიამ! — წაეკარი  
ხელი.

— ჰო, რა გინდა? — შეიშმუნა, გა-  
იზმორა და თვალი გაახილა.

— ფეხები შემაღე, არ გაცივდე.

გაეღვიძა:

— ფეხებზე ჩემ სიცოცხლეში არა  
მხურებია საბანი. სულ მიხურს. შემიძ-  
ლია, თოვლში ფეხშიშველა ვიარო.

— დალოცვილო, ვინ ყოფილხარ?!  
არც ხელეზზე გცივა?

— ხელეზზეც მცივა და ტანზეც, მარ-  
ტო ფეხები მაქვს ასეთი.

ფარაჯა ტახტზე მივაგდე, ქული ზედ  
დავდე და „ბათინეების“ ჩაცმას შევუ-  
ღეძე.

— უნგვარი, საით გაგიწევია? — თა-  
ვი წამოყო ბაროტიმ.

— გამეღვიძა და ბარემ გავალ გარეთ.

— დაწევი, ჯერ ადგომის დრო არ  
არის!

— გამეღვიძა და რა გქნა? ჩემი ადგო-  
მით დაშავდება რამე?

— დაშავდება. ჯარს თავისი წესრიგი  
აქვს. ყველა ერთად უნდა ადგეს. დაწე-  
ვი და დახუჭე თვალი!

— იქნებ საპირფარეოში ვასვლა  
მიხდა?

— არაფერიც არ გინდა, დაწევი!

— წერილი რომ დაწერო, შეიძლება?

— თუ დაწოლილი დაწერ... — დამით-  
მო ბაროტიმ.

წერილი მამაჩემს გუშინ გავუგზავნე,  
ახლა დღიურსა ვწერ.

ტახტზე ათეულეზად გვიძინავს. ჩვენი  
ათმეთაური კობლერი აქ არ ათევს ლა-  
მეს. ნასაუზმევს მოდის ხოლმე, სამეცა-  
დინოდ რომ გაგვრეკოს. ჯერჯერობით  
იარალი არ მოუტანიათ. ზურგჩანთები  
მოგვცეს, მაგრამ შიგ ჩასადები არაფე-  
რი გვაქვს.

ერთ კედელზე პიტლერის სურათი  
დაგვიიდეს, მეორეზე — ჰორტისა.

გუშინ ოთხი მანქანა მოადგა ყაზარ-  
მებს — აბანოში დატოვებულ ტანსაც-  
მელი მოიტანეს. სამი მანქანა გზის იქით  
დაცალეს, ერთიც — ჩვენკენ. ლეიტე-  
ნანტმა, ვიდრე მეცადინეობა არ დაგვიმ-  
თავრდა, ფეხი არ მოგვაცვლევინა ადგი-  
ლიდან. ფუთებთან რომ მივედი, ყვე-  
ლაფერი არეული დაგვხვდა. მე მხოლოდ  
პალტოსა და ფეხსაცმლებს მივაგენი.  
მათიამმა შარვალ-ხალათი იპოვა. ვხე-  
დავ: წიგნი აგდია თოვლში. პეტეფის  
ლექსებია. დავავლე ხელი და უბეში ჩა-  
ვიდე. წიგნი ყველასია.

ანდრამ გერა და გედეონ გროშიჩი  
თავისას ვერაფერს გადააწყდნენ. მერე  
რაც თვალში მოუვიდათ, ზურგზე მოი-  
დეს. ზოგი ყაზარმაში სულ ხელცარიე-  
ლი დაბრუნდა. ვახშობამდე ასმეთაუ-  
რი შემოვიდა:

— ეს რა ძონძები შემოგიყრიათ, პარ-  
ტიზანები ხართ?

— ჩვენი ტანსაცმელია, ქვეშ მაინც  
დავიგებთ.

— ბაროტი, ახლავე გაატანინე და გა-

დააყრვენიე ყველას! მკბენარი განდით  
მოაჯიშოთ?

— კედონ გროშინმა ყრუდ ჩაახველა და  
მეთაურს შებედა:

— ორიოდ დღეს გვაცალეთ და შინ  
გავგზავნით.

— სწორედ ამ ძონძების სათრევად  
სცალია ახლა ჩვენს ფოსტას! ესეც რომ  
არ იყოს, ჯერ თქვენ კარანტინში ხართ,  
ქალაქში ვინ ვაგიშვებთ?

— აბა, თბილი ტანსაცმელი და ლეი-  
ბები მაინც მოგვეცით! ამ შიშველ ტახტ-  
ზე გვერდები გვებეჭება.

— თქვენი ტანსაცმლითა და საჭურვ-  
ლით დატვირთული ეშვლონი რუსმა  
პარტიზანებმა დაწვეს. მიდით და მოს-  
თხოვეთ პასუხი!

— ეგრე ყველაფრის ვადაბრალება  
შეიძლება. აღარ ყოფილა ჩვენი სამეფ-  
ლი და ეგ არის!

— გროშიჩ, ნუ ბუზღუნებ! — გააფრ-  
თხილა ბაროტიმ, — მეთაურის სიტყვა  
კანონია!

— შენ, რაკი შენი ფუთა ვერ იპოვე,  
რა გენადღელება, სხვებს ტანსაცმელს  
თუ ვადაუყრიან! — გაფულისებულ  
გროშიჩს ხველება აუტყდა.

ბაროტიმ პირი მოარიდა. მერე, რაც  
ტახტზე დაინახა, ყველაფერი წამოკრი-  
ფა, ლაიოშ გრიობლის აპკიდა და წაა-  
ღებინა.

— სად გადაყარე? — ვკითხე უკან მო-  
ბრუნებულ გრიობლის.

— ვინ გადაყარევენა? ყაზარმას პა-  
ტარა ოთახი რომ აკრავს, იქ ჩაკეცეთ...

გერამ გაიღვიძა და გამოიხედა. დღი-  
ური მოვაფარე. ეშმაკს თვალი არ უჩანს,  
მხოლოდ ბიხარს არ ვერიდები...

მათიაში გულადმა წევს, მკლავები  
თაქვემ ამოუდევს და ჰერს მისჩერებია.  
ბაროტიმ საათს დახედა, წამოიზღაზ-  
ნა კამეჩივით, ტახტის კიდესთან დადგა  
და გამბულად დაიზმუვლა:

— წაამოდექით!

პირველად იმრე ბენკე წამოხტა. მე-  
სამე ათეულის მეთაურად დანიშნეს და  
ბაროტის ყველა განკარგულებას ფე-  
თიანივით ასრულებს. ახალბედა მეთა-

ურმა ათეული ერთი ალიაქოთით წამო-  
რეკა. ბენკემ მუჯლუგუნი წაპკრა გონ-  
დას და სამჯერ ჩაპყვირა ყურში — აღე-  
ქიო. ვერ გააღვიძა. ფეხში ჩაავლო ხე-  
ლი, ტახტიდან გადმოავლო, უმაღლვე წა-  
მოაყენა და ათეულის რიგში უკრა თავი.

ბინდ-ბუნდში მოწმენდილ ცისქვეშ  
თოვლი ლურჯი ჩანს. ყაზარმას სამჯერ  
შემოვურბინეთ. ბათიანების ჭრატა-ჭრუ-  
ჭითა და ბრახა-ბრუხით აიგსო ეზო. ფე-  
რენც კოვანს ფეხი აუტყურდა და ყი-  
ნულზე ზურგით მოადინა ბრაგვანი. მე  
და ლასლომ წამოვაყენეთ საწყალი.

— დაიშალეთ! — თითქოს გვამადლი-  
სო, ისე დაიძახა ბაროტიმ.

ზოგი გაუთელავ თოვლს მიაღდა და  
ხელ-პირის ბანას შეუდგა. პირსაბანი  
ოთახი კი გვაქვს, მაგრამ წყალი არ მო-  
დის და ხელ-პირს ყოველ დილით აქ ვი-  
ბანთ. რა თქმა უნდა, უსაპნოდ.

ლასლო თავჩაქინდრული დამხვდა.

— გული მაქვს ცუდად, მჩხვლეტს.

— შენ და გულისტკივილი? ნუ გე-  
შინია, ვაგივლის.

— იცი რა, ენდრე? მე თუ რამე და-  
მემართოს, თქვი: დეგემირმა ლასლომ  
ვეღარ გაუძლო ამოდენა სიხარულს,  
ცხოვრების სიამტკილობით გატენილი  
გული მოულოდნელად გაუყვდა და მო-  
ისვენა-თქო. კარგი?

ყაზარმაში კრატტი შემოვიდა და გა-  
მოგვიცხადა:

— ამჟამად უნგრეთში ამანათის გა-  
გზავნის საშუალება არ არის. სამოქა-  
ლაქო ტანსაცმლის ყაზარმაში შენახვაც  
არ შეიძლება. მეზობელმა ასეულებმა  
გადაწყვიტეს, ომში დაზარალებულთა  
დამხმარე ფონდს გადაეცეთო. თქვენ  
ხომ არ იტყვი თუ არა?

— გერმანიაში ვაგზავნიო? — ჰკითხა  
ლასლო.

— არ ღიცი.

— აბა, რუსებს ხომ არ დავურგიებთ?

— თანახმა ხართ თუ არა? მე საკა-  
მათოდ არ მითქვამს.

დავეთანხმეთ. რომც არ დავთანხმე-  
ბულიყავით, ისედაც წაიღებდნენ.

— ესეც შენი მოკავშირენი! — ჩამ-

ჩურჩულა ლასლომ. ჩვენი ტანსაცმლით უნდათ ვილაყები მოიჭრთამონ და მოი-  
მადლიერონ?

— შენ გვონია, მართლა ომში დაზა-  
რალბულლებს დაურბებენ? რუსებს,  
ეტყობა, აღარაფერი დაუტოვეს მოსა-  
პარაგ-წასაგლეჯი და...

დერეფანში იანოშ ველდეშმა გაიარა.  
თავისი ჩექმები ეცვა.

ბაროტიმ შუროთ გააყოლა თვალი. მე-  
რე გაიქცა და უკან ჩექმებით მობრუნ-  
და. ბაროტიმ, რა თქმა უნდა, „ომში და-  
ზარალბულთა დამხმარე ფონდიდან“  
აიღო ეს გაუცვეთელი ჩექმები. ფრონტ-  
ზე თუ გაგვრეკეს, იქ უკვე წითელ ჩექ-  
მებსაც იშოვის, ცხვირაწეულს. ვითომ  
რითია გოლცერზე ნაკლები?!

ნასაუზმევს დაგვამწყრივეს და ასმე-  
თაურმა თვითონ ინება მთელი ყაზარ-  
მის დათვალბერება: სადაც ფიცარი ამ-  
ჭვრალი შენიშნა ასწია, ტახტქვეშაც  
შეიხედა:

— ეს ვისი პალტოა?

ყველა გაისუსა. მე უმაღვე ვიცანი  
მასწავლებლის პალტო.

— ვისია-მეთქი? — მრისხანედ გად-  
მოგვხედა გოლცერმა.

— კოვჩისას ჰგავს, — მიუგო ბარო-  
ტიმ, — რას ვიფიქრებდი, თუ ტახტქვეშ  
დამალავდა?! სიბნელით უსარგებლია ამ  
უნიათოს!

— დანა გაქვს?

— მაქვს, ბატონო ობერლეიტენანტო.

— ახლავ ჩემს თვალწინ დაქერი და  
შემოსასვლელში დააგდე ფეხების საწ-  
მენდალ!

ბაროტიმ დიდი ჭაყვა გახსნა, პალტო-  
ზე ჩექმით შედგა და დანა გაუსვ-გამო-  
უსვა.

— ეს ვისი შარვალ-ხალათია? — დაშ-  
ნის წვერით ააკონწილა გოლცერმა.

— რას ამბობს? — მკითხა მათიამმა.

ვუთარგმნე.

— ჩემია, უთხარი, რომ ჩემია.

— რატომ არ ჩააბარე, არ გინდა ომ-  
ში დაზარალბულ ხალხს დაეხმარო?

— უთხარი, თუ ვინმე გაჭირვებული  
შემხვდება, მე თვითონ მივცემ-თქო.

— აჰ, ჩვენ არ გვენდობი? მე ხომ  
ვბრძანე, ყაზარმაში არაფერი ვნახო-  
მეთქი?

— უთხარი, ენდრე, გერმანული არ  
იცის და ვერ გაიგო-თქო.

— მერედა, რატომ არ იცის გერმა-  
ნული?

— არ იცის და რა ქნას? მაღიარია...

— უნდა ისწავლოს! გერმანული ყვე-  
ლამ უნდა ისწავლოს! ყველგან გამოგა-  
დგებათ!.. ბაროტი, — გოლცერი ოცმე-  
თაურის თანამემწეს მიუბრუნდა, — ია-  
ტაკის საწმენდი ტილო გაქვთ? არა? აბა,  
რალას უყურებ? დაქერი!

ბაროტიმ შარვისის ერთ ტოტს ფეხი  
დაადგა, მეორე ტოტი ასწია და გაფხ-  
რიწა.

ეს ამბავიც მიწყნარდა და თოფ-იარა-  
ღიც მოგვიტანეს: არც ჩვენი, არც გერ-  
მანული, რუსული შაშხანები, ალბათ,  
ნადავლი.

— საჩვენო თოფ-იარაღიც პარტიზა-  
ნებმა დაწვეს? — იკითხა ლასლომ.

— მეცადინეობა ამითაც შეიძლება, —  
მიუგო ასმეთაურმა, — ფრონტზე კი  
ავტომატებს დავირიგებთ, გასაგებია?

მე რატომღაც სნაიპერის თოფი ავიღე,  
ბინოკლიანი. თავადაც არ ვიცო, ეს მძი-  
მე თოფი რა ეშმაკმა ამარჩევინა.

ვაზნები არ დაგვირიგეს.

— წამოდექით! — ჩამესმა ძილში ბა-  
როტის ღრიალი. ცივწყალგადასხმული-  
ვით გავახილე თვალი. ბნელა. მხოლოდ  
გაყინული ფანჯრები ჩანს ლანდად.

— ეს ქვეყნიერება მხოლოდ იმის  
ღირსია, მიაფურთხო და წახვიდე საი-  
ქიოში. ამაზე უარესი ჭოჯობეთი შე-  
ვარცხვინე! ძილით მიინც გამაძღეთ! —  
ბუზღუნით დგება რიგში გონდა.

გარეთ ყინვაა ბურუსიანი. ტანზე ეკ-  
ლებს მაყრის და სულში მიძვრება. გზის  
იქით ცაში ნაპერწკალმა ვაიციმციმა.  
ჩვენი სამზარეულო უკვე მოაწყვეს. მზა-  
რეულებად კვლავ გერმანელები მუშაო-  
ბენ. ვილაყამ თქვა: ერთი მზარეულიც  
ჭირდებათ და, ალბათ, უნგრელს მიიყ-

ვანენ, ხალხმა რომ არ იბეზღუნოსო. გუშინ ანკეტები შეგვეავსებინეს, ბევრმა ჩაწერა — მზარეული ვარო. რაკი პირველ დღეს სამზარეულოს საარკმელთან უშველბელი რიგი დადგა და მზარეული სადლის დარიგებას ვახშობამდე ძლივს აუვიდა, ახლა თითოეულ ოკეულს კერძს ვედროებით ატანენ. მერე ყაზარმაში ანაწილებენ.

თენდება. ყაზარმაში შევედიო.

ბაროტიმ ორცხოზილა მოიტანა ზურგჩანთით. რამდენიც უნდოდა — აიღო, დანარჩენი ოთხ ათეულს თანაბრად გაუყო. ათეულში კი ჩვენ თვითონ ვანაწილებთ.

იოყეფმა ორცხოზილა ტახტზე დაფენილ მუყაოზე ათ გროვად გაყო, გახედგამოხედა, ერთიანად პატარა ნატეხი აიღო და მეორეს დაუმატა, ისევ გახედგამოხედა და ხელი ჩაიჭინა — თანაბარია, რაც არის, ეგ არისო.

— ენდრე, შებრუნდი!

— დღეს გრიობლის ჯერია.

გრიობლი უყოყმანოდ დგება კუთხეში და ზურგს გვაქცევს.

— თვალეები ავიხვიო?

— გენდობით, ოღონდ სანამ წილისყრა არ დამთავრდება, არ გამოიხედო.

— ეს ვის? — ერთ-ერთ გროვას ხელს ადებს იოყეფი და იწყება ორცხოზილას წილადობილა.

— ზოლტან ფარკაშს, — ამბობს პირ-შებრუნებული გრიობლი.

კურდღლისტუჩა ორცხოზილას უღიმღამოდ იღებს, ხელში წონის და დარჩენილი ორცხოზილების გროვებს უბღვერს. ეჩვენება, რომ იქ დიდრონ-დიდრონი დარჩა, თავად კი ყველაზე პატარა შეხვდა. მაგრამ ბრმა წილისყრა და ხომ ვერ იჩივლებს: განგებ მომიწყვესო? ჰო, ახლა ვერ იტყვის, თორემ ნასაუზმევს სულ ერთია, ვერ მოითმენს და წასცდება: ყველაზე ცოტა მე შემხვდარო.

— ეს ვის?

— ანდრამ გერას.

გერასაც ჰგონია, ზოლტანზე ცოტა მე მერგოო.

— ეს ვის?

— ენდრე უნგვარს.

ვიღებ ორცხოზილას და უნებლიეთ მეც ვწონი ხელში, მეცოტავება. ყოველთვის მგონია, რომ გუშინ მეტი მხვდა, ვიდრე დღეს... მარტო ორცხოზილა კი არა, ყველაფერი, რასაც კბილი უნდა მოხედეს. ვეჭვობ და ამის საფუძველაც მაქვს: ყველა იპარავს გზადაგზა. ოფიცირები ყოველ დამე ქეიფობენ. ზოგი ჰიტლერელებისთვის გახსნილ საველე საროსკიპოში დამრძანდება... გერმანიიდან სავანგებოდ გამოგზავნილ ფროლიანებთან ატარებს დროს. მზარეულეებმა თურმე ქალაქში გაიჩინეს საყვარლები და იქ დაეთრევიან. საყვარელს ჭამა არ უნდა? თვითონაც ხომ უნდა ვადაპკრას არაყი, სისხლი ძალივით რომ გაიხელოს? ჰოდა, ჩვენ გვპარავენ ორცხოზილას, სხვა რამესაც... ცვლიან არაყში და ღრეობენ. ცოტას, ალბათ, ბატალიონის ფელდფებელი იპარავს, ცოტას — მისი მეკუჭნავე, ცოტას — მზარეულის დამხმარებელი... მორიგე ოფიცერს ხომ თავის თავად აძლევენ ორმაგ ულუფას, შარი რომ არავის მოსდოს... ქურდობაა ირგვლივ. ზოგი აშკარად იტაცებს, ზოგი — ფარულად.

— ეს ვის?

— ტიბორ ნადის.

— ეჰ, — ტიბორი ორცხოზილას აღებისტანავე ახრამუნებს. წენიანს აღარ ელოდება.

— ეს ვის?

გედეონ გროშიჩმა ჩახხვლა.

— აბა, აბა! კარნახი არ იყოს! — გააფრთხილა იოყეფმა.

— ზველებასაც აღარ მანებებთ, კაცო?

— მაინცდამაინც ახლა მოვინდა! რა ვიცი მე, შენთვის ახველებ თუ ნიშანს აძლევ ვინმეს? ეს ვის? — გაიმეორა იოყეფმა.

— ფერენც კოვაჩს.

მასწავლებელმა ორცხოზილა ბრაზიანად წამოკრიფა და ვილაცას შეუკურთხა. ამ ბოლო დროს ფერენც კოვაჩი ყველაზე მეტს იფინება, ოღონდ ვერ გაიგებთ, ვის აფინებს.

— ეს ვის?

— შენ აიღე.

იოყეფმა შუბლი შეიქმუხნა. ალბათ, ინანა, ამ ულუფიდან ორცხოზობილას რატომ ავაცილი და სხვისას დაცემართო. ორცხოზობილა ისე აბოჭა, ნამცეცი არ დაუტოვებია, კარდალის სახურავზე ფრთხილად დაყარა და ის სახურავი გვერდით მოიღო.

— ეს ვის?

— ჩემთვის გადადე.

— ეს ვის?

— ბიხარს.

მათიაშმა ორცხოზობილა მშვილად აიღო. მის ფართო ხელისგულზე ეს ორცხოზობილა ყველაზე ცოტა გამოჩნდა. კრინტი არ დაუძრავს, ისე დაყარა თავის ზურგჩანთაზე.

ვიცი, მათიაშს ყველაზე მეტად შია... ყველაზე მეტადაც ითმენს და არაფერს ამბობს. ალბათ, სხვაზე მეტი შიმშილიც გამოუტყდა.

— ეს ვის?

— გედეონ გროშიჩს.

წარბამ ჩაუხვევლებლად მიიღო ულუფა და ჭირისუფალივით დააშტერდა.

— ეგ, შვილიცო! — მათიაშმა ისე შეხედა წარბას, მეგონა, ახლა კი შეახსენებს: პურს რომ აბურთავებდით, ხომ გიწიათ იმ ცოდვამო, მაგრამ აქაც სულგრძელი აღმოჩნდა მათიაშმა, არაფერი თქვა, საღღაც შორს გაიხედა და თავი სინანულით გადააქნია.

— ეჰ, ამას წარმოვიდგენდი? — თითქოს ის დღე გაიხსენა გროშიჩმაც და ხეული უიმედოდ ჩაიქნია: — უფალო, აჟურთხე მადიარები!

— ეს ვის?

— თქმა უნდა კიდევე? ეგ ხომ ბოლოა? ლასლომ ორცხოზობილა აიღო.

ვედროები მოიტანეს და ტანტის კიდეში დადგეს. ატყდა კარდალების რიხინ-რიხინი. ბაროტიმ თოფების გვერდით ჩამოკიდებული ჩამჩა აიღო, ერთ ვედროს თავზე ცხიმინი წვენი გადააცალა და თავის კარდალში ჩაისხა. ბაროტის თავისთვის ცალკე აქვს ორი კარდალა. რაკი თავი აართვა, ჩამჩა ვედროს ძირში ჩაყო და ფსკერიდან სქელი წვე-

ნი ამოიღო, ორივე თავისი კარდალა პირამდე ვაავსო და მერე კერძის განაწილებას შეუდგა.

— ეს რა თავაზიანობაა, შენთვის ყოველთვის სამოთხე ულუფას რომ იტოვებ, ჩვენ კი კარდალასაც არ გვივსებ? — ვერ მოვითმინე და პირში მივახალე.

— შენს ულუფას ეჭამ თუ? — ერთი ძარღვი არ შეტოვებია, ისე მომიგო ბაროტიმ. — მზარეული სათვალავში მოვატყუე და ოთხი ულუფა ზედმეტი ჩავასხმევინე. ა, პკითხე, ბიჭებს, თუ ჩემი არა გკერა!

— წვენს თავი რომ აართვი, მერე, რაც ძირში იღო ხეირიანი, ყველაფერი შენს კარდალებში რომ ჩაისხი, ეგეც მზარეულს გამოსტყუე?

— ბრიყვი ხარ! მე აქ ოფიცრის მოვალეობას ვასრულებ და თქვენზე უკეთესი ულუფაც კანონით მეკუთვნის.

— ოფიცრს სხვანაირი კუჭი აქვს?

— აბა, არ იცი?

გონიერმა აღამიანმა რომ კამათი დავიწყო, ან ავს ეტყვი, ან კარგს, ეცდები, შენი სიმართლე დაუმტყიცო. უგუნურ აღამიანს ასი სიმართლეც რომ უთხრა, შეაგნებინებ რამეს?

კარდალა ავიღე და ვავშორდი.

— სულ ეს არის ორი კაცის ულუფა დღეს? — ლასლომ კარდალა არ აიღო.

— წაიღე, წაიღე! ხალხს ფეხებში ნუ ებლანდები! — მიუფო გულგრილად ბაროტიმ.

— გეკითხები, სულ ეს არის?

— სულ ეს არის! — ხმაში ყინული ჩაიდგა ბაროტიმ.

— არ მინდა, ვიტოვებ ამასაც. იქნებ კუჭი გაგისკდეს, შენც მოისვენო და ჩვენც მოგვასვენო.

— რომ დავიტოვო, რას იხამ?

— შენი ამბავი რომ ვიცი, მართლა დაიტოვებ. ნამუსი შეგიშლის ხელს თუ შეგარცხებვა?

ბაროტიმ ჩამჩა მოუქნია ლასლოს, უბაში მოარტყა და ცივად იკვილა:

— აღარ მომშორდები?

— უუჰ! — კბილები ვაახრჭიალა ლასლომ და კარდალს ისე ბრაზიანად და-

ავლო ხელი, მეგონა, ბაროტის პირსახე-  
ში შესახამდა.

— დაანებ თავი! კედელს შუბლით  
ვერ გაარღვევ! — გაბრაზებული და  
ათრთოლებული ლასლო განზე გაიყვანა  
ნა ზოლტანმა.

— ღორები ხართ, სულ ქამთ და ვერ  
ძლებით! — თვალი ზიზღით გამოაყოლა  
ბაროტიმ და ჩამჩა ვედროში ჩაჰკრა.

— ამის დედა ავატირე, თვითონ არის  
ღორი და ჩვენ არ გვეძახის?! — მიტ-  
რიალდა ლასლო. — მოიცა, განანებ მაგ  
თავხედობას!

— ყურებზე ხახვი არ დამაჭრა!  
ლასლოს წინ ათმეთაური ბენკე აის-  
ვეტა:

— ადამიანი წვალბოს, თვითონ გინა-  
წილებთ ულუფას, ერთმანეთი რომ არ  
დაჰამოთ, და მადლობის მაგიერ ეჩხუ-  
ბებით?

— ერთი შენცა ხარ ხვითო! ვინა გვი-  
თხავს, უტარო კოვზივით სხვის საქმეში  
რომ ეჩრები? — ლასლოს გამოექოშაგა  
ლაიოშ გრიობლი.

ვიცი, ლაიოში ახლაც ეკვობს: ვაგონ-  
ში დღლი ბანკემ მომპარაო და მუდამ  
ზიზღით უყურებს.

ლასლო და ლაიოში ტახტის კიდეზე  
ჩამოსხდნენ, შუაში კარდალა დაიდგეს,  
ტოლადებში გაჩრილი კოვზები იშიშვ-  
ლეს და აჩურჩულდნენ.

— რად გინდა აყალმყალს რომ სტებს?  
ჯარში მუშტი არა სჭირდება კაცს, თითს  
გამოჰკრავ ჩახმასს და...

— დარდი ნუ გაქვს, მაგას ადრევე  
ჩააძალღებენ, ფრონტზე გასვლამდე. —  
საუბარში ვებმები მეც. — უკვე იმდენი  
მტერი ჰყავს, რომ...

— ღმერთმა მოჰკითხოს, ვინც ჩვენ ამ  
დღეში ჩაგვეყარა! — იწყევლება იოყეფი.

კევეშმა გუშინ, როგორც იქნა, თა-  
ვისთვის ცალკე იშოვა კარდალა და სა-  
ზიარო გროშიჩს დაუტოვა. არავის უმ-  
ხელს იოყეფი, მაგრამ ვინ არ მიხვდე-  
ბა — შეეშინდა, ჭლუქი არ გადმოდო-  
სო. საიქიოს წასვლა სულაც არ ეჩქა-  
რება.

გსაუზნობთ. ტახტია ჩვენი სუფრაცა

და სკამიც. ეს ორცხობილა მთელი დღის-  
ულუფაა, მაგრამ გამოზოგვის თავი ვი-  
სა აქვს? დილითვე ვათავებთ.

დღეს ჭერით პირველი კოვზი წვენი  
მე უნდა შევხვებო.

გადავყლაზე ერთი კოვზი და გავჩერ-  
დი. ახლა მათაშმა ამოსდო წვენი კოვ-  
ზი, პირთამდე გავესო, შეაჯახცახა და  
წვენის ნაწილი ისევე კარდალაში ჩააქ-  
ცია.

როცა ჩემი კოვზი ძალიან გაპიინდე-  
ბა, მეც ვაბრუნებ ცოტა წვენი კარ-  
დალაში. მეტი რომ მოვიდეს, ლუკმა  
ყელში არ გადამიგვა. სხვებიც ასე გამო-  
ზომილად შეექცევიან. ეს დაუწერელ  
კანონად იქცა.

ბაროტიმ ჭერ ერთი კარდალა ამოჭა-  
მა, მერე — მეორე. ორივეში ჩატოვა  
ცოტ-ცოტა. ერთი ნარჩენი ბენკეს უწ-  
ყალობა, მეორე — გერას.



გუშინ გერმანული მუზარადები დაგ-  
ვირიგეს, ყველამ დაიხურა ჩემს გარდა.

— უნგვარი, სად არის შენი მუზარა-  
დი?

— სნაიპერსაც უნდა?

— სნაიპერს უფრო უნდა, ცალკე სან-  
გარში ზის შენიღბული.

რა გზა მქონდა, დავიხურე. მუზარადი  
იმდენს რას გიპატიებს ფრონტზე, რა-  
საც შეგაწუხებს, ბევრი წინა ხაზზე გა-  
სვლისთანავე აგდებს თურმე... ეს რვი-  
ნის ქული ჯარისკაცის ჭკუის გამოსა-  
ლაყებლად უფროა მოგონილი...

ეზოში სამ მწყრივად გავიჭიმეთ და  
მწყობრი ნაბიჯით გავედით გზაზე. ოტო  
კრაფტი და ალფრედ კობლერი შორი-  
ახლო გამოგვეყვნენ. ეფრეიტორი პირა-  
დი მცველივით დაჰყვება ლეიტენანტს,  
სხვას აღარაფერს აკეთებს.

გზაზე ორი ქალი მოდის, ორივე ისეა  
შეფუთვნილი, ასაკს ვერ გაარჩევ.

ყაზარმაში შემოსვლის პირველ დღეს  
ზოლტან ფარკაშმა ოცმეთაურს ჩაუა-  
რაკასავით: ამბობენ, ქალაქში გერმანე-  
ლი ქალიშვილები ჩამოუყვანიათ სა-  
მეძაოს გასახსნელადო. ფროილიანები

გერმანელი ოფიცრებისათვის ჩამოიყვანეს.

ეს ამბავი გაეახსენე ახლა ზოლტანს: — მზეთუნახავებმა გამოვიარეს. გაუგიათ, ფარკაში უქალოდ ვერა ძლებსო და...

— იიპ, ერთი შენც მოგცლია. მე ახლა კაცი კი არა, ხე ვარ გაძაგრული.

— კაი, თუ კაცი ხარ! — თვალეები გაუფართოვდა ტიბორს.

— ტიბორ, როგორაა შენი მიჯნურობის ამბები? ვერონკა აღარსად შეგხვდრია?

— სამზარეულოსთან რომ ჭაა, სადღაც იმის ახლო ცხოვრობს. კვირას ვნახე, შენა მიჰქონდა. დამიბარა — მეწვეო. ჭერჭერობით ვერ მოვახერხე.

— აქ, მგონი, ბანქოსთვისაც ვეღარ იცლი.

— დავხე და გადავყარე. ჩემ სიცოცხლეში აღარ ვითამაშებ.

— ოკეულო, სდექ! — მოგვაძახა ლეიტენანტმა. — სერჟანტო. ეს რას ჰგავს? ჩამოაშვებინე ფარაჯის საყელეები!

რა ენაღვლება, თვითონ ჭუბაშია გახვეული, ფეხზე თექის ჩექმა აცვია. ღიღინით მოგვდევს, აქაოდა, შემომხედეთ, რა მხნედა ვარო. მეც რომ მაგასავით გადაკრულში ვიყო და თბილადაც მეცვას, რატომაც არ ვიღიღინებ?

ქარი სად არ იცის, მაგრამ ასე თუ სადმე უბერავს, არა მგონია. ფარაჯის საყელო რომ ჩამოვუშვი, შურგში ჩამიძვრა და მთელ ტანზე ეკლები დამაყარა. გავაფურთხე. ძირს ყინულის თეთრი კენჭი გავორდა.

— უნგვარი, რატომ გააფურთხე? — უბა მოიქცია ბაროტიმ.

— ნერწყვი მომეძალა და გავაფურთხე.

— რაღა მაინცდამაინც მაშინ მოგეძალა ნერწყვი, ლეიტენანტმა რომ გაგვიარა გვერდით?

— მეშარები?

— შენი ბედი, ვერ დაგინახა.

— მალე, ალბათ, პირზე ბოქლომს დაგვადებენ, რომ არც გავაფურთხოთ.

არც ხმა ამოვიღოთ, — მომეშველა ლასლო.

— ზოგს ძალიან დიდი ენა აქვს, თავისთავზე დიდი. ვატყობ, იმ ენით ეგერ, ე, ჭის ოწინარზე მოუწყევს ჩამოკიდება, — ჩექმების ბრახბარუხით მოგვდევს ბაროტი.

— კანჭზე ნუ მცემ! ეგ ბათიანა ბამბისა ხომ არა გგონია? — კისერს იღრეცავს გერა და თვალდაკუსული მიწყრება: — ამიწყვე ფეხი!

გერასთან ფეხშეწყობილმა ვიარო? ზოგჯერ განზრახაც ვარტყამ.

— ბატონო სერჟანტო, ქუსლები ჩამომალლიტა! — შესჩვილა ანტალს.

— უნგვარი, აუწყვე ფეხი და კისერში უყურე!

— კისერში რომ ვუყურებ, სწორედ იმიტომ მემლეება ფეხი, ისეთი ქეჩო აქვს, გული მერევა.

— გულს აგირევ მე შენ! ფარკაში, ისევ ჭიბებში ჩაიწყვე ხელები? თუ კიდევ შეგამჩნიე, ავიკვრავ, იცოდე!

გზიდან გადავუსხვიეთ. წინ თოვლით გადალესილი ველია. ველის ბოლოს ნაძვნარია. აქ ომს გადაუვლია. უამრავი ნასანგრალი და ერთი ტანკი დაუტოვებია. ტანკი, ეტყობა, თხრილში ჩავარდნილა: ქვემეხის ლულა დრუწნით მიწაში ჩაურგავს. თოვლს ზემოთ მხოლოდ კოშკურა უჩანს, წინწახრილი.

მარცხნივ გაუქმებული ჭის ოწინარი აყინიულა.

თოვლში ჩაგვაყენეს. ლეიტენანტმა აგვიარა-ჩამოგვიარა:

— დღეს ჩვენი მიზანია იერიშით გადავიაროთ ველი და ტყის ნაპირას გამაგრებული მტერი ხელუშვარებით განანადგუროთ. იერიშზე წავალთ ჯაჭვისებურად, გასაგებია? ბაროტი. წაიყვანე ოცეული შეტევაზე! ეფრეიტორო, გაპყვი და თვალყური ადევნე!

უდაბნოს ქვიშასავით ხორხორმელაა თოვლი, ფეხი ბარძყამდე ეფლობა. სირბილზე ზედმეტია ლაპარაკი, წესიერად ნაბიჯის გადადგმაც ჭირს. ქარი ზურგიდან გვაწვიბა, თუმცა ქარის იმე-



დით ვინ წასულა შორს? მხოლოდ ჩვენს ნაფეხურებსა შლის.

— არ ვარგა! — მოგვძახის ლეიტენანტი.

— არ ვარგა! — იმეორებს ეფრეიტორი, — დაბრუნდით!

— არ ვარგა, მოტრიალდით, მე თქვენნი! — იგინება ბაროტი. — მკედლები ხართ?

ბაროტი გერმანელებზე მკაცრად გვექცევა, დახვრტითაც გვემუქრება. გერმანელ ოფიცერს ნღობას უმართლებს და ახალ ჩინს ელის.

— ვარადი, წინ გაიხედე! ცაში რას უთვალთვალე, შენი...

— ღმერთს დავეძებ.

— ღმერთთან გაგაგზავნი მე შენ, გაიქეცი წინ!

მარცხნივ იოჟეფ კეპეში მიფორთხავს. ახსოვს ახლა ღმერთი? ალბათ, ახსოვს. კაცს როცა უჭირს, შეუძლებელია ღმერთი არ მოაგონდეს.

— ვარადი, ისევ შეჩერდი? წინ, თორემ! — ბაროტიმ პარაბელუმი ამოიღო ბუდიდან.

— მაგ კუნძოთ, შინ დაბრუნება თუ გეღირსა, მეზობლის ბიჭ-ბუჭები დააშინე. დამალე ბუდეში! თუ არადა, ვავაჯიბროთ შენი უვაზნო პარაბელუმი და ეს პარპალა რუსულა ხიშტი!

ბაროტიმ პარაბელუმი ცივად ჩაიღო ბუდეში. კვლავ გავარდვიეთ თოვლი და ჩავწყით.

— ლაცი, ძალიან უთამამდები უფროსებს, — დაარიგა მასწავლებელმა, — ეგ თავხედი კამეჩია, მაგასთან ჭიდილი არ გამოგადგება... ხომ იცი, ვისი კულია და...

— ეეე, თუ ქელი დავუხარეთ, უარესს გვიხამენ, სულ შეგეჯდებიან კისერზე, მიწაში წაგვარგვენიებენ თავს და ცის ფერს დაგვავიწყებენ, — ეს ისე თქვა, თითქოს აღსარებას ამბობსო, — შენ რას იტყვი, ენდრე?

— მართალი ხარ ცამდე.

— აბა, ახლა ფორთხვით! — გვანჭარებს ბაროტი. — სადაცაა ცოცხალი გავაქცევა მტერი. წინ! გონდა, კისერი

ნუ აღირე ყანჩასავით, თავი დახარცდა ისე იფორთხე!

ჯარისკაცები მწვანე ჭიებივით მიცოცავენ, თავაუღებლად. დამშეულებს ძალ-ღონე არ ჰყოფნით, ჩერდებიან, სულს ითქვამენ და ისევ მიცოცავენ. თოვლში ჩაწოლილი დიდხანს გაუნძრევლად მინც ვერ გაჩერდები. გალიგვებულ ხელეგში თოფები ძლივს გვიჭირავს. ყიფინით შევიჭვრით „მტრის“ სანგრებში, „დავარბიეთ“ იუპრობა და გამარჯვებულნი ტყემდე გავედით. აქ ქარი ისე სუსხიანად აღარ უბერავს.

— შესვენება ათი წუთი! — საათზე დაიხედა ლეიტენანტმა. — ვისაც შევიცვდა, ირბინოს და გახურდება... ოღონდ ზედმეტი არ ქნათ, არ გაიოფლოთ, თორემ... ვაცივდებით... — ისე გვითხრა, თითქოს მართლა ვედარდებოდით.

— ცხვირი მოგყინვია. ჩქარა დაიზილე, თორემ მოგძვრება! — ხელთათმანი გავიძრე, თოვლი ავიღე და სასლოს ცხვირის ზელას შევეუდექი.

— მოყინულზე ბატის ქონის წასმავა კარგი, — გვიჩვენებს დიულა.

— მერე, სად არის ეგ ქონი? ბატები კი ხართ აქ ბლომად, ოღონდ ყველა უქონო. — თავისებურს არ იშლის ლასლო.

— შენ მართლაც მოოგინდება ცხვირის მოყინვა, ყველგან აღარ ჩასჩრი, კარგა გრძელი ვაჭქვს.

— სჯობია, გრძელი ცხვირი გქონდეს. ვიდრე მოკლე ჰქუა, იმ მოკლე ჰქუით გრძელი კალამი დაიჭირო ხელში და თავი მწერილად წარმოიდგინო.

— დიულა, რატომ ეკამათები? ხომ იცი, მაგას სიტყვაში ვერ მოუგებ? მე ვისთანაც ვერ ვთანხმდები, თავს ვანებებ. — უთხრა გონდამ.

— ეეგ იოლი გზაა. ქვეყნიერებასთანაც რომ ვერ შეეთანხმდე, მაშინ რას იიზამ?

— აღამიანს ერთი ტყვია ჰყოფნის. გზაზე როზენაუს ოცეული გამოჩნდა. სნაიპერის თოფის ღურბინდში გავიხედე:

პირველ რიგში იანოშ ველდეში მოა-

ბიჯებს. მთელს ოცეულში მხოლოდ იანოშს აცვია ჩექმა. ალბათ, რამეზე შეეკამათა ასმეთაურს და სამეცადინოდ გამოაგდო. შეკამათებისათვის ასე სჯის ხოლმე.

მათიანა თამბაქო გაახვია მუთაქასათ, თვითნაკეთი კვეს-აბედით მოუყიდა და შადიანად გააბოლა. ყველა ფეხებს აბაკუნებს. ის კი მშვიდად ზის ვადაჭრილი ხის ძირზე.

სხვებმაც გაახვია თამბაქო. ცისფერი ბოლი დაეკიდა ნაძვის ქვედა ტოტებს.

— ენდრე, შენ რატომ არ ეწევი? — მკითხა ლასლომ.

— რა ვიცი... არ მინდა მივეჩვიო.

— აბა, ჯარში რას უნდა გადააყოლო გული? მე, აგერ, თუთუნის კვამლი პირისახეზე რომ მხვდება, მათბობს, ცოტას მბარბუებს კიდევ. გირჩევ, მოსწიო. მეც ვავაბოლე.

თითქმის ყველა ეწევა, გერას გარდა... გერამ თავისი ულუფა თამბაქო შექარში გაუცვალა ვიდაცას. ახლა სხვას სთხოვს ხოლმე. ცოტა დამიტოვეო. ზოვი ნამწვს ძირს ავდებს და ფეხით სრებს, გერასთვის კი არ იმეტებს. თუ ძირს დაგდებული პაპიროსი ფეხით არ დასრისეს, გერა უმაღლე მივარდება.

ახლა იოჟეფს შესჩერებია პირში, იოჟეფი კი თითქოს ვერც ამჩნევსო. გერას მოთმინების ძაფი გაუწყდა:

— რა წუწუტაქი ხარ?! — სანამ ტუჩს არ დაგწვავს, არ გადააგდებ? დამიტოვე, ცოტა კვამლი მეც გადამაყლაპე.

— ჰა, ჰა, შე საცოდაო! — იოჟეფმა პაპიროსი ხელში კი არ მიაწოდა, ძირს დაუგდო, ვითომ შემთხვევით.

გერამ იმ წუთშივე აიტაცა და ზედიზედ დაარტყა ნაფხაი.

— გეყოფათ ტაშის კვრა და ყურების სრესა! ოცეულო, მოეწყვი!

აქ დასასვენებლად ვერ ჩაიმუხლებ, ფეხები მოგეყინება, ჰოდა, რა ბედენაა, მეცაინებობისას ირბენ თუ ისე?

— ვინ ეწევა მწყობრში, აბა, გადაყარეთ ჩქარა!

თითო ლუკმა კვამლი კიდევ ჩაყვალა პეთ და მილეული პაპიროსები გადაყა-

რეთ. გერამ ხარბად გააყოლა თვალი. თოვლში ჩავარდნილმა პაპიროსებმა გაიშინეს, პატარ-პატარა შავი ორმოები გააჩინეს და იმ ორმოებშივე ჩაიმარხნენ.

თოვლში ჩაფლულ რუსულ ტანკზე მივიტანეთ იერიში. მე, ტიბორ ნაღი, ანდრას გერა და მიხაი გონდა ზედაც კი ავფოროთხდით.

— ენდრე, მომაშველე ხელი! — ამომძახა ქვევიდან ლასლომ.

თოვის დუგლუგი ჩავაწოდე. ლასლომ ხელთათმანები გაიძრო, ღვეღში გაიჩარა, ცალი ხელი ჩემი თოვის დუგლუგს ჩაავლო. მეორე — ქვემეხის დახრილ ლულას და ფეხი ტანკზე შემოადგა.

— აუჰ.

— რაო?

— რკინას შიშველი ხელი მოგვიდევ და კინალმ ტყავი ამავლიჯა... გავარჯარებულ ტაფასავით დამწვა. მე კი ერთ ღროს ტანკისტობას ვნატრობდი: ბედნიერი ხალხია, ზამთარში მინც არ შესცივდებათ-მეთქი. არა, ძმაო, აღარ მინდა ტანკისტობა.

— როცა მუშაობს, ასე ცივი არ არის... ნადიმ ტანკს ხუფი ახადა.

— ყურია რამე შიგ?

— თოვლის მეტი არაფერი ჩანს.

თოფი ლასლოს მივებარე და ტანკში ჩავძვერი.

— იპოვე რამე? — ჩამომძახა ნადიმ.

— უჩანთო აირწინალი ვლია. აგერ ექვსი ვახნაც ვნახე.

— მოიტა, მოიტა!

— რად ვინდა? ალბათ, აღარც ვარვა, მასრები გამწვანებული აქვს...

— ივარგებს. რა იცი, სად დაგჭირდება...

— კეთილი. სამი შენ, სამი მე.

ტანკიდან ამოძვერი.

— ერთი ვახნა მეც მომეცი! — მიიბრია მიხაიმ, — თუმცა, იქნებ მეც ვიპოვო? — ახლა ის ჩაძვრა ტანკში.

— იპოვე?

— ვერა.

მალე ამოვიდა.

— ჰა, არ დაგწყვეტ გულს! გამომართვა და ლულაში შედო.

— არ ისროლო!

— რატომ? გავსინჯავ, გაფუჭებული ხომ არ არის.

— ბაროტის მეტი კი არ უნდა, ლეიტენანტს ეტყვის, შენ გესროლა და დაგაცილო... —

— ჰო, არ ვისვრი. — მიხაიმ საკეტი ნელა მიუშვა და გამოჰყრა.

საკეტს ვაზნა არ გამოჰყვა.

— მგონი, გაიჭედა ლულაში!

— კიდევ გამოჰყარი!

საკეტი ისევ ნელა მიუშვა და სწრაფად გამოჰყრა. ვაზნა გამოჰყვა.

— მორჩით მანდ ფუსფუსს! — შემოგვძახა ლეიტენანტმა, — შესვენება თხუთმეტი წუთი!

კვლავ ტყის პირს მივაშურეთ. გერა წინ გაიქცა.

— ტანკში რუსული შაშხანის ვაზნები იპოვეთ, არა? — მისვლისთანავე მკითხა ბაროტი.

— ვინ გითხრა?

— რა შენი საქმეა. დაყავით!

— გაფუჭებული იყო და გადავყარეთ, — მიუგო ნადიმ.

— ტვინარეულებო, თქვენი მოსატყუებელი კბილი კარგა ხანია მოვიცვალე! გონდას ერთი ცალი აქვს, შენ — სამი, უნგვარის — ორი. ჩამაბარეთ ახლავე!

გზა მოჭრილი გვეჭონდა. შევაგროვე ექვსი ვაზნა და ჩავაბარე.

— რატომ ინახავდით?

— ისე... — პირში გამეყინა სათქმელი სიტყვა.

— მაინც?

— აი, პარტიზანები რომ დაგვესხან თავს ანაზღად... უვაზნო თოფებით ხომ არ დავხვდებით?

— ნუ გეშინია, პარტიზანები თუ გამოჩნდებიან, შენ უვაზნოდ არავინ დაგტოვებს, საწყობი საესე გვაქვს.

— თოფებს გვანდობთ და ვაზნებს — არა? ჭარისკაცები ვართ, თუ...

— ჯერჯერობით, ალბათ, არ არის საჭირო! ენა ჩაიგდე მუცელში!

ნადიმ ხელი წაჰკრა გერას და ჰაერში თითით ორი ნოლი მოუხაზა:

— ეს ხარ შენ, მეტი არაფერი!

გერას კრინტი არ დაუტრავს.

ბაროტიმ ვაზნები ლეიტენანტს ჩააბარა, ლეიტენანტმა ბენკეს შაშხანა გამოართვა და გატენა.

— აი, იმ ვირჩს ვესვრი!

ესროლა, ჩამოაგდო. ამაყად გადმოგვხედა, აქოდა, რა ბიჭი ვარო.

ისევ დაუბერა ქარმა. ხელფეხი გვეძაგრება. ვუკრავთ ტაშს და ვაბაკუნებთ ფეხებს.

— ლასლო, ცეკვავ თუ რას შევბი?

— რაც არის, არის! ვიცეკვით და ვიმღეროთ, ბიჭებო!

ცეკვავს ლასლო და დასდევს ლაიოში. აპყვენ სხვა ბიჭებიც. ქანცაფყვეტილები ფეხებს ძლივს დაათრევენ... მაინც ცეკვავენ, იქნებ ცოტა შევებეთო.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — აქებს ლეიტენანტი. — შენ ნამდვილი ჭარისკაცი ხარ.

— ისე ღმერთი შენ ავაშენებს, — უნგრულად ჩურჩულებს ლასლო.

როგორც იქნა, მოვიდა წასვლის დრო. დავეწყვეთ და გზაზე გავედით. ავი ქარი ახლა პირისახეში გვცემს. კისერმოღრეცილები მივაბიჯებთ.

— ბაროტი, რატომ მიდის ხალხი ჭირისუფალივით? ასმეთაურმა რომ დაგვინახოს, ორივეს რიგიანად შეგვახტრებს. აბა, დააგუგუნეთ სიმღერა!

— აბა, იმღერეთ! თქვენი უგერგილობისათვის ყოველთვის მე უნდა მომცენ შენიშვნა. ფარკაშ, დაიწყე!

— რა მემღერება, კბილს კბილზე ველარ ვახვედრებ.

— ვარადი, დაიწყე!

— კაი ერთი. თუ კაცი ხარ! ბიჭებო, კარუცების სიმღერა გახსოვთ? — გვკითხა ლასლომ.

— დაიწყე და გავიხსენებთ.

დაიწყო. ჯერ სამიოდე კაცი აპყვა, მერე ყველამ აუბა მხარი.

— ეს რა სიმღერაა? — გაწყრა ოცმეთაური.

— ძველი უნგრული სიმღერაა, ბატონო ლეიტენანტო, — მივუგე მე, — ფერეც რაკოცის დროს, უნგრელი პარტიოტები რომ ჰაბსბურგებს ებრძოდნენ, მაშინ დაიბადა ეს სიმღერა. სამშობლოს

თავისუფლებისათვის თავდადებული კარუცები მღეროდნენ ასე.

—სამარშო სიმღერა! გერმანელებს სამარშო სიმღერების მეტი რა გვაქვს?

—არ ვიცი რა გერმანული სიმღერები! — მტკიცედ მიუგო ლასლომ.

— გერმანული სიმღერა ყველამ იცის. შეგახსენოთ? „დოიხლანდ, დოიხლანდ, იტბერ ალეს!“

— ვიმღეროთ, ბიჭებო? — დაიძახა ლასლომ.

ხმას არავინ იღებს.

— ეფრეიტროო კობლერ, დაიწყე და აგვებიანი!

კობლერი კატასავით ახხავლდა.

ყველამ თითქოს ყინული ჩაიდო პირში.

— აჰ, პრინციპულად არ მღერით?! კეთილი, კეთილი! მარჯვნიდან მტრის ტანკები მოდიან! საბრძოლველად მოემზადეთ!

მყისვე მარჯვნივ მივტრიალდით, თოვლში ჩაფრქვით და სასწავლო ხელყუმბარები მოვიმარჯვეთ. ათიოდე წუთი გავიდა.

— ადექით!

— ბაროტი, რას ჰგავს ეს? მე არ მიყვარს, ჭარისკაცი რომ ჭიუტობს! თუ არ იმღერებთ, ყაზარმაში შესვლას არ გააღიანებთ!

— იმღერეთ, თქვე ოხრისშვილებო! თორემ არც სადილს ვაჭმევთ, არც ვახშამს, გზაზე დაგალამებინებთ! — გვემუქრება ბაროტი და რაკი ატყობს, ხმას არ ვიღებთ, თვითონ იწყებს იმ სიმღერას, წედან ეფრეიტრომა რომ წამოიჩხავლა. მარტო ვაკივის, რაც ხმა აქვს. ერთი წამოიქანავლა დიულამ, არავინ აპყვა და ისიც გაჩუმდა.

— მტერი ციდან გვემუქრება! — ანჩლობს ლეიტენანტი.

ზოგი იქით გარბის, ზოგი — აქეთ. გულადმა ვწვებით და თოფებს ცას ვუმისხნებთ.

კვლავ წამოგვაყენეს.

— იმღერებთ, თუ არა?

— ვიმღერებთ! — თქვა რამდენიმე კაცმა.

ფიქრი შორს გამექცა. ვაცში: ჩვენი ქუჩის ბოლოს რუხი ყაზარმა იდგა, ალყაფის კარი ჰქონდა; რომ გააღებდნენ, ნახევარ ქუჩას კეტავდა. იქიდან მწყობრი ნაბიჯით გამოდიოდნენ ჭარისკაცები. რამდენჯერ ავდევენბივარ. მიხაროდა, ერთად რომ ურტყამდნენ ფეხებს და მჭექარე სიმღერით ქუჩას აყრუებდნენ. მეც ვურტყამდი ფეხს, მტკიოდა ფეხის გულები, ტკივილს არაფრად ვაგდებდი და ომახიანად ვმღეროდი. რა ვიცოდი მაშინ, რომ ის სიმღერა ჭარისკაცებს სულაც არ უხაროდათ!

გზაზე გავედილი და ლასლომ კვლავ კარუცების სიმღერა წამოიწყო.

— გაჩუმდით! — ლეიტენანტმა და სერჟანტმა ერთად იყვირეს.

გავჩუმდით.

— მარცხნისაკენ! პირდაპირ იარ!

პირდაპირ თოვლიანი ველია, იმ ველზე, ყინულქვეშ მდინარე მიდის. ყინული ერთი კაცის სიმაღლეს გაუძღვება, მაგრამ ოცეული რომ ზედ შედგეს...

— ნუ ჭიუტობთ, ბიჭებო! ვიმღეროთ, თორემ მდინარეში ბანაობა მოგვიწევს! — ეხვეწება ხალხს დიულა. ბენკეც ამას ამბობს. ბენკეს გერამ აუბა მხარი. ფერენციც გვთხოვს — დავემორჩილოთო.

— ვიბანაოთ! ესეც გავსინჯოთ, რა ხილია, — გულს არ იტებს ლასლო.

მდინარეს რომ წავადექით, რამდენიმე კაცი მწყობრიდან გამოვიდა, დანარჩენმა თავი ააღირა და ყინულზე გადავიდა.

შიშით ვადავდგი ნაბიჯი. ჯერ მოვსინჯე, ხომ არ ჩამოტყდება-მეთქი და მერე დავადგი ფეხი მაგრად. ერთი ნაბიჯი, ორი და... შიშმა თანდათან გამიარა.

ყინულმა გაიტკაცუნა და გული გადამიქანდა. ტყულიად შემეშინდა, თურმე უკვე გაღმა ვართ გასული.

უცებ იგრგვინ-იქუნა. მივიხედე — ყინული მთელია. იქით კი, სადაც როზენაუს ოცეული მეცადინეობდა, ცაში უცნაური კვამლი დგას. უცებ იმ კვამლის ახლოს თოვლის უზარმაზარი შედრეგანი ავარდა და ჭექა-ქუხილმა მეორედ გამომიჭედა ყურები.

— ნაღმი აუფეთქდათ ფეხქვეშ! —  
წამოიძახა ფერენც კოვჩიჩა, — ეტყოდა,  
ვილაც იმსხვერპლა.

„ვი! იანოშს ხომ არაფერი მოუვი-  
და?“ თოფის ბინოკლში გავიხედე: ხალ-  
ხი ორ ჯგუფად შეყრილა და ცალ-ცალკე  
რალატას დასტრიალებს. სხვა ვერაფერი  
ვაფარჩიე, ვერც ჩექმებიან ჯარისკაცს  
მოვკარი თვალი.

— გავიქეთ, ბიჭებო!

ლეიტენანტიც სირბილით გამოგვყვა.

— გზაზე გადადი, გზაზე! ეტყო-  
და თოვლქვეშ აუფეთქებული ნაღმებია  
დარჩენილი.

ახლალა მოგვაგონდა, რომ შეიძლება  
ჩვენც ავფეთქებულებავით.

იანოშ ველდემი საღსალამათი დავი-  
ნახე. რატომღაც ახლალა მომიკვეთა  
მუხლი.

— იანოშ, რა მოხდა, ჰა, რა მოხდა?

— უბედურება. ნაღმებს გადავაწყ-  
დით. გერეჩი სულ დაფლითა, ზალაის  
ფეხი წააწყვიტა კოჭთან.

არც ერთი არ გამოდგა ჩემი ნაცნობი,  
მაინც ძალიან მეტკინა გული.

ზალაის ქრილობას უხვევენ. იქვე  
შტეფანი დგას და სივარეტს კი არ ეწე-  
ვა, ქამს.

დაფლეთილ გერეჩს გავგნებულნი და-  
ჰყურებს ხალხი. უბედურს პირისახე  
მთლიანად გაშავებია, ტანზე ფარაჯ-  
აფარია, სისხლში მოსერილი და დაგ-  
ლეჩილი. იმ ფარაჯის ქვეშ, ალბათ, უფ-  
რო შესაზარი სხეული დევს.

— რას დამტირი, ბიჭო? — უწყრება  
ამხანავს ზალაი, — ფეხი დავკარგე, სი-  
ცოცხლე კი არა. სატირელი შენა ხარ,  
აქ რომ რჩები... უუჰ! მე რა მიშავს, შინ  
წავალ და ამიერიდან ცალი ფეხსაცმე-  
ლიდა გამიცვდება.

ჯარისკაცებმა ორ შაშხანას თასმებით  
ლაბადა-კარავი მიიბეს, სახელდახელო  
საკაცე გააკეთეს და ზედ ფეხშეხვეული  
ზალაი დააწვინეს.

ერთმა ჯგუფმა დაჭრილი წაიყვანა, მე-  
ორემ მიცვალბული წაიღო. ჩვენ ჰირი-  
სუფლებივით გავყევით უკან.

● ექვიზიან წამსვლელთა სიას აღგენენ.  
ბევრი ცდილობს, თავი გაითავისუფლოს  
საწყობბო და ტაქტიკური მეცადინეო-  
ბიდან. ვისაც ბედი გაუღიმებს, შეიძლე-  
ბა სანიტარულ ნაწილშიც დააწვინოს...  
ეს ბედი ათასში ერთს გაუღიმებს  
ხოლმე. იქ მხოლოდ ხუთიოდე საწოლი  
აქვთ.

— ფერენც, რა გტკივა?

— რალა არა გტკივა? ეს შენობა კი  
არა. პანდორას ყუთია უზარმაზარი. ყვე-  
ლა ჰირია აქ... ტანში მაქიყინებს... ვცდი  
ბელს. იქნებ გამსინჯოს.

ვინც ყაზარმაში დარჩა, ლუმელთან  
ტრიალებს. ერთი ფეხსაცმელს იშრობს.  
მეორე — ფეხსახვევს.

ქის იქით ჯვრიანი გუმბათი ჩანს. თვი-  
თონ ეკლესია სახლებშია ჩამალული და  
შორიდან ასე გგონია, ჯვრიანი გუმბათი  
სოფელს ადგას თავზეო.

ვაცში, ჩემი სახლის ფანჯრიდან ასევე  
ჩანს ჯვრიანი გუმბათი. მაგრამ პეტროვ-  
კის ჯვარი ყოველთვის როდი ჰგავს ვა-  
ციის ჯვარს. რამდენჯერმე შევნიშნე:  
სწოოედ იმ ჯვრის უკან ეშვება ზამთრის  
მზე, რუსული დიდი მზე. ჩვენში ასე დი-  
დი მზე არასოდეს დამინახავს და, როცა  
მზე ჯვარს უსწორდება, ჯვარი მზეს ოთ-  
ხად ჰრის.

პეტროვკის ჯვრის მიღმა ჩაეშვა და  
გაუჩინარდა მზე, დაისის მზე, მოწყენი-  
ლი და დაქანცული.

ფერენცი შემოვიდა, ტუჩს იკვნეტს.

— რა ჰქენი, ვერ გაესინჯე?

— იმდენი ხალხი მიაწყდა, გამოიხედა  
და გაიპარა.

— მაგასაც თუ ექიმი ჰქვია?!

— ვერ გაამტყუნებ, ცუდ დღე-  
შია. ხუთსაწოლიანი საავადმყოფო აქვს,  
ავადმყოფი კი ასია, სად დააწვინოს?

მოვიდა საღამოს ამოკითხვის დროც.  
მთელი ასეული დერეფანში დაგვაწყვეს.

ეფერეიტორი კოპლერი შანდალივით  
დგას კედელთან — მაღლამკლავებზე-  
რილს ორი სანთელი უჭირავს. ბაროტი  
სიას კითხულობს.

— ბიხარი!

— აქა ვარ.

— გრიობლი!

ხმას არავინ იღებს.

— გრიობლი! ლაიოშ გრიობლი! ვა-  
რაღი, სად არის გრიობლი?

— მე რა, გრიობლის აღიუტანტი ვარ?  
ვანშმად იყო. მერე არ დამინახავს.

— გრიობლი! — ბაროტიმ ყაზარმაში  
შეიხედა.

ახლა ვიღვრე არ გაიგებენ, სად არის  
გრიობლი, ხალხი ასე უნდა იღვეს.

— სად ჯანდაბაში წაეთრია! კაი მი-  
თეთქვა მოუხდება. — იგინება რამდენი-  
მე კაცი.

— მუცელში ვერ იყო კარგად. —  
გაიხსენა ლასლომ.

— წადი, ნახე!

როდის-როდის გრიობლიც გამოჩნდა.

— სად იყავი?

— არსად, ისე... გარეთ გავედი...

— ეგ რა არის?

— არაფერი. — გრიობლი კარდალას  
ზურგსუკან მალავს.

— სამზარეულოში გაიქეცი სამათხოვ-  
როდ?

— ცხელი წყალი მინდოდა.

— ცხელ წყალს მოგცემ მე შენ! ხვალ  
საუხმეს ვერ მიიღებ და... მერე ისწავ-  
ლი ჭკუას! რაკი კეთილი მობყრობა არა  
სჭრის თქვენზე... შეიტანე კარდალა და  
დადექი რიგში!

გრიობლი გაიქცა.

— გაფრთხილებთ, ვინც დამატებითი  
უღუფისათვის სამზარეულოში გაიქეცე-  
ვა და საღამოს ამოკითხვას არ დაესწრე-  
ბა, მერე დღეს საუხმეს ვერ მიიღებს...  
თქვენზე სხვა არაფერი სჭრის! ყო-  
ველგვარი დანაშაულისთვის ამიერიდან  
უღუფის ჩამორთმევით დაგსჯით! —  
რინით თქვა ბაროტიმ და კვლავ სიას ჩა-  
ხედა:

— გროშიჩი!

— ვარ. უჰ! უჰ!

— გონდა! გონდა!

— ვარ.

— დაგეძინა უკვე? ვარაღი!

— სად წავიდოდი?

ამოკითხვა დამთავრდა. კახცელარი-  
დან ასმეთური გამოვიდა და ბრძანა:  
ჯარისკაცები სასერიწოდ გაიყვანეთო.

მწყობრი ნაბიჯის ბრახა-ბრუხით ტყემ-  
დე უნდა მივიდეთ და გამოვბრუნდეთ.  
გავიყინოთ და ვავითოშოთ.

აბა, ვის უნდა ასეთი ვასერიწება? სუ-  
ლი ძლივს გვიდგას, ძილი კისერსა  
გეწყვეტს, მთელი დღის ნატანჯ-ნაგვემი  
ხალხი ვინოცებით... ასმეთურმა ბრძა-  
ნა და ბიჭი ხარ. მის სიტყვას გადახვალ.  
საღდაც ღრუბლებში მთვარე წევს.  
ბრახ-ბრუხ! ბრახ-ბრუხ! — ისმის ბა-  
თინკების ხმა.

თოვლიანი ველის იქით ტყე ლანდალ  
ჩანს.

ბრახ-ბრუხ! ბრახ-ბრუხ!

გვერდით სისხლისფერი ჩექმა მოგვ-  
დევს. მე ვერ ვხედავ ამ ჩექმას, ვიცი,  
რომ მოგვდევს. ხმაზე ვცნობ. ამ ჩექმას  
დიდი ქუსლი აქვს, პატრონი მაღალი  
რომ გამოაჩინოს. წვერსა და ქუსლზე  
ნალები აკრავს, უფრო იმისთვის, მკაც-  
რი ხმა რომ გამოსცეს.

ბიჭები უნგრულად იგინებიან.

— რას ქოთქოთებთ მანდ? რატომ არ  
მღერით? — ყვირის წითელი ჩექმა, —  
იმღერეთ! რას გაჩუმებულხართ მკვდრე-  
ბივით?

— რაო, რა მინდაო? — მეკითხება ბი-  
ხარი.

ვუთარგმნე.

— ოხერი და მუდრეგია. დაავიწყდა,  
დღეს აქ რა მოხდა? იმ ბიჭების სისხლი  
ჭერაც არ გაციებულა ამ ცივ თოვლში.  
მხეცია თუ აღამიანი?

— იმღერეთ, თორემ მთელ ღამეს ასე  
გატრატუნებთ და ვარეთ გაგყინავთ!  
ფეხებს ნუ მიათრევთ, ნაბიჯი მაღლა,  
უფრო მაღლა! მხნე! მწყობრი ნაბიჯით  
იარ!

— ბრახ-ბრუხ! ბრახ-ბრუხ!

— აბა, დაიწყეთ!

— კარუტების სიმღერა ხომ არა ვჭე-  
ქოთ? — ვკითხე ლასლოს.

— მე ახლა არავითარი სიმღერის თა-  
ვი არა მაქვს.

წითელმა ჩექმამ თვითონ წამოიწყო გერმანული სიმღერა.

ორიოდე წკავწკავა ხმა აჰყვა.

— ბატონო ობერლეიტენანტო, — შევძახე მე, — დღეს აქ ჩვენი ჯარისკაცი დიღუპა, გლოვა გემართებს და არა სიმღერა.

ასმეთაურმა რალაც ჩაიბუზღუნა. ეტყობა, ნამუსში ჩავარდა, ცოტაზე კიდევ გაგვატარა და ყაზარმისაყენ შემოგვაბრუნა.

მთელ დღეს ციურ მანანასავით ველი ამ ბედნიერ წუთს, დაძინების წუთს. ყველაფერს ვეთიშები და მარტო ვრჩები რალაც უფერულ უდაბნოში. ხომ დიდი უბედურებაა მარტოობა, ამ შემთხვევაში ესეც ბედის წყალობაა.

თვალს დავხუჭე. სინამდვილეს ვერ გავიქეცი: მესმის ჯარისკაცთა ოხვრა, ფშვინვა და ხვრინვა. მესმის ნატეხი შაქრის გრახა-გრუხი. ზოგმა ხუთი დღის ულუფა მიღებისთანავე შეახრამუნა, ზოგი ძილის წინ გასეირნებისას წუწნიდა, სიმღერას რომ გვაძალებდნენ, მაშინ. ვინც აქამდე მოითმინა, ახლა შეექცევა. ყველა მოუთმენელი არ არის, სახვალისდღეოდაც გამოიზოგავდა ზოგი, მაგრამ სად შეინახოს და ვის მიაბაროს? დაძინებს თუ არა, ვილაც ხელმრუდი უმაღლე მოჰპარავს.

ხრაშ-ხრულუშ! ხრაშ-ხრულუშ!

ამ ობერ ჯარში მხოლოდ ეს არის ტკბილი — თეთრი შაქარი... თეთრი შაქარი და შავი ღამე... მშვიდი შავი ღამე, როცა მხოლოდ თეთრი შაქრის გვრახა-გრუხი გესმის ტკბილ ნანინად, ხელში თოფი არ გიჭირავს, თავი ზურგჩანთაზე გიდევს, ლეიბად ფარაჯა გიგია, იგივე ფარაჯა გაფარია საბნად და უშველებელ საერთო ტახტზე წევხარ...

თეთრი შაქარი და შავი ღამე...

მე ერთ ხელში თეთრი შაქარი მიჭირავს, მეორეში — შავი ღამე, და უფერულ უდაბნოში მივცურავ თვალდახუჭული...



არც შაქარივით თეთრად გათენდა დილა, არც შაქარივით ტკბილად.

— ოცულო, მოეწყვე! — ბრძანა მარტომ.

— იარლით? — ჰკითხა ბენკემ.

— არა, ასეულის შეკრებაა ეზოში.

— რა უნდათ?

— გახვალთ და გაიგებთ.

— მზარეული უნდა შეარჩიონო, — წამოსცდა საიდუმლო გერას.

— ერთი მზარეულის შესარჩევად მთელი ასეული უნდა შეყარონ?

ეზოში გავედით. შტეფანი დაფიქრებული დადის და სიგარეტს პირიდან არ იშორებს.

მზეს თითქოს ოქროს აბლაბუდა მოუქსოვია და შიგ თვითონეც გაბმულაო. ყინვა სულში გვიძვრება. ველი გაფითრებული წევს.

გოლცერი რატომღაც შავი ცხენით მოქენდა. სწრაფად გადმოხტა, აღვარი კოპლერს შეაჩეჩა ხელში, მათრახი სახლისფერ ჩექმაზე მიიტყაპუნა; მწყრივას წინ გაიარ-გამოიარა, ყველა შეგვათვალიერა და კიბეზე შედგა:

— გავიგე, მოგიტხოვიათ, სამზარეულოში ერთმა ჩვენმა კაცმაც იმუშაოს, იქნებ ზოგჯერ ჩვენებური რამ მოგვიხარშოსო. ვაკმაყოფილებთ თხოვნას. ვის შეუძლია მზარეულობა, სამი ნაბიჯი წინ!

არც დავფიქრებულვარ, გადავდგი სამი ნაბიჯი. გვერდით ბიხარი და ლასლო ამომიდგნენ. მერე — სხვებიც. მისუსტებული ფერენც კოვანიც კი გამოგვეყვადვილზე ცოტა ხალხი დარჩა.

სისხლისფერი ჩექმა ჩვენკენ გამოეშურა. პირველად ფერენც კოვანს მიაღდა:

— შენ ხომ გერმანულის მასწავლებელი ხარ?

— ადრე მზარეულად ვმუშაობდი, ბატონო ოფიცერო.

— აი შენ, სიცრუის ჯილდო! — ასმეთაურმა პანლური ამოჰკრა.

ფერენცმა პირისახე ხელისგულზემე ჩარგო და უკან დაიხია.

ახლა ბიხარს მიაღდა წითელი ჩექმა:

— ჩოფურა, შენ ხომ დურგალი და კალატოზი ხარ?

—რა მინდაო? — ჩემკენ შემობრუნდა მათიამი.

ვლთარგმნე.

—უთხარი, მზარეულობაც შეუძლიათყო.

გოლცერმა ტუჩებზე წაჰკრა ხელთათმანი.

—შენ იმხელა პირი გაქვს, მთელ ქვაბს მარტო ჩაიდგამ კუჭში. დაიხიე უკან!

ბიხარი არ განძრეულა. ასმეთაურმა მათიამს მათრახი მოუქნია. ბიხარი არც ახლა შერხეულა, მხოლოდ ტუჩი მოიკვინტა.

წითელმა ჩექმამ უფრო გამეტებით გადაჰკრა მათრახი, მერე სილაქანიც აჰკრა. ბიხარმა ერთი მწარედ გაიღიმა და მშვიდად გადადგა უკან ნაბიჯი.

—ჰმ! გერმანული არ იცის და მზარეულობა მოინდომა! — დამცინავი ღიმილით გააყოლა გოლცერმა უკან დახეულ ჯარისკაცს და ლასლოს მიადგა:

—შენ ნამდვილად იცი მზარეულობა, თუ... — პასუხს აღარ დაელოდა, წითელმა ჩექმამ ლოყაზე შემოჰკრა.

ლასლოს გერმანელის ბეჭდისაგან წითელი ხაზი დააჩნდა.

—დაიხიე უკან, ღორისშვილო!

—გმადლობთ! — თავი დაუტრა ლასლომ. — ეს პატივისცემა სიკვდილამდე შემხსოვრება ძალღის ნაკბენივით. ეს არის თქვენი მოკავშირეობა? — ლასლომ ხელი მოისვა ლოყაზე, — ყველა მოკავშირეს ასე ეალერსებით თუ მხოლოდ მაღიარებს?

—ჩვენ ყველას კარგად ვეპყრობით, ვინც წესიერად მოიქცევა. ერთობ გავივიდათ თავს. ჰიტლერი და ჰორტი ფიცით არიან შეკრული, თქვენ კი გსურთ ეს წმიდათა-წმიდა ფიცი დაარღვიოთ. გავიცი; გერმანელებს აუგად ახსენებთ თურმე. ეს იმის მაგიერია, მოკავშირეებს ერთგულება რომ დაგვიმტყიცოთ? ვინც გონიერად არ მოიქცევა და ურჩობას გაბედავს, სასტიკად დავსჯით ჩვენ ამის უფლება მოგვცა ჰორტიმ. — გოლცერმა მათრახი მაღლა ასწია და დაატაკუნა.

შტეფანმა პაპიროსის ნამწვით მეორეს მოუქიდა და ზედიზედ მოქაჩა.

დადგა ჩემი რიგი. მე და ობერლენიტენანტი კარგა ხანს ვბურღავთ ერთმანეთს თვალებით.

—შენ მზარეული რომ არა ხარ, ისედაც გეტყობა! სხვები რომ დავაჯილდოვე, შენ ვერ ისწავლე ჭკუა?

მათრახმა ამიწვა ლოყა და კისერი. წამით გამიელვა თავში, შევაფურთხებმეთქი. მივხვდი, ეს სულელურად თავის წაგება იქნებოდა. სხვა არაფერი. კბილები გვახარბილავ და ყელში ამოსული ბოღმა გულში ჩავიბრუნე.

წინ გამოსულმა ხალხმა უკან დაიხია.

გოლცერი ისევ კიბუზე შედგა და მედიდურად გადმოგვხედა:

—ვინ არის ნამდვილად მზარეული, გამოვიდეს! არავინ? მამ, ყველამ რატომ ჩაწირა ანკეტაში — მზარეული ვარო? ვის ატყუებთ? მოკავშირეებს? მერე იქნებ ფრონტზეც მოგვატყუოთ? ეს დილა გაკეთილად გქონდეთ! — წითელმა ჩექმამ კვლავ ასწია მათრახი, — დაიშალეთ!

ყაზარმაში შევედით. დანა კბილს არ მიხსნის. დიდ რისხვას ზოგჯერ კაცის დაჟინება სტოდნია.

—ენდრე, პეტეფი მათხოვე! — მომადგა ფერენცი.

—ამ ორიოდ დღის წინ არ წაიკითხე?

—წუხელ უცნაური სიზმარი ვნახე, მათხოვე!

ზურგჩანთა გავხსენი და მასწავლებელს წიგნი მივეცი. ფურცლავს ფერენცი პეტეფის ლექსებს და ხან ბუტბუტებს, ხანაც გაშტერებული სადღაც შორს იყურება, ყაზარმის მიღმა.

—ჩვენც წაგვაკითხე! — ლასლო ფერენცს მიუჭდა.

მერე ერთად კითხულობენ:

დიღხანს გვეძინა, აწ კმარა ძილი,  
გვეყო მოთმენა და დალონება,  
აღსდგეთ. ქვეყანას გავაგებინოთ,  
რომ გაჩენილი არ ვართ მონებად.

—თითქოს ჩვენს გულში ზისო, — ამბობს ფერენცი.



— აი, ესეც ძალიან კარგია! — ლას-  
ლო კითხვას განავრძობს:

აღსდებ, მამულო, უნგრეთო, აღსდებ,  
შენი ძალ-ღონე მტერს არ უხილავს.  
აღსდებ, უნგრეთო, მოულოდნელად  
და მტერს დაატყდი შიშა-მუხილად.  
იქნებ მტერს ეძებ? — სადაც გახედავ,  
მარჯვნივ თუ მარცხნივ, მტერი არ არი?  
მგარამ ვინც ახლა ყელზე გეხვევა,  
სწორედ ის არის მტერი მოთავარი.

— როგორ მიყვარს ეს ლექსი და აქამ-  
დე შეპირად ვერ ვისწავლე... — ლასლომ  
ფანქარი ამოიღო, შეჩერდა და ფერენცს  
მიუბრუნდა: — მოდი, ვაუკაცურად, ამო-  
მიწერე!

— რატომ? შენ ხელი გტკივა?

— მე ისეთი აჩხა-ბაჩხა წერა ვციცი,  
ბატების ნაფეტური გეგონება, ეშმაკი  
ვერ გააჩხევს...

— ამოწერა რად გინდა, აგერ არ არის  
წიგნი?

— ამომიწერე, ნუ გეზარება! შენ კაი  
კაცი ხარ! ჰო, ეს სამი სტროფი ამომი-  
წერე ცალკე!

• არ დაიზარა ფერენცმა, ლამაზად ამო-  
წერა.

● ბაროტი აირწინადის ხმარებას გვას-  
წავლის. ჩაფხუტს რომ გადაიკვამს საჩ-  
ვენებლად, მგონია, ყაზარმაში სიკვდი-  
ლი შემოვიდა-მეთქი. ლასლოს ლექსი  
კურდღლისტუჩამ გამოართვა.

— რას კითხულობ? — ფარკაშს თავ-  
ზე წაადგა ბაროტი.

ზოლტანმა ფურცელი ჯიბეში იტყუა.

— ამოიღე!

— ლექსია, სხვა არაფერი?!

— ამოიღე-მეთქი!

— ესეც ფაფა ხომ არა გგონია? ჰა,  
ჰამე!

ბაროტი ხელნაწერს დაამტერდა.

სულ სხვადასხვანაირი იერი და ფხა  
აქვს ზეპირად ნათქვამ და დაწერილ სი-  
ტყვას. დაწერილი უფრო მრისხანე და  
მკაცრია ზოგჯერ. რაც იქ ეწერა, ზეპი-  
რად რომ მოესმინა ბაროტის, იქნებ უბ-  
რალოდ გამწყრალიყო, ხელნაწერმა კი  
სასტუკად დააფრთხო და ააცხცახცა:

— ფერენც, ეს შენს ნაწერსა ჰვავს!

— ჩემი ნაწერია, რა გინდა მერე?

— არაფერი, მე არაფერი. აჯანყებას  
მიწყობთ ხომ? — ბაროტი ასე გაცეცხ-  
ლებული პირველად ვნახე. — რაც მო-  
გივიდეს, შენს თავს დააბრალებ! უყურე,  
შენ! ლაყბობა არ იმყოფინეთ? ახლა  
წერთ კიდევ?! გამომყევი!

— სად გამოგყევი?

— სადაც საჭიროა! ეს საბუთია უკვე,  
საბუთია. თქვე ტვინამოფხვიკილებო?!  
ჩემი დაღუპვა გინდათ?

— წაპყევი ფერენც, ნუ გეშინია, მეც  
გამოგყევი!

კანცელარიის ოთახში შევედი. ბა-  
როტიმ კარის გაღებისთანავე მარჯვენა  
ხელის ორი თითი მიატყუშა ერთმანეთს  
და მკლავი მოწყვეტით აისროლა:

— ჰაილ ჰიტლერ!

ასმეთაურმა ბაროტის სამხედრო სა-  
ლაშზე არ უპასუხა. გაკვირვებით გვი-  
ყურებს. სისხლისფერი ჩექმები ფანჯ-  
რის რაფაზე შემოუწყვია, თქვის ჩექმე-  
ბი აცვია. ამდენ თოვლში ტალახი სად  
გამონახა, ჩექმები ასე რომ გასვრია?

— რამ შეგაწუხა, სერჟანტო?

— ბატონო ობერლეიტენანტო, ზოგი  
ჩვენი უგუნდოა ჯარისკაცი ხალხს აჯან-  
ყებს.

ასმეთაურმა ფურცელს დახედა.

— უნგრულია?

ბაროტიმ სიტყვა-სიტყვით უთარგმნა.

— აჰა, გასაგებია. იმის ჩაწერა აც-  
ლია, თოფი აიღეთ ხელში და გოლკერს  
ესროლეთო. ვინ დაწერა?

— ფერენც კოვაჩის ხელია, აღიარა  
კიდევ.

— მართლა შენ დაწერე?

— არა.

— აკი აღიარაო? მამასხრებთ? — ას-  
მეთაური ბაროტის მიუბრუნდა.

— იქ ნამდვილად აღიარა... მოწმეებს  
მოვიყვან ახლავე.

ობერლეიტენანტი ისევ ფერენცს მია-  
შტერდა:

— ახლა რატომღა უარყოფ?

— ჩემი ხელითაა დაწერილი. მგარამ  
ლექსი კი არ არის ჩემი, მე მხოლოდ  
გადმოვწერე...

— დიულა ჩორდამა დაწერა? თქვენ-  
მა პოეტმა?

— ასეთ ლექსს დიულა ვერ დაწერს,  
ათას წელიწადსაც რომ იცოცხლოს.

— იქნებ ველდემმა?! ბოლო დროს  
ისე იქცევა...

— იანოში ლექსებს არ წერს. პეტე-  
ფისაა.

— ასეთი ჭარისკაცი მე ასეთლში არა  
მყავს.

— ეს ლექსი ასი წლის წინადა დაწე-  
რილი, — საუბარში ჩავერიე მე.

— მართალს ამბობს?! — ბაროტის მი-  
უბრუნდა ასმეთაური.

— არ მახსოვს! — პირი დღავივით  
დაალო ბაროტიმ და თვალები გადმო-  
კარკლა.

— ველდემს დაუძახე. როზენაუს  
უცუელში მეცადინეობს.

ბაროტი გაიქცა და იანოში მოიყვანა.

— ერთი ეს წაიკითხე! — ასმეთაურმა  
ჟურცელი მიაწოდა.

იანოშმა ხელნაწერს თვალი ჩააყოლა.

— მოგწონს ლექსი?

ველდემმა გაკვირვებით შეხედა.

— ვინ დაწერა?

— მცდით!

— ვინ დაწერა-მეთქი?

— პეტეფის ლექსია?! შანდორ პეტე-  
ფის?! უფრო სწორად, ლექსის ნაწყვე-  
ტი... ყველა მაღიარბა იცის, თუ რეგ-  
ვენი არ არის.

— რეგვენი რა შუაშია? შეიძლება  
კაცს არ ახსოვდეს! — იწყინა ბაროტიმ.

— სერჟანტო, შენ წადი, თავისუფალი  
ხარ.

ბაროტი წავიდა. ობერლეიტენანტი  
ფერენცს მიუბრუნდა:

— სულ ერთია ვინც დაწერა. თუ ავი  
ზრახვა არ გელოთ გულში, ხალხს რა-  
ტომ აკითხებდით? ამოდ ფაფხუ-  
რობთ! — წონასწორობა დაკარგა გოლ-  
ცერმა, — თქვენ რომ რქები გაქვთ, ეგ  
მხოლოდ ლოკოინას რქებია. შენც,  
უბადრუკო მასწავლებლო, ერთს და-  
ვადგამ ფეხს და მეტიც არ გინდა, —  
გოლცერმა სილაქანი ვაჟნა კოვახს, —

ახლა წადი! თუ ჭკუით არ მოიქცევი,  
უარესს ელოდე!

კოვახი აღელდა. ჯერ პირისახეზე წი-  
თელი ფორჯები დაეყარა, მერე გაიცი-  
რიცა, ხელები აუკანაქალდა და კრინტის  
დაუძრავად გადგა განზე.

როცა გული განგაშს სტეხს და აყვი-  
რებას აპირებს, მაშინ წონასწორობის  
დასაცავად კრიჭა უფრო მაგრად უნდა  
შეიკრა. კოვახივით გავხვედი მეც.

ვიცი, იანოშს ცეცხლი წაეკიდა გულ-  
ზე, მაგრამ ერთი ძარღვიც არ შეტოკე-  
ბია, არ გასცა თავი.

ოთახში წამიერი დღემილი ჩამოვარდა.

— წაეთრიეთ ახლა! დღეს ეს იმყო-  
ფინეთ! ველდემში, შენ დარჩი!

მე და გალახული კაცი დერეფანში  
გამოვედით.

— ფერენც, მოიცა! იანოში ისე იყო  
შემართული, რაღაც მოხდება.

კარს ავეკარით.

— ასე არ შეიძლება, — ჩაილაპარაკა  
ველდემმა.

— გამარჯვებულებს ყველაფერი ება-  
ტიება!

— ვინ არიან გამარჯვებულები?

— მაგ კიდევ საკითხავია?

— ჯერ ომი არ დამთავრებულა.

— ეშვი გეპარება, რომ ჩვენ გავი-  
მარჯვებთ?

— ჯერ ომი არ დამთავრებულა, —  
კვლავ მშვილად მიუგო იანოშმა.

— აღარ გაათავებ ამ სულელურ ლაყ-  
ბობას? ისედაც გავიგე, რომ ჭარისკა-  
ცად არ ვარჯიხარ!

— მე თქვენს ჭარისკაცად ვახლომა  
არც მიფიქრია...

— გიფიქრია თუ არ გიფიქრია, დღეს  
ჩვენი ჭარისკაცი ხარ. გრძელი ენა მუ-  
ცელში ჩაიგდე და შენს საქმეს მიხედე!

— ყველა სია დილითვე გადავწერე.

— ამის გაწმენდა რატომღა დაგა-  
ვიწყლა?

— მე მაგ ჩექმების გაწმენდა არც მი-  
ფიქრია.

— აილე ახლავე და სარკესავით გააპ-  
რიალე.

— მე ჩექმებს არ გაგიწმენდავ, ისიც

ამ ჩექმებს. დღე და ღამე ვიშუშავებ, ამ ჩექმებს კი ხელს არ ვახლებ...

— კეთილი, კეთილი... თბილ ოთახში შენს ნებაზე ყოფნამ ვაწყინა? გამოგინახავ წაშალს. ამიერიდან შენი ფეხი ამ ოთახში აღარ ენახო! როზენაუს ოცეულში გამწესებ რიგით ჯარისკაცად. ხოლო თუ იქაც შენებურ ოფოფებს ააფრენ, გავამგზავრებ, სადაც საჭიროა.

თხუთმეტობდე წუთში დიულა იხმეს.

— ვაი, რა უნდა? — შეკრთა ჩორდაში და მოკუნტული წავიდა.

— ალბათ, ჩექმებს გააწმენდინებს, — ჩამჩურჩულა მასწავლებელმა.

— ეგ ოლონდ გააძღე და ყველაფერს იკადრებს... რომ უთხრან, იმ ჩექმებს ენით ვალოკავს. ეპ, ძალიან შემოგვიტეის.

დიულა თავაყინჩული და თვალგაბრწყინებული შემოვარდა ყაზარმაში, თავისი ბარგი-ბარახანა აკრიფა და ფეთიანივით გაიქცა. გავყევი. კანცელარიამი შევიდა.

ძალე კანცელარიიდან ასმეთური გამოვიდა. წითელი ჩექმა სარკესავით უპრიალებდა. იმ სარკეში რამდენიმე ჯარისკაცის ლანდს მოგვარი თვალი... ჩემი თავიც დაეინახე და უნებლიეთ გამაჭრყოლა.

●

ბაროტიმ ახალი მუხლი დაუმტა სამხელრო წესდებს: ვინც დილით ღროუღად არ წამოხტება და მწკრივში არ ჩადგება, საუზმის უღუფას არ აძლევს. ბევრზე გასჭრა მუქარამ. მხოლოდ მიხაი გონდა ვერ გამოაფხიზლა: არ მინდა თქვენი საუზმე, არც სადილ-ვაშშიამი, ოლონდ ძილით ერთხელ მაინც გამაძღეთო.

სერჟანტმა თუ ეს მუხლი არ შეცვალა, მიხაი, ალბათ, შიმშილით მოკვდება. ამ დილითაც — ბაროტიმ ყვავივით რომ დავგჩხავლა, ადექითო, მიხაიმ ვერ გაიღვიძა. ბენკემ ფეხებში ჩაავლო ხელი, სერჟანტმა — თავში და ტახტიდან იატაკზე გადმოაგდეს.

კვლავ თოვლში სამეცადინოდ გავ-

რეკეს. ბაროტი ასეულის მორიგე იყო წუხელ. მისი მოვალეობა ბენკეს დააკისრა ლეიტენანტმა.

გონდა მწკრივში ჩემს გვერდით მოხვდა. პირი მოუტუშავს და ფეხებს ძლავს მოათრევს. არასოდეს მინახავს ასე თვალუბნამჭკრალი.

— მიხაი, ავადა ხარ?

— რა ვიცი... ირგვლივ ისეთი სიბნელეა... თეთრი თოვლი და სიბნელე.

— ნუ წუწუნებ გროშინივით, — უთხრა ლასლომ, — ძალიან რომ შემოგვიტევენ, მტრის ჭინაზე უფრო უნდა გამაჭრდე...

გზიდან მხოლოდ მაღიარებმა გადაევხვიეთ, გერმანელები გზაზევე დარჩნენ. როზენაუს ოცეულში მომხდარი მარცხის შემდეგ კრავტი ჩვენ თოვლში გაგვრეკავს ხოლმე, თვითონ კი გზაზე მიღი-მოღის არხეინად, შორი-ახლოდან გვითვალთვალავს.

ახლა თოვლში სიარულისას მეც ხშირად მაკანკალებს, მეჩვენება, რომ ნაღმს ვადგამ ფეხს. ლასლომ გუნდა მესროლა და თოვლი თვალებში რომ შემომეყარა. მეგონა, ჩემი აღსასრულის დღე მოვიდამეთქი.

მივარდევთ თოვლს, ვწვებით, თითქოს ვისვრით, მერე ვღვებით და ისევ მივარდევთ თოვლს.

მოგზოხვ თეთრსა და ცივ სიბნელეში, ვარადის მიყვებები.

— პეი, ჩოფურა! ბიხარი, არ გესმის? დათვივით რომ მიძუნძულებ ცალკე, სხვებს დაუცადე, თორემ ჩაგაწევენ თოვლში და სალამომდე ასე დაგტოვებ!

— მე, ბიძიკო, მთის თოვლსა და ნისლში გაზრდილი კაცი ვარ, ნუ მაშინებ! ჩემი უფროსი ვაჟი შენზე ბევრად პატარა კი არ არის, ვამად გეკუთვნი...

— ენდრე, ხომ ხარ ხიშტივით? — მეძახის ლასლო. ამოწმებს, მთლიანად ხომ არ გავიყინე, ენის მობრუნება თულა შემიძლიაო.

— ვილაყეების ჭინაზე კაყვივითა ვარ! — ვაიმიდებ ლასლოს.

მივფორთხავთ და „მტრის“ სანგრებ-

ში ჩასაყრელად ხის ხელყუმბარებს ვი-  
მარჯებთ.

— გონდა, ამდენხანს რას ფუსფუსებ  
მანღ? წინ!

უცებ იქეჭა და გონდას მახლობლად  
ბოლი ავარდა. მხოლოდ ის დაეინახე,  
ბენკე მოცელილივით დაეცა ძირს.

თვალი ვავახილე. ყველა წევს. ცოტა  
ხანს კიდევ შევიცადე, წამოვხტი და მი-  
მოვიხედე.

მიხაი გონდა გულადმა წევს, ჯვარ-  
ცმულივით მკლავებგაშლილი და გვერდ-  
ზე თავდადავლებული. ყური მივუგდე —  
არ კენესის, არც ინძრევა. ქუდი და მუ-  
ზარალი ცალკე ყრია მოშორებით. თო-  
ფიც იქვე გდია, ირიბად.

გონდასკენ პირველი ბიხარი გაიქცა,  
მერე ჩვენც შემოვეჯარეთ.

ტყვია ნიკაპში მოხვედრია, თავში გა-  
სულა და ტვინიც გაუტანია. აქაფებული  
სისხლი პირიდან გადმოსდის და თოვლ-  
სა ლებავს. თვლები გახელილი აქვს,  
თითქოს დამცინავდ ილიმებო. ცოც-  
ხალს თვალის გახელა ეზარებოდა, მო-  
მაკვდავს კი გაუხელია...

არ ვიცი, რისი თქმა დააპირა უკანასკ-  
ნელად, მკლავი უღონოდ ასწია, ხელი  
გაიქნია და მაშინვე მოწყვეტით დაუ-  
ვარდა ძირს.

მათიაშმა თავისი თოფი და ქუდი  
თოვლში მიაგდო, ჩაიმუხლა, გონდას  
თვლები დაუხუტვა, ხელები გულზე ჯვარ-  
ედინად დაუტრიადა და პირზე სისხლის  
მოწმენდას შეუდგა.

ბენკე ახალა მოგვიახლოვდა. ალბათ,  
ეგონა, გონდამ მე მესროლო და გონს  
გვიან მოგვო. გაფითრებული ჯვრაც  
ელაჩვივით აცეცებს თვლებს, თავზე ხომ  
არაგინ მესხმისო. რაკი საფრთხე ვერსად  
შენიშნა, წელში გაიმართა.

ლეიტენანტი მშვიდად მოგვიახლოვ-  
და, ეფრეიტორიც მოჰყვა:

— რა მოხდა? თავი მოიკლა?! რით?!—  
გონდას თოფი აიღო და საკეტი გა-  
მოსწია. თოვლში მწვანედ დაჟანგული  
მასრა ჩავარდა.

— ვინ მისცა ვაზნა?  
ბენკემ მხრები აიჩეჩა:

— ალბათ, ტანკში იბოვა და გადამა-  
ლა. იმ დღეს სწორედ ასეთი ვაზნები  
ეყარა იქ.

— მართლაც დიდი მოთმინება უნდა  
გქონდეს ადამიანს, ამ ჯოჯოხეთში თავი  
არ მოიკლა! — თქვა მასწავლებელმა.

ობერლეიტენანტი მოვიდა. გონდას  
დახედა და ჩემქმის წვერი წაკვრა, თით-  
ქმის შეამოწმა, ხომ ნამდვილად მკვდა-  
რიაო.

— რას ელოდებით, ლეიტენანტო?

— თქვენს განკარგულებას, ბატონო...

— რა განკარგულებას?

— სად დავკრძალოთ?

— სადაც გეწებოთ, თუნდაც აქვე...

— სამხედრო პატივით, თუ...

— ჯარისკაცი რომ თავს მოიკლავს,  
მისი პატივისცემა სად გაგონილა, ლეი-  
ტენანტო?! ესეც რომ არ იყოს... —  
გოლცერმა ლეიტენანტს პირი ყურთან  
მიუტანა და რაღაც ჩაულაპარაკა, მერე  
ისევე აუწია ხმას; — ასეთი ჯარისკაცი  
ხელახლა უნდა დახვრიტო და ყორნებს  
დაუგდო შესაჭმელად. სამშობლოს მო-  
ლაღატეა პირწავარდნილი. თავი კი არ  
მოიკლა, ჩვენი ასეულის ერთი ჯარის-  
კაცი გამოასალმა სიცოცხლეს. გახადეთ  
ტანსაცმელი, ტყის პირას გაუთხარეთ  
მიწა და ჩაადგეთ შიგ. საფლავზე ნურც  
ჯვარს დაუსვამთ, ნურც სხვა ნიშანს გაუ-  
კეთებთ. ჰაილ!

გონდა კი წევს გულადმა და დამცინა-  
ვად ილიმება. მისთვის ახლა აულ ერთი  
თია ყველაფერი.

მათიაშის სიჯიუტემ აჯობა გაყინული  
მიწის სიჯიუტეს. წერაქვით ააძრო ქერ-  
ქი, მერე ყველივით საჭრელი გახდა.

ფარაჯაგახდილი გონდა საფლავში  
უკუბოლოდ ჩავაწვინეთ და თოვლნარევი  
მიწა ნიჩხებით მივაყარეთ.

ბიხარმა ჯვარი გამოთალა და თავით  
დაუსვა.

— რა ჰქენი, მათიაშ? ხომ გაიგონე,  
ობერლეიტენანტმა რაც თქვა? ბნელი  
კაცია, უნდა მოვერიდოთ! ეგ ადამი-  
ნებს იმის მიხედვით ახარისხებს, ვინ  
როგორი მოსაკლავია.

— მე გერმანული არ ვიცი, გოლცერის ბრძანება ვერ გავიგე...

ქუდები მოვიხადეთ და საფლავთან წამით გავხვედით. იოყეფმა პირჯვარი გადაიწერა.

— საწყალი გონდა! სამშობლოს მოლაღატედაც კი მონათლეს, — ცრემლი მოიწმინდა ლასლომ.

— იყო კიდევ! — მივუბე მე.

— ენდრე, შენც?!

— ახლა ჩვენ ყველანი სამშობლოს მოლაღატეები ვართ, აქეთ რომ წამოვედით საომრად... რას ვერჩით ამ უღანაშულო და მამაც ხალხს?

●

ყაზარმაში შესვლისთანავე ზოლტან ფარკაშმა ორი ახალი ამბავი დაგვახვედრა: ოცეულის მორიგედ დარჩენილ გროშიჩს სისხლი ამოუხვევლებია და გულშეწუხებული იატაკზე ვაშლართელა ზედ ღუმელთან. როცა გონდა თავს იკლავდა, სწორედ იმ დროს გედეონი საავადმყოფოში წაუყვანიათ. მეორე ამბავიც ის არის, რომ ჩვენი ათეულის მეთაურად ნაფრონტალა კაცი გამოუგზავნიათ — გაბორ ვარგა.

ვარგა ახლა ფანჯარასთან დგას, ზუსტად იმ ადგილას, მე რომ მიყვარს დგომა, და შორს გასცქერის შუბლშეკუმბენილი. გრძელი პირისახე და გაფანჩული წარბები აქვს. ცხვირი უღვაშებში ჩაურავს, მკაცრი ჩანს.

●

ცივ ღუმელზე დადგმული ჭრაქი უღიმღამოდ ლიციციებს — ან ნავთი ილევა, ან პატრუქს უნდა ქინძისთავით ამოწევა. ახლა ჭრაქის მოსაეღელად არავისა სცალია, ყველას ეძინება.

ფანჯრებს არ ვაფარებთ შავ ქაღალდს. ამ ლიოფა ჭრაქის შუქი შორს ვერ გააღწევს.

მათიამა ფეხზე გაიხადა და ფეხსახვევები შიგ ჩატენა. მეც გავიხადე.

უცებ ყაზარმა შეირყა. ფანჯარას ელვა მოაწყდა, საღლაც იგრგვინა. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... აზრიალდა ფანჯრები.

ვინც დაწოლა მოასწრო, დაფეთებულ წამოვარდა. ყველა გახევდა წამით. ვხედავ მხოლოდ თვალებს — საოცრად გაიღებულ და შემკრთალ თვალებს.

— სადგურს ბომბავენ, აქეთ არაფერი ესაქმებათ! — გვამშვიდებს ფრონტ-გამოვლილი გაბორ ვარგა.

დიულა ჩორდამი შეშლილივით შემოვარდა:

— განგაში! განგაში!

გაგავფრთხილეს, განგაში როცა გამოცხადდება, სწრაფად უნდა ავიცილოთ თოფ-იარაღი, ტყვიასავით გავვარდეთ ეზოში, მწკრივში დავდგეთ და იქ დაველოლოთ მეთაურის ბრძანებას.

ყაზარმა ხუთიოდე წუთში დაიცალა.

მოწმენდილ ცაზე საზენიტო ქვემეხების ჭურვები სკდება. ქალაქის თავზე მაშხალები ჰკრია — ყვითელი, წითელი, მწვანე. ალბათ, რუსმა მფრინავებმა ისროლეს სადგურის გასანათებლად. მიწა ცეცხლის შადრევნებს ისვრის, ეს თვითმფრინავებიდან ჩამოყრილი ყუმბარები ფეთქდება. საღლაც ტყვიამფრქვევს აკაყანებენ.

პროექტორებმა ვჯარედინად გადახანჯლეს ცა. შუქის გრძელი თვალი ცაში თვითმფრინავს ეძებს.

ქალაქმა ცაში უშველებელი მაშხალა აისროლა.

— ბენზინის საწყობი იწვის, — თქვა ვარგამ.

თვითმფრინავმა სიბნელიდან გამოჰყო ცხვირი, ირია გააკეთა და რამდენიმე ყუმბარა გადააყარა ქალაქს. სიბნელეში რომ აპირებდა თავის შერგვას, ეტყობა. საზენიტო ქვემეხიდან ნასროლი ჭურვი დაეწია, თვალის დახამხამებაში მოედო ცეცხლი და კვამლის უშველებელი კუდი გამოიბა.

თითქოს თეთრი სოკოაო, ცაზე პარაშუტი გაიშალა.

თვითმფრინავი ღრიალით გადასცდა ტყეს და საღლაც დაასკდა მიწას.

პარაშუტისკენ ფერადი ტყვიები გაფრინდა ერთხელ, ორჯერ... პარაშუტი ტყეში ჩაეშვა და გაუჩინარდა.

— როზენაუ, მიილე ვაზნები, ასეული

წიყვანე და ტყის ალყა შემოარტყით, მფრინავი თუ ცოცხალი გადარჩა, არ უნდა გაგვექცეს. შტაბმა ცნობა მიიღო, რომ მეზობელ რაიონში რუსებმა დესანტიც გადმოსხესო. ფხიზლად იყავით! კარგია თუ ცოცხლად დაიჭერთ.

ორ ქედში ჩაწყობილი ათ-ათი ვაზნა დავერიგეს, თან გაგვაფრთხილეს: ვინც დაკარგავს ან ოცეულის მეთაურის უნებართვოდ გაისვრის, სასტიკად დაისჯებაო.

იმ დალოცვილმა საბჭოთა მფრინავმა მთელი ღამე ატყევა ჩვენი ასეული.

— ენდრე, ვინ იცის, ცაშივე მოხვდა ტყვია და ახლა პარაშუტით ნაძვე ჰკივლია მკვდარი, ჩვენ კი აქ ველოდებით თოფმომარჯვებულნი? — ბუქნავს ლასლო.

— შენ ეგა თქვი და... იქვე ბიხარი და ვარგა საუბრობენ. უკვე მოასწრეს დამშობილება.

ვარგას გერმანული დასაკეცი დანა უჭირავს, ისეთი, კოვზ-ჩანგალი და მაკრატელი რომა აქვს; ჯოხსა თლის და თან თავის ამბებს უყვება ბიხარს.

მიხვდა, მე და ულსლოც რომ ვუფდებდით ყურს და უფრო დარბაისლურად დაიჭირა თავი.

— დიდი ხანია რუსეთში ხარ?

— აგერ, ხვალ-ზეგ ერთ წელიწადს მოვათავებ. რაც მე აქ მიწა ვთხარე...

— მაგრად იბრძვიან რუსები?

— მაგრად კი არა, ზღაპრულად. აბა, რას იზამენ? შენ რომ ვინმე მოგიხტეს შინ, კბილებით არ დაგლეჯ?

— კაცი თუ მოგიკლავს? — ჰკითხა ლასლომ.

— რა ვიცი... ყველა ისროდა და მეც ვისროდი... ხედებოდა თუ არა, ეშმაკმა იცის... შარშან ტრიალ მინდორში მოგვიხდა სანგრების გათხრა. ჩვენ და რუსებს პატარა ხევი გვეყოფდა. მთელი ის არე-მარე გვალვას გამოეშრო. ერთადერთი წყარო ლიკლიცებდა ხევში. ჩამოზნუნდებოდა თუ არა, რუსები და ჩვენ რიგრიგობით ჩავდიოდით წყალზე.

ჩვენ გვესმოდა, ისინი რომ ავსებდნენ კარდალებს და ველოდებოდით, ვიდრე წავიდოდნენ. ალბათ, რუსებსაც ესმოდათ, ჩვენ რომ ვავსებდით და ვიდრე არ გამოეცილდებოდით იქაურობას, არ ჩამოდიოდნენ ხევში. ყველგან ისმოდა სროლა, იმ წყაროს მახლობლად კი ერთი თოფიც არ გავარდნილა მთელ ორ კვირას. ანკარა წყარომ ერთმანეთის პირისპირ მდგომ ჭარისკაცებს რაღაც კარგი გვასწავლა. იმის შემდეგ რა არ გადაიხდა თავს და მინც სულ ის წყარო მიდგას თვალწინ. ნეტავი ყველგან ისეთი წმინდა წყარო მოჩუხჩუხებდეს...

კეთილი ფიქრის კაცი ყოფილა-მეთქი, გავივლე გულში და ვკითხე:

— მეთაურებად თქვენც გერმანელი ოფიცრები გყავდათ?

— აჰ, არა! ჩვენთან ყველა მაღიარი იყო, ჭარისკაციც და ოფიცერიც. პოლკის შტაბზე იყო ორიოდ გერმანელი მომავრებელი, ეგ იყო და ეგ.

— აბა, აქ რა ღმერთი გაუწყრათ, სულ გერმანელების ხელში რომ ჩაგვეყარეს?

— ახლა ჰიტლერი მოკავშირეებს ძველებურად აღარ ენდობა და, ალბათ... რა ვიცი, რა ეიცი... ისეა არეულ-დარეული მთელი ქვეყნიერება, ეშმაკმა იცის, ვინ დაიჭერს თევზებს. საშობლოს დამცველი საბჭოთა ხალხი არ დამარცხდება!

— დაჭირილი ხართ, თუ ისე...

— ტყვიამ მუცელზე გამკრა და კინაღამ ფაშიე ძირს დამავლებინა. ჩემი ბედი, ორი დღის მშვიდი ვიყავი, თორემ...

— შიმშილიც ბეღია? — თვალი გაუფართოვდა ლასლოს.

— ზოგჯერ კი... ტყვიამ თუ სავსე სტომაქში გაუარა კაცს, კაპუტ!

— ახლა კი მიხვდი, რატომ გვაშამშილებენ, თურმე ჩვენზე ზრუნვით იკლავენ თავს, — ისე დაფიქრებულად თქვა ლასლომ, უტხოს მისი სიტყვა მართალი ეგონებოდა.

ბილიცზე ველდში შემოგვხვდა.

— რასა იქმ, იანოშ?

— გულში ეუუქანას ბარათი მივიღე.

— ეუუქანას ბარათი?! — რაღაცამ მწიარედ გამკრა გულში. — ასე მალე?

— წერალიც ჩვენი ეშელონივით კი არ მოზოზინებ, არც გზა-კვალი ებნევა.

— რაო, რას გწერს?

— დაუქინია, უნდა გინახულოო. ერთი ნათესავი უფასო ბილეთის შოვნას დამპირდაო. ჩამოვალ და ცოტ-ცოტა რამეს ჩამოგიტანო. ალბათ, პასუხს მოუთმენლად მიელის. შენი აზრით, რა შევეუთვალო?

— რა ვიცი...

უიქრის ბორბალი დამიტრიალდა თავში: „ღმერთო ჩემო, იანოში მე მეკითხება, ყუყანას რა შევეუთვალოო. მცდის თუ... იქნებ ყუყანამ ჩემი ბარათის ამბავიც მოსწერა და... იანოშმა შეატყობინა, ენდრე უნგვარია ჩემთანო, უმკველად მოსწერდა იმ ბარათის ამბავს. ღმერთმა ხომ იცის, ყუყანასთვის არაფერი დამიშავებია, მაინც არ მინდა მათი შეხვედრა. იანოშს რომ მოუყვეს თუნდაც ხუმრობით—ენდრეს ვუყვარვარ და გამეთამაშაო, რას იტყვის იანოში, აქამდე რომ ვერ გავუმხილე ეს ამბავი?“

— კატეგორიულად აღკრძალე: შინიდან ფეხი არ გამოადგა-თქო. აქ რომ უბედურება ტრიალებს... გადაირევა გოგო. რად გინდა, ამ ყოფაში რომ გნახოს? შესაძლებელია ყველაფერი!

— მნახოს, არ შევძლებდები...

— ხომ იცი, ახლა რა სახიფათოა მგზავრობა? პარტიზანები თანდათან მრავლდებიან თურმე.

— პარტიზანები სამხედრო ეშელონებს აფეთქებენ, სახალხო მატარებლებს კი არა.

— უცებ რომ აგყარონ აქედან, სადღა გექებოს?

— ჯერჯერობით არსად წაგვიყვანენ, გვწვრთნიან.

— ისე ვატყობ, შენ უფრო გინდა, რომ გინახულოს.

— რა ვქნა, მინდა.

— რუსეთში ისე ცივა, ცოდვია ქალი.

— მივწერ თბილად ჩაიცვას.

მზე უზარმაზარი ნაძვის წვერზე შემოჯდა. მფრინავი არსად გამოჩნდა და, იცოცხლე, ჩვენ თოვლში ვტოპეთ. ვერც კაცი ვპოვეთ, ვერც პარაშუტი. გზაზე

გაგვიყვანეს და ოცულებად დაგვამწყვრივეს.

— გრიობლი! სად არის გრიობლი? — იკითხა ბაროტიმ.

პასუხი ვერაფერს ვასცა.

— ვარაღი, შენ და გრიობლი ერთად არ იყავით?

— არა, მე და უნგვარი ვიყავით ერთად. ტყესთან რომ მოვედიო, დამშორდა. სამზარეულოსაკენ უყვარს ჯოლივ გაპარვა, თუმცა აქედან არ წავეიღოდა.

— გრიობლი! — ტყეს გასაძახა ბაროტიმ, — გრიობლიიი!

ტყემ ექოც კი არ დაუბრუნა.

— ქალების მუსუსი ვიყავო, იკვებინიდა. შეიძლება აქეთა სოფელში შეიგულა ვინმე, წუხელ იხელთა დრო და მიაკითხა, — ივარაუდა გერამ, — ქალთან რომ დაიძინებ, ადვილად ვერ გაიღვიძებ.

— დავებრეტ დებერტირს! — მუქარაზე გადავიდა ბაროტი და ხელი ისე შეათამაშა, თითქოს პარაბელუმს ისვრისო. — გრიობლი! ჰაუ, გრიობლიი!

ტყე კვლავ დუმს.

აქ დგომა ვის ეხალისება, გავიყინეთ. ყველა ერთად აცყვირდით:

— გრიობლიი! ლაიოშ გრიობლიი!

ტყეს ყურები არა აქვს, ყრუა ტყე, მხოლოდ კენესა იცის. ახლა არც კენესის.

მეთაურებსაც მოსწყინდათ ამო ძახილი, სირბილით წამოგვიყვანეს ყაზარმისაკენ.

უფალო, თუ სადმე ხარ, გამიგონე! ომში რამდენი რამ იკარგება, აგერ, ცოცხალი კაციც დაიკარგა უცებ. ჰოდა, რა იქნება, იანოშის ბარათი დაკარგო... უფალო!



ჩვენი ოცულებიდან სამი კაცი გამოგვეყვეს—მე, ბიხარი და ნადი, აბანოს გასახურებლად შეშა უნდა დაჩეხოთო. სამი კაციც როზენაუმ მოგვამოგვლა. ეფრეიტორი კობლერიც გამოგვაყოლეს. აბანოს უკანა ეზოში დაყრილი ჯირკები

და მორები გავიყავით და დავუშინეთ ნაჯახები. ვერც მე დავაკელი ჯირკს რამე, ვერც ნადიმ. როზენაუს ხალხი ჩვენზე დაუძლურებული გამოდგა.

— რას შევებით, ბიჭებო? — გვკითხა მათიამშმა, — არ იპობა?

— არ იპობა და რა ვქნა! — ნაჯახი ბრაზიანად მიაგდო ტიბორმა.

— შინ თუ დაგიჩეხა შეშა?

— შეშას დაეჩეხადი როგორმე, ეს კლდე ნამდვილი.

— ჯირკის დაპობა ყველას კი არ შეუძლია, — მივაშველე სიტყვა ნადის.

— ნაჯახის ღონივრად მოქნევა არ კმარა, უნდა იცოდე, სად დაპკრა, ძარღვი უნდა მოუძებნო, — ნაჯახი ჩვეულბრივ მოიქნია და ჯირკი შუაზე გადაჩეხა. მერე სხვებსაც დაუტრიალდა. ისე გაიხარა. გეგონებოდათ, ქორწილშიაო. ჯირკები და ნუქრიანი მორები დახლინა და დაანაფოტა. მერე ნაჯახი ცალი ხელით მოიქნია, ჯირკში ჩააჭედა, თვითონაც იქვე ჩამოჯდა, თუთუნის სქლად გააზვია და ცემრიელად გააბოლა.

ჩვენ ერთი მსხვილი არყის ხე სოღებით დავაპეთ და მათიამშს მივუჭექით. პეზობლებმაც დაისვენეს.

— ენდრე, ამას წინათ აბანოში რომ წამოგვიყვანეს, თივთიკის საცვლები ყველას გაგვხადეს გასარეცხად და მარტო შენ დაგიტოვეს? — მკითხდა ნადიმ.

— მე არ ვყოფილვარ აბანოში, იმ დღეს ჭას ვღარაჯობდი. მერე აღარ გამიმხელია.

— ჭკვიანი ხარ. იცი, დღეს, ალბათ, ისევ დაგვირიგებენ თივთიკის საცვლებს და შენსას ნუ ჩააბარებ, ვითომ არ გაცივია, ვილას ემახსოვრება... გერმანელებმა სულთან-ხორციანად გაგვფტქვენეს და შენ ერთი წყვილი საცვალი რომ ააღლიტო, ცოდვად არ ჩაგვთვლება... ნუ გეშინია, ვერ გაიგებენ...

— მერე, ორი წყვილი თბილი საცვალი ჩავიცვა? დილის გასინჯვავზე რომ მიიხახონ?

— ნუ ჩაიციმევ, დამალე.

— სად დავმალო? ყაზარმას ისე ხშირად ჩხრეკენ...

— მომეცი, მე დავმალავ.

— რად გინდა?

— გამოვუძებნი გზას. ვერონკას კიდევ შევხვდი, ხომ იცი.

— მერე, გამოვიდა რამე?

— ჯერ რა უნდა გამოსულიყო? ისევ შინ მიმიპატიეა. უსიკვდილოდ უნდა მივაციოთხო.

— აჰ, ეს საცვალი ვერონკას გინდა აჩუქო?

— ზარმაცებო, გეყოფათ დასვენება, იმუშავეთ ჩქარა! — დაგვიყვირა კომლერმა.

მათიამშმა თუთუნის ჩააქრო, ნამწვი ქიხისაში შეინახა და ნაჯახს დაავლო ხელი. ჩვენც წამოვიზღაზნეთ. ეფრეიტორი აბანოში შევიდა.

ნადიმ მარჯვენა ხელის სალოკი და შუათითი ტყუბად დადო მორზე და თვალი ჩამიკრა:

— დაარტყი, ამის ჯანიც გავარდეს!

— რა დავარტყა?

— რაც ვიჭირავს.

— მოგჭრა? — ჯერ მის თითებს შევეაღლე თვალი, მერე ჩემი ნაჯახის პირს, — გაღაირიე?

— რა უშავს, შინ წავალ... ორთით-მოჭრილს არავინ დამიწუნებს. შარვლის გახდა და ჩაცმა არ გამიჭირდება...

— კი, თუ გაგიშვებს... აქვე მოგარჩენენ და მერე საჯაროდ დავხვრეტენ.

— ვიტყვი, შემთხვევით წამაჭრეს-მეთქი. შენ ხომ არ გამცემ და...

— გეტყვიან, რალა თოფის სასროლად საჭირო თითები მოგეჭრაო?

— უნებლიეთ რა არ ხდება... ისე, კაცმა რომ თქვა, ეს მარტო ჯარისკაცისათვის საჭირო თითები არც არის, უფრო ქურდებისაა. არა, არ იფიქრო, თითქოს მე ოღესმე ქურდი ვიყავი და ახლა ცოდვებს თითების მოჭრით ვინანიებდე. ჰა, წასუქრი!

— მართლა რომ მოგჭრა, რას იზამ?

— რა უნდა ვქნა? ერთს ლეკვივით დავიწყმუტუნებ და გავჩერდები. ჰა, უთაქე! ნუ გეშინია, მაღლს მოისხამ! წუთისოფელი თამაშია, სხვა არაფერი. ესეც ვცადოთ.



— ვაიმე, ვაიმე! — მომესმა უეცარი ღრიალი. მივიხედე. როზენაუს ერთ ჯარისკაცს მარჯვენა ხელი მარცხენაში უჭირავს, მორზე მისვენებული და კენესის. ყველანი იმ ჯარისკაცს შემოვეჯარეთ.

— რა ამბავია? რა მოხდა?

— ნაჯახი ჭირკს მოვეუქნიე, აისხლიტა და... — იქვე განხევებულ შვეგერემან ჯარისკაცს თვალები სადღაც განზე გაექცა და პირზე სისხლმოცხებული ნაჯახი ბრაზიანად მიაგდო.

— სალოცი და შუათითია?

— ჰო.

— აუჰ! დავიღუპავს კაცი და ეგ არის!

— არაფერიც არ დაულუპავს! — ბრაზიანად ჩაილაპარაკა ქერა ჯარისკაცმა და პირისახეზე ზიზღი აღებეჭდა. — ჩემი თვალით რომ არ დამენახა, არაფერს ვიტყვოდი, თავისით შეუშვირა ხელი, იმან ნაჯახი დაუმეზნა და...

— ბევრს ნუ ლაყობ! — შეუბღვირა ნადიმ.

— სიმართლის თქმა ლაყობაა?

— რაებს ჩმახავ! გინდა ჰაიდუშკა დაზვირტონ?

— აბა, ეგ შინ წავიდეს, თავის ცოლ-

შვილთან და მე მაგის მაგიერადც გიომო?

— მოკეტე! მე დავინახე, უნებურად მოხდა... ეხდრე, შენც ხომ ასე დაინახე?

— ჰო. უნებლიეთ მოუხვდა კაცს ნაჯახი.

— მათიამ, შენც ხომ აქეთ იყურებოდი მაშინ?

— ჰო, ჭირკმა ნაჯახი აისხლიტა და... იცის ასე ნუჭრიანმა ჭირკმა... რალს უყურებთ, ჩვარი იქნებ იშოვოთ სადმე, შევეუხვიოთ სასწრაფოდ!

ქერა ჯარისკაცმა კბილები გააბრჭიალა და ნაჯახმომარჯვებული განზე გადგა. თითებწაჭრილ ჯარისკაცს ხელი სუფთა ცხვირსახოცით შევეუხვიეთ და აბანოს მოსადღეღ დარბაზში შევიყვანეთ. შემობრახუნდა სისხლისფერი ჩექმა ყველას ცალ-ცალკე გვეკითხა, როგორ მოხდაო. რა თქმა უნდა, მარცხს დავაბრალებთ. მხოლოდ ქერა ჯარისკაცმა შეიკავა თავი — არ დამინახავსო.

— პირი შეჰკარით? — არ დაგვიჯერა გოლცერმა, — დედას გიტირებთ ყველას!

მალე ჭრელ-ჭრელი ლაქებით წათითხნილი მანქანა მოაგრიალეს და ჰაიდუშკა სადღაც სასწრაფოდ გააქანეს.

დასასრული იქნება



## ოთხი ლექსი

### ქველავს გმირები გვერდით უღვანავს

შემოგვაბერდნენ ომის გმირები.  
 აღარა ჰგვანან უკვე თავიანთ  
 სურათებს,

მაგრამ დანაპირები

სიტყვა ბოლომდე გაუტანიათ.  
 ზოგს ყავარჯენი ეხამუშება  
 და ზოგს ჭალარა გააგულისებს,  
 უსიტყვოდ, როგორც სცენის მუშები,  
 თავს აღარებენ მყუდრო კულისებს.  
 მაგრამ დარბაზის უმრავლესობა  
 სცენის უხილავ მხარეს უყურებს  
 და ურწმუნოებს უაღერსოდაც  
 არწმუნებს, როგორც ბავშვებს უგნურებს.  
 რომ განსაცდელი უფრო ამაღლებს  
 და სიკვდილივით ათანასწორებს —  
 ამაყებსა და არაამაყებს,  
 ლამაზებსა და ულამაზოებს;  
 ზოლო სოფლებს და მწვეანე ზეტორებს  
 და აულებში ჩადგმულ მოედნებს —  
 აღიარებულ ძეგლებს უტოვებს,  
 რომ გააფრთხილოს ხალხი ყოველდღე...  
 ხალხს ვერ აშინებს ზეცის მუქარა.  
 ზეცამ რაც უნდა ბეერი იჯავროს,  
 ძეგლებს გმირები გვერდით უღვანავს,  
 გმირები თვითონ ჰგვანან ბრინჯაოს.  
 მათ ვერ დაჩაგრავს დრო უმძიმესი  
 და ვერც ასაკი დააბეჩავებს:  
 წიგნებს წერენ და ომის წიგნებში  
 ომისდროინდელ პორტრეტს ბეჭდავენ.

### 335 მზი

სული მხატვრისა ჰვავდა კატორღას,  
სურნელს ნატრობდა მწიფე თავთავთა,  
სკამებს ხატავდა, მაგრამ რატომღაც  
მხოლოდ ცარიელ სკამებს ხატავდა.

თვითონვე იყო თავის გადია,  
ვეფხვივით იწვა თავის ტორებზე,  
ხშირად ამბობდა: წლები გადიან,  
წლები ცარიელ სკამებს სტოვებენ!

ყოველთვის მზიან დღეებს ნატრობდა,  
ძალაც შესწევდა შეპასუხების,  
მაგრამ ყოველთვის სდუმდნენ რატომღაც  
გაურკვეველი ფერის ღრუბლები.

გამოდოდა ისლის კარგიდან  
და მზეს იჭერდა დასალიერთან,  
სულ რამდენიმე წელი გავიდა  
და მისი სკამიც დაცარიელდა.

დამშვიდდა სული მოსპარეზე  
და სისინებდნენ ქარში ისლები...  
უფრო ამაყად სხედან სკამებზე  
სხვა საუკუნის მოხალისენი.

### მისი სურათი

და მოკვდა კაცი... ყველა ძაფი და  
ყველა ჯაჭვი და ყველა ბაწარი  
ერთბაშად გაწყდა, — ისე წავიდა  
თვალის შევლებაც ვერ მოვასწარი;

და მოკვდა კაცი... უცებ დაფასდა  
მისი ბარათი, მისი სურათი,  
და მოგვეჩვენა ყველას ანაზღად,  
თითქოსდა მხოლოდ სხვებზე ფორუნადით;

და მოკვდა კაცი... სულის იარებს  
პირი შეუტრა ხელის კანკალით...  
ისევ ჩხრიალებს, ისევ ჩხრიალებს  
ზოგის ბამბა და ზოგის კაკალი.

ეს ძველისძველი არაკებია,  
და გულუბრყვილო გულებს აქეზებს,  
ცუდები როგორ არა კვდებიან,  
მაგრამ ჩვენ გული გმწყდება კარგებზე.

## ამაყად ვღგავართ სიცოცხლის ხმსთან

ხელი ყველაზე ახლოა გულთან,  
ჩვენ ხშირად ხელში გვიჭირავს გული,  
ფოლადს ვადნობთ თუ მიეყვებით გუთანს,  
ხელეებს გულივით ვიცავთ და ვუვლით.

ამაყად ვღგავართ სიცოცხლის ხმსთან,  
ვგავართ ვეება ხეების ნაფოტს,  
ხანდახან გულზე დავიდებთ ხელს და  
ყველაზე მართალ სიმართლეს ვამბობთ.

ბედნიერები ვიყავით გუშინ,  
არ ვუშინდებთ ხვალინდელ ამინდს,  
ხანდახან მაგრად ვიხუტებთ გულში  
ხელეებს და ისე ვიძინებთ ღამით.

მაინც ვერ ვიკლავთ სურვილს და წყურვილს,  
მაინც მომავალს ვუშვერთ და ვუშმენთ,  
და მხოლოდ მაშინ მშვიდდებთ გული,  
როდესაც ხელეებს დავიწყობთ გულზე.



# გზაზე მოქანაშვილი

## მოთხრობა

ეს უცნაური შემთხვევა ჩვენს ეზოში მოხდა. ახლა, ამ ღირსშესანიშნავ ამბავს რომ ვწერ, ჩემამდე აღწევს მორიდებულ კაცუნის ხმა... ეს ჩემი მეზობელია, პატარა სამუშაო აქვს შინ. წინასწარ უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემი მოთხრობის ფინალი იქნება ჩვეულებრივი კაცუნი, რომელიც ამ შემთხვევაში სევდიოა და მორჩილებითაა გაქვნილი...

ისე, სიმართლე რომ ითქვას, სულ ჩემი ბრალია, რაც მოხდა.

აღუქსი ჩემი კარის მეზობელი იყო. ჩემი კაცი გახლდათ. აივანი საერთო გვექონდა, გამოვიდოდა ხოლმე ჰაერზე პაპიროსის მოსაწევად და თუ მეც იქ დაეხედებოდი, რაიმეს მორიდებულად ჩაილაპარაკებდა ამინდის თაობაზე:

— დღეს შეიძლება მოწვიმოს.

— შეიძლება, შეიძლება, — თავს ვუქნევდი მეც.

სიგარეტსაც კი მორიდებულად ეწეოდა — მუქში ეკავა, თითქოს ეშინოდა, ვინმემ არ დამინახოსო და თუ კვამლი ჩემს წინ დაგუბდებოდა, ხელით ფანტავდა.

— ცხელა დღეს.

— ცხელა, დიახ.

სამი შვილი ჰყავდა. წილებზე ფეხს

იდგამდა, ცოლ-შვილს რომ არაფერი დაჰკლებოდა. რა გინდა, რომ არ სცოდნოდა — უთოს შეკეთება, სინათლის გაყვანა, პატარა კარადის გაკეთება, ანტენის დადგმა, იატაკის გაპრიალება. ტელევიზორის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა და სხვა. სიგარეტის მოსაწევი ღროც კი არა ჰქონდა, — სამიოდე ნაფაზის შემდეგ აივნის კარი იღებოდა და ცოლი ეძახდა:

— კაცო, კიდე მანდა ხარ?

— კარგი რა, ელო, მოესწრება.

— კაცო, — ხმას იმაღლებდა ცოლი, — ჯერ ამოიტანე, რაც ამოსატანია და მერე რაც გინდა, ისა ქენი. რა ნახე ნეტაი მაგ ოხერ პაპიროსში!..

— რომელი ამოვიტანო, კილოიანი? — დროის გასაყვანად ეკითხებოდა ცოლს და თან მალნივალ ქაჩავდა.

— კილოიანი, ჰო!

— კი ბატონო, კი.

სარდაფში არაფრისდიდებით არ შეიტანდა ანთებულ პაპიროსს — მტკიცედ იცავდა ხანძარსაწინააღმდეგო წესებს გარეგნულადაც მოკრძალებული და უპრეტენზიო ჩანდა. ერთადერთი, რაც ყურადღებას იქცევდა, მისი ოქროს კბილი იყო, გაღიმებისას რომ მოუჩანდა. ეს

ებილი უცნაური მეამბოხის შთაბეჭდილებას ტოვებდა — მორცხვი და მორიდებული მეამბოხისა.

გატაცება ვის არა ჰქონია და ალექსისაც ჰქონდა — თავდავიწყებით უყვარდა ჭადრაკი. ღმერთმა დალოცოს ჩვენი უშველელი ეზო — მეზობლები გრძელ მაგიდასთან ვიკრიბებოდით და ჭადრაკს ვთამაშობდით. ხუთი თითივით იცნობდნენ მოწინააღმდეგეები ერთმანეთს: მიხეილს, მაგალითად, ცხენი გაცილებით ერჩია ოფიცერს, სარდიონს კი პირიქით. არჩილს საპირისპირო მხარეს უყვარდა როქის გაკეთება, აპოლონი კი განაპირა პაიკების იერიშზე ამყარებდა მთელ იმედებს. ვისხედით ჩვენს დალოცვილ ეზოში და ჭადრაკის თამაშით ვკლავდით ღროს. სვლა არ გაეთდებოდა, რაიმე რომ არ თქმულიყო:

— ჩვენ ვითამაშებთ... ასე...

— ჰო-ჰო, როგორ შემაშინე, ა. ბატონო...

— ჩვენ წავალთ აი... ასე...

— აჰა... თურმე გამარტივება სურს...

— თქვენი ნებაა...

— კარგი, გავცვალოთ...

— ესე...

— ესეც ესე!

...

— ოფიცერი მოვიგე, ოფიცერი!

— ეს რა გამოვიდა, ვერ დაეინახე...

— მაინც მოვიგებდით ჩვენ.

— რატომ მაინც...

— იმიტომ რომ... შახ! მაგრები ვართ ჩვენ!

ალექსი აღტაცებული ღიმილით დასცქეროდა დაფას და რამდენი ფიგურაც „მოკვდებოდა“, იმდენჯერ აუციმციმდებოდა თვალები. ცოლს როგორც კი დაუსხლტებოდა, მაშინვე ჭადრაკს თამაშობდა. იმ ზღვა ხალხში, მხოლოდ სვლები რომ იციან, ძნელად თუ გამოიძებნება ალექსისთანა სუსტი მოთამაშე. ჩვენს ეზოში ალექსის უამრავი პარტია ჰქონდა ნათამაშევი, ასე, ორი-სამი ათასი და მხოლოდ ერთხელ ვიღაც დაუდევარმა „პატი“ გაუქეთა. უნდა გენახათ იმ დღეს ალექსის აღტაცება — ხე-

ლებს იფშვნეტდა, ყველას სიყვარულით უმზერდა, იღიმებოდა და ის ოქროს კბილიც კი ერთი წამით მისი სხეულის ბუნებრივი ნაწილი გახდა.

ყაიმი... გაეხარებოდა, აბა რა, აქამდე ერთ პარტიაში დიდი-დიდი ორი პაიკი და ერთი მსუბუქი ფიგურა მოეკლა... რაღაც უცნაური, სადისტური აზრები მოსდიოდა მოწინააღმდეგის პაიკების დანახვაზე — სიხარულით იგვებოდა, საკუთარი ეტლი ერთ პარკში რომ გაეწირა. ასე რომ, თავისი ფიგურების მიმართ არავითარი გრძნობა არ გააჩნდა. ეს წესი თანდათან, თვეების მანძილზე გამოუმუშავდა — იცოდა, მაინც რომ წააგებდა და იმ ადვილად წასაქცევ პაიკებს დაერეოდა, სანამ დასცალდებოდა...

იმ ყაიმის შემდეგ, თვალუბგაბრწყინებული ალექსი თავაზიანად რომ დაგვემშვიდობა ცოლის დაძახებისთანავე, ერთი საბედისწერო აზრი მომივიდა. რომელსაც უცნაური შედეგი მოჰყვა — ერთხანს ჩუმად შეეყურებდი პირზე ღიმილმდგარ მეზობლებს, მერე კი გაუბედავად ეთქვი:

— აი... რა იქნება, ერთი პარტია რომ განგებ მოვაგებინოთ?

— ჰა? — გამოცოცხლდა ანდრიკო, — ვითომ?

— რა ვიცი, — პატარა ხანს ჩაფიქრდი, — ეს ყაიმი ასე გაეხარდა და...

— სწორს ამბობს, ხო იცი, — დამეთანხმა მიხეილი, — მაგას რომ მოვაგებინოთ, მართლა გავაბედნიერებთ კაცს და ის იქნება...

— ხვალვე მოვაგებინოთ ერთი პარტია, — წამოიძახა სარდონმაც, სხვებს კაიკაცობაში რომ არ ჩამორჩენოდა.

— ოღონდ არ მიხვდეს, თორემ ცოდა იქნება, — იკაიკავა არჩილმაც.

მეორე დღეს რაღაც უხალისოდ ვთამაშობდით ჭადრაკს — თუ ერთი იგებდა, მეორე აგებდა და ასე... ყველას მოგებუზრდა თამაში, რადგან ალექსის გამოჩენას მოუთმენლად გელოდით.

ის იყო, მიხეილი რომელიღაც პარტიას იგებდა, ალექსი რომ გამოჩნდა. იგი მოაბიჯებდა ჩვენს მწვანე ბაღში.

სადაც ხეები უწესრიგოდ, ყოველგვარი ინტერვალის დაუცველად დერგათ. მისი ჩაეარდნილი მკერდი და გაღუული სახე მორიდებულად მოცუტრავდა ქრისანთემებისა და გეორგინების ზემოთ და ეს დიდებული ფონი შეუფერებელ, თითქოს გზააბნეულ გემს ეკუთვნოდა. ჩვენ ნავსადგურრივით მოჩრჩილად ველოდით მას. ალექსი მოგვიახლოვდა, შეჩერდა და პაპიროსის ნამწვეი ძირს დააგდო — ესეც ღუზის ჩაშვებას ჰკავდა. დადლილი, ახალი მიწების მაძიებელი გემივით მოვიდა ჩვენთან.

— გამარჯობათ.

— ალექსის ვაჟმარჯოს, ალექსის! — სახეში შესცინა ანდრიკომ და ცოტათი დააბნია, — ხომ არ დაბრძანდებით?

— არა, რასა ბრძანებთ? რიგში ჩავდებები.

— არა, ბატონო, დაბრძანდი.

— არა, როგორ გეკადრებათ?

— დაჯექი-მეთქი, კაცო!

ალექსი მიხეილის პირისპირ დაჯდა. მიხეილი დელავდა, ძალიან უნდოდა, ისე წაეგო, ალექსი არაფერს მიმხედარიყო.

ამას რას ხედავს ალექსი! ხისგან გამოჭრილი, შავად შეღებილი, პრიალა ცხენი პაიკს საფეთქელთან დაუჯდა. მოკლას — არც შახი იხსნება და არც არაფერი... მოკლა და მაშინვე შამათს სულგანაბული დაელოდა ამ დიდი ჭილღოს სანაცვლოდ, მოიბუზა, მაგრამ... არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. ალექსი ცოტათი ვაიმართა წელში და სიხარულით ახედა მეზობლებს, მაგრამ ვერავითარი თანაგრძნობა ვერ დაინახა — ისინი შეთქმულებივით წარბშექმუხვნილი იდგნენ და ძლივს იკავებდნენ თავს, რომ არ გაეცინათ.

ახლა გინდა წაეგო, გინდა მოეგო, სულერთი იყო, მაგრამ... ამას რას ხედავს — ოფიცრის გაჭიმული გზის ბოლოში მრგვალთავა დედოფალი დგას და...

— ჩემი სვლაა? — თვალებს არ დაუჯერა ალექსიმ.

— კი.

ისე დააცხრა, ორი თავისი პაიკიც წააქცია. ახლა თითებში ჰყავდა გამომ-

წყვედილი ის უმნიშვნელოვანესი ფიგურა, მინც შიშით დასცქეროდა და მაგრად უჭერდა თითებს.

— უჰ, როგორ შეეცდი, როგორ შეეცდი, — მორთო წუწუნის მიხეილმა.

ალექსი გაიტრუნა, სვლა არ დაიბრუნოსო.

— რას ვიზამთ, ა, ბატონო! — როქი გააკეთა მიხეილმა.

ახლა ალექსის სანუკვარი მიზანი იყო ყაიმისათვის მიედწია, მაგრამ მიხეილი გამარტივებაზე წავიდა, მერე ერთხელაც შეცდა და ენდშილში ალექსის დედოფალი და ორი ფიგურა აღმოაჩნდა მარტოხელა მეფის წინააღმდეგ.

დედოფალი გულდაგულ დაასო მეფესთან და ჩურჩულით იკითხა:

— შამათი?

— წავაგე, წავაგე, — მეფე წააქცია მიხეილმა და არჩილს ადგილი დაუთმო, — დაჯექი!

— არა, ბატონო, თქვენ ითამაშეთ, თქვენი ჭირიშე, — მოეფერა გრძნობებამშლილი ალექსი, — მე მაინც უნდა წავიდე, დაბრძანდით.

— არა, კაცო, ადგომარეუა თამაში.

— აფერტუმი! — მხარზე ხელი დაარტყა ანდრიკომ.

— ალექსი! — აივანზე გადმოდგა ელო, — სადა ხარ, კაცო?!..

— ახლავე, — გასძახა და გახარებულად დაემშვიდობა მეზობლებს.

ანდრიკო ეშმაკობის ხასიათზე დადგა: — მოდი, ხვალაც მოვაგებინოთ...

— ჰა, ვითომ? — თვალეები გაუბრწყინდა აპოლონსაც.

— აბა, რა! ყველამ მოვაგებინოთ, რა გვენაღვლება.

— რომ მიხედეს?

— მიხედეს კი არა...

იმ დღეს პარკეტის დასაგები მასალა მოიტანეს ჩვენს ეზოში. ალექსის თავისი ხელით უნდა დაეგო ახალი იატაკი. მეორე დღეს ლურსმნების საყიდლად წავიდა და ეზოში რომ შემობრუნდა, ანდრიკომ სათამაშოდ მიიწვია:

— ვითამაშოთ ერთი ხელი... რას იპრანუები, შე კაცო!

მეოთხე სვლაზე ალექსიმ ოფიცერი მოიგო, ანდრიკომ კი იგივე ოფიცერი წააგო. მეთერთმეტე სვლაზე დაფას სამუდამოდ გამოეთხოვა ანდრიკოს მშვიდობისმოყვარე დედოფალი. ქალბატონს ცხენებიც მიჰყვანენ, თითოზე სამ-სამი პაიკი იჯდა... დინჯად დასტოვეს სარბიელი იმ ჭირკვივით ფიგურებმა, შინაურულად „ტურას“ რომ ვეძახით და ამდენი ღალატით გადარეული მეფე ალექსის ყოჩაღი ფიგურების რკალში აღმოჩნდა.

— შამათი! — წამოიძახა გამარჯვებულმა და ხელები მოიდგმენიტა.

— წავაგე, ძმაო, რა ვქნა, — წამოდგა ანდრიკო, — დაჩექი ახლა შენ, აპოლონი!

— ჩვენ ვითამაშებთ ესე! — პაიკი მრისხანედ წასწია ალექსიმ.

— კი ბატონო, ა...  
— ახლა... ასე!

— ჩვენ ვითამაშებთ... ასე!

— აუჰ, როგორ შემაშინე?! — ჩაიცინა ალექსიმ, — ჰოპლა! აღარ არის შენი ცხენი...

— უჰ, როგორ შეეცდი!  
— შეცდომაზეა თამაში, აბა როგორ გინდა?

— ალექსი!—აივანზე გადმოდგა ელო.

— ახლავე მოვალ, გენაცვალე! — დაუძახა ალექსიმ. ახლა ცოლი თითქოს გემის ბორტთან იდგა, გეორგიანების ზღვა ლივლივებდა შუაში, ცოლი მიცურავდა საღდაც, კაცმა არ იცოდა სად, ალექსი კი მავრა იჯდა კუნძულზე, რომელსაც ერქვა „შუკუა“, „გონება“, „სახარაინობა“, „გამჭირაინობა“ და სხვა ღირსშესანიშნავი სიტყვები.

— მოდი, კაცო, პარკეტია დასაგები! — გაჯავრდა ელო.

— მოიცა ქალო, ცეცხლი ხომ არ წაგეიდა!—არანაკლებ გაბრაზდა ალექსი.

ელო არ ელოდა ასეთ წინააღმდეგობას, დაბნეულმა მხრები აიჩეჩა და ოთახში შებრუნდა.

— ჩვენ ვითამაშებთ... ასე!  
— ა, ბატონო.

— ამ თქვენ ლამაზ დედოფალს თრახ!

— უჰ, ვერ დავინახე!

— მერე, თვალის ექიმი ტყუილად კრ არ არსებობს... მიდი, ჭირიმე და გიქემებს. — ოხუნჯობაზე გადავიდა ალექსი.

— ეჰ...

— ბოღში, ეს შამათიც ხომ არ არის შემთხვევით? შემდეგი!

სისხლისმღვრელი ხუთი წუთი...

— შემდეგი! მოდი, კაცო, რისი გეშინია, ვის არ წაუფია?

— ალექსი! — ისევე დაუყვირა ცოლმა, — მოდი, ადამიანო!

— დაიცა, ჰო!  
— ალექსი!

მოჭადრაკემ ხმა არ გასცა, მერე ამყად გაუღიმა მეზობლებს:

— იყვირებს, იყვირებს და დაიღლებდა...

იმ დღიდან რაღაცნაირად დამკვიდრდა ჩვენს ეზოში წაგება — ყველა აგებდა, იგებდა მხოლოდ კაცი, რომელიც სამსახურიდან საჩქაროდ ბრუნდებოდა შინ და თავდაჭერებული სთვლიდა, რომ ხეები ეზოში უწესრიგოდ კი არ იყვნენ დარგულნი, არამედ ყველაფერს დიდი კანონზომიერების ხელი აჩნდა.

მიუჯღებოდა ხოლმე ქადრაკის დაფას და ხუთიოდე სვლის შემდეგ დიდებული ხედი გადაიშლებოდა ალექსის თვალწინ: მარცხნივ წახვალ — ოფიცერს მოიგებ, მარჯვნივ — ტურა ჯიხვივით გადმომდგარა, პირდაპირ წაბრძანდები და დედოფალი მაშინვე სულს გააფრთხობს. რომელი გირჩევნია ალექსი?

დიდთა ნადირთა ხოცვა, რა თქმა უნდა.

— თქვენი დედოფლისა არა მშურს, არა, — ცინიკურად დასძენდა, ორი თითით დასწვდებოდა და მერე უსიცოცხლო ფიგურას ზიზღით მიაგდებდა მაგიდაზე, — თქვენი სვლაა, ახლა გვიანდაა. „უი, ვერ დავინახეს“ ძახილი.

არ იქნა და არ ეღირსა ელოს პარკეტზე სიარული. ვერა და ვერ მოიცალა ალექსიმ, ჯერ მეორე დღისთვის გადაჰქონდა ხოლმე სამუშაო, მერე საბოლოო უარი განაცხადა — ეგლა მაკლია, ფიზიკურად ვიშუშავო...

— გადაირიე, ალექსი?



— გადავირიე კი არა, ყველას ვუგებ კონებრივ თამაშს!

დილაადრიან, ეზოში თუ შემხედებოდა, ცას ახედავდა და მეტყობდა:

— დღეს ატმოსფერული ნალექია მოსალოდნელი.

ანდრიკომ ჭადრაკის თამაშისას უამრავი ცლა ჩაატარა — ერთხელ ყველა ფიგურა მოუტკლა, ერთადერთი პაიკიღა დაუტოვა და მერე ისე მოაწყო, რომ ალექსის ოპტიმისტმა პაიკმა გზად შეხვედრილი ყველა ფიგურა დახოცა, დედოფლად გავიდა, მერე სულ ნაცარტუტა აღინა მთელ დაფას და შამათიც გააკეთა. დიდებულნი სანახაობა იყო — ყვითელი პაიკის გზა მწვანედ იყო განათებული, უკან კი წითელი კვალი რჩებოდა. მეორედ, თამაშის დაწყებამდე მეფე მოჰპარა, მაგრამ იერიშით გართულ ჩემპიონს მეფე სად გაახსენდებოდა...

ერთხელ სარდიონს სინათლე გადაეწვა და ალექსი მიიწვიეს — ბოდინში, რომ გაწუხებთ, მაგრამ იქნებ გვიშველოთო...

ალექსიმ დინჯად გამოცვალა საცობები და, კიბეზე მდგარმა, პატარა ლექცია ჩაატარა ელექტროენერჯის თაობაზე:

— საერთოდ, მავთული იტანს ოთხიდან ექვს ამპერს, ხოლო ვატი ათასხუთასია. სინათლის გადაწვის შემთხვევაში სპირალზე ბევრია დამოკიდებული... ალუმინი და ტყვია არ ილექება.

— ალექსი, შემოგველე, დააგე პარკეტი, — გაუბედავად სთხოვდა ცოლი.

— კაცო, — სახეს კმუნნიდა ალექსი, — შენ შენს საქმეს მიხედე და მოკვებული დარჩები.

იმ დღეს განსაკუთრებით ცუდ ხასიათზე იყო, გაზეთში უცნაური შემთხვევა წაიკითხა — თურმე არწივი კურდღელს გამოსდევნებია, კურდღელი კი უეცრად ზურგზე გადაკოტრაილებულა, არწივისათვის თათი გამოუტრავს კისერში და მოუტკავს. ამ ამბეკმა დაამწუხრა — ეპ, ხანდახან ძლიერებს სუსტიები ამარცხებენ, ეს არაა კანონზომიერი შემთხვევა...

ანდრიკოს ახალი გასართობი მოუხდებოდა და ალექსი ჯერ ორ დაფაზე ერთდროულად თამაშა, მერე სამზე, მერე ხუთზე და ერთ მშვენიერ დღეს, კვირას, ჩვენს ეზოში ერთდროულად თამაშის სენასი გამოცხადდა. მეზობელი ეზოებიდან ჭადრაკის დაფები ვითხოვეთ და შავ კოსტუმში გამოწყობილი ალექსი, ყელზე მაგრად შეხვეული თეთრი პერანგით, ოცდაათობმეტ კაცს ერთდროულად შეეგბა.

ანდრიკომ, რომელიც ოცდამესამე კაცად იქდა, მაშინვე წაქეცელი მეფე დაახვედრა. ალექსის ერთხანს გაუტვირდა. მერე კი ვიღიშა და ოქროს კბილი თავისი გამარჯვებული სხეულის კანონიერი ნაწილი, გამოაჩინა:

— სწორი ხარ. ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო.

იმ საღამოს კმაყოფილი და აღტაცებული ანდრიკო ამბობდა, ნეტა იმდენი აბაზიანი მომცა, რამდენი ფიგურაც დღეს ალექსიმ მოკლაო...

ასე გრძელდებოდა ალექსის ტრიუმფი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ელო ჩუმად გამოვიდა ჩვენთან, ეზოში, სკამზე ჩამოჯდა და ატირდა.

— დაწყნარდით, ქალბატონო.

— დაბრძანდით. რა მოხდა?

— რაღა რა მოხდა, — ტიროდა ქალი, — ადამიანად აღარ მაგდებს, სულ ზიზლით მელაპარაკება. სმაც დაიწყოს. სარდაფში პაპიროსიანად ჩადის... რა გქნა, ხალხო, მიშველეთ, ხალხო...

ჩვენ ყველას შეგვარცხვა და, რა თქმა უნდა, მომდევნო დღეებში ერთგულად ვშველოდით ელოს, სანამ ალექსიმ საბოლოოდ თავი არ გაანება ამ დიდი ხნის წინათ გამოგვიღო ბრძნულ თამაშს... იგი მხრებჩამოყრილი ბრძნულებოდა შინ. საწყყლად მიცურავდა ქრიზანთემებისა და გეორგინების ფონზე...

ახლა, ამ მოთხრობას რომ ვამთავრებ, ისევ მესმის კაკუნი: ჩუმი, მორიდებული. სევდიან გაქლენთილი — ორიოდ დღეში პარკეტზე ივლის ელო.



# სხვა თავგანთავსება

## პვეზიკ იხააკიანი

\* \* \*

დავიწყებული, უსახელო, მიუსაფარი  
უდაბურ ველზე მე მინახავს ერთი საფლავი.  
ჩაუზნეჭია მიწისპირი ლოდის სიმძიმეს...

ვინ ჩურჩულებდა ამ საფლავთან: „მშვიდად იძინე!“

გაჰქრა რამდენი საუკუნე, შმაგი თუ წყნარი...  
აქ ისევ დევას ზღვა-ბაღაბი, ნაფარდობს ქარი,  
ტოროლაც ისევ უდარდელად წკრიალებს ცაში...

ვინ იყო იგი, ვინც აქ ობლად სტიროდა მაშინ?

თარგმან კონსტანტინე ლორთქიფანიძემ.





# უცხო, 17

## მოთხრობა

დღეს შაბათია, 17 ოქტომბერი. ჩემს თვალწინ, კალენდრის ფურცელზე, გამოსახულია ორი შავი ციფრი — 17.

შინ არავინაა, — ყველანი სამუშაოზე წავიდ-წამოვიდნენ. მარტოკა დავრჩი და ლოგინში ავადმყოფივით ვწევარ, ადგო-მა არ შემიძლია.

არ მინდა დღევანდელი დღე — შაბათი, 17 ოქტომბერი — ისეთივე იყოს, როგორიც სხვა დღეებია; სხვა დღეები კი აი როგორია ჩემთვის: მალეიძარას აუტანელი ზარი, ვარჯიში, ცივი შხაპი, ქარხანა, ისევე შხაპი, საღამოს — ინსტიტუტი, ღამით — წიგნები.

დედამ, რა თქმა უნდა, სარკმელი დახურა. ჰაერი შეხუთულია და ღვეზელის სუნი ტრიალებს. კედელზე სანკას ფოტოსურათი გადახრილა და მეჩვენება, რომ იგი დაცინვით, აღმაიყვარად მიყურებს.

დილა მშვიდობისა, სანკა! რას გაჩუმებულხარ? რატომ არა მპასუხობ? ჰო, შენ მეტისმეტად შორსა ხარ ახლა, ჩემი ხმა არ გესმის. ისე შორს, რომ ვერასდროს ვერ ვნახავთ ერთმანეთს... ერთხელ მაინც დამლაპარაკებოდი, ბიჭო! უკვე წელიწადია, რაც თვალში მაკლიხარ და ამ წლის ყოველ დღეს, ყოველ

საღამოს და ყოველ წუთს დამნაშავედ ვგრძნობდი თავს შენს წინაშე.

კი მაგრამ, დამნაშავედ რატომ?

ალბათ იმიტომ, ცოცხალი რომ ვარ.

მე იმაზედაც დავთანხმდებოდი, არასოდეს მენახე, ოღონდ მცოდნოდა, რომ სული გიდგას, საღდაც მიწაზე დადიხარ და ხელებს იქნევ. თუმცა არა, ვცრუობ და ეს უარესია. აბა რა ვქნა, სანკა?

დღევანდელ დღეს ისე ველოდი, როგორც დამნაშავე — სასამართლოს. თითქოსდა ჩემს არსებაში რაღაც უნდა აფეთქდეს და ყოველივე ნათელი გახდეს.

ერთი დამიყვირე, სანკა! დამიყვირე ისე, როგორც მაშინ, იმ 17 ოქტომბერს:

— თქვენ პიკონი ხართ, ვლადიმერ პეტრეს ძე, გულგრილი პიკონი. მაგ აზნეიკილი ცხვირის იქით ვერაფერს ხედავთ.

— მილიციელი ჩემგან ნამდვილად არ გამოვა, — გესლიანად ჩაველაპარაკე, — ეს თქვენა ხართ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი. მიდით, ძმაო, მიდით, მოაგროვეთ მთვრალეები!

— შენ მარტო პიკონი კი არა ხარ, —

დაიღრიალა სანკამ, — ხანდახან ხვად-  
გადაც გადაიქცევი ხოლმე!

— რა ქალიშვილივით იშლი ნერვებს,  
სანია? ცივი წყალი დალიე, — გავიცი-  
ნე მე.

სალამოს კი მაინც გავყევი შუტილოვ-  
კაზე სამორიგეოდ.

მე ხომ მაშინ მართლა არ მესმოდა შე-  
ნი და, თავდაპირველად, მთელი ის სა-  
ღამო იაფფასიან დეტექტურ ფილმს  
ჰგავდა... ხელისგულებზე სისხლი დავი-  
ნახე... ის სისხლი შენი სისხლი იყო, სან-  
კა. მაშინ ვერ ხილდე სუნთქავდი.

მხოლოდ სამი დღის შემდეგ, სასაფ-  
ლაოზე, შევიგრძენი ნამდვილად, თუ რა  
მოხდა შუტილოვკას უშენზე. ამაზე მა-  
შინ ბევრს და დიდხანს ლაპარაკობდნენ  
ქარხანაში, რაიკომში თუ სხვაგან. მე კი  
ეს მხოლოდ სასაფლაოზე გავიგე. წვიმი-  
და და მამაკაცებს საწვიმრის საყელოე-  
ბი მალა აეწიათ, დეიდა ვერა კი, დე-  
დაშენი, ჩაშავებული თვალებით საღლაც  
შორს იყურებოდა; მას ხელით აკავებ-  
დნენ.

— ალექსანდრე ლატიშევი იყო...

იყო?

ჩემზე უკეთ არავინ გიცნობდა, სანკა!  
„იყო“ საშინელი სიტყვაა.

იყო სანკა და აღარ არის... აღარც იქ-  
ნება.

უშენობა კი ძალიან მიძიმს. ხანდახან  
მეჩვენება, რომ ამ საღამოს შემდეგ სა-  
ერთოდ არ მიცხოვრია, არაფერი მინა-  
ხავს, არ მსმენია, არ მიმოძრავია...

გუცქერი შენს სახეს და ველოდები,  
როდის ამოიღებ ხმას. შენ კი სლუმზარ,  
სანკა?

მალე ჩვენებიც დაბრუნდებიან სამუ-  
შაოდან. არავის დანახვა არ მინდა ახლა.  
ავდგები და ქუჩაში გავალ. წავალ უშენ-  
ზე. ამბობენ, იქ ახლა ავტობუსები და-  
დიანო.

სადარბაზოდან გამოვდივარ. ცივი ქა-  
რი სახეში მცემს. სველ ასფალტს დაგ-  
ყურებ. აღვის ხეები ისე ფანტავენ ფოთ-  
ლებს, როგორც დიდი, აბურძნული ჩი-

ტები — ბუმბულს. პირდაპირ, სკვერში,  
უკვე ერთად შეუქუჩებიან სკამები. მა-  
თი დახვეული თუჯის ფეხები ირმის  
რქებსა ჰგვანან. ნაცრისფერი კლთხის  
სახლის უზარმაზარი ფანჯრები მკაფიოდ  
ირეკლავენ მანქანებსა და გამვლელებს,  
ცენტრალურ ვიტრინაში ქსოვილზე და-  
ხატულ სანდომიან ქალიშვილს რეკლამის-  
კენზე ხელი გაუშვერია — ახალგაზრ-  
დული კაფე „ოცნება“. კაფე ოთხი თვის  
წინათ გახსნეს. მანამდე კი აქ სასაუზმე  
იყო. ჭუჭყიან, გაბოლილ ოთახში ქურ-  
დულად არაყს სვამდნენ, მომტან ქალებს  
ქონით დათხვრილი წინსაფრები ეკეთათ  
და ისე მიდი-მოდიოდნენ.

სანკა დააანახად ვერ იტანდა ამ სა-  
საუზმეს და ყოველთვის ილანძვებოდა,  
როცა ჩაუვლიდა.

— ესეც სავაჭრო წერტია, რალა. უპ,  
ერთი ნება მომცა!

— მაინც რას იზამდი? — როგორღაც  
სკეპტიკურად ვეკითხებოდი.

— კოლოსალურ რალაცას! რაც კი  
მანდ არის, ყველაფერს ჯანდაბაში გა-  
დავუძახებდი. შემდეგ საფუძვლიანი  
რემონტი, თანამედროვე ავეჯი, სცენა  
ორკესტრისათვის და კარგად მეყოლე —  
ესეც ახალგაზრდული კაფე. განა ცუ-  
დია?

— არა უშავს რა, — ვეთანხმებოდი, —  
ისე, კაცმა რომ თქვას, დიდი უტოპისტი  
ვინმე ხარ, სანკა. ქვეყნად, მგონი, მაგ  
შენს კაფეზე სერიოზული საქმეებიც  
არის.

— უპაცრავად, მაგრამ ყველა სერო-  
ზულ საქმეს ადამიანები აკეთებენ, —  
ბრაზობდა სანკა, — ისინი კი, როგორც  
ცნობილია, არა მარტო მუშაობენ, არა-  
მედ ისვენებენ კიდევ. კულტურულად  
მუშაობას კულტურული დასვენება უნ-  
და მოჰყვეს.

— რა გაზეითით მელაპარაკები! —  
ვიგერიებდი მე, — ეშმაკაც ვაუღლია შე-  
ნი თავი!

— მე მართლაც წავალ ეშმაკთან და  
მოველაპარაკები კიდევ.

სანკა გულიანად იცინოდა. მას მარტ-  
ლაც შეეძლო ყველას მორიგებოდა.

...ჩაფიჭრებული მოვდიოდი და ვილატ დედაბერს დაეჯახე, ბოდიში მოვუხადე და ქუჩა გადავქერი.

— ბეცი სტილიაგა... — ჩაიბუტბუტა ქალმა ზურგს უკან.

მე კვლავ ამ კაფეზე ვფიქრობდი და უცერად უცნაური აზრი დამებადა: „სანკამ ამ კაფეზე არაფერი იცის!“

მაგრამ მე რომ არ შემძლია ახლა შევიდე ტელეფონის ჭიხურში, აკრიფო ნომერი და შევატყობინო:

„სალუტ, სანია! ახალი ამბავი იცი? ჩვენთან, კუთხეში, გაიხსნა კაფე „ოცნება“. ჰო, სავაჭრო წერტის ადგილზე“.

ათი წუთის შემდეგ კი ერთმანეთს შევხვდებოდით, წითელ მაგიდასთან დავსხდებოდით, შევხედავდით, როგორ მოაქვს თეთრწინსაფარიან, მოდურ კუბოკრულ კაბაში გამოკვართულ ჩასუქებულ მომტანს ყავით სავსე ფინჯნები.

მაგრამ ამის გაკეთება უკვე აღარ შეიძლება.

ავტობუსის გაჩერებას მივუახლოვდი. ახალი ნომერი არც ერთს არ აწერია. იქნებ არც კი დადის შუტილოვკაზე ავტობუსი?

— მითხარით, გეთყავა...

— დიახ, დიახ, დადის, — ხალისით მიხსნის დიდცხვირა ქალი, მას ღია ფერის პატარა ქუდი ახურავს, — დღეს პირველი დღეა. იცით, ახალგაზრდავ! გუშინ რადიომ გამოაცხადა, 17 ოქტომბრიდან ავტობუსები ახალი მარშრუტით ივლიან: პაპანიჩის პროსპექტი — შუტილოვკა. რა უცნაური სახელწოდებაა...

— ჰო, — ვეთანხმები. — მართლაც რომ უცნაურია.

ცას შევხედე და სწორედ ამ დროს ლევა დრუბლიდან მზემ გამოიხედა, ისე ნელა და გაუბედავად, როგორც ბავშვმა — კარიდან. ქალის ქუდიზე დამაგრებული კინძისთავი მზის პატარ-პატარა სხივებს ირეკლავდა. ავტობუსიც მოვიდა. შიგ სულ რამდენიმე მგზავრი იყო; მე ბოლო სავარძლის შუა ადგილზე დაეჯექი, რომ გზის ორივე მხარე დამენახა.

ავტობუსი ახალი კვარტალების გავ-

ლით მიდიოდა. შენობების წინ ჯეროჯერ აუღიანთ ნაგვისა და ღორღის გროვები, ხოლო განიერ ქუჩებზე ერთი ხეც არ არის დარჩენილი. სახლების გარშემო უამრავი ბავშვი დარბის და მე მეჩვენება, რომ ისინი ერთმანეთს დასდევენ.

ჩემს წინ მჯდომი მამაკაცი თავის მეზობელს ამ კვარტალების მშენებლობის ამბავს უყვება; უყვება, თუ რა წარმოუდგენელი სიბინძურე იყო ამ ადგილებში სამი წლის წინათ, მერე როგორ ააშენეს რკინა-ბეტონის ქარხანა და სახლთმშენებლობის კომბინატი, როგორ დაიწყეს ერთდროულად უამრავი საძირკვის ჩაყრა...

ის კაცი უთუოდ მშენებელია; იცის, ვინ, სად და როგორ აშენებდა, რამდენი სკოლა და მაღაზიაა აქ. ისიც კი იცის, აი ეს უშენი, მარჯვნიდან რომ იწყება, სწორედ შუტილოვკაა და ამ ადგილსაც მისი სახელი დაერქვა. ოღონდ მას წარმოადგენა არა აქვს, რომ ამ უშენზე ერთი წლის წინათ, 17 ოქტომბერს, მთვრალმა ხულიგნებმა ჩხუბი აუტეხეს კომკავშირულ პატრულს და სასიკვდილოდ დაჰრეს ჩემი მეგობარი სანკა ლატიშევი.

მე მინდა ავდგე და მთელ ავტობუსს გამოვუცხადო: „ამ უშენზე, 17 ოქტომბერს მოჰკლეს სანკა ლატიშევი. ეს მოხდა ზუსტად ერთი წლის წინათ“.

მაგრამ არა, ეს კონდუქტორმა უნდა გამოაცხადოს: „ამ უშენზე, 17 ოქტომბერს, მოჰკლეს ალექსანდრე ლატიშევი“.

ტუჩებზედებული კონდუქტორი კი იღიშება და რაღაცას ყვირის. ნეტავ რას ყვირის?

— ახალგაზრდავ, ბოლო გაჩერებაა!

— ოჰ, გამაღობთ. ჩამთვლიმა.

პროსპექტზე ჩამოვდივარ. „ახალი!“ — ასე ეწოდება პროსპექტს. მარჯვნივ კი სხვა ქუჩა იწყება და მასზე მხოლოდ ერთი დამთავრებული სახლი დგას, სწორედ იმ ადგილზე, სადაც სანკა დაეცა. მაშინ სანკას მარჯვენა ხელისგული მომუქული ჰქონდა, მე კი ხელებს თავქვე ვუწყობდი, რომ მისთვის სუნთქვა გამეადვილებინა.

ჯერ კიდევ ჩაუსახლებელ სახლთან მივდივარ. მზე პირდაპირ ანათებს სახლს და ფანჯრები ისე გაწითლებულან, თითქოსდა ხანძარი წაჰკიდებიათო. გარშემო დიდი ორმოებია; რკინა-ბეტონის ბლოკები და აგურები დაუხვევებიათ. უფრო იქით ფარდლები, ვაგონები და ურიკები, ხოლო ყოველივე ამის თავზე, პორიზონტამდე ამწეების ტყეა. ვდგავარ და შევყურებ შეწითლებულ ცას. თვალს მჭრის ეს სიკაშკაშე. მზე თითქოს გამაზნად გადაქცეულა, იგი ცაში აბნევს სხვადასხვა ფერისა და ზომის უთვალავ რგოლს. რგოლები ტრიალებენ ჰაერში, ბრუნავენ ჩემს წინ. მე კი მათ ვუშვებ თავს და ხელს, ვიჭერ, მერე ამწეთა ისრებზე ვსხამ, გზადაგზა ვფანტავ და ზოგსაც კვლავ ცაში ვისვრი. ისინი ტრიალებენ, ბზრიალებენ...

— რა სილამაზეა, გენკა! — ისმის ჩემს მახლობლად ქალის ხმა, — მოდი, ნახე, რა ვეებერთელა მზეა. მგონია, ნახევარ ცას ფარავს.

— იმიტომ რომ, აქ დიდი სივრცეა, — ეუბნება მამაკაცი, — წავიდეთ, ლუსია, მესინია, არ გაცივდე.

მამაკაცი და ქალი სახლისკენ მიდიან. ისინი სრულიად ახალგაზრდები არიან, ალბათ, ჩემი ტოლები. ჰაბუქს სულ წითელი თმა აქვს, ამ მზესავით წითელი.

განაპირა სადარბაზოსთან ავეჯით დატვირთული ავტომანქანა დგას. მძღოლსა და ახალგაზრდას მაგიდა გადმოაქვთ. ქალი კი ფუთას იღებს, მაგრამ მყისვე მიწაზე დებს — ალბათ, მძიმეა. მანქანასთან მივდივარ, ქალი წელში იმართება და მე ვხედავ: იგი ფეხმძიმეა. ქალი ოცდაათი წლისა იქნება და ისიც წითელია.

— ნება მომეცით, მოგეხმაროთ.  
— არა, რასა ბრძანებთ, მე თვითონ.  
მაგრამ მე ქალს ვესმარები, მიმაქვს ფუთაც, ტორშერიც და სადარბაზოსკენ მივემართები.

— მეოთხე სართული, — მომძახის ქალი.

კიბეზე გენკას და შოფერს ვხვდები.

— ხომ შეიძლება მოგეხმაროთ? —

ვეკითხები გენკას და მევე მივირის ჩემი თავის.

— ამას რა კითხვა უნდა, სამნი ხომ უცებ გადმოვტვირთავთ.

იგი მოაჯირს ეკრობა, რომ გამატაროს და ბავშვივით ელიძება. თითქოს სანკას ჩამოჰკავს. იგი უცებ მახლობელი ხდება ჩემთვის. ზევით ავდივარ და ვგრძნობ, დილანდელი დაძაბულობა თანდათანობით მინელდება.

ძირს ჩამოვდივარ. ლუსია ყვირთვით ჩემოდანზე ჩამომჭდარა და მელოდება, გენკა შოფერის დაყოლიებას ცდილობს, შოფერს თურმე სადღაც ეჩქარება.

— ყური მივღე, გენკა, — ვეუბნები მე და ვგრძნობ, ყოველივე ეს უბრალოდ და სწორედ ისე გამომდის, როგორც საჭიროა, — მოდი, ავეჯი მიწაზე გადმოვტვირთოთ. წავიღეს შოფერი, ჩვენ ავზიდავთ ყველაფერს.

— კაცო შენა ყოფილხარ, ძმობილო, — უხარია გენკას, — დაჰკარ თათი! შენი სახელი?

— ვალოდია, — მე ხელს ვუწვდი. გენკას თბილი და უხეში ხელისგული აქვს.

— ესეც ჩემი მეუღლე, ლუდმილა.

ლუსია იციანს. მე საწვიმარს და ბერეტს ვიხდი და მანქანის ძარაში ვძვრები. შოფერიც მომყვება მოსახმარებლად. მანქანიდან კარგად ჩანს მზის ჩასვლა და ისიც, თუ როგორ ირხევინან ამწეებზე პატარა დროშები. ნახევარ საათში შოფერი წავიდა. მე და გენკამ გავაბოლეთ, ლუსია კი ბინაში ავიდა და აივანზე გადმოვდგა.

— ბიჭებო, შორს რაღაც ტბები მოჩანს! — იძახის ის.

— ტბები?! — გაუკვირდა გენკას.

— დატბორებული კარიერებია, — განვუხმარტე მე, — იქ ოდესღაც თიხას იღებდნენ ფაიფურის ქარხნისათვის. დავიწყეთ ავეჯის ატანა.

— ახლახან ვიყიდეთ, — ამაყად მაუწყა გენკამ, — ლუსიას დეიდასთან იდგა. ჩვენ სხვადასხვა საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდით და...

მუშაობის დროს ვსაუბრობდით და

მეჩვენებოდა, თითქოს ჩემი დიდი ხნის ნაცნობი იყო ეს საუცხოო ქაბუჯი, რომელიც სანჯანაირად ილიმებოდა. გენკამ მითხრა, ლუსია პედინტიტუში სწავლობს, მე კი ქარხანაში ვმუშაობ და ახლა შორიდან უნდა ვიარო.

ჩვენს ქარხანაში გადმოსვლა შევთავაზე. იქვე მოვილაპარაკეთ, რომ შემდეგ კვირას მოვიდოდა და შესასვლელიდან საამქროში დამირეკავდა.

ყველაფერი რომ ავზიდეთ, აივანზე გავვდით გასაბოლებლად. ბინდ-ბუნდში მშენებლობის პანორამა ფანტასტურ ტყესავით მოჩანდა. მარჯვნივ კი ორი მრგვალი ტბა ისე ცივად ბრწყინავდა, გეგონებოდათ, დაბლობზე ორი ვეებერთელა პენსნე აგდიაო.

— გენ! — დაიძახა ლუსიამ სამზარეულოდან, — მაგიდაზე რამე გადაადარე? ჩვენ სკამები შემოვუწყვეთ მაგიდას და ზედაც გავთებები გავშალეთ. ოთახში ჯერ კიდევ ციოდა; კედლები თეთრ ეკრანებს ჰგავდა. ლუსიამ ჩაი, ბუტერბროდი და ერბო-კვერცხი მოიტანა.

— სულ ეს არის, — დამნაშავის კილოთი თქვა მან, — გენკა, იქნებ შენ და ვალოდკას მაღაზიაში ჩაგერბინათ?

— არაა საჭირო, — ვიუარე მე, — ყველაფერი ჩინებულაია.

მინდოდა ასე ვმჯდარიყავი და მესმინა მათი მხიარული ლაპარაკი.

ლუსიას არ გაუხდია. მწვანე პალტოთი დადიოდა და ისე ფრთხილად ადგამდა ნაბიჯებს, თითქოს ეშინოდა, რაიმეს არ წამოვედო.

— წითურო, ნათურა მოქებზე. — მითხროვა ლუსიამ. — არაფერი არ ჩანს.

— შენც დაჯექი და ნუ დარბინარ: ნუ გეშინია, პირს არაფერს ავაცდენთ. სინათლე კი ჯერ საჭირო არ არის. დასანანი ისაა, რომ სასმელი არა გვაქვს, — დაუმატა გენკამ.

— სმას მოესწრებით. — გაიცინა ლუსიამ. — ვალოდია! შემდეგ შაბათს აუცილებლად გვესტუმრეთ, პატარა წვეულებას გავმართავთ.

— აბა, რას ამბობთ, უხერხულია, —

ვცადე უარის თქმა, თუმცა არც თუ ისე მტკიცედ.

— „უხერხულია“ თავი დაანებე, — აღშფოთდა გენკა, — კარადების ზურგით თრევა უხერხული არ იყო? არა, ვალოდია, შენ ჩვენიანი ხარ, მორჩა და გათავდა! ასე არ არის, წითურო?

— ჰო, — თქვა ლუსიამ, — ჩვენ ორივენი წითურები ვართ. ხომ შეამჩნიეთ, ვალოდია? გვარადაც — რეოვები. მართლა, ხომ სასაცილოა, არა?

— სასაცილოა, მაგრამ კარგია, — დავეთანხმე მე.

ლუსიამ და გენკამ გაიცინეს.

— ჩვენც ასე გვგონია, რომ კარგია.

— ხვალ, ალბათ დალაგდებით. საღამოს რას აპირებთ? — უცერად ვკითხე მე, — ხომ უნდა ივანეშოთ საღამე?

— სასადილოში წავალთ. აქვეა.

— იცით რა, წითურო რეოვებო, ამ სახლის პირველი ახალმოსახლენო! ხვალ კაფეში გიწვევთ, ავტობუსი 79-ე, გაჩერება პაპანინის პროსპექტზე, კაფე „ოცნება“. კარგით?

— არა, რა დროს ჩემი კაფეა, არც ერთი კაბა არ მაღვას ტანზე, — თქვა ლუსიამ.

— სისულელეა! წავიდეთ ლუსია, — თხოვა გენკამ.

— კარგი, მოვიფიქრებ.

ლუსიამ ჩაი დაგვისხა. უცერად ფინჯანი ააყირავა, მერე თავის მოუხერხებლობაზე გაეცინა და მკითხა:

— ვალოდია, თქვენ ხომ არ იცით, ვინ არის ალექსანდრე ლატიშევი?

მეგონა კედლებმა დაიქუხეს. ლუსიას ხმა შორიდან მოისმა, თითქოსდა მისი მთქმელი შორს, კუთხეში იჯდა. უცებ ვერ მოვიარე, რას მეკითხებოდა. მხოლოდ იმას მივხვდი, რომ სანჯა ახსენა. მან გამახსენა ის, ვინც არასდროს არ უნდა დამვიწყებოდა, მაგრამ მაინც გადამავიწყდა რამდენიმე საათით. ავირიე, შემამცივნა კიდევ. გონება რომ მოვიკრიბე, ხელმეორედ შევეკითხე:

— რა თქვით, ლუსია?

— არ იცით, ვინ არის ალექსანდრე ლატიშევი?

— თქვენ საიდან იცით ეს სახელი?

— ნუთუ არ ნახეთ, ვალოდია? ასე ეწოდება ჩვენს ქუჩას. ალექსანდრე ლატიშვილის ქუჩა, სახლი № 1.

ვღუშვარ. რა თქმა უნდა, ვუპასუხებ. ახლაც ვუპასუხებ. მხოლოდ ვფიქრობ, როგორ ვუპასუხო.

— შარშან გაზეთებში წერდნენ, რომ ამ ადგილზე რაღაც ამბავი მოხდა, — ამბობს გენკა.

მე ვერ ვხედავ მათ სახეებს. ისინიც ვერ ხედავენ ჩემსას. დიახ, ამ ადგილზე მოხდა ერთი ამბავი. შარშან...

სიბნელეში გენკას და ლუსიას შორის ჩნდება ნათელი ლაქა, რომელიც თანდათან სქელდება და სანკას დამცინავ სახედ იქცევა. ლუსია და გენკა აღარ ლაპარაკობენ. მათ თითქოსდა ესმით, რომ მე ვღუშვარ, მაგრამ არა ისე, როცა სათქმელი არა აქვთ. მე უკვე გადავწყვიტე, ვუამბო მით ყველაფერი, რაც კი სანკაზე ვიცო, ისიც კი, რაც არავისთვის არ მომიყოლია. ამას მთელი წელიწადი ველოდი, ველოდი ამ თთახს, გენკას და ლუსიას, ველოდი ამ საღამოს.

ყოველი ჩემი სიტყვა, გრძელი ბგერის მსგავსად, დიდხანს ჰკიდია ჰაერში. რა კარგია, რომ შუქი არ არის. მე ვლაპარაკობ. სიტყვები ცოცხალი არსებებივით კლთხეში იყუყუებინან. მესმის გენკას და ლუსიას სუნთქვა. ვესაუბრები მათ და ჩემს თავს, უფრო კი საკუთარ თავს.

ვლაპარაკობ, თან თვალს არ ვაშორებ სანკას სახეს და მაგონდება ყოველი წერილმანი. ისიც, იმ დღეს რომ სანკამ წვერის პარხვის დროს კანი გაიჭრა და ლოყაზე ლეიკოპლასტიკრი დაიწება.

ისინი ექვსნი იყვნენ, ჩვენ კი ოთხნი. ოთხივეს წითელი სამკალური გვეკეთა. ჩვენ ერთმანეთის პირდაპირ ვიდექით. ყველაზე სუსტი ბიჭი, უზარმაზარი თეთრი ქული რომ ეხურა, ჯიბეებში მუშტებს აფათურებდა და უწმაწურ სიტყვებს ისე სცრიდა, გეგონებოდა, მიწაზე იფურთხებო. როგორც შემდეგ გავიგე, იგი სიფათა — მენაეთე ყოფილა.

— რას მოგვაშტერადით, წითელლენტიანებო?

ჩვენ მათ ოთხივე მხრიდან შემოვერტყით. სანკამ დინჯად უთხრა სიფათას:

— წავიდეთ შტაბში.

— წადი შენი... — შეიგინა სიფათამ. სანკამ მხარზე დაადო ხელი.

— ხომ არ მოგეხმარო, ძმობილო?

სიფათამ მხრიდან ხელი მოიშორა და აიჭორჩა:

— რა ხელები დაგვიგრძელებია, არამზადავ?

პატარა, ბრაზიანი სიფათა მოკლე ნაბიჯით მიიწევედა სანკასკენ. სანკამ ხელი პირთან მიიღო და სასტვენის ხმამ ჰაერი ორად გააპო. ერთ მხარეზე დარჩა ყოველივე, რაც კი სამყაროში იყო, მეორეზე — ჩვენ და უშენი. სწორედ აქ ხდებოდა რაღაც უცნაური და არანორმალური. ჯერ სანკამ ჩაავლო სიფათას მხრებში ხელი და შეანჯღრია სიფათა დაუსხლტა და სანკას ყბაში გაართყა. შემდეგ ყველაფერი ძალზე სწრაფად მოხდა. მე მუცელში გამართყეს, მიწაზე დავეცი და მხოლოდ მოქანავე ფეხებსა და ტალახიან ფეხსაცმელებს ვხედავდი. ყველა ყვიროდა, მაგრამ სანკას კენესა ყველაზე უფრო ხმამაღალი მომეჩვენა.

— აჰ! — საღდაც გვერდიდან გაისმა მისი ხმა.

არა „ოჰ“, არამედ „აჰ“, როგორც იციან აღფრთოვანების უამს. ერთმანეთზე შეხორხლილი სხეულებიდან ამოვძვერი. ახალი კვარტალის ხალხი აქეთ მორბოდა. მარჯვნივ, სანკას თავთან, ჩემკენ ზურგიით იღვა სიფათა. შემდეგ იგი შემოტრიალდა და თავისიანებს გასძახა:

— ავითესოთ.

ისინი საღდაც სიბნელეში გაუჩინარდნენ, მე კი სანკასკენ გავიქეცი, მაგრამ ფეხი გუბეში ჩავკარი, რაღაცას წამოველე და ცივ ტლაპოში გავიშოტე. სანკას ორი ჭრილობა ჰქონდა, მკერდსა და კისერზე. და კიდევ ერთი, — ლეიკოპლასტიკრით დაწებებული პატარა განაკაწრი ლოყაზე. მაშინვე ვიგრძინე, უკვე არაფერი ეშველებოდა და ხელები თავქვემ ამოვღდე, რომ თავი მიწას არ შეხებოდა. ის ჯერ კიდევ გაჭირვებით, ხინით სუნთქავდა. ვუყურებდი მის ქუ-





თუთოებს და ველოდი, თვალს როდის გაახელდა, როდის ჩამიკრავდა, როდის დასრულდებოდა ეს დაუჭერებელი ამბავი.

სანკას სველი კეფა უხურდა. რამდენიმე წუთის შემდეგ გარდაიცვალა, მაგრამ მე მაინც მუხლებზე ვიდექი და ისე მეჭირა მისი თავი. ვიღაცა მანჯღრევდა და მეძახდა:

— ვალოდია, ვალოდია...

ეს ჭერ მამაკაცის ხმა იყო, შემდეგ კი ლუსიასი. სანკას სახე გაქრა და გონს მოვედი. გენკა კუთხეში ბუხუნებდა, თან სიგარეტს აბოლებდა.

— მე იმ არამზადებს კედელთან... ავტომატით... როგორც ომის დროს, — იგი შეჩერდა და განავრძო, — სანკა პატიოსანი ჯარისკაცი ყოფილა.

დიახ, გენკა, სწორი ხარ. მე უბრალო მოქალაქე ვიყავი და ახლა უკვე მესმის, რომ უნდა შეგეძლოს კარგი ჯარისკაცი იყო. მაშინ კი არ მესმოდა... სწორედ ეს არის ჩემი დანაშაული სანკას წინაშე.

გვიან წამოვედი იქედან. კიბეზე ბნელოდა და სიჩუმე სუფევდა. სხეული შემიმსუბუქდა — თითქოს რამდენიმე კილო დამეკლოს. ყოველ ბაქანზე მოაჯირს ვეყრდნობოდი, ვიდრე ძირს არ ჩავედი. მასპინძლებს კარი არ დაუკეტავთ; თითქოს გზედავდი მათ სახეებს, თბილ, ალერსიან თვალებს. თავი ავწვი და მთელი სახლის გასაგონად დავიძახე:

— ნახვამდის!

— კარგად იყავი, ვალოდია, — ორივემ ერთად მიპასუხა.

პროსპექტზე გამოვედი და ვუცდიდი,

როდის აანთებდნენ რიეოვები სინათლეს. ალბათ, გენკამ ვერ იპოვა ნათურა. გვერდით ქალ-ვაჟმა ჩამიარა. ისინიც სანკას ქუჩას უყურებდნენ.

— რა ზვიადი სახლია, — თქვა ქალიშვილმა, — მღუშარე და ცარიელი, — შეჩერდა, — ვთქვათ და, ვინმე ცხვრობს შიგ? ახლა რომ სინათლე აინთოს?

— ცარიელია, — მიუგო ვაჟმა, — ჭერ კიდევ ჩაუსახლებელია.

— მაგრამ ხომ შეიძლება აინთოს! — დაიყინა ქალიშვილმა, — მოდი, მოვიცადოთ.

მე მომინდა, რომ გენკას მალე ეპოვა ნათურა, ვიდრე ეს წყვილი წავიდოდა. მე მინდოდა დამეძახა: მოიცადეთ-მეთქი და, სწორედ ამ დროს, მეოთხე სართულის ფანჯარაში სინათლეც აინთო. ჩაბნელებული ფანჯრების გვერდით ეს სინათლე საოცრად კაშკაშებდა.

ქალიშვილმა ტაში შემოჰკრა და მხიარულად გაიცინა:

— მე ხომ ვამბობდი! მე ხომ ვამბობდი!

კაცმა მას მხარზე ხელი მოხვია და პროსპექტს გაუყვინენ. მე უკან დავედევნე. მივდიოდი და ვიცოდი: პირველ საათზე შინ ვიქნები, ოთახში, სადაც დღე-ზელის სუნი ტრიალებს. შემდეგ კალენდარს ფურცელს ავახვე, იმ ფურცელს, რომელზედაც ორი შავი ციფრი — 17 აწერია, 17 ოქტომბერი, შაბათი. მერე, ჩემო სანკა, შენს გაღაბრილ ფოტოსურათს გავასწორებ და გეტყვი: „სალამო მშვიდობისა, სანკა!“ შენ კი აუცილებლად მიპასუხებ: „სალამი, ვალოდია“.

თარგმანი ზაალ ჯაფარიძისა.

რ ე ლ ა ქ ი ი ს ა ზ ა ნ :

როცა ჟურნალ „იუნოსტში“ დაბეჭდილ ამ მოთხრობას თარგმნიდა, ზაალ ირაკლის ძე ჯაფარიძე სულ 16 წლისა იყო. მასაც, როგორც მოთხრობის მთავარ გმირს — სანკას, არ დასცალდა თავისი დიდი, ლამაზი ფიქრებისა და ოცნებების განხორციელება...

## პრიც სულაპური

# სულეზის თვზულსული

ზლაპარი

### უფლისწულის უცნაური სიზმარი

ერთხელ ქონდარეთის ხელმწიფის ვაჟმა უცნაური სიზმარი ნახა...

ეს სიზმარი იმდენად საინტერესო მეჩვენება, რომ ამბის მოყოლა აქედან დავაბრე, მაგრამ მერე გადავიფიქრე. მართლაც, რა დროს ხელმწიფის ვაჟის სიზმარია, როცა თქვენ ისიც კი არ იცით, რა ქვეყანაა ქონდარეთი ანდა ვინ არის მისი ხელმწიფე.

სიმართლვე თუ გინდათ გაიგოთ, ასეთ ქვეყანას, სახელგანთქმული მოგზაურიც რომ იყოთ, ახლა ვერსად აღმოაჩენთ. მე კი სარწმუნო წყაროებიდან ვიცი: ქონდარეთი ნამდვილად არსებობდა. მაშინ სხვა დრო გახლდათ. მაშინ მთელი დედამიწა მხოლოდ მშვენიერი ზღაბრული ქვეყნებით იყო დასასლებული. და ამ მშვენიერ ქვეყნებში ცხოვრობდნენ თქვენთვის ცნობილი და საყვარელი ზღაბრების გმირები.

ყველა ზლაპარი, რომელიც თქვენ ვაგიგონიათ ან წაგიკითხავთ, რა თქმა უნდა, იმდროინდელია.

მაშ. ასე! დავიწყით თავიდან:

მაღალი მთებიდან ბარისკენ მოიჩქაროდა ატეხილ ქალღმერთში ჩაფლული მდი-

ნარე ჩქაფუნა. მთის მდინარე, როგორც კი ბარში ჩამოვიდოდა და გაივავებდა, ორად იტოტებოდა. სწორედ ამ ტოტებში შორის იყო მოქცეული ქონდარისკაცების უღამაზესი ქვეყანა ქონდარეთი.

ქონდარეთს განაგებდა ხელმწიფე ქონდარ XV.

ქონდარ XV ამაყობდა მეფური შთამომავლობით. თუმცა ყველაზე მეტად მაინც ის ამაყებდა, რომ თავისი ქვეყნის მეთხოთმეტე მეფე იყო. არც მეტი, არც ნაკლები. საშინლად დაწყდებოდა გული, მეთოთხმეტე ან მეთექვსმეტე მეფე რომ ყოფილიყო.

რას იზამ, კაცია და გუნება!

ქონდარეთს დედოფალიც ჰყავდა. დედოფალს ერქვა ქონდარინე. ამბობენ, ახალგაზრდობაში თითქმის მზეთუნახავს ჰგავდაო. მაგრამ მას შემდეგ, რაც დედოფალი გახდა და ქვეყანას უფლისწული აჩუქა, მეტისმეტად გასუქდა.

ხელმწიფის პირველ ვეზირს — ქონდართუხუცესსაც ბევრი რამ ჰქონდა საამაყო. თუმცა, ქედმაღლობაში არ ჩამომართვანო, მხოლოდ თავისი უზარმაზარი ცხვირით ამაყობდა, განსაკუთრე-

ბით კი ცხვირზე წამოსკუპებული მეჭე-  
ქით. ცხვირს რომ დააცემინებდა, ტყეში  
ფრინველი ფრთხებოდა. მერე ერთსა და  
ორს კი არ გაკმარებდათ, ისეთ ცხვირის  
ცემინებას ასტეხდა, გეგონებოდა, ომი  
დაიწყაო.

ქვეყანაზე არც ერთი ქალიშვილი ისე  
არა ჰგავს მამას, როგორც ფრინტა ჰგავ-  
და ქონდართუხუცესს. პირველ ვეზირს  
ძალიან უყვარდა თავისი ქალიშვილი და  
ყოველდღე ეუბნებოდა: თუ გინდა მზე-  
თუნახავი გახდე, მზეს ნუ დაენახებები.  
თანაც ოსტატებს ისე აგვებინა სასახლე,  
რომ ფრინტას ოთახის სარკმელი პირ-  
დაპირ მისჩერებოდა უფლისწულის ფან-  
ჯარას.

უფლისწულმა მხოლოდ ერთხელ მოჰ-  
კრა თვალი თავისი ფანჯრიდან ფრინტას  
ცხვირს და მას შემდეგ ქონდართუხუ-  
ცესის ქალიშვილისკენ მეორედ აღარ  
გაუხედავს.

მართლა, სულ გადამავიწყდა! უფლის-  
წულს ქონდართუხი ერქვა და ერთხელ  
მეტად უცნაური სიზმარი ნახა. თუმცა  
ქონდართუხი, ალბათ, ვერასოდეს ნახავდა  
სიზმარს, ერთი მეზღაპრე რომ არ ჰყო-  
ლოდა მიჩენილი. ეს მეზღაპრე, როგორც  
კი უფლისწულს ჩაეძინებოდა, დაუჭდე-  
ბოდა სასთუმალთან და ზღაპრებს უყ-  
ვებოდა. სწორედ ზღაპრები იყო მიზე-  
ზი მისი სიზმრებისა — რასაც მეზღაპ-  
რე უამბობდა — იმას ხედავდა ძილში  
უფლისწული.

ქონდართუხი თითქმის ძილში გაიზარ-  
და.

ღამით ზომ ეძინა და ეძინა, არც დღი-  
სით იკლებდა ძილს. ამიტომ დღე-ღამის  
განმავლობაში უამრავ სიზმარს ხედავ-  
და ზოლმე. მაგრამ ის, რაც ახლა მინდა  
გვიამბოთ, არაფრით არ ჰგავდა ადრე ნა-  
ნახ სიზმრებს.

მსუყე და გემრიელი სადილის შემ-  
დეგ უფლისწულმა ჩვეულებისამებრ  
დაიძინა. ჭერ ისევ დღე იყო და, თქვენ  
წარმოიდგინეთ, დღისით, მზისით, ღამე  
დაესიზმრა. ეს, ალბათ, მეზღაპრის ბრა-  
ლი იყო. როგორც ეტყობა, მოსწყინდა  
სულ მუდამ ფუნთუშა ღვეზელებსა და

მოშიშინე ტაფებზე ზღაპრების მოყო-  
ლა და ციციანათელების ქვეყნის მზეთუ-  
ნახავის ზღაპარი უამბო.

უფლისწულს მართლაც დაესიზმრა  
ციციანათელების ქვეყანა და მზეთუნახა-  
ვი. მზეთუნახავს ბაიას ყვირელი ფურც-  
ლებისაგან შეკერილი კაბა ეცვა და, ცი-  
ციანათელებით გარშემორტყმული, ტყე-  
ში მიდიოდა.

ოჰ, რა ლამაზი მზეთუნახავი იყო!  
მანათობელი მწერები გზას უნათებ-  
დნენ, სიყვარულით თავს ევლებოდნენ  
და დასციმციმებდნენ. თუ ციციანათელა  
დაიღლებოდა, ერთი წუთით მზეთუნახა-  
ვის თმაში ჩაიძინებდა. მერე ისევ ამოფ-  
რინდებოდა და თავის ქალბატონს წინ  
მიუძღოდა.

ციციანათელები ზშირად ენაცვლებო-  
დნენ ერთმანეთს, ამიტომ მზეთუნახავის  
თმა ისე ბრჭყვიალებდა, მარგალიტებით  
მოოჭვილი გეგონებოდათ.

როცა ქონდართუხს გაეღვიძა, გაოცე-  
ბისაგან თვალები დაჭყიტა. ასეთი სიზ-  
მარი არასოდეს ენახა. აქამდე მას ყო-  
ველთვის სამზარეულო ესიზმრებოდა.  
ესიზმრებოდა, როგორ ცხვებოდა ღუ-  
მელში ფუნთუშა ღვეზელი, როგორ იწ-  
ვებოდა და მოშიხინებდა ტაფაზე ნაირ-  
ნაირი ძიხვები და კუპატები. ახლა კი,  
უცებ მზეთუნახავი დაესიზმრა, ისიც  
ციციანათელების ქვეყნის მზეთუნახავი.

ამ სიზმრის შემდეგ ქონდართუხს სა-  
სახლეში ვეღარავინ სცნობდა.

გამოიცვალა.

აღარც ჰამდა და აღარც სვამდა. თავის  
საყვარელ უგემრიელეს საქმელებს  
პირს არ აკარებდა. ძველი მზარეული  
დაითხოვეს და ახალი მოიყვანეს. მეზ-  
ღაპრეც გამოცვალეს. ქონდართუხს მაინც  
არაფერი ეშველა.

— მომიყვანეთ ციციანათელების ქვეყ-  
ნის მზეთუნახავი! მე მინდა, მასთან ერ-  
თად ვითამაშო! — ღრიალებდა უფლის-  
წული.

სასახლის კარი საგონებელში ჩაივარ-  
და. არავინ იცოდა, ვინ იყო ციციანათე-  
ლების ქვეყნის მზეთუნახავი ანდა საი-  
დან უნდა მოეყვანათ?

## სალამურა და ზარმაცი ჭია-მაიები

დღედაწიწის ზურგზე მხოლოდ მწყემს-მა ბიჭუნამ — სალამურამ იცოდა, სად იყო ციციანათელების ქვეყანა.

სალამურა ქონდარეთის აღმოსავლეთით, მეცხრე მთაზე მწყემსავდა ჭია-მაიებს.

ზოგს, ალბათ, გაუკვირდება, ჭია-მაიებს რა მწყემსვა და მოვლა-პატრონობა უნდა? დიდად ცდება, ვინც ამას ფიქრობს. იმ დროს ამინდის ბიურო არ არსებობდა და ჭია-მაიას უდიდესი სარგებლობა მოჰქონდა ხალხისთვის. საკმარისი იყო, გეტყვა: „ჭია, ჭია-მაია, ხელო როგორი დარიაო“. და კარგად გაწვრთნილი ჭია-მაია მაშინვე გაშლიდა ფრთებს, გაფრინდებოდა. ერთი-ორი საათის შემდეგ უკან დაბრუნდებოდა და ამინდის ამბავს მოიტანდა. ამინდის წინდაწინ ცოდნა ხელს უწყობდა მოსავლისა და ჭირნახულის ბარაქიანობას. გარდა ამისა, მოგზაურებსაც ხომ უნდა სცოდნოდეთ, ხელო როგორი დარი იქნებოდა. განეგრძობთ გზა თუ კარგ ამინდს დალოდებოდნენ. იმდროინდელ მოგზაურებს პატარა კოლოფებში ყოველთვის ჰყავდათ დამწყვდელული ჭია-მაიები.

თქვენ ახლაც შეგიძლიათ დაიჭიროთ ჭია-მაია, ხელის გულზე დაისვათ და რამდენჯერმე გაუმეოროთ:

ჭია, ჭია-მაია,  
ხელო როგორი დარია?

ჭია-მაია მაშინვე გაშლის ფრთებს და ამინდის გასაგებად გაფრინდება. მაგრამ უკან თუ არ დაბრუნდა, ეს მხოლოდ იმის ბრალი იქნება, რომ რადიოსა და ტელევიზორში ყოველდღე გადმოსცემენ ამინდის ბიუროს ცნობებს. აღარც თქვენ გაინტერესებთ ჭია-მაიას მოტანილი ამბავი და არ უცდით მის მოფრენას.

დანამდვილებით ვერ გეტყვით, გეტყვით მხოლოდ იმას, რაც გამიგონია: მწყემს ბიჭუნას სალამურა თურმე იმიტომ ერქვა, რომ სალამურთან ერთად დაბადებულა.

ირიყრაყებდა თუ არა, უკვე ფეხზე

იღვა. ჭრელ წინდებზე კოხტად ამოისხამდა ქალაქებს და წყალიკრფიას ფოთლებზე დაკროვილი ნამით დაიბანდა ხელ-პირს. შავად დაწინწყლულ წითელ ქულაჯაში გაუყრიადა ხელებს და თავზე ნაზდის ქულს მოიგდებდა. მერე ქამარში ვარქობილ სალამურს ამოიღებდა, სულს ჩაჰბერავდა. ლერწმის ლერიდან ცისკრის სადიდებელი ჰანგები დაიღვრებოდა. ამ ხმებზე იღვიძებდა ბუნება, რომელსაც ყრუანტელივით დაუვლიდა ნიავე.

ჭია-მაიებსაც სალამურის კენესა აღვიძებდათ, ბალახში მიმალული წითელი და ყვითელი ჭია-მაიები გამოდიოდნენ და სალამურას ვარქემო იყრიდნენ თავს. მწყემსი ბიჭუნა ორ ჭია-მაიას გამოარჩევდა, წითელს ქარების ქვეყანაში გაგზავნიდა ამინდის გასაგებად, ყვითელს კი — წვიმის ქვეყანაში. თუ საჭიროდ ჩათვლიდა, თან გამოუცდელ ჭია-მაიებსაც გააყოლებდა, რათა ესწავლათ ქარისა და წვიმის ქვეყნების გზები.

მერე მთებში დიდი მზე ამოვიდოდა. სალამურა ახლა მზის ამოსვლისას დაუკრავდა. მწვანე ფერდობებს თბილი სხივები ეფინებოდა, სალამურა კი თავის ჭია-მაიებს იალაღებზე გაშლიდა ფარასავით.

ერთ დღეს ორი ჭია-მაია გაგზავნა სალამურამ, ერთი ქარის, მეორე წვიმის ქვეყანაში.

მოშუადღევდა.

ჭია-მაიები არ ჩანდნენ.

სალამურა ღელავდა. საოფლებიდან ხალხმაც კი ამოაკითხა.

— სალამურავ, გვითხარი, ხელო როგორი დარი იქნება?

სალამურამ ვერაფერი უთხრა ანდა რას ეტყოდა, როცა მისი ჭია-მაიები ჭერ არ დაბრუნებულყვენ.

ხალხი გაწბილებული გაბრუნდა. სალამურა კი ჭია-მაიების საძებნელად გაეშურა.

დიღხანს მიდიოდა. გზადაგზა სალამურს ჩაჰბერავდა, თუ გზა დაეხნათ,

ნაცნობ ხმას გაიგონებენ და მოფრინდებოდნენ.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, დიდი გზის გასაყართან შეჩერდა. ერთი გზა მარჯვნივ უხვევდა, მეორე — მარცხნივ. მარჯვენა ქარების ქვეყანაში მიდიოდა, მარცხენა — წვიმისაში. სალამურა დაფიქრებული იდგა, ვერ გადაეწყვიტა, საით წასულიყო.

უცებ დაბლა დაიხედა და რას ხედავს: ორივე ქია-მაია იქვე ბალახის ჩრდილში წამოწოლილა, ცაცები თავქვეშ ამოუღვიათ და არხეინად სძინავთ.

— ჰაიბ, თქვე ძილისგულდებო! — დაუყვირა სალამურამ.

გულგახეთქილი ქია-მაიები წამოცვიდნენ. იმ წამსვე გაშალეს ფრთები და გასაფრენად მოემზადნენ, მაგრამ სალამურას ხმამ შეაჩერა:

— ასე გინდათ იცხოვროთ, ზარმაცებო? ახლავე დაბრუნდით უკან!

ქია-მაიებს შერცხვათ სალამურასი და თავი მორცხვად დახარკა. ოღონდ დანაშაული გამოესყიდათ და დაუფიქრებლად გაფრინდებოდნენ ქარისა და წვიმის ქვეყნებში, მაგრამ გვიან იყო. მზე უკვე ჩაასვლულად ემზადებოდა. დარცხვნილობმა გაშალეს ფრთები და თავის იალაღებს დაუბრუნდნენ.

სხვა რა გზა ჰქონდათ!

## ბრიგალი. შხხვედრა ტყის პირას

მეორე დღეს, ის იყო, სალამურა ორ ქია-მაიას ამინდის გასაგებად აგზავნიდა, რომ ცა შავად მოიღრუბლა და დედამიწა საზარელმა ქექა-ქუხილმა შეძრა. თან საშინელი გრიგალი ამოვარდა.

თითქოს ცამ პირი გახსნაო — კოკისპირული წვიმა წამოვიდა. არც სალამურა, არც მთის ძირში გაშლილი სოფლები ამ გრიგალსა და წვიმას არ ელოდნენ.

წვიმდა. აწყვეტილი გრიგალი დაჰქროდა. მთის ფერდობები ნიაღვრებით დაისერა, მდინარეები აღიღდა და სოფლებს წალეკვით ემოქტებოდა.

თავით-თვხამდე გაწუწული სალამურა ქარ-წვიმაში დარბოდა, გაფანტულ ქია-მაიებს ავაროვებდა.

— აი, რა გვიყო სიზარმაცემ, — ამბობდა სალამურა, — ჩვენ რომ გუშინ გაგვევო, როგორი ამინდი იქნებოდა დღეს, ასეთი რამე არ დაგვემართებოდა!

გვიან გამოიძარა. შავი ღრუბელი ვიფანტა და დასავლეთისკენ გადახრილი მზე გამოჩნდა. სალამურამ გაფანტულ ქია-მაიებს თავი მოუყარა და დათვალა. ოცდაათი დააკლდა. სასოწარკვეთილმა კიდევ ერთხელ გადათვალა და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ოცდაათი ქია-მაია დაკარგულიყო. დაკარგულებში ის ორი ზარმაციც ერია.

სალამურამ ქია-მაიები დააბინავა და დაკარგულების საქმენელად გაეშურა. სალამურის დავკრით გადაიარა მალალი მთა და თავქვე დაეშვა ტყისკენ. დაღლილობა მხოლოდ ახლა იგრძნო. ტყის მახლობლად, ქვანზე ჩამოვდა. ირგვლივ ნაღვლიანად მიმოიხედა. ამ თვალუწვდენელ ქვეყანაზე სად ეძებნა დაკარგული ქია-მაიები?

მზე მთებში ჩაესვენა. საღამოს ბინდი დაეფინა მწვანე ფერდობებს. სალამურამ მწუხრისა დაუკრა, დაკვრით ისე გაერთო, ვერც კი შეამჩნია, როგორ წამოეპარა ღამე.

ცაზე უამრავი ვარსკვლავი აკიაფდა. სალამურამ ვაოცებით აიხედა ზევით. ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი ღამისა და ვარსკვლავებით მოჭედული ცის შესახებ, მაგრამ არც ღამელილი ცა და არც აციმციმებული ამდენი ვარსკვლავი ვერ არ ენახა. ანდა როდის ნახავდა, როცა ქია-მაიებთან ერთად იძინებდა და იღვიძებდა.

ტყის თავზე მთვარე შემოვდა, იქაურობას ოქროს ნათელი მოჰფინა. სალამურამ მთვარეს ძველი ნაცნობივით გაუღიმა: მთვარე დღისითაც ანათებს ხოლმე და იცნო. თუმცა დღისით ასეთი ბრტყეილა და შექმფინარი არ არის.

სალამურა ახლა ტყეს შიშტერდა. უცებ მოეჩვენა, რომ ტყეც მოკიფე ვარსკვლავებით იყო სავსე. ოღონდ ტყის ვარსკვლავები მოძრაობდნენ, თასაც ქრებოდა და ინთებოდა, ქრებოდნენ და ინთებოდნენ.

სალამურა წამოდგა. გაყუჩდა. მერე რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ტყისკენ და შეჩერდა, რადგან სიმღერა გაიგონა.

ტყიდან სიმღერით გამოვიდა ყვითელკაბიანი გოგონა. გოგონას გარს ეხვეოდა უამრავი ვარსკვლავი და ღამეში თვალისმოპკრელად ბრწყინავდა. რისი ვარსკვლავები! ვარსკვლავები კი არა, ცოცხანათელების ამაღა მოპყვებოდა.

გოგონა მღეროდა.

გაყუჩებული, ღამის ბინდით მოცული ტყე, მთები, კორდები და მდებარეები ამ სიმღერით ტკებოდნენ. სალამურასაც ისე მოეწონა, რომ ქამარში გარჭობილი სალამური ამოიღო და სული ჩაჰბერა, სალამურის ხმა გოგონას სიმღერას შეუხმატებოდა.

გოგონამ სალამურის ხმა რომ გაიგონა, შეჩერდა. ციციანათელებმა ახლა სალამურას გარშემო დაიწყეს ფრენა და ღამეში ნათლად გამოჩნდა სალამურის დამკვრელი წითელჩოხიანი მწყემსი ბიჭუნა.

— ვინ ხარ? — ჰკითხა ყვითელკაბიანმა გოგონამ.

— მე სალამურა ვარ, ჭია-მაიების მწყემსი.

— მერე ამ ღამეში აქ რამ მოგიყვანა?

— ჭია-მაიები დავკარგე და იმათ ძებნაში შემომალამდა.

— განა შენ იცოდი, რომ მე მათი მოძებნა შემემძლო?

— არა. აქ შემთხვევით მოვხვდი. მაგრამ, თუ შეგიძლია, მაპოვინე ჩემი ჭია-მაიები, მადლობელი ვიქნები.

— კარგი, გაპოვინებ.

— მითხარი, რა გქვია ან ვინა ხარ?

— მეც მწყემსი ვარ. ოღონდ ციციანათელებს მწყემსი. ბაია მქვია.

— ბაია! რა კარგი სახელია! მე მინახავს ლამაზი, ყვითელი ყვავილი, იმ ყვავილსაც ბაიას ეძახიან. მართლა! შენი კაბაც ხომ ბაიას ყვითელი ფურცლები-სავან არის შეკერილი.

ბაიამ გაიღიმა. არაფერი უპასუხა.

— როგორ მაპოვინებ დაკარგულ ჭია-მაიებს?

— ციციანათელებს გავგზავნი და უსათუოდ იპოვიან. ციციანათელები კეთილები არიან. ისინი ღამით დაკარგულ, გზააბნეულ მგზავრებს პოულობენ და გზას უნათებენ.

ბაიამ ქვეყნის ოთხზე მხარეს გაგზავნა ციციანათელები, თან დაარიგა, ვინ უნდა ეძებნათ და როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.

## სალამურას და ბაიას საუბარი. ღამის სიმღერა და ღამშვიდობება

სალამურა და ბაია ტყის პირას ისხდნენ და ჭია-მაიების საძებნელად გაგზავნილ ციციანათელებს ელოდნენ.

— რა კარგი ყოფილა ღამე, — თქვა სალამურამ, — მე ჭია-მაიებთან ერთად ვიძინებდი და ვიღვიძებდი. ღამე არასოდეს არ მენახა, რა კარგი ყოფილა.

— მე კი ციციანათელებთან ერთად ვიძინებ და ვიღვიძებ. ამიტომ დღე არ მინახავს. არ ვიცი, როგორია.

— დღე არ გინახავს?! — გაოცდა სალამურა.

— არა!

— მაშ, არც მზე გქვინება ნანახი.

— არც მზე. მზეს როგორ ვნახავდი.

— განა შეიძლება მზის უნახაობა?!

— მე თუ დღისით არ დავიძინე, ციციანათელებს ღამით ვინ მოუვლის? — ბაიას ცრემლი მოადგა თვალზე, ძალიან უნდოდა მზე ენახა.

— შენ უსათუოდ უნდა ნახო მზე.

— როგორ?

— ზვალ მოვალ და ციციანათელებს მოუვლი. შენ იძინე. განთიადისას გაგაღვიძებ და ერთად ვნახოთ მზის ამოსვლა.



— შენ თუ არ დაიძინე, ჭია-მაიებს ვინ მოუვლის?

— მაშინ რიგრიგობით ვიძინოთ.

— კარგი, — დაეთანხმა ბაია.

— მზის ამოსვლის შემდეგ წავალ.

ჭია-მაიების საძებნელად გაგზავნილი ციციანთელები ჭერ კიდევ არ ჩანდნენ.

— სალამურა, დაუქარი რამე, — შეხებეწა ბაია.

— რა დაუქარა?

— რაც გინდა.

— ახლა ღამეა, მე კი ღამის ჰანგი არ ვიცი. მე ვიცი ცისკრისა, მზის ამოსვლისა, შუადღისა და მწუხრისა.

— მზის ამოსვლისა დაუქარი.

— ამ შუადღით მზის ამოსვლისა როგორ დაუქარა? — გაეცინა სალამურას.

— რა ვქნათ?

— თუმცა, ღამისას დაუქარავ.

— აკი ღამისა არ ვიციო?

— შენ ხომ წელან მღეროდი? შენი სიმღერის ჰანგი იქნება ღამისა.

სალამურამ ღამისა დაუქარა.

ბაია სულგანაბული უჯდებდა ყურს, თან უკვირდა, ასე უცებ, ერთი მოსმენით, ჩემი სიმღერის ჰანგი სალამურამ როგორ გადაიღო.

ეს მართლაც ღამის სიმღერა იყო!

ლერწმის ღეროდან დაღვრილი ჰანგები აღიდებდა ტყის თავზე აელვებულ მთვარეს და იმ უთვალავ ვარსკვლავს, მომაჯადოებლად რომ ციმციმებდნენ ცის კაბადონზე. დიდებას უძღვნიდა ღამის ნიავ-ქარს, ტყეში ფოთლებს რომ აშრიალებდა და დედამიწას მზით გახურებულ გულ-მკერდს უგრილებდა.

— მადლობელი ვარ! — უთხრა ბაიამ, როგორც კი სალამურამ დაკვრა შეწყვიტა. — არასოდეს დამავიწყდება ეს ღამე. ასეთი ღამე ჭერ არ მინახავს.

— მეც მადლობელი ვარ, ღამის სიმღერა რომ მასწავლე.

ბაიამ თვალი მოჰკრა ჭია-მაიების საძებნელად გაგზავნილ ციციანთელებს და ფეხზე წამოღვა. სალამურაც წამოღვა ფეხზე.

ციციანთელებიც მოფრინდნენ და კარგი ამბავიც მოიტანეს: ჭია-მაიები გადარჩენილან და ერთად შექუჩებულებს სძინავთ ღლისა და ღამის გზის გასაყართან.

სალამურამ ბაიას და ამბის მომტან ციციანთელებს მადლობა გადაუხადა. ჭია-მაიების პოვნამ უზომოდ გაახარა. მადლიერების გრძნობით აღესილმა კიდე დაუქარა ღამის სადიდებელი.

მერე ცამ გაფერმკრთალება დაიწყო, მერე მთვარე მთას ამოეფარა და ვარსკვლავებიც სათითაოდ გაჰქრნენ. ციციანთელებმაც დაკარგეს ელვარება.

— ჩემი დაძინების დრო მოახლოვდა. — თქვა ბაიამ და ჩამქრალ ციციანთელებს გახედა, — ესენიც უნდა დავაძინო.

— ნახვამდის, ბაია!

— ნახვამდის, სალამურა!

— ბაია, მზის ამოსვლა გაჩვენო?

— ძალიან მინდა, სალამურა!

— მაშ, ხვალ ღამით მოვალ და რიგრიგობით ვმწყემსოთ ციციანთელები.

— მე დაგელოდები, სალამურა!

— უსათუოდ მოვალ, ბაია!

— ნახვამდის, სალამურა!

— ბაია, ნახვამდის!

ასე დაშორდნენ სალამურა და ბაია ერთმანეთს. ბაიამ დასაძინებლად წაასხა თავისი ციციანთელები. სალამურა კი თავის გზას დაადგა. ღლისა და ღამის გზის გასაყართან გზააბნეული ჭია-მაიები ელოდებოდნენ.

### იცემ ქონდარპითი. სახელგანთქმული ფეხბურთელის მარცხი

სანამ სალამურა თავის დაკარგულ ჭია-მაიებს მიაგნებს, მოდი ჩვენ ქონდარპეთს მივაკითხოთ. ვნახოთ, რა ღღეშია უფლისწული, რომელსაც ციციანთელების ქვეყნის მზეთუნახავი დაესიზმრა.

ქონდარპუნმა, მართალია, მეორე დღესვე მოუმატა ჭამას, მაგრამ დედოფალს მაინც ეჩვენებოდა, რომ მის ვაჟიშვილს ერთი ღლის უჭმელობამ მძიმე დაღი დაასვა. უფლისწულმა ციციანთელების

ქვეყნის მზეთუნახავზე ფიქრი არ მოიშალა და ესეც დიდად აწუხებდა ქონდარინეს. ამიტომ ხელმწიფეს მოეთათბირა და გადაწყვიტა: როგორმე ისე გაერთოთ ქონდარუხი, რომ ციციანთელების მზეთუნახავი დაეწიებოდა.

— იქნებ ფეხბურთის თამაში გინდა? — ჰკითხა დედოფალმა ქონდარინემ დამწუხრებულ უფლისწულს.

— რა არის ფეხბურთი? — გაოცდა ქონდარუხი.

— ფეხბურთი? ფეხბურთი შესანიშნავი თამაშია. — უპასუხა პირველმა ვეზირმა.

— ვითამაშოთ! — ბრძანა ქონდარუხმა. მაშინვე აფრინეს ქალაქში შიკრიკი და ცნობილი ფეხბურთელი კვანტი დაუდგმოთ მოაყვანიეს.

ქონდარეთში ძალიან უყვარდათ ფეხბურთი. მაგრამ, სამწუხაროდ, გუნდი არა ჰყავდათ. ერთადერთი ფეხბურთელი იყო კვანტი დაუდე. კვანტი მარტო გამოვიდოდა მოედანზე და ხან ერთ კარში გაიტანდა ბურთს და ხან — მეორეში.

ფეხბურთის მოყვარული ქონდარელები აღტაცებით უკრავდნენ ტაშს. მაგრამ ქონდარისკაცებმა მარტო აღტაცება როლი იცოდნენ, ისინი დაუნდობლებიც იყვნენ. თუ კვანტი დაუდე კარს ააცილებდა ბურთს, საზარელ ყვირილსა და სტვენას ატებდნენ.

მოედანზე უფრო ხშირად სტვენა და ღრიანცელი ისმოდა, ვიდრე ტაშისცემა. ცნობილ ფეხბურთელს მარჯვენა ფეხი ცოტათი მრუდე ჰქონდა, ამიტომაც ბურთი ბადეში იშვიათად თუ გაეხვეოდა.

მიუხედავად ამისა, მთელი ქონდარეთი ამჯობდა თავისი ფეხბურთელით.

კვანტი დაუდე სასახლეში ბურთიანად გამოცხადდა.

ქონდარუხი ეზოში ჩამოიყვანეს. კვან-

ტი დაუდეს უნდა გაერთო უფლისწული და ფეხბურთი ესწავლებინა.

კვანტი ბურთი მიწაზე დადო და ათიოდე ნაბიჯით დაიხია უკან. მერე კი გასაოცარი სისწრაფით გაქანდა ბურთისკენ.

მეფე ქონდარ XV, დედოფალი ქონდარინე და ქონდართუხუცესი სასახლის ფანჯრებიდან იხედებოდნენ ეზოში. მათ გულით უნდოდათ ქონდარუხს დაეწიებოდა სიზმარში ნაწახი საზიზღარი მზეთუნახავი.

ცნობილი ფეხბურთელი გაშმაგებით ეცა ბურთს და ფეხი მთელი მონდომებით მოუქნია. მაგრამ თქვენ უკვე იცით, რომ კვანტი დაუდეს ცოტათი მრუდე ჰქონდა მარჯვენა ფეხი. ბურთი ირიბად გაფრინდა ჰაერში, ზუზუნით მოხაზარკალი და მოხვდა იმ ფანჯრის მიმას, ქონდართუხუცესი რომ იხედებოდა.

ფანჯრის მინა დაიმსხვრა და ლაწალუწით ჩამოცვივდა ეზოში. პირველმა ვეზირმა ცხვირზე იტაცა ხელი. მინის წვეტიანი ნამსხვრევი ზედ მეჭექე დასობოდა. ექიმებმა მაშინვე ამოაძრეს მინის ნამსხვრევი ცხვირიდან, მაგრამ ცხვირის ცემინება ვერაფრით შეუღერეს. ისეთი ბათქა-ბუთქი ატყდა, ფანჯრის მინებს სულ ზრიალი გაჰქონდა.

— არ მინდა ფეხბურთის თამაში! — აღრიალდა უფლისწული.

ცნობილი ფეხბურთელი კვანტი დაუდე მინის ჩამსხვრევისა და ქონდართუხუცესის შეურაცხყოფისათვის საპყრობილეში ჩასვეს.

— ეგ ფეხბურთელი კი არა, ნამდვილი გარეწარი ყოფილა! — თქვა პირველმა ვეზირმა, მეჭექი საჩვენებელი თითით მოისინჯა და ერთხელაც დააცემინა ცხვირი.

**როგორ განადგურდა ერთ ღამეში დაწერილი ოცდასამი ლექსი**

ხელმწიფის კარის პოეტმა ჰილარიო ბურტამ, როგორც კი ქონდარუხის სიზმრის ამბავი გაიგო, დაჯდა და ერთ ღამეში ოცდასამი ლექსი დაწერა ციციანთე-

ლების ქვეყნის მშვენიერ მზეთუნახავზე. ბურტა პოეტის ნამდვილი გვარი არ იყო. თუ გაინტერესებთ ნამდვილი გვარი, ახლავე მოგახსენებთ: მამამისს, ცო-





ში ზელიას, მთელი ქონდარეთი იცნობდა, როგორც საუკეთესო ხაბაზს. მამა ოცნებობდა, შვილიც ხაბაზად გაეზარდა, მაგრამ ოცნება არ გაუშართლდა. შვილმა პურის ცხობას ლექსების წერა ამჯობინა.

ზელია გვირად არ გამოადგებოდა პოეტს. ამიტომ შეიცვალა გვარიც.

— ნამდვილსა და დიდ პოეტს უსათუოდ მოგონილი გვარი უნდა ჰქონდესო, — ამბობდა სახელოვანი მწერალი.

თვითონაც არ იცოდა. რას ნიშნავდა ბუერა, მაგრამ სიტყვების ქლერადობა მოსწონდა.

— ჰა, როგორია, მეგობარო? ჰილარით ბუერა! როგორა ქლერა? ხომ არის შესანიშნავი? — ეკითხებოდა ყველა ნაცნობს.

— შესანიშნავია, შესანიშნავი! — უდასტურებდნენ აქეთ-იქიდან.

მხოლოდ ერთმა ნაცნობმა ვაუბედა როგორღაც და უთხრა:

— მე მგონი, უაზრობაა.

სახელოვანი პოეტი ამ ნაცნობს მერე აღარ მისალმებია. ქონდარეთში კი, თუ პოეტი არ მოგესალმებოდა, სირცხვილად ითვლებოდა.

არასოდეს დაუწერია ჰილარით ბუერას ერთ ღამეში ოცდასამი ლექსი. ოჰ, რა შთავგონებული ღამე იყო! მართალია, ოცდამესამე ლექსის წერისას ჩაეძინა, მაგრამ ვაღვიძებისთანავე დაასრულა ლექსი და დიდად ნასიამოვნებიც დარჩა.

იმავე დილით ახალი რვეულით გამოცხადდა უფლისწულს. გამოძინებაც კი არ აცალა, უბიდან მაშინვე ამოიღო რვეული.

ქონდარუხს მხოლოდ მეცამეტე ლექსის კითხვისას გამოეღვიძა. საწოლზე წამოჯდა და თვალები მოიფშვნიტა. მერე ყური დაუგდო პოეტს და სლუკუნის აუტყდა. შთავგონებული ჰილარით ბუერა ლექსებს კითხულობდა, ხოლო გულმოკლული ქონდარუხი რაბა-ღუპით ღვრიდა ცრემლებს. უკანასკნელ სტრიქონებზე უფლისწულმა ბღავილიც კი მორთო. მართლაც, რა გული გაუძლიებდა ასეთ სტრიქონებს:

პოეტს თურმე მარტო ქონდარუხი არ უსმენდა.

პირველ ვეზირს ერთი ჯადოსნური ჯამი ჰქონდა. თუ უნდოდა გაეგო, რა ხდებოდა ანდა რას ლაპარაკობდნენ მეორე ოთახში, ამ ჯამს კედელზე მიადებდა და ზუსტად გაიგონებდა ყველაფერს.

ახლაც ასე მოიქცა. აიღო ჯადოსნური თიხის ჯამი და ძირით მიადო კედელს. ისე გარკვევით ისმოდა ჰილარით ბუერას ხმა, გეგონებოდათ, ვინმე დღევანდელი პოეტი ლექსებს რადიოში კითხულობსო.

კმაყოფილმა ჰილარით ბუერამ დაამთავრა ლექსების კითხვა, მოწიწებით დაუკრა თავი უფლისწულს და საწოლი ოთახიდან გამოვიდა. გამოსვლისთანავე ივრძნო, ვიღაცამ მკლავში წაატანა ხელი. პოეტი შეკრთა და თავი სწრაფად მიაბრუნა გვერდზე.

— ოჰ, ბატონო! — წამოიძახა პოეტმა, — დილა მშვიდობისა.

— რა ლექსები წაუკითხე უფლისწულს? — ჰკითხა გაბრაზებულმა ქონდარუხუცესმა.

— ისეთი არაფერი, — მორცხვად გაიღიმა პოეტმა, — წუხელ დავწერე... მშვენიერ მზეთუნახავზე.

— ვისზე?

— ციციანათელების...

— მერე?! — გააწყვეტინა სიტყვა ქონდარუხუცესმა, — განა შენ არ იცოდი, რომ იმ ჯოჯოზე ლექსების წერა კი არა, სიტყვის თქმაც კი აკრძალულია!

— მაპატიეთ, არ ვიცოდი, ბატონო.

— ერთ ღამეში ოცდაოთხი ლექსი! ღმერთო ჩემო, ეს პოეტები სულ გადაირიგენ! ოცდაოთხი ლექსი!

— ოცდასამი, ბატონო. — ფრთხილად შეუსწორა სახელოვანმა პოეტმა ჰილარით ბუერამ.

— თუნდაც ოცდასამი! ცოტაა განა ოცდასამი?

პოეტი დადუმდა. ვერაფერი უპასუხა.

— სად არის ლექსები, რა უყავი? — ისევ შეეკითხა ქონდართუხუცესი.  
 — აქა მაქვს, ბატონო, უბის ჯიბეში.  
 — ახლავე დაწვი! ჩემ თვალწინ! — უბრძანა პირველმა ვეზირმა.

პოეტის საბედნიეროდ იქვე გიზგიზებდა ბუხარი. პილარიო ბუერამ მორჩილად ამოიღო ლექსების რვეული და

ციცხლს შეუკეთა. მერე თავი გადააქნია, შუბლზე ჩამოშლილი თმა კეფაზე გადაიყარა.

ასე გადარჩა სახელოვანი პოეტი ქონდართუხუცესის რისხვას. სამაგიეროდ, შთამომავლობამ ერთ ღამეში დაწერილი ოცდასამი ლექსი სამუდამოდ დაპკარგა.

## თათბირი ხელმწიფის სასახლეში. ბრძენი კინა-ლოკო

ხელმწიფემ ნაზირ-ვეზირებთან თათბირი ისურვა. ყველა ვეზირი და მრჩეველი მოიწვია დარბაზში.

პირველი სიტყვა თვითონ ქონდართუხუცესმა წარმოთქვა. დარბაზში მოწვეულებს განუმარტა, თუ რისთვის შეკრიბა ერთად ამდენი ხალხი.

— ქონდართუხი არაფერს აღარ ჭამს! — ასე დაასრულა თავისი სევდიანი სიტყვა ხელმწიფემ.

უფლისწულის სავალალო მდგომარეობამ დიდად დაამწუხრა თათბირის მონაწილენი. ყველა სინანულით აქნევდა თავს და თვალეზზე მომდგარ ცრემლს იწმენდა.

— უფლისწული აღარ ჭამს!

— ღმერთო, რა გვეშველება!

— მერე, რა მჭამელი ბავშვი იყო!

— აბა! აბა! რამდენს ჭამდა ეგ დალოცვილი?!

ისმონდა აქეთ-იქიდან ვეზირებისა და მრჩეველების შეძახილები.

საშველი არ იყო. არავინ იცოდა, ნამდვილად არსებობდა თუ არა ციციანთელების ქვეყანა. თუ არსებობდა, სად და რომელ მხარეს უნდა ეძიათ? ან ცხოვრობდა კი ციციანთელების ქვეყანაში მზეთუნახავი?

იმ დროს ასეთი საკითხების გადაწყვეტა არც ისეთი იოლი საქმე იყო.

მოთათბირენი სამ ბანაკად გაიყვნენ. ერთნი ამბობდნენ: ამგვარი ქვეყნის არსებობა შესაძლებელია და უნდა ვეძიოთო. ამ ბანაკს მეფე ქონდარ XV ელვა

სათავეში. მეორენი არ ეთანხმებოდნენ: ყოვლად შეუძლებელია ციციანთელების ქვეყანა არსებობდესო. ამათ ქონდართუხუცესი მეთაურობდა.

მესამე ბანაკი არაფერს ამბობდა, თავს იკავებდა. ამიტომ მეთაურიც არ ჰყავდა. დიდხანს, ძალიან დიდხანს იკამათეს. ბოლოს მეორე ვეზირმა წამოიყვირა:

— მოდიტ, ჩვენს ბრძენ კინა-ლოკოს ვკითხოთ!

მეორე ვეზირის წინადადებას საერთო აღტაცება გამოიწვია. ჰკვიან მრჩეველს ტაშიც კი დაუტარეს. მერე საითთაოდ მივიდა ყველა და ხელი მაგრად ჩამოართვა. მთელმა სასახლემ იცოდა, პირველ ვეზირს ჰკუთით მეორე ვეზირი სჯობდა, მაგრამ ახალგაზრდა იყო და არ აწინაურებდნენ.

სახელამძარბეული ქონდართუხუცესი განუხ იდგა. მტკივანი ცხვირი ნიკაპამდე ჩამოეკიდა. გაბრაზებული ბურტყუნებდა თავისთვის: პირველი ვეზირი მე ვარ და რატომ მინიცდამაინც მეორე ვეზირს გაახსენდაო კინა-ლოკო?

— ბრძენი კინა-ლოკო სასახლეში მოვიწვიოთ! — ბრძანა ხელმწიფემ.

— კინა-ლოკო არსად არ დადის, ხელმწიფევ! — მიუჯო ქონდართუხუცესმა.

— როგორ თუ არ დადის? — გაუკვირდა ქონდარ XV-ს.

— ასეთი გუნებისაა, ხელმწიფევ, არსად არ დადის. — გაუმეორა პირველმა ვეზირმა.

— ძალით მოვიყვანოთ! — ისევ ბრძანა ხელმწიფემ.

— რა აზრი აქვს ძალით მოყვანას, — თქვა მეორე ვეზირმა, — კინა-ლოკო თუ ძალით მოვიყვანეთ, კრინტსაც ვერ დავაძვრებინებთ.

— მაშ, რა ვქნათ! — იკითხა გაკვირვებულმა ხელმწიფემ.

— დიდო ხელმწიფე, — მიმართა მეორე ვეზირმა, — ელჩად მე გამგზავნეთ, ოღონდ სხვებიც გამაყოლებთ, რომ ბრძენის ნათქვამის სისწორე დამიდგასტურონ.

— ბრძენთან ჩვენ ყველანი ერთად წავალთ. გარდა ხელმწიფისა. — წინ წამოდგა ქონდართუხუცესი და ქონდარ მეთხუთმეტეს მღაბლად დაუკრა თავი.

კინა-ლოკო ნამდვილი ჭკუის კოლოფი იყო. მას გაგონილი ჰქონდა, ვილაც ბრძენმა მთელი ცხოვრება კასრში გაატარა და გადაწყვიტა, თვითონაც ასე ეცხოვრა. ოღონდ ეს კია, ქონდარეთში კასრებს არ ამზადებდნენ და არ იცოდა რა ელონა. ბოლოს გზის პირას ლოკო-კინას ცარიელი ნიჟარა იბოვა. შიგ შეიხედა, კარგად დაათვალიერა. ენაც კი აუსვა: ერთი ვნახო, რა გემოსიაო. ძალიან მოეწონა ბრძენს ლოკოკინას ნიჟარა, ღმერთს მადლობა შესწირა და თქვა: აბა, ასეთ ბინას სადღა ვიშოვი, სწორედ ის არის, რასაც ვეძებდიო!

გზის პირას დასახლდა ბრძენი. სახელიც შეიცვალა, კინა-ლოკო დაირქვა. სახელის მოგონებისთვის ისეთი დიდი ჯაფა არ დასდგომია, როგორც სახელოვან პოეტ ჰილარიო ბუერას. სიტყვა ლოკოკინა ბრძენმა დაანაწევრა და აღმოაჩინა, რომ იგი რვა ასოსაგან შედგებოდა. წინა ოთხი ასო უკან გადაიტანა, ხოლო უკანა ოთხი ასო — წინ. ასე გამოვიდა კინა-ლოკო.

ბრძენს არ გაჰკვირვებია, როცა ნიჟარადან გარეთ გაიხმეს და უცებ ამდენი ნაზირ-ვეზირი დაინახა ერთად შეყრილი. მასთან უფრო ბევრიც მოსულა. საერთოდ, ხშირად მოდიოდნენ ბრძენთან რჩევა-დარიგების მისაღებად. კინა-ლოკომ ასეთ დროს დაზარება არ იცოდა.

ერთხელ ჰკითხეს:

— ბრძენო კინა-ლოკო, წელს იქნება თუ არა გვალვა?

ბრძენმა უპასუხა:

— თუ წვიმა არ მოვიდა, გვალვა უსათუოდ იქნება!

იმ წელს მართლა არ მოვიდა წვიმა და საშინელი გვალვები დაიჭირა.

ერთხელ კიდევ ჰკითხეს:

— ბრძენო კინა-ლოკო, წელს გვექნება თუ არა ქონდრის მოსავალი?

ბრძენმა ამჯერად ასე უპასუხა:

— თუ საერთოდ კარგი მოსავალი მოვიდა, ქონდარიც გვექნება უსათუოდ.

იმ წელს მართლა კარგი მოსავალი მოვიდა და ქონდარელებს ქონდარი თავზე საყრელი ჰქონდათ.

აი, როგორი ბრძენი იყო კინა-ლოკო!

ხელმწიფის ელჩებმა კი სულ სხვა რამე ჰკითხეს.

— ო, დიდო ბრძენო კინა-ლოკო, გვითხარით, არსებობს თუ არა ციციანთელეების ქვეყანა?

— ღამე. — უპასუხა ბრძენმა.

— რა? — ჰკითხა ქონდართუხუცესმა.

— ღამე. — გაუმეორა ბრძენმა.

— რა? — ისევ ჰკითხა ქონდართუხუცესმა.

— ღამე. — თქვა მესამედ ბრძენმა კინა-ლოკომ და თავის ნიჟარაში შევიდა.

ხელმწიფის ელჩებმა ვერაფერი გაიგეს. ეს რა თავსატეხი გაუჩინა ბრძენმა-ქონდრის კაცმა.

## საგონებელში ჩავარდნილი ელჩები მეორე ვეზირმა იხსნა

ხელმწიფის ელჩები ლაპარაკ-ლაპარაკით მიდიოდნენ სასახლისაკენ. ყველას ერთი სიტყვა ეკერა პირზე: „ღამე“. ნეტავი რას ნიშნავდა ეს სიტყვა? ელჩები

დარწმუნებულნი იყვნენ, რომ კინა-ლოკომ ბრძნული რჩევა მისცა, მაგრამ ამ სიბრძენს ამოხსნა უნდოდა.

დალონებულები სასახლის კარიბჭეს

მიუახლოვდნენ. უცებ მეორე ვეზირს თვალები გაუბრწყინდა და წამოიყვირა: — მიგზვდი, რასაც ნიშნავს „ღამე“! თუ გვინდა ციციანთაულების ქვეყნის პოვნა, ღამით უნდა ვეძებოთ.

უცებ ყველა ელჩი შეთანხმებულად გაეპარა სასახლისაკენ. ისინი, რა თქმა უნდა, მაშინვე მიხვდნენ, რომ მეორე ვეზირმა კინა-ლოკოს სიბრძნე ამოხსნა. ყოველ მათგანს უნდოდა, ხელმწიფის ქება დაემსახურებინა, უნდოდა პირველი მისულიყო ქონდარ XV-სთან და ციციანთაულების ქვეყნის ამბავი მიეხარებინა.

რკინის ჭიშკარი მეტად ეიწრო იყო და, აბა, ყველა ერთად როგორ გაეტეოდა! აქ მოხდა, რაც მოხდა!

ელჩეები ჭიშკარში გაიჭედნენ, ვერც წინ მიდიოდნენ და ვერც უკან. სულ და-

ავიწყდათ კეთილმოხილვა და თავაზიანობა, ერთმანეთს ფერდებში მაგარ-მაგარ მუჭლუფუნებს თავაზობდნენ, ტანსაცმელს ახედდნენ. ერთი ელჩი მეორე ვეზირს ყურზეც კი ჩამოეკიდა, თითქოს საყურე ყოფილიყო.

მერე ჭიშკარმა იხულა, ყველანი ერთად გაცვივდნენ ეზოში და საშინელი ზედახორა დაიწყო. ერთმანეთში ისე აირივნენ, ვერ გაარჩევდი, რომელი ფეხი რომლისა იყო და რომელი თავი — რომლისა.

ბოლოს მაინც მეორე ვეზირმა ივაჟკაცა. ზედახორიდან გამოძვრა და მთელი ძალით მოჰკურცხლა ხელმწიფისაკენ.

როგორც იცით, მეორე ვეზირი სხვებზე ახალგაზრდა იყო და ახალგაზრდობამ მაინც თავისი გაიტანა.

## ქონდართუხუცესის ვერაბული ზრახმები

ამ ზედახორაში მხოლოდ ქონდართუხუცესს არ მიუღია მონაწილეობა. მეორე ვეზირმა ამოხსნა თუ არა კინა-ლოკოს სიბრძნე, პირველ ვეზირს კერაგულმა აზრმა გაუელვა თავში. იმ წამსვე გაშორდა იქაურობას, თავისი სასახლისკენ გაეშურა. სწრაფად აიბრინა მარმარილოს კიბეები და ქალიშვილის ოთახს მიაღდა.

ფრინტა სარკის წინ იჯდა, თმას ივარცხნიდა. სარკეში დაინახა: კარი გაიღო და ოთახში მამა შემოვიდა.

— ოჰ, მამა! — ფრინტა წამოხტა და მამას მიეგება.

ქონდართუხუცესმა თავზე გადაუსვა ხელი ქალიშვილს და ჰკითხა:

— წუხელ როგორ გეძინა, შვილო?

— კარვად. — მიუგო ფრინტამ. მერე ისევ სარკის წინ დაჯდა და თმის ვარცხნა განაგრძო. — თურმე ჩვენს ქალაქში გამოჩენილა ექიმი, რომელიც ცხვირებს აპატარავებს.

— შენ საიდან იცი?

— ფურისულამ მითხრა.

ფურისულა მოახლე გოგო იყო.

— მერე რა ეშმაკად გინდა ცხვირის დაპატარავება?

— ცოტას დავიპატარავებ. ასე უფრო ღამაში ვიქნები.

— ცხვირი ჩვენი გვარის სიამაყეა!

— მაშინ მეტეკს მაინც მოვიშორებ.

— არავითარი მეტეკი! — გაბრაზდა ქონდართუხუცესი. — შენ ის გააკეთე, რასაც მე გეტყვი!

— რა გავაკეთო?

ქონდართუხუცესმა ჯიბიდან ქისა ამოიღო, ფრინტას მიუახლოვდა. ქისა გახსნა და მაგიდაზე დააბრჭყვავა. მაგიდაზე მარგალიტები და სხვა ძვირფასი თვლები გაიბნა. ფრინტას თვალები აუჭრელდა.

— ფურისულას დაუძახე და უთხარი: ეს პატიოსანი თვლები კაბის გულისპირზე დაგიკეროს, ეს შვიდი მარგალიტი კი დაგიბნოს თმაში. დღეს ასე უნდა გამოეწყოს.

პირველმა ვეზირმა მარგალიტებიდან შვიდი ამოარჩია და განზე დააწყო.

— უჰ, როგორ ბრჭყვიალებენ! — ვერ დამალა აღტაცება ფრინტამ.

— უფლისწულმა ციციანთაულების

ქვეყნის მზეთუნახავთან თამაში მოი-  
სურვა. დღეიდან შენ იქნები ციციანათე-  
ლების ქვეყნის მზეთუნახავი.

— რა კარგია! — ტაში შემოაკრა  
ფრინტამ. — რას ვითამაშებთ მე და  
უფლისწული?

— რასაც მოინდომებთ, იმას ითამა-  
შებთ.

— მერე გავხდები ციციანათელების  
ქვეყნის მზეთუნახავი?

— მოიმსინე, ფრინტა! ამ ღამით შენ  
ბუჩქებში დაიმალება...

— ბუჩქებში? ისიც ღამით? მეშინია!

— ნუ გეშინია! ფურისულა გვერდით  
გვეყოლება, მაგრამ იმას მარგალიტები  
არ ექნება და ღამეში არ გამოჩნდება.  
ხომ გახსოვს, უფლისწულის ფანჯრის  
წინ ბუჩქებია, იქ დაიმალება. მე ფანჯ-

რიდან ნიშანს მოგცემ, შენ ბუჩქიდან გა-  
მოხვალ და უფლისწულს დაენახები.  
აციმციმებული და აბრჭყვიალებული  
რომ გაივლი, ქონდარუხს ნამდვილი  
ციციანათელების ქვეყნის მზეთუნახავი  
ევგონები.

— მერე?

— უფლისწული მოინდომებს შენ-  
თან თამაშს.

— რას ვითამაშებთ?

— ან თვალხუშობანას, ან ასკინკილას.

— მე არ მიყვარს ასკინკილა.

— რა დროს ეგ არის, ფრინტა, მთა-  
ვარია, უფლისწულმა შენთან თამაში  
მოინდომოს.

ქონდართუხუცესმა კიდევ ერთხელ  
დააჩივრა ქალწული, ასე და ასე მოიქე-  
ციო და ოთახიდან გავიდა.

## უფლისწულის გავიძობა. სასახლის ბაღში ციციანათელების ცრუ მზეთუნახავია

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, რო-  
ცა ქონდართუხუცესი თორმეტი ქონდ-  
რის კაცის თანხლებით შევიდა უფლის-  
წულის საწოლ ოთახში.

უფლისწულს ეძინა.

— უფლისწულო! — ხმადაბლა დაუ-  
ძახა ქონდართუხუცესმა. — გაიღვიძეთ,  
უფლისწულო!

უფლისწულმა ხერინვა ამოუშვა.

— უფლისწულო! — ქონდართუხუ-  
ცესმა ხელი მოაკიდა ქონდარუხს და  
ფრთხილად შეარბია.

უფლისწული გულაღმა ამოტრიალდა  
და მუცელი მოიფხანა.

ქონდართუხუცესმა ქონდრის კაცებს  
გადახედა და უფრო მაგრად შეანჯღრია  
ქონდარუხი. საშველი მაინც არ იყო.  
პირველმა ვეზირმა ამოიხვეწა და ფან-  
ჯარას მიაშურა, ეზოში გადაიხედა: იქ  
ერთი ბუჩქი საოცრად ციმციმებდა.  
კაცს ეგონებოდა, მთელი ქვეყნის ციცი-  
ნათელები იმ ერთ ბუჩქს დახვევიაო.

ქონდართუხუცესი ისევ დაბრუნდა  
უფლისწულთან. ახლა უფრო მაგრად  
მოაკიდა ხელი და შეანჯღრია.

— უფლისწულო! უფლისწულო!

ერთმა ქონდრის კაცმა ფეხის გულ-  
ზე მოუღიტინა. ქონდარუხმა ფეხი სა-  
ბანში შემალა და გაიცინა. გაღვიძებით  
მაინც არ გაღვიძებია.

ახლა უკვე თორმეტივე ქონდრის კა-  
ცი დაესია ქონდარუხს. ზოგი უყვირო-  
და, ზოგი ანჯღრევდა, ზოგი უღიტინებ-  
და. ბოლოს და ბოლოს მოთმინების ფია-  
ლა აიგოს! ყველაზე დაბალმა და მსუ-  
ქანმა ქონდრისკაცმა ველარ გაუძლო ამ-  
დენ ბრძოლას და უფლისწულს ფეხის  
ცერა თითზე კბილებით ჩააფრინდა.

ქონდარუხს განწირული ხმა აღმოხდა!  
ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ უფლის-  
წულმა გაიღვიძა.

— იჩქარეთ, უფლისწულო! — უთხ-  
რა ქონდართუხუცესმა. — ციციანათე-  
ლების ქვეყნის მზეთუნახავმა თავისი  
ფეხით მოგაკითხათ.

— ვაი, თითი! ვაი, თითი! — ღრია-  
ლებდა ქონდარუხი, თან ნატკენი ცერა-  
თითი მუჭში ჩაებლუჯა.

— თქვენს ეზოში მზეთუნახავია, უფ-  
ლისწულო!

უფლისწული წამოხტა და ფანჯრის-  
კენ კოჭლობით გაიქცა.

— აბა, სადა?

— აი, აქა! — ქონდართუხუცესმა ფან-  
ჯარა გამოაღო, ამავე დროს ხელით ანიშ-  
ნა თავის ქალიშვილს, ბუჩქიდან გამო-  
დიო.

ფრინტა ბუჩქიდან გამოვიდა.

ღმერთო, რა სანახაობა იყო!

აეღვებული, აციმციმებული, აბრ-  
ქყვილებული მზეთუნახავი ეზოში და-  
დიოდა.

— ჩქარა ჩამაცვით! — ბრძანა უფ-  
ლისწულმა.

თორმეტი ქონდრის კაცი დატრიალ-  
და. თვალის დახამხამებაში გამოაწყვეს  
ხელმწიფის ვაჟი. წაღებს რომ აცმევდ-  
ნენ, ერთი კი შეჰყვირა: „ვამიე, ფეხო!“  
მაგრამ ამისთვის ყურადღება არავის მი-  
უქცევია.

უფლისწულმა კიბეები ჩაირბინა და  
ეზოში გაიჭრა. უცებ გაშეშდა. მას ნელ-  
ნელა უახლოვდებოდა ციციანთელების  
მზეთუნახავი. ათ ნაბიჯზე რომ მოუახ-  
ლოვდა, მზეთუნახავი შეჩერდა.

— რა გქვია? — ჰკითხა ქონდართუხმა.

ქონდართუხუცესის ქალიშვილს კინა-  
ღამ წამოსცდა: „ფრინტა მქვიაო“, მაგ-  
რამ დროზე შეიკავა თავი.

— გინდა ვითამაშოთ?

— რა? — იკითხა მზეთუნახავმა.

— ასიკნიკილა. — უპასუხა ქონდა-  
რუხმა.

— ასიკნიკილა არ მიყვარს.

ქონდართუხუცესს თავისი ჯადოქრუ-  
ლი თიხის ჯამი კედელზე მიედო და ყვე-  
ლაფერს ისმენდა. გულზე სკდებოდა:  
ჩემი ქალიშვილი ხომ დავარიგე, როგორ  
უნდა მოქცეულიყო და რას ჰქვია, ას-

იკნიკილა არ მიყვარსო!

— მაშინ თვალხუტობანა ვითამა-  
შოთ! — არ ეშვებოდა უფლისწული.

— ვითამაშოთ. — დაეთანხმა მზეთუ-  
ნახავი.

— ვინ დაიმალება?

— მე ვერ დავიმალები.

— რატომ?

— განა ვერა ხედავ, რატომ?

— აბა, ციციანთელები გიშლიან ხელს.  
მამ თმის დაწიწკნობანა ვითამაშოთ.

— ეგეთი თამაში პირველად მესმის.

— შენ გაიქცევი, მე კი გამოგეკიდებ-  
ბი. დაგიქერ და თმებს დაგაწიწკნი, —  
აუხსნა უფლისწულმა.

— ვაი, ეგრე ხომ მეტკინება?

— მერე რა, უნდა მოითმინო! — უფ-  
ლისწული მზეთუნახავისკენ წავიდა, უნ-  
დოდა, ციციანთელებიანი თმა მოეწიწკ-  
ნა, მაგრამ სახე დაინახა თუ არა, განწი-  
რული ხმით იყვირა: — ოჰ, ცხვირი! მო-  
მატყუეთ! ეს მზეთუნახავი კი არა,  
ფრინტაა!

გაბრაზებული ქონდართუხი სასახლის  
კიბეზე ავარდა.

საწოლი ოთახის კარი შეაღო, ეგონა,  
ქონდართუხუცესი იქვე დახვდებოდა,  
მაგრამ პირველ ვეზირს თავის ქონდრის  
კაცებიანად გაპარვა მოესწრო.

ამ დროს ხელმწიფე საიდუმლოდ  
ეთათბირებოდა მეორე ვეზირს. მათ გა-  
დაწყვიტეს, ციციანთელების ქვეყნის  
აღმოსაჩენად დედამიწის ოთხივე მხარეს  
ღამის შიკრიკები დაეგზავნათ.

ამის შესახებ უფლისწულმა არაფერი  
იცოდა. ოთახში შესვლისთანავე დაე-  
ძინა. დილით რომ გაიღვიძა, რაც წუ-  
ხელ თავს გადახდა, ცხადი იყო თუ სიზ-  
მარი, აღარ ახსოვდა.

## დაკარგული ჰია-მაიხვის პოვნა. ისევ ტყის პირი. სამწუხარო ამბავი

სალამურამ დღისა და ღამის გზის გა-  
საყართან მიაგნო დაკარგულ ჰია-მაიხვს.  
უნდა გენახათ, როგორი სიხარულით  
შეეგებნენ ჰია-მაიხვი თავიანთ პატრონს,

ხელეებზე დაფრინდნენ, ეფერებოდნენ,  
ხან ტიროდნენ, ხან იცინოდნენ.

— მე თქვენ აღარ დავსჯით, — უთხრა  
სალამურამ ზარმაცებს, — თქვენი სი-



ზარმაცის საფასურად ამ ტანჯვას და წვალებას გაკმარებთ. ალბათ, უკვე მიხვდით, რა უბედურების მოტანა შეუძლია სიზარმაცეს.

მშობლიურ იალაღებს მოწყვეტილებმა მართლაც მძიმე წუთები გამოიარეს: წვიმა, გრივალი, მერე ეგზოობა, შიში და უძილობა. ზარმაცებმა შეიგნეს დანაშაული და ახლა მადლიერების გრძნობით ხელებზე ეალერსებოდნენ სალამურას.

— დრო აღარ იცდის, წავიდეთ, — თქვა სალამურამ, — ჩვენ ღამისა და დღის გასაყართან ვიმყოფებით. სამწუხაროდ, თქვენ მხოლოდ ქარისა და წვიმის გზები იცით, თორემ აქედან სულ ადვილად მიაგნებდით იალაღებს.

წასვლა რომ დააპირეს, აღმოჩნდა, რომ სამ ქია-მაიას ფრთები ჰქონდა ნაღრძობი. ფრენა აღარ შეეძლოთ. სალამურამ იქვე მონახა ობობას ქსელი, ქია-მაიებს ნაღრძობი ფრთები შეუხვია. მერე მხრებზე დაისვა და იალაღებისაკენ გაჰყვა გზას. დანარჩენები ფრენით დაედევნენ.

მზემ მთის მწვერვალებიდან ამოჰყო თავი.

სალამურამ გზა მოსჭრა. სულ მალე მივიდა საძოვრებზე.

სალამომდე მწყემსავდა, შემდეგ მწუხარისა დაუკრა და ქია-მაიები დააბინავა.

მთელი დღე იმას ნატრობდა, ნეტავი, როდის შესალამოვდებო, და აჰა, ნანატრი დროც მოვიდა. სალამურა უკვე გზას ადგა, ტყისკენ მიდიოდა, სადაც ბაია დაელოდებოდა.

როგორ უნდოდა ბაიას ნახვა, როგორ ჩქარობდა! აი იმ სერსაც გადაივლის და ტყე გამოჩნდება. ვიღრე ტყესთან მივა, კარგად დაღამდება კიდევ და ბაია თავის ციციანთელებიანად იქ დახვდება.

მაგრამ ეს რა ემართება სალამურას? სხეული მოუდუნდა, მუხლები მოეკვეთა... თავსაც ვეღარ იმაგრებს, მხრებზე უვარდება. არაფერია, სალამურა მაინც მიიღწევს ტყეს, რადგან იქ ბაია ელოდება. შეჰპირდა და უნდა აჩვენოს კიდევ მზის ამოსვლა.

სალამურამ ჩიჩოქა. წამოდგომა სცა და, მაგრამ ვეღარ შეძლო. წამოწვა, ცოტას დავისვენებ და წამოვდგები. წამოწვა თუ არა, ძილის ნიაგმა წამოუბერა და სალამურას თვალები დაუხუტა.

დაღლილ-დაქანცულ მწყემსს ბიქუნას ღრმა ძილით ჩაეძინა.

მართლაც, სალამურას ხომ ორი დღე და ერთი ღამე არ უძინია! ჯერ იყო და გრივალსა და წვიმას ებრძოდა, მერე დაკარგული ქია-მაიების საძებნელად გაეშურა, მერე ბაიას შეხვდა და მთელი ღამე თეთრად გაათენა; მერე ქია-მაიები მონახა, იალაღზე წაასხა და სალამომდე მწყემსა... როგორც ხედავთ, უძილობამ და დაღლილობამ თავისი გაიტანა: სალამურას დაეძინა.

როდესაც გაეღვიძა, ცა უკვე გაფერ-მკრთალბულიყო. ვარსკვლავებსაც დაეკარგათ ელვარება. სალამურა მიხვდა: მთელი დღე ძილში გაუტარებია. ეს რა მომივიდა, რამდენი ხანი მძინებიაო, — გაიფიქრა და წამოხტა. სირბილით დაეშვა თავქვე, იქნებ როგორმე ბაიას დაძინებამდე მივუსწრო და დაგვიანებისთვის ბოდიში მოვუხადო. რა თქმა უნდა, მზის ამოსვლას ვეღარ დაანახებს. რადგან ბაია მთელი დღე ციციანთელებს მწყემსავდა და, ალბათ, თვალიც არ მოუხუტავს. რიგ-რიგობით რომ დაეძინათ, მაშინ სხვა იქნებოდა... არა, დაგვიანების მიზეზი უნდა აუხსნას! აბა, რა გამოვა, სალამურა მატყუარა და ცრუ-პენტელა რომ ეგონოს ბაიას?! ხომ იფიქრებს, ქია-მაიები მომაძებნინა და მერე აღარც კი გავხსენებიაო.

სალამურას ერთი წუთითაც არ დავიწყებია ბაია. სულ ახსოვდა მასთან გატარებული მშვენიერი ღამე. ბაია რომ არა, ალბათ, ვერც ნახავდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას და ტყის თავზე დიდებულად განათებულ მთვარეს.

აჰა, ტყისპირიც გამოჩნდა! ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარულით აუძგერდა გული, ტყის პირას მორიალე ციციანთელებს რომ მოჰყრა თვალი. მართალია, ციციანთელები ისე არ ანათებდნენ და ციმციმებდნენ, როგორც შუა ღამით,

მავრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, მთავარია, ჯერ არ ეძინათ და ისევ დაფრინავდნენ. ბაიაც იქ იქნებო, — გაივლო გუნებაში და სირბილს მოუმატა.

სალამურა სულმოუთქმელად გარბოდა. ერთი თვალის დახამხამებაში გაჩნდა ტყესთან.

ციცინათელებმა სალამურა დაინახეს და მისკენ გამოფრინდნენ, ბიჭუნას გარშემო აღლვებულეებმა დაიწყეს ფრენა. მწყემსი ბიჭუნა თვალებს აცეცებდა, იქნებ ბაია დაეინახოთ, მავრამ მწყემსი ვოვონა არსად ჩანდა.

— სად არის, ბაია? — იკითხა სალამურამ გაბზარული ხმით.

ციცინათელები უფრო აღელდნენ და ერთმანეთში აირ-დაირიყვნენ.

— სად არის ბაია, ციცინათელებო, ნუთუ უკვე დაიძინა?!

— არა! — ერთხმად უპასუხეს ციცინათელებმა.

— მაშ, რა იქნა?

— მოიტაცეს!

— მოიტაცეს?!

— ჰო, მოიტაცეს!

— ვინა, ვინ მოიტაცა?!

— არ ვიცით!

— საით წაიყვანეს?

— არც ვე ვიცით!

— რატომ არ დაედევნეთ, რატომ არ დაიმახსოვრეთ გზა!

— ჩვენ მეორეები არა ვართ, მავრამ მაინც შევებრძოლეთ. ნახევარზე მეტი ციცინათელა ბრძოლაში დაიღუპა. ჩვენ ტყეში შეგვალაღეს და ისე ვაიტაცეს ბაია.

— საბრალო ბაია!

— საბრალო, საბრალო ბაია! — აცრემლდნენ ციცინათელები.

— საბრალო ციცინათელები!

— საბრალო, საბრალო ციცინათელები!

ცაზე უკვე ყველა ვარსკვლავი გამქრალიყო. მხოლოდ ცისკრისა კიაფობდა.

— ჩვენ მეტი აღარ შეგვიძლია, — თქვეს ფერგამერთალმა ციცინათელებმა, — ტყეში უნდა გავფრინდეთ.

ციცინათელები კი აღარ ანათებდნენ, ბეუტავდნენ.

— მშვიდობით, სალამურავ!

— მშვიდობით იყავით, ციცინათელებო! ნუ გეშინიათ, მე წავალ ბაიას საქმენელად და, სადაც არ უნდა იყოს, მოვანახვ, თავის ქვეყანას დაუბრუნებ!.. მშვიდობით იყავით, ციცინათელებო! თავს მოუარეთ!

— თუ ბაიას საქმენელად მიდიხარ, ჩვენც წაგვიყვანე! — ახმაურდნენ ციცინათელები.

— სამწუხაროდ, ყველას ვერ წაგიყვანათ, — უთხრა სალამურამ, — ისე კი, რამდენიმე თუ წამომყვებით, კარგი იქნება.

— წამოგყვებით, წამოგყვებით!

ციცინათელებმა იმსჯელეს და ბოლოს ასე გადაწყვიტეს: რამდენიმე ყველაზე გონიერი და ყველაზე მოციმიციმი ციცინათელა გაჰყვებოდა სალამურას.

სალამურამ ციცინათელები კოლოფში ჩასვა და იალაღებზე დაბრუნდა. მეზავრობის თადარიგი დაიჭირა: ახალი ქალამნები ამოისხა და გულში საგზალი ჩააწყო, მერე რამდენიმე ჭკვიანი და გამოცდილი ჭია-მაია იმავე კოლოფში ჩასხა, სადაც ციცინათელები ჰყავდა. მერე დაისვენა. ხვალ დილით ადრე ბაიას საქმენელად მიეშურებოდა. ვინ იცის, რამდენი უნდა ევლო, რამოდენა გზა ედო წინ.

## ბაიას საქმენელად გამგზავრება. სირბილა. თოქავი მოსიარულეთა ქალაქი

ჯერ კარგად არ იყო გათენებული, სალამურას რომ გაეღვიძა. ჭია-მაიები იალაღებზე გაუშვა, თან დაარჩია, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, ვინ რომელ ღღეს უნდა გააფრენილიყო წვიმისა და

ქარის ქვეყანაში ამინდის გასაგებად. ჭია-მაიებმა აღუთქვეს: ჯავრი ნუ გაქვს, წესიერად მოვიქცევითო და დაიმედებულმა სალამურამ იალაღები დატოვა. ოღონდ ეს კია, წასვლის წინ დამშვიდო-



ბებისა დაუკრა. ჭია-მაიებს გული აუტყუ-  
დათ და დაბა-ღუპით ცვიოდათ ცრემლი.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ  
დღეს სალამურამ შორიდანვე შეამჩნია  
გალავანი. ეს ან ქალაქი იქნება ან ციხე-  
სიმაგრეო, — გაიფიქრა და ნაბიჯს მოუ-  
მატა.

დიდი ხნის სიარულის შემდეგ, რო-  
გორც იყო, გალავანს მიადგა. ჭერ მარჯ-  
ვნივ გახედა კედელს, მერე — მარცხ-  
ნივ. ზევეთაც ააყოლა მზერა. გალავანს  
კარი ვერ უპოვა.

— ნამდვილად სხვა მხარეს ექნება  
კარი, — თქვა ხმამაღლა და ახლა კარის  
საძებნელად წავიდა. ორ საათზე მეტი  
დრო მონადრომა სალამურამ გალავანის  
შემოვლას.

როგორ გგონიათ, იპოვა კარი?

არა, სალამურამ კარს ვერ მიაგნო. გა-  
ლავანს კარი არა ჰქონდა და როგორ მი-  
აგნებდა?!

ეს რა უბედურებაა, ამხელა გალავა-  
ნია და ალაყაფი არა აქვს! შიგ საიდან  
შედიან ან საიდან გამოდიან? სალამურა  
სასოწარკვეთამ შეიბყრო. ბაია უთუოდ  
ამ გალავანში ეყოლებათ დამწყვედეუ-  
ლოო, — ფიქრობდა მწყემსი ბიჭუნა.  
თან მაღლა-მაღლა იხედებოდა. — თუ  
მართლა აქა ჰყავთ, გალავანს სალამუ-  
რის დაკვრით ერთხელაც შემოვუვლი და  
ბაია მიხვდება, რომ მის საძებნელად ვარ  
წამოსული და აქვე ახლო-მახლო ვიმყო-  
ფებო.

სალამურამ ქამარში გარჭობილი სა-  
ლამური ამოიღო და შუაღლისა დაუკრა.

— ეი, მანდ რომელი ხარ? — მოეს-  
მა უცებ ზევიდან.

სალამურამ დაკვრა შეწყვიტა. კედელს  
ახედა და გალავანის რიკულებიდან თავ-  
გამოყოფილი ბიჭი დაინახა.

— სალამურა ვარ. — უპასუხა მწყემს-  
მა ბიჭუნამ.

— რომელი სალამურა?

— სალამურა — ჭია-მაიების მწყემსი.

— ეგ კი აღარ ვიცოდი, თუ ჭია-მაიებ-  
საც მწყემსები სჭირდებოდათ. აბა, და-  
მენახვე, როგორი ხარ.

სალამურა ბუჩქებიდან გამოვიდა და  
ქვაზე შეხტა.

— ნუ გეშინია, ბიჭო, რას მემალეხები.

— არ გემალები. — უპასუხა სალა-  
მურამ, — აი შემხედუე, ქვაზე ვდგავარ.

— აჰა!

— მხედავ?

— გხედავ, გხედავ! — ჩამოსძახა ზე-  
ვიდან უცნობმა. — რა პატარა ყოფილ-  
ხარ, თუმცა რა, ჭია-მაიების მწყემსი  
დიდი არც უნდა იყოს. ახლა ის მითხა-  
რი, აქ რას აკეთებ, რამ მოგიყვანა?

— ქვეყნების დათვალიერება გადაე-  
წყვიტე და ვმოგზაურობ. — სალამურამ  
იფიქრა, სიფრთხილეს თავი არა სტკი-  
ვო და ნამდვილი მოსვლის მიზნეზი დაუ-  
მალა, — დღეს ამ გალავანს მოვადექი  
ირველივე შემოვლარე და რა გამოვიდა?  
კარი ვერ ვიპოვე.

— ეს, ჩემო ძმაო, — უთხრა უცნობ-  
მა, — ჩვეულებრივი ქალაქი ნუ გგო-  
ნია. თუ თოკზე სიარული არ იცი, აქ ვერ  
ამოხვალ.

— ვთქვით ვიცი, როგორღა ამოვიდე?

— იმ ხეს ხომ ხედავ? — ბიჭმა სალა-  
მურას დიდი ჭადარი დაანახა, — იმ ხეს  
ქამანდს ვესვრი და თოკს გავკვიმავ.

— მერე?

— მერე და თუ შეგიძლია, თოკს ამო-  
წყევი.

სალამურამ ქამანდის სროლა კი იცო-  
და, მაგრამ თოკზე სიარული არასოდეს  
უცვლია. კლდე-ღრეებში, ქარაფებზე  
ბევრჯერ უვლია ვიწრო ბილიკებით, მაგ-  
რამ თოკზე სიარული მაინც სხვაა, თოკ-  
ზე ნამდვილად ვერ გაივლის სალამურა.

— უკეთესი არ იქნება, ეგ თოკი რომ  
ჩამოღმვა? ამოვცოცდები.

— ეი, შენ თოკზე სიარული არ გცო-  
დნია.

— ჰო, არ ვიცი.

— მაშინ აქედან ისე ვერ წახვალ, სა-  
ნამ არ ისწავლი.

— თუკი მასწავლით, მაგას რა სჯობია.

— კარგი ჩამოვუშვებ. — ამის თქმა  
და თოკის გადმოვდება ერთი იყო.

სალამურამ თოკი მოზიდა — თუ გა-  
მიძლესო. მაგარი გამოდგა. ას სალამუ-  
რასთანა ბიჭსაც გაუძლებდა, ზედ ასივე  
ერთად რომ დაკიდებულყო.

მწყემსი ბიჭუნა თოკს ცოცვით აპყვა: ვეხებს გალაგნიდან გამოშვერილ ქვებს აბიჯებდა და ასვლა ერთი ორად უაღვილდებოდა.

როგორც იყო, აცოცდა გალაგანზე და შვეებით ამოისუნთქა. უცნობმა ბიჭმა ხელი ჩამოართვა და გაეცინო:

— ფოსტალიონი ვარ, წერილების დამტარებელი... სირბილა მქვია... ყველა ჩემ ტოლსა ვგობნი სირბელში.

სალამურამ სირბილა გაიცნო და ქალაქს გადახედა.

თოკზე მოსიარულეთა ქალაქი არა ჰგავდა არც ერთ ქალაქს, რომელიც ჩვენ ანდა სხვა ვინმეს უნახავს. სახლები ერთმანეთს სახურავებიდან სახურავებზე გაქიმული თოკებით უკავშირდებოდა. თოკებზე ადამიანები საქმიანად დადიოდნენ. ისე ირეოდნენ, გეგონებოდათ, რუსთაველის პროსპექტიყო.

ვთქვათ, სახლი ხუთსართულიანია. მეხუთე სართული მოქცეული იყო სულ ქვევით, სადაც ჩვენებური სახლების პირველი სართულია. ჩვენ თუ ვამბობთ:

„მეხუთე სართულზე უნდა ავიდეო“, ისინი ამბობდენ: „მეხუთე სართულზე უნდა ჩავიდეო“, რადგან სართულებს ზევიდან ითვლიდნენ, სადარბაზო შესასვლელებიც სახურავებზე ჰქონდათ. ასევე ზევით იყო სავაჭრობები, დუქნები, სახელოსნოები.

## ვილას ღონიერი ხელებით დასწვდა სალამურას

კეთილი და წესიერი ბიჭი აღმოჩნდა სირბილა. შეჰპირდა, ჩემთან სახლში წაგიყვან და დამეს გაგათევიანებ, ხვალ დილით კი მთელ ქალაქს დაგათვალერებინებო. მაგრამ ხვალ ქალაქის დათვალერებას ვინ ჩიოდა, მთავარი სირბილას სახლამდე მისვლა იყო.

— იცი, რას გეტყვი, სირბილა, — უთხრა სალამურამ. — რახან თოკზე სიარული არ შემძლია, მოდი, დაბლა ჩამიშვი, მე მაინც მიწაზე სიარულსა ვარ შეჩვეული.

— ეგრე არაფერი გამოვა. — უპასუხა სირბილამ.

— რატომ?

— უცნაური ქალაქია. — თქვა სალამურამ.

— უცნაური ეს კი არა, სხვა ქალაქებია, — უპასუხა სირბილამ, — მტერი-ანსა და ქუჭყიან ქუჩებში სიარულს არ სჯობია სულთა ჰაერზე იარო?! ჩვენს ქალაქში ყველა ჯანმრთელია, ერთ ავადმყოფსაც ვერ ნახავ. მაგ გულში რა გიღვეს?

— საგზალი წამოვიდე. ცოტა კიდე დამჩა.

— თამბაქო ხომ არა გაქვს?

— არა.

— იცოდე, თუ პაპიროსი ან სიგარეტი გაქვს წამოდებული, ქალაქში არ შეგიშვებენ. შეიძლება, გალაგნიდან გადაგადონ კიდეც.

— ჩემს სიცოცხლეში არ მომიწევია თამბაქო.

— იქნებ არაყი ან ღვინო წამოიდე?

— არც ეგ წამომიღია.

— ოო, მაგარი სასმელების შემოტანაზე სასტიკი სასჯელია. თუ ვინმე დაიპირეს, ფეხებით ჩამოკიდებენ შუა ქალაქში.

სალამურამ გულას თავი მოხსნა და სირბილას უჩვენა, შივ რა ეწყო. ციცი-ნათელეზიანი და ჭია-მაიეზიანი ყუთიცი უჩვენა.

— ციცი-ნათელეზსა და ჭია-მაიეზს ჩვენთან ყურადღებას არ აქცევენ, შეგიძლია შემოიტანიო.

— შენ ხომ არ იცი, სად ვცხოვრობ?

— ეგ მართალია, არ ვიცი. მაგრამ — სალამურა დაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ უთხრა, — შენ თოკზე იარე, მე ქვევიდან ვითვალთვალე, საითაც წახვალ, იქით გამოგყვები.

— თუ ვინდა, ზურგზე მოგიკიდებ. ისეთი პატარა ხარ, რომ ადვილად გზიდავ.

— არა, არა... მიწაზე სიარული მირჩენია.

სალამურამ, ბოლოსდაბოლოს, დაითანხმა სირბილა, და ფოსტალიონმა ბიჭმა თოკი ქალაქში ჩაჰკიდა და მწყემსი ბიჭუნაც მაშინვე ჩაცოცდა.

სალამურამ ქვევიდან ამოხედა სირბილას. სირბილა გალავნიდან თოკზე გადავიდა და დინჯად გაჰყვა ქუჩას. სალამურა თვალს არ ამოორებდა ახლახან გაცნობილ ბიჭს, ეშინოდა თოკზე მოსიარულე ხალხში არ დაჰკარგვოდა. თან გრძნობდა, ყველას ყურადღება მიიპყრო. ხალხი მაშინვე მიხედა, მიწაზე მიმავალი პაწაწინა ბიჭუნა ამ ქალაქის მკვიდრი არ იყო. ცნობისმოყვარეობით დასცქეროდნენ ზევიდან.

სალამურამ გაიფიქრა, თუ ბაია აქ არის, ახლა გამოჩნდებოა. სალამურს ჩაჰბერა, ქალაქში მომხიბვლელი პანგები დაიღვარა.

სალამურის ხმამ წარმოუდგენელი შთაბეჭდილება მოახდინა. თოკებზე სიარული შეწყდა, თითქმის ყველა ფანჯარა გაიღო. ღია ფანჯრებს ხალხი მოაწყდა, ყველა ცდილობდა, თავისი თვალით დაენახა ბიჭუნა, რომელიც ასე შესანიშნავად უკრავდა სალამურზე. უმეტესობა მაინც ქუჩაში გამოვიდა. თოკებზე ხალხის ტევა აღარ იყო.

სალამურა ფანჯრებს ათვალიერებდა: იქნებ სადმე ბაიას მოეკრა თვალიო. მაგრამ ბაია არსად ჩანდა. გულდაწყვეტილმა დაკვრა შეწყვიტა. სალამური ქაშაღში გაირტო და გზა განაგრძო.

— ეი, ბიჭუნავ, კიდევ დაუქარი! — ჩამოსძახეს ზევიდან.

სალამურას უცებ სირბილა გაახსენდა და ძებნა დაუწყაო. არც ისე იოლი იყო ამდენ ხალხში სირბილას პოვნა. მით უმეტეს, რომ ქვევიდან მარტო აღამიანთა ფეხები მოჩანდა. სალამურამ მაინც განაგრძო გზა. მე თუ ვერ ვარჩევ, რომელია სირბილას ფეხები, ის ხომ მხედავსო, მიწაზე ჩემს მეტი არავინაა. თუ მის სახლს გავცდი, დამიძახებს, აბა, რას იზამსო.

სალამურა ნელ-ნელა მიდიოდა, თან ზევით იყურებოდა, მომდევს თუ არა სირბილაო.

— ბიჭუნა, ვის ეძებ ასე გაფაციცებით? — გაიგონა სალამურამ ვილაციის ხმა, თავი ვეერდზე მიაბრუნა და ღია ფანჯარაში გადმომდგარი, მელოტი კაცი დაინახა.

— სირბილას ვეძებ, — უბასუხა სალამურამ. — ამაღამ იმასთან უნდა გავათიო ღამე.

— აბა, სირბილას ეძებ, — გაიღიმა მელოტმა. — მერე შენ არ იცოდი, რომ სირბილა ჩემი შვილია?

— მართლა? — გაუხარდა სალამურას, ასე იოლად რომ მოაგნო სირბილას სახლს, — საიდან უნდა მცოდნოდა, პირველად ვარ თქვენს ქალაქში.

— ისე, როგორც მოგეწონა ჩვენი ქალაქი... თუმცა ერთი ნახვით რას გაიგებ. — მელოტმა კვლავ გაიღიმა. — კარგი ხალხი ცხოვრობს... ძალიან კარგი... მუსიკა უყვართ... შენც მშვენივრად უკრავ. ფანჯარასთან ახლოს მოდი და აქ დაუცადე.

სალამურა მეექვსე სართულის ფანჯარას მიუახლოვდა (ხომ არ დაგაეწყვდათ, თომ თოკზე მოსიარულეთა ქალაქში ზევიდან ქვევით ითვლიან სართულებს?). შენობის კედელს მიეყრდნო და სირბილას დაუწყაო ლოდინი. თოკებზე ხალხი ბუზებივით ირეოდა. მართლაც ძნელი იყო მარტო ფეხებით აღამიანის ცნობა.

უცებ სალამურამ იგრძნო, რომ ვიღაცა ღონიერი ხელით დასწვდა მხრებში და ზევით აიტაცა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, სალამურამ დაყვირებაც კი ვერ მოასწრო. ეგ კი არა, ვერავინ მოჰკრა თვალი, ვერავინ დაინახა, სად გაქრა სალამურზე დამკვრელი ბიჭუნა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

### ალე ჰოპი — დაკოვლებული ჯამბაზი

— ხა, ხა, ხა, ხა! — იცინოდა მელოტი და ნასიამოვნები ხელებს იფშენებდა, — ნუ გეშინია, ბიჭუნავ, შენ საიმედო კაცის ხელში მოხვდი. ვაგიგონია ალე ჰო-

პი? თუ არ ვაგიგონია, ახლა ვაიგებ. ამის ვაგება არასოდეს არ არის გვიან... ალე ჰოპი მე ვარ. ყველასაგან მივიწყებული და მოძულეებული.

ალე ჰოპი იცინოდა და ოთახში სცემდა ბოლთას. კოჭლობდა, მარცხენა ფეხს ცელოვით იქნევდა.

— მე ვაჩვენებ მაგათ, — არ ცხრებოდა კოჭლი ბერიკაცი. — როგორ უნდა დაეწყებოდა. ხა, ხა, ხა, ხა! ჩემი სიცილი ხომ არ გაშინებს, ბიჭუნა. თუ გეშინია, აღარ გაეციენებ. შენ მალე დარწმუნდები, რა კეთილი და სათნო კაცი ვარ. ისინი კი ბოროტები არიან. მე შენ გაგწერთნი, ჩემო ბიჭუნა, როგორც ფინიას. მე და შენ ერთად ვივლით ქალაქიდან ქალაქში. დიდი შენობის კედლებზე გავაჯრავთ აფიშებს, აფიშებით ვაუწყებთ ხალხს, რომ ამა და ამ ქალაქს ესტუმრა სალამურზე დამკვრელი ჯამბაზი ბიჭუნა. ჰა, ხომ მოგწონს. სალამურზე დამკვრელი ჯამბაზი ბიჭუნა?!

სალამურა შიშით შესცქეროდა ალე ჰოპს, რომელიც ადვილს ვერ პოულობდა ოთახში, კედლიდან კედელს აწყდებოდა და ბრდღვინავდა.

— და რაც მთავარია, ფული გვექნება. ბლომად გვექნება ფული. ფულს ნიჩბებით მოვხვეტავთ.

— მე არ მინდა ფული, — თქვა სა-

ლამურამ. — გამიშვი!

— სად გაგიშვა, ბიჭუნა?

— გამიშვი, წავალ.

— სად წახვალ, ბიჭუნა?

— წავალ ჩემი გზით.

— საით მიდის შენი გზა, ჩემო ბიჭუნა?

— არ ვიცი. ბაია უნდა მოვინახო.

— ჰოდა, თუ არ იცი, მე გასწავლი...

სხვა ბაია არ გამაგონო, ჩვენი ბაია ახლა ფულია! შენ არ იფიქრო, თითქოს მართო ფულს მოვხვეტავთ. თუმცა არც ეგ არის ურიგო... მე რომ არ შეგხვედროდი, ვინ გაღირსებდა ისეთ სახელსა და დიდებას, როგორც შენ გელოდებო. მთელი ქვეყანა გაიცინობს... თან ფული! ფული! ფული!

სალამურას თვალებიდან ცრემლი წასკდა. თავბედს იწყევლიდა, რატომ ფეხი არ მომტყდა, სანამ აქ მოვიდოდით. მართლაც, რა უნდა ჰქნას? როგორღა უნდა უშველოს საბრალო ბაიას? ამ საზარელ კაცს ასე ადვილად ვერ დაუხსნტება ხელიდან.

— ნუ ტირი, ჩემო კეთილო ბიჭუნა! მალე შეეჩვევი აქაურობას.

წ ბ რ თ ნ ა

სალამურა ვერა და ვერ შეეჩვია ალე ჰოპთან ყოფნას. უკვე ერთი კვირა გავიდა და გარეთაც კი არ გაუხედავს, კოჭლი ბერიკაცი გარეთ გახედვის ნებას არ აძლევდა.

ალე ჰოპმა კედლიდან კედელზე თოკი გაჯიშა და სალამურას თოკზე სიარულს ასწავლიდა და აჩვენებდა. პირველ ხანებში მწყემს ბიჭუნას ძალიან უჭირდა და არც ცდილობდა თოკზე სიარულის სწავლას. საშინლად იღლებოდა, მთელი ღამე ტკიოდა ფეხის კუნთები. მაგრამ მერე მიხვდა, რომ აქაურობას მხოლოდ იმ შემთხვევაში დააღწევდა თავს, თუ წესიერად ივარჯიშებდა და კარგად დაეუფლებოდა თოკზე სიარულს.

ერთი კვირის შემდეგ ალე ჰოპი აღტა-

ცებული იყო სალამურას ნიჭითა და შესაძლებლობით.

— ყოჩაღ, ჩემო კეთილო ბიჭუნავ. შენ უკვე ჯამბაზი ხარ. მაგრამ ნამდვილ ჯამბაზობას ვერ კიდევ ბევრი ვიცილია, ახლა სალტო უნდა ვისწავლოთ. შენ იცი, რა არის სალტო? სალტო მაღაყია. ჰა, ვერა უნდა შეხტე, ამოტრიალდე და ისევ თოკზე უნდა დადგე ფეხებით.

სალამურას ჯამბაზობა მართო თოკზე სიარული ეგონა. ეს სალტო თუ მაღაყია რაღა ჯანდაბაა?! რად სჭირდება ახლა სალამურას მაღაყი. მაგრამ ალე ჰოპი არ ეშვებოდა. ჯიუტად ავარჯიშებდა დღე-ში რვა საათს.

პირველი მაღაყებისათვის ზამბარე-ბიანი ტანტი გამოიყენეს. ზამბარებიან, რბილ ტანტზე უფრო იოლი იყო ხტუნ-



ვა. თანაც, თუ დაეცემოდა, არაფერი ეტყინებოდა.

— ალუ ჰოპ! — დაუყვირებდა ბებერი ჯამბაზი და სალამურა მალაყზე გადადიოდა.

ასე შეეჩვია მწყემსი ბიჭუნა სალტოს. ტახტზე რომ მოათავეს წვრთნა, მერე იატაკზე სინჯეს. იატაკზე ალუ ჰოპმა ცარცით გაავლო ხაზი და სალამურას უთხრა:

— ამ ხაზზე დადექი, ჩემო ბიჭუნა.

სალამურა ხაზზე დადგა.

— ახლა, ჩემო ბიჭუნა, ისე ამოტრიალდი ჰაერში, რომ იქვე დადგე, სადაც ახლა დგახარ. დაიმახსოვრე, მთავარია სიზუსტე. აბა, დავიწყოთ. ალუ ჰოპ!

სალამურა ოდნავ დაიხარა, ფეხის კუნთები დაჭიმა. მერე ახტა, ჰაერში შემოტრიალდა და... იატაკზე გააღინა ზღართანა.

— არ ვარგა, ჩემო ბიჭუნა, თავიდან ცვადოთ.

სალამურამ ძლივს აითრია დაბეგვილი წელი.

— აღარ შემიძლია, ბატონო ალუ ჰოპ!

— როგორც გატყობ, დღეს ვახშაშზე უარს ამბობ.

სალამურას ისე შიოდა, რომ სხვა გზა აღარ ჰქონდა. კიდევ ერთხელ სცადა ჰაერში მალაყის გაკეთება. ამჯერად ორივე ფეხით ზუსტად ხაზზე დადგა.

— ყოჩაღ, ჩემო ბიჭუნავ, — შეაქო ბებერმა ჯამბაზმა: — ერთხელაც და მერე დავისვენოთ.

ასე გადიოდა წვრთნაში დღეებზე. სალამურა უკვე ნამდვილი ჯამბაზივით დაბტოდა თოკზე და სალამურს უკრავდა. ალუ ჰოპი კმაყოფილებიანაგან დღივებდა, თან მწყემს ბიჭუნას ეუბნებოდა:

— ერთხელ კიდევ, ჩემო კარგო ბიჭუნავ, ერთხელ კიდევ. მთავარია, არ შევრცხვით.

სალამურას კი ერთი სული ჰქონდა, როდის დაამთავრებდა ვარჯიშს, რომ ლოგინში შეწოლილიყო. დღეში რვა საათი თოკზე ბტუნვა ისე ღლიდა და ჰქანცავდა, რომ ფიქრის თავიც კი არ ჰქონდა. ზოგჯერ ბრაზდებოდა კიდევ — ბაიაზე აღარც კი ვფიქრობ, სულ გადამაღიწყდაო.

— ახლა ორმაგი მალაყი, ჩემო ბიჭუნა. — უთხრა ალუ ჰოპმა სალამურას.

— ორმაგი მალაყი რაღაა! — გაოცდა სალამურა.

— ორმაგი მალაყი ორმაგი სალტოა. — განუმარტა კოჭლმა ჯამბაზმა.

— ვერ გავიგე, ბატონო ალუ ჰოპ.

— ახლავე ავიხსნი, ჩემო გონიერო ბიჭუნა! თუ ერთხელ ამოტრიალდები ჰაერში და თოკზე დადგები, ეს ერთმაგი მალაყია. თუ ორჯერ ამოტრიალდები და ისევ თოკზე დადგები, ეს ორმაგია.

— ორჯერ როგორ ამოვტრიალდები?!

— დიდებულად, ჩემო ბიჭუნა, დიდებულად! ორჯერ კი არა, სამჯერ ამოტრიალებაც არაფერია... მთავარია ოთხჯერ ამოტრიალდე... ოთხმაგი სალტო — აი ჩვენი მიზანი!

### აფიშა. სირგილა კოულოზს სალამურას

თოკზე მოსიარულეთა ქალაქის ქუჩებში უზარმაზარი აფიშები გამოჩნდა:

შურადღეაა! შურადღეაა! შურადღეაა!

**ნამდვილი სასწაული!**

სალამურზე დამკვრელი ჯამბაზი ბიჭუნა!

**ო თ ხ მ ა ბ ი ს ა ლ ტ ო !!!**

ჩვენ არა ვართ სასწაულებით განეზივრებულები და ნამდვილი

**სასწაული**

**თუ გნებავთ, ეს არის!**

ფულის წამოღება არ

დაბავიწყდეთ! 20 კაპიკად

შფიფისი სიამოვნება ბელით!

ნუ იმუნწობთ —

შეგიძლიათ მიტაც წამოიღოთ.

შველანი სამოთხის პარკში!

დასაწმინი სალამოს 7 საათში.

ბიჭუნა გაწვრთნა

სახელბანთმფულმა უკმაგაზმა

**ა ლ ე ჰ ო პ მ ა.**

ეს აფიშა თვითონ ალუ ჰობმა შეადგინა. მერე იმდენად მოეწონა, ოცჯერ მაინც წაიკითხა. ჯერ წაიკითხა უხმოდ, მერე ჩურჩულით, მერე ცოტა ხმას აუწია, ბოლოს წაუღიღინა კიდევ, ერთი ვნახოთ, მუსიკალურად როგორ ჟღერსო. ნაკლი ვერ მოუნახა. პირიქით, აღტაცებულმა სალამურას უთხრა: სწორედ ის გამოვიდა, რაც მინდოდაო. თავის ღროზე რომ მეფიქრა, შეიძლება მწერალიც გამოესულიყავიო.

აფიშა პირველად წაიკითხა სირბილამ, იგი ხომ ფოსტალიონი იყო და შინიდან დილით ადრე გამოდიოდა. ალუ ჰობმა კი აფიშები ქუჩებში ღამით გააკრა. ხალხი ვალვიძებისთანავე წაიკითხავს და მთელ დღეს ისე დაგვემავს, რომ სალამოს საშოთხის პარკში მოვიდესო.

სირბილამ გულდასმით წაიკითხა აფიშა და, რა თქმა უნდა, მიხვდა, სალამურზე დამკვრელი ჯამბაზი ბიჭუნა რომ სალამურა იყო.

აი, თურმე ვის ჩაუტვია ხელში საწყალი სალამურაო! — გაიფიქრა ფოსტალიონმა ბიჭმა. მას შემდეგ, რაც სალამურა დაიკარგა, სირბილა სულ ერთთავად წუხდა, ეს რა მომივიდა, მარტო როგორ გავუშვიო. ბეგრი ეძება, მთელი ქალაქი შემოირბინა, მაგრამ სალამურას კვალს ვერსად მიაგნო.

ფოსტალიონმა ბიჭმა სასწრაფოდ გახსნა ჩანთა და წერილები გადაათვალიერა. იქნებ ალუ ჰობის წერილიც იყოს, რომ მასთან მისვლის საბაზი მომეცესო. ჩანთაში ალუ ჰობის წერილი მართლაც აღმოჩნდა. სირბილა სიხარულისაგან შეხტა და ეს სიხარული კინაღამ ძვირად დაუჯდა. თოკზე მარცხენა ფეხი დაუცდა, რომ არ ემარჯვა და წონასწორობა არ ალუღვინა, ცუდო დღე გაუთენდებოდა.

სირბილა გასწორდა, მერე ქუდიც გაისწორა და სირბილით წავიდა ალუ ჰობის სახლისაკენ. რამდენიმე წუთში კოჭლი ჯამბაზის სახლთან გაჩნდა. სადარბაზოში შევიდა და სწრაფად დაეშვა მეექვსე სართულზე. კარზე ფრთხილად დააკაკუნა.

— ვინ არის? — მოესმა შიგნიდან ხმა, რომელიც ალუ ჰობის ხმის არ ჰგავდა.

— ფოსტალიონი ვარ, წერილი მოვიტანე.

— ბატონი ალუ ჰობი შინ არ გახლავთ.

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე სალამურა ვარ!

— გამარჯობა, ბიჭო! როგორა ხარ...

რამდენი გექმებ, შენს ძებნას გადაუყევი!

— რომელი ხარ?

— სირბილა ვარ!

— გამარჯობა, სირბილა!

— კარი გამიღე, სალამურა.

— როგორ გავაღო, კარი გარედან არის დაკეტილი.

— ალუ ჰობი სად წავიდა?

— არ ვიცი.

— მალე მოვა?

— არც ეგ ვიცი, როგორმე მიშველე.

სირბილა კარსმხრით მიაწვა, მერე ფეხებიც დაუშინა. მუხის კარი მაგრად იყო ჩაკეტილი და ვერაფერი დააკლო.

— როგორ გიშველო, ბიჭო, ამ კარს ეშმაკიც ვერ გააღებს. იქნებ ფანჯრიდან ვაღმოსვიდე.

— დარბებიც მაგრადაა ჩაკეტილი.

— რა ვქნათ? — ჩაფიქრდა სირბილა.

მერე უცებ ჰკითხა: — მართლა ოთხმაკ სალტოს აკეთებ?

— კი, მერე ეგ რას მიშველის.

— თუკი ასე კარგად ისწავლე თოკზე დგომა, გაქცევას ადვილად მოგიხერხებთ. ალუ ჰობი კოჭლია და ვეღარ დავეწევა. ნუ გეშინია, სალამურა, გამხნევიდი... სალამოს საშოთხის პარკში მოვალ და ვნახავ. კიდევ ცოტახანს დავრჩებოდი. წერილები რომ არ მქონდეს დასარიგებელი. ნახვამდის, სალამურა!

— ნახვამდის, სირბილა!

ფოსტალიონმა ბიჭმა ალუ ჰობის წერილი კარზე აკრულ მწვანე ყუთში დატოვა და სირბილით აჰყვა კიბეებს. მესამე სართულზე ალუ ჰობს შეეფეთა. კოჭლი ჯამბაზი ღიღინა-ღიღინით მოდიოდა. სირბილა რომ დაინახა, დაეჭვებული შეჩერდა. კარგად ახსოვდა სალამურას ნათქვამი: სირბილასთან უნდა გავათიო ლამეო.

- აქ რას დაეხეტები, ბიჭო!
- წერილი მოგიტანეთ, ბატონო ალექსო.
- მერე?
- ყუთში ჩავუშვი.
- მერე?
- მერე არაფერი. წამოვედი.
- კარი თუ დააკაუნე.
- დავაკაუნე, ბატონო ალექსო.
- გიპასუხა ვინმემ?
- თქვენ შინ არ ბრძანდებოდით და ვინ მიპასუხებდა.
- აჰა, წერილი ყუთში ჩავუშვი... აჰა... კარგი წადი. — ალექსო დამშვიდდა.

სალამურას არავის ახვედრებდა, ეშინოდა, ვაითუ ბიჭუნა გამიბრიყვონ და გაქცევა აფიქრებინონო.

სირბილამ წასვლა დააპირა, მაგრამ კოჭლმა ჯამბაზმა ისევ შეაჩერა.

— ამ სალამოს ხომ მოსვალ?

— აუცილებლად, ბატონო ალექსო.

— ფულის წამოღება არ დაგაიწყებდეს!

— ფულს, თუ გინდათ, წინდაწინ მოგცემთ.

— მომეცი! — ალექსომ ახელი გაუშვირა.

სირბილამ ჯიბეები მოიქექა, აბაზიანი ამოიღო და კოჭლ ჯამბაზს გაუწოდა.

### ძველი მოპრინის წერილი

ალექსომ მეჩქევეს სართულზე ჩასვლისთანავე გახსნა კარზე მიკრული ყუთი და წერილიც იქვე წაიკითხა:

„ჩემო ძვირფასო მეგობარო, ალექსო! მივიღე შენი წერილი, რომელმაც ძალიან გამახარა. ბევრ საინტერესო ამბავს იწერები, ამიტომ არ შემოძლია წერილის მიღებისთანავე არ გიპასუხო.“

ვიცი, ჩემო კეთილო მეგობარო, რას ნიშნავს, ყოფილი ჯამბაზი იყო. შენ შეჩვეული იყავი დიდებას, სახელს, ტაშს. კაცმა რომ თქვას, არც ფული გაკლდა. მერე ყველაფერი ეს გაქრა, რადგან, ოთხმაგი სალტო როცა დააპირე, ჩამოვარდი და ფეხი მოიტეხე. ფეხმოტეხილი ჯამბაზი კი იგივეა, რაც ცალხელა მოკრივე. ასე არ არის, ჩემო კეთილო?

ახლა კი ბედი გწვევია. გიპოვია ისეთი ბიჭუნა, რომელიც კვლავ დაგიბრუნებს ძველ, ერთხელ დაკარგულ დიდებას, შენი სახელი ისევ გამოჩნდება ქალაქის ქუჩებში გაკრულ აფიშებზე... ოჰ! რა ბედნიერება!

ასეთ დროს რითი შემოძლია დავეხმარო უერთგულეს მეგობარს? ზოგი რამ მეც ძალმიძს, ჩემო კეთილო ალექსო. ნუ იფიქრებ, რომ შენი ძველი მეგობარი მიდი მოადე დაბერდა და აღარაფრის თავი არა აქვს.

კარგი ჰქენი, აფიშის ასლი რომ გა-

მომიგზავნე. ხვალვე ვიშოვი მოზრდილ ქალაქის ფურცლებს, ჩემი ხელით დაეწერ აფიშებს და მთელ ქალაქს მოგვფენ. ზოგიერთ რამეს ჩავემატებ აფიშას, უფრო რომ მიიზიდოს ხალხი. აქაურების ამბავი მე მკითხე.

ნუთუ ეგ პატარა ბიჭუნა ოთხმაგ სალტოს აკეთებს. წარმოუდგენელია! დაუჭერებელია! აფერუმ შენს ვაქცაცობას! შენ ყოფილხარ, რაც ყოფილხარ!

ერთი სიტყვით, ჩამოდი და ეგ ბიჭუნაც ჩამოიყვანე. დანარჩენი ჩემზე იყოს.

გეოცი. გეხვევი ძმურად.

შენი უერთგულესი მეგობარი მიდი მოადე.

P. S. ბინის შოენაზე ზრუნვა არ დაგჭირდება. ჩემთან გაათევთ ღამეს.“

ალექსომ დიდად ასიამოვნა მეგობრის წერილმა. წერილი რამდენჯერმე წაიკითხა, მერე დაეცა და ჯიბეში შეინახა.

სალამურამ გასაღების ჩხაკუნით რომ გაიგონა, მაშინვე ტახტზე მიწვა და თავი მოიპძინარა, რადგან ძილი ჰქონდა ნაბრძანები.

კოჭლი ჯამბაზი ოთახში შემოვიდა, სალამურას გადახედა — ერთი ვნახო — სძინავს თუ არაო. სალამურას ვითომ ახლავა გავლვიძა, თვალები მოიდუმნითა და წამოაჯდა.

— ყველაფერი მზად არის, ჩემო ბიჭუნა. ახლა სწორედ სამოთხის პარკიდან

მოგდივარ. შევამოწმე მინც, როგორ დადგეს ანძები და როგორ დაჰიმეს თოკი. ჩინებულად! შენ წარმოიდგინე, ნაკლი ვერ ვუპოვე. — ალე ჰოპი ტახტზე ჩამოჯდა და სალამურას თავზე გადაუსვა ხელი. — კარგად გეძინა?

- კარგად, ბატონო ალე ჰოპ!
- ფოსტალიონი ყოფილა და წერილი მოუტანია.

— არ ვიცი, ბატონო ალე ჰოპ, მე არაფერი გამიგია.

- მაშ კარგად გძინებია.
- აკი გითხარით, კარგად მეძინა-მეთქი.

ალე ჰოპი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სალამურას სირბილას მოსვლა არ გაუგია.

## სალამურას დამკვირვებელი ჯამბაზი ბიჭუნა. ოთხმეტი საღამო

პარკი, რომელსაც ამ ქალაქში რატომღაც სამოთხისას უწოდებდნენ, ერთ-ერთი უზარმაზარი შენობის თავზე იყო გაშენებული.

გარშემო მაღალი რკინის მესერი ჰქონდა შემოვლებული. უბილეთოდ ჩიტოც კი ვერ გადაფრინდებოდა.

შესასვლელში თვითონ ალე ჰოპი იდგა, ყველა ბილეთს თავისი ხელით სინჯავდა, ყალბი ბილეთები არავინ შემომამართოსო.

სამოთხის პარკისკენ თითქმის მთელი ქალაქი დაძრულიყო. ყველას აინტერესებდა სალამურას დამკვირვებელი ბიჭუნა, რომელიც ოთხმაგ მალაყს გადადიოდა ჰავრში. სხვამ თუ არა, თოკზე მოსიარულე ხალხმა კარგად იცოდა ოთხმაგი მალაყის ფასი. ამიტომაც მოდიოდნენ და მოდიოდნენ უწყვეტ ნაკადად.

შესასვლელს სირბილაც მოადგა.

— შენი ბილეთი? — ჰკითხა ალე ჰოპმა.

— მე ხომ ფული წინდაწინ მოგეცით, ბატონო ალე ჰოპ.

— როდის?

— დილით, როცა წერილი მოგიტანეთ.

— მე არაფერი არ ვიცი, ბილეთი მაჩვენე!

— როგორ არ გახსოვთ, ბატონო ალე ჰოპ, აკი ოცკაბიკიანი მოგართვით დილით.

— ბილეთი!

— ბილეთის შესახებ არაფერი გითქვამთ.

— აქ ლაზღანდარობის ადგილი არ არის! მეორე თოკზე გადადი. ვერა ხედავ, ხალხს შესვლას უშლი!

სირბილა მეორე თოკზე გადავიდა. ბრაზი და ცრემლები ახრჩობდა, — წინ და წინ რატომ მივეცი ფულიო. ფოსტალიონ ბიჭს ჯიბეში კაბიკი არ მოეძებებოდა. გინდაც ჰქონოდა ფული, ყველა ბილეთი უკვე გაყიდული იყო.

შინ მინც არ წასულა. ეს ხალხი რომ შეევა, კიდევ ერთხელ ცვლი, იქნებ როგორმე გაეახსენო ალე ჰოპს ჩემი თავიო.

ხალხი ნელ-ნელა შედიოდა პარკში. სირბილა ყველას ეკითხებოდა, ზედმეტი ბილეთი ხომ არა გაქვთო. სამწუხაროდ, ზედმეტი ბილეთი არავის აღმოაჩნდა. პარკში მეგობარი ბიჭებიც ელოდებოდნენ. გადაწყვეტილი ჰქონდათ, დღეს რაღაც არ უნდა დასჯდომოდათ, სალამურა გაეთავისუფლებინათ. წინასწარი გეგმაც კი შეიმუშავეს.

თუ პარკში სირბილა ვერ შევიდოდა, მთელი გეგმები ჩაეფუშებოდათ. ასეც მოხდა. ალე ჰოპმა ცხვირწინ მიუხურა კარი და ზედ უზარმაზარი ბოქლომი დაადო. იმედგაცრუებული ბიჭი უკან გამობრუნდა, პარკის მესერს გარშემო შემოუარა, იქნებ როგორმე გადავიპართოო. გადაპარვა ყოვლად შეუძლებელი იყო, ყოველ ათ ნაბიჯზე დარაჯი იდგა.

სალამურას გაქცევა დღეს უკვე აღარ მოხერხდებოდა. სირბილამ მარტო სირბილი იცოდა მაგარი. ისე კი გულჩვილი იყო. იქვე მესერთან ჩამოჯდა და მწარედ



ატირდა. ეს როგორ დაემართა, როგორ გააწვილა დღეს სალამურა და მეგობარი ბიჭები!

სალამურა კი ამ დროს ანძაზე ადიოდა. მოედანზე ალე ჰოპი კოჭლობით დააბოტებდა და ხალხს თხოვდა, ცოტათი უკან დაწეულიყვნენ.

— პატივცემულო საზოგადოებავ, — მიმართავდა ალე ჰოპი ხალხს. — მოედანზე ნუ შემოიჭრებით. უკან დაიხიეთ, ასე უკეთესად დაინახავთ.

სალამურა თოკზე დადგა, ქამრიდან სალამური ამოიღო და ჩაჰბერა. მთელი ხალხი სულგანაბული უსმენდა მწყემსი ბიჭუნას დაკვრას. სალამურა მწუხრის სიმღერას უკრავდა. ეს სიმღერა ცოტა სევდიანი იყო, ზოგიერთ ქალს გულმა უმტყუნა და აქვითინდა კიდევც.

მწყემსი ბიჭუნა სალამურს უკრავდა, თან თოკზე დადიოდა. ერთი თავიდან მეორე თავში გავიდოდა, თოკზევე მოტრიალდებოდა და სიარულს განაგრძობდა.

— ყურადღება. — დაიყვირა უცებ ალე ჰოპმა.

ხალხი გაინაბა. ქალების ქვეთინიცი კი შეწყდა.

— აა-ლევ... ჰოპი! — დაიძახა მთელი ხმით კოჭლომა ჯამბაზმა.

სალამურა შეხტა, ჰაერში ამოტრიალდა და ისევ თოკზე დადგა. ეს ყველაფერი ისევ გააკეთა, რომ სალამური პირიდან არ მოუშორებია და არც დაკვრა შეუწყვეტია.

ხალხში მოწონების შეძახილები გაისმა, ზოგმა ტაშიც კი დაუკრა.

ალე ჰოპმა ქული მოიხადა და მაცურებლებს ჩამოუარა.

— ასეთი სანახაობა ოც კაბიჯზე გაცილებით მეტი ღირს, — ყვიროდა ძველი ჯამბაზი. თან ხალხს ქულს უწვდიდა, — ნუ გრცხვენიათ, ჩაიყავით გიბეში ხელი. ნაყინის ფული გაიმეტეთ ბიჭუნასათვის.

ქულში მართლაც რამდენიმე შაურიანმა გაიღო ჩხრიალი.

— ყურადღება, — ისევ იყვირა კოჭლომა ჯამბაზმა. — ყურადღება!

ხალხი ისევ გაინაბა.

— ალევ... ჰოპი... ჰოპი!

სალამურა ორჯერ ამოტრიალდა ჰაერში. არც ამჯერად შეუწყვეტია დაკვრა სალამურზე.

ორმაგმა სალტომ უფრო მეტი მოწონება დაიმსახურა და უფრო მეტმა მოიქეჩა ჯიბეები, რომ ალე ჰოპის ქულში შაურიანი ჩაეგდო.

სალამურა თოკზე დადიოდა. სალამურს უკრავდა და თან ჰევეით იხედებოდა. იქნებ სირბილას მოვკრა თვალიო. აბა, როგორ მოჰკრავდა თვალს, როცა ფოსტალიონი ბიჭი ჯერ კიდევ მესერს გარეთ იყო და ვერაფრით ახერხებდა შიგ შესვლას.

პარკიდან ტაშის გრილი მოისმა. ეს, ალბათ, სამმაგი სალტო არისო, — ვაიფიქრა სირბილამ და რკინის მესერს მიადგა. უცებ დაინახა, რომ ყველა დარაჯი გარბოდა პარკის შუაგულსკენ, სადაც ანძები იდგა. ეტყობა, ოთხმაგი სალტო აინტერესებდათ და დარაჯობას თავი მიანებებს.

სირბილასაც სწორედ ეს უნდოდა. მესერზე აცოცდა, ვადაბობლდა და პარკში ჩახტა. მერე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოჰკურცხლა.

მოედანზე სამარისებური სიჩუმე იდგა. ყველა დაძახული მისჩერებოდა ორ ანძას შორის დაქიშულ თოკს, რომელზეც სალამურა იდგა და სალამურს უკრავდა.

— ყურადღება! ყურადღება! ყურადღება! — ვაიფონა სირბილამ ალე ჰოპის ხმა. — თქვენ ახლა ნახავთ სასწაულს... ოთხმაგი სალტო!

სალამურის ხმა რომ არა, სამოთხის პარკში ბუზის გაფრენას ვაიგონებდით.

— აა-ლევ... ჰოპი!.. ჰოპი!.. ჰოპი!.. ჰოპი! ტაშის გრილმა და ყიყინამ შეძრა იქაურობა. სალამურა ჰაერში ოთხჯერ ამოტრიალდა და ისევ თოკზე დადგა.

ეს მართლა სასწაული იყო! ოთხმაგი სალტო!

სალამურამდე ვერაგინ ვერ შეძლო ოთხჯერ ამოტრიალებულიყო ჰაერში და

ისევ თოკზე დამდგარიყო. ერთ დროს თვით ალექსანდრე დამარცხდა, როცა ოთხმაგი მალაყი დააპირა.

შაურიანები წვიმასავით წამოვიდა,

ქუდში აღარ ეტეოდა და დაბლა ცვიოდა. ალექსანდრე ფულს ხევეტავდა, თან ცალ ხელს მაღლა იშვერდა სალამურასკენ — იმას დაუქარით ტაშიო.

## ლაცხე კვირსხეზი. სალამურამ გაქცევა სცადა

შებინდებისას ხალხი კმაყოფილი დაიშალა. ნელ-ნელა დაიკალა პარკი.

სალამურას ანძიდან ჩამოსვლისთანავე წაველო ხელი ალექსანდრე.

— მოდი, ჩემო სახელოვანო ბიჭუნა, ამდენ ხალხში, შეიძლება, დავკარგოთ ერთმანეთი. ამიტომ, მიჩვენე, ჩემთან ახლოს იყო.

ამ დროს ალექსანდრის მელოტ თავზე რაღაცამ გაიღო თხლაშანი. კოჭლი ჯამბაზი შეხტა და შეჰყვირა. თავზე ხელი გადაიხვეა და ლაცხე კვირსხის ნაჭურში შერჩა ხელში. ცხვირსახოცი ამოიღო და მელოტი თავი მოწმინდა, თან აქეთიქით იყურებოდა მრისხანედ, თვალებს აბრიალებდა — ასეთი შეურაცყოფა ვინ ვამბედვარო. ამის გაფიქრება და მეორე კვირსხის მოხვედრა ერთი იყო. ზედ კონკრიბოზე აფეთქდა მეორე ლაცხე კვირსხი.

— ეს უკვე მეტიანეთია! — იღრიალა ალექსანდრე. — ამის უფლებას მე არავის მივცემ! ფუჰ, რა სუნია!

ბუჩქებიდან სეტყვასავით დაუშინეს კვირსხეები. სალამურამ იფიქრა, — ეს ნამდვილად სირბილას მოწყობილი ოინებია და თუ ვაქცევთ, ახლაც უნდა გავიქცეო. მაგრამ ალექსანდრე, რაც უფრო მეტი კვირსხი ხედავოდა, უფრო ძლიერად უჭერდა ხელს, ამ დავიდარობაში ეს ხვითოსავით ნაპოვნი ბიჭი არსად დაკარგო.

კოჭლი ჯამბაზი გმირულად უძლებდა მელოტ თავზე კვირსხეების თხლაშათხლტუსს. სუნსაც უკვე არაფრად აცდებდა. ოღონდ ეს ბიჭი არ ვამეჭვებს და ყველაფერს ავიტანო.

უცებ ალექსანდრე შებარბაცდა და ორივე ხელი წაივლო თავზე. ეს უკვე ქათმის კვირსხი არ იყო. ქათმის კვირსხი

ასე ვერ შეაბარბაცებდა ძველ ჯამბაზს.

— ბატის კვირსხეებსაც მესვრით, თქვე უღმერთობებო? — იყვირა განწირული ხმით ძველმა ჯამბაზმა.

— სალამურა, რაღას უციდი გაიქციე! — გაიგონა ნაცნობი ხმა სალამურამ. მწვემსმა ბიჭმა აღარ დააყოვნა. მთელი ძალით მოუსვა გასასვლელისკენ.

ალექსანდრე სწრაფად მოიწმინდა თავპირი და თვალეზი დაჰყიბა, გაქცეული სალამურა დაინახა და ყვირილით დაედევნა.

— სად ვარბიხარ, ჩემო სახელოვანო ბიჭუნა. ხომ იცი, ვერსად ვამეჭვები!

ალექსანდრე კოჭლობით მისდევდა გაქცეულ სალამურას. თან კოჭლი ფეხი უშლიდა სირბილს, თანაც — შაურიანებით დატენილი ჯიბეები. ჯიბეები ისე უჩხრიჩხლებდა. გეგონებოდა, ხურდა ფულით გატენილი ტომარა ვარბიხარო.

კოჭლი ჯამბაზი პარკის გასასვლელთან რომ მივიდა, სალამურა უკვე თოკზე ვარბოდა.

სირბილა და მისი მეგობრები, რომლებმაც ერთი კალათა ლაცხე კვირსხი დაახალეს ალექსანდრეს, უკვე შეიმობდნენ გამარჯვებას. სიცოცხლე-ხარხარით ვარბოდნენ თოკებზე. თან სალამურას ასწავლიდნენ გასაქცევ გზებს. მაგრამ ზეიმი და სიხარული ნაადრევად გამოდგა.

სალამურა თვითონაც ვერ მიხვდა, როგორ დაემართა ასეთი რამ, როგორ გაუვარდა ხელიდან სალამური. ვაიმეო! — ერთი შესძახა და შეშფოთებულმა ჩახედა მიწაზე დაგდებულ სალამურს.

რამდენიმე წუთის დაყოვნება საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ კოჭლი ჯამბაზი სალამურასთან გაჩენილიყო. სირბილას და მის მეგობრებს ძალიან



გაუკვირდათ, როცა შუა გზაზე გაჩერებული სალამურა, დაინახეს. დაუყვირეს კიდევ: არიქა, გაიქეცი, თორემ ალუ ჰობი დაეჭვირსო. ალუ ჰობმა მართლაც დაიჭირა სალამურა და ყურებიც კარგად მაგრად დაუსრისა — ასეთი რამე მეორედ აღარ გამიბედლო.

— ხვალვე უნდა წავიდეთ ამ ქალაქიდან, თორემ ეს საძაგელი ბიჭები მოსვენებას არ მოგვცემენ. — თავისთვის ჩაილაპარაკა კოკლმა ჯამბაზმა. მერე სალამურას მიუბრუნდა. — მითხარი, ჩემო პაწაწინა ბიჭუნა, შენ ხომ არ დააპირებდი გაქცევას, იმ საძაგელ ბიჭებს რომ არ გაებრიყვებინე?

სალამურამ არაფერი უპასუხა.

— ახლა შენ წავიდეთ და მოვრისუნდეთ. დღეს კარგად იმუშავე. კარგადაც დამთავრდებოდა ყველაფერი, სულელურად რომ არ გაქცეულიყავი. მაინც ვისთან აპირებდი გაქცევას? ამდენი ხანი ტყუილად გაქმედდი და გასმეგდი. შენ ხომ ჩემ პურსა ჰამდი...

სალამურას ფეხები უკან რჩებოდა.

— გამოადგი ფეხი, შე ყაჩაღო!

— იქ ჩემი სალამურია.

— სადა?

— ჩამივარდა, მიწაზე გდია. — სალამურამ ხელით აჩვენა, სად ეგდო სალამურა.

— ოო, სალამურის დაკარგვა არ შეიძლება... ჩვეი დეო და წამოვიღოთ.

### მოკრივეთა ძალაჲ. ძველი მოკრივე

მეორე დღესვე გაეშურნენ ალუ ჰობი და სალამურა იმ ქალაქში, სადაც კოკლი ჯამბაზის მეგობარი მიდი მოადეცხოვრობდა.

გზამ სალამურა ძალზე დაღალა და დაქანცა. სულ სირბილით მისდევდა ალუ ჰობს. გზადაგზა ეხვეწებოდა კიდევ:

— ცოტა შევიცვენოთ, ბატონო ალუ ჰობ. დავიღალე, სიარული აღარ შემიძლია.

— გამოადგი ფეხი, ზარმაცო, — უყვიროდა ალუ ჰობი, — გუშინ იოლად გადავიჩინე. ახლაც თუ ვამაბრაზებ, ერთს მაგრად გაგებრტყავ ძველი ხურჯინივით.

სხვა რა გზა ჰქონდა, საწყალი სალამურა გარბოდა, როგორც წინ მიმავალ კოკლ ჯამბაზს რომ დასწეოდა.

ასე იარეს სალამომდე. არც შეუსვენიათ და არც უსადილიათ.

— ცოტა მაინც გვეჭამა, ბატონო ალუ ჰობ!

— ახლავე მივალთ ჩემს მეგობართან და გემრიელად გვაჯახშმებს.

ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა ქალაქი და სალამურამ ოღნავ შევებით ამოისუნთქა.

ქალაქი, სადაც მივიდნენ და, სადაც ალუ ჰობის ძველი მეგობარი მიდი მოადე

ცხოვრობდა, ჩვეულებრივი იყო. ხალხი მიწაზე დადიოდა და სახლებსაც შესასვლელები ჩვეულებრივად, პირველ სართულზე ჰქონდა. ოღონდ ერთი უცნაური რამ შენიშნა სალამურამ: ყოველ მოედანზე მუშტი-კრივი იყო გამართული და ადამიანები ერთმანეთს ცხვირ-პირს ალუწავდნენ.

— ამ ქალაქში განსაკუთრებით უყვართ კრივი. — აუხსნა სალამურას ძველმა ჯამბაზმა. — სალამომოთ ასე იკრიბებიან და მუშტებს უხათქუნებენ ერთიმეორეს. კარგი მოკრივე აქ ბევრ ფულს მოხვეტავდა... მაგრამ ფულის მოხვეტას მე ვასწავლი... თუმცა რასა ჰვავს ეს?! რატომ არ არის ქუჩებში ჩვენი აფიშები გაკრული?! იქნებ არის და მე ვერ ვხედავ?

— არავითარი აფიშა არ არის, ბატონო ალუ ჰობ.

— მით უარესი მაგათთვის! — რატომღაც მუჭარით წარმოსთქვა კოკლმა ჯამბაზმა, — უფრო მეტ ფულს ავალღეტ.

ალუ ჰობი შეჩერდა, ერთ პატარა სახლზე მიუთითა სალამურას:

— ამ სახლში ცხოვრობს ჩემი სტუმართმოყვარე მეგობარი.

კოჭლი ჯამბაზი კარს მიადგა და დააკაუნა.

— რომელი ხარ? — გაისმა შიგნიდან ხრინწიანი ხმა.

— მე ვარ, ალე ჰობი! — უპასუხა კოჭლმა ჯამბაზმა.

— ალე ჰობ, ჩემო კეთილო და უძვირფასესო მეგობარო, — კარი გაიღო და სალამურამ უხარმზარი თავი დანახა, ჯაგარა თმითა და წვერით შემოსილი. — ოჰ, დიდებულო და უკვდავო ალე ჰობ, ნუთუ შენა ხარ, მიდი, გადაგხვიო.

ალე ჰობი და მიდი მოადე გადაგხვივინენ და დიდხანს ჰკოცნიდნენ ერთმანეთს. კაცი იფიქრებდა, ამათ ახლა ვერავითარი ძალა ვერ დააშორებსო, მაგრამ ბევრი კოცნისა და ზურგზე ხელების ტყაპუნის შემდეგ მაინც დაშორდნენ და ღიმილით აათვალიერ-ჩაათვალიერეს ერთმანეთი.

— ჰა, როგორა ხარ, ბებერო? — გაეხუმრა მიდი მოადე და მხარზე ხელი დაჰკრა მეგობარს.

— ახლა უკვე აღარაფერი მიშავს, ცოტათი მოვლონიერდი.

— სად არის შენი სახელგანთქმული ჯამბაზი. ერთი მაჩვენე, რა ჩიტია.

— აბა, სალამურა, ეჩვენე ბატონ მიდი მოადეს.

სალამურამ ნაბიჯი გადადგა წინ.

— ეს არის, კაცო?! — გაოცდა მიდი მოადე, — ეს ხომ ერთი ციქნაა.

— სამაგიეროდ, ოქროა, ოქრო!

— ოთხმაგ მალაყს გადადის?

— გადადის და ეგრე!

— საინტერესოა. — მიდი მოადე ერთი წუთით ჩაფიქრდა, მერე გაიღიმა და სტუმრებს თავაზიანად მიმართა. — შე-

მოდი, შემოდი... დადლილები იქნებით, დაისვენეთ.

მიდი მოადე ოთახში შეუძღვა სტუმრებს. ოთხივე კედელზე უამრავი დიდი და პატარა, თითქმის ყველა ზომის სურათი ეკიდა. სურათებზე ახალგაზრდა მიდი მოადე იყო გამოსახული. მიდი მოადე კი ახალგაზრდობაში საკმაოდ ცნობილი მოკრივე გახლდათ. კრივის კვალი ახლაც ემჩნეოდა სახეზე. ცხვირი ისე ჰქონდა ჩაქუჩვილი, როგორც ღიმიანათის ბოთლის თუნუქის საცობს ქვეით ჰქუჩავენ ხოლმე ბავშვები სათამაშოდ.

— საშინლად დავიღალეთ, — თქვა ალე ჰობმა, სკამზე რომ დაჯდა, — თანაც საშინლად მოგვშივდა.

— მოსვენებით კი მოგასვენებთ, მაგრამ... შიმშილისა რა მოგახსენოთ, — უპასუხა მიდი მოადემ, — დღეს არ მოგელოდით და თქვენი ვახშმისათვის არც მიზრუნია.

— ცოტა რაღაცა მაინც გექნება.

— ეჰ, ჩემო მეგობარო, ალე ჰობ, რომ იცოდე, რა დღეში ვარ. ჩემს სახლში ბუზები და თავგები შიმშილით იხოცებიან.

— შენი წერილი რომ წავიკითხე, ვიფიქრე, ჩემი მეგობარი მიდი მოადე გამოცვლილა-მეთქი, შენ კი ისეთივე ძუნწი ხარ, როგორიც იყავი.

— ძუნწი კი არა, ღარიბი ვარ, ჩემო კეთილო მეგობარო. ჰმ! შენდენი ფული რომ მქონდეს, ზღაპრულ ვახშამს გაგიშლიდით.

ძველმა მეგობრებმა კიდევ დიდხანს ილაპარაკეს. ამ ლაპარაკიდან სალამურამ ერთი დასკვნა გამოიტანა: ამდამაც წუხანდელივით უფასშოდ რჩებოდა.

### ბანხეთიძილება. ძველი მოკრივე იმარჯვებს

სალამურა ძველი მეგობრების საუბარმა გააღვიძა.

— რატომ არ არის ქუჩაში გაკრული აფიშები? — ეკითხებოდა ალე ჰობი თავის ძველ მეგობარს.

— ვერ მოვასწარი. უფრო სწორად,

აფიშის დასაწერი ქაღალდი ვერ ვიშოვე უფულოდ. უფულოდ არავინ არაფერს არ იძლევა.

— მაშ, რატომ მომარბენინებდი ამ გზაზე, თუ არც ვახშამი გქონდა და არც ქაღალდი.

— მეგონა, საგზალს თქვენ წამოიღებდით.

— საგზალი მეთრია ამხელა გზაზე?

— სამაგიეროდ, დიდებული რაღაცეები მოვისაზრე და ეს დავახვედრე. აზრიც საქმეა, თუ არა!

— ვიცი, შენი აზრები! მაგ გაბურძენულ თავში რა აზრი უნდა გიჭაჭანებდეს, შე ბებერო!

— ჩვენ ხომ მეგობრები ვართ?

— მერე?

— ჰოდა, თუ მეგობრები ვართ, ერთმანეთს დახმარებაც უნდა გავუწიოთ.

— მაინც რა დახმარება გჭირდება.

— ყური დამიგდე, ალე ჰოპ. ჩვენს ბიჭუნას მოკრივის შესანიშნავი მონაცემები აქვს. პატარაა, მოძრავი, სხარტი, მოქნილი. მაგ ბიჭუნას თავისი სისხარტისა და მოქნილობის წყალობით სამჯერ დიდი ბიჭის გალახვა შეუძლია. ო, რა სენსაცია იქნება.

— კრივი ჭირის დღესავით ეჯავრება სკლამურას.

— მე მგონი, არც ჯამბაზობა ეხატებოდა გულზე. დამიჯერე, ალე ჰოპ. მე გავწვრთნი, მე ვასწავლი კრივს.

— არავითარ შემთხვევაში!

— ფულს გავინაწილებთ, მეგობრულად გავიყოფთ.

— არავითარ შემთხვევაში! — ალე ჰოპი საწოლიდან წამოხტა.

— რას ჰქვია, არავითარ შემთხვევაში, ეგ ბიჭუნა შენი საკუთრება ხომ არ არის!

— დიახ, ჩემი საკუთრებაა! მე აღმოვაჩინე. მე ვიპოვე, მე გავწვრთენი.

— ახლა მე გავწვრთნი და ჩემი საკუთრებაც იქნება.

— არა! არა! არა! — ღრიალებდა კოჭლი ჯამბაზი.

— ჩვენ ხომ მეგობრები ვართ.

— ღმერთმა დამიფაროს შენი მეგობრობისაგან. ჩვენ უფასვოდ დავგეტოვე შენ კი მთელი დამე რალაცას უსირცხვილოდ თქვლევდი.

— მაშ არ მოგწონს ჩემი წინადადება, ალე ჰოპ?

— ვითხარი, არა-მეთქი! ჩვენ ახლავ დავტოვებთ აქაურობას.

— შენ შეგიძლია დატოვო აქაურობა, ბიჭუნას კი ვერ გაგატან, ჩემთან დარჩება. ძალიან მინდა კრივი შევასწავლო.

— როგორ თუ შენთან დარჩება?!

— ისე... ჩვეულებრივად. — მიდი მოადე ტახტზე წამოჯდა, გაიხმორა და თვალები მოიფშენიჭა. — ვერ ვიტან, როცა ერთი მდიდრდება და მეორეს სიღარიბეში ამოსდის სული.

— სალამურა, ადექი, ჩვენ მივდივართ! — ალე ჰოპი სალამურას დაადგა თავზე. — აბა, ჩქარა! წამოდექი! ახლავე უნდა წავიდეთ. ამ ცბიერ და გაიძვერა კაცთან არაფერი გვესაქმება.

— რატომ ილანძლები, მეგობარო. — მშვიდად მიმართა მიდი მოადემ ძველ მეგობარს. — გირჩენვია, თავი შეიკავო. ერთხელ ვითხარი და ახლა გიმეორებ: ბიჭუნას მოეშვი, შენ კი ჯანდაბამდისაც გქონია გზა...

ალე ჰოპი სწრაფად იცმევდა ტანსაცმელს, თან სალამურასაც აჩქარებდა. მიდი მოადე კი ბოლთას სცემდა თათხში და რალაცას ბუტბუტებდა თავისთვის. ხანდახან კოჭლ ჯამბაზს შეხედავდა, შეჩერდებოდა და დამკინავად ჩაიღიმებდა. სალამურა აღლოთი გრძნობდა, რომ ძველი მეგობრები მშვიდობიანად არ დაშორდებოდნენ ერთმანეთს. თვითონაც ღელავდა. ვამალებით უცემდა გულს.

ალე ჰოპმა ხელი მოჰკიდა სალამურას და კარისკენ წაიყვანა. კარი დაკეტილი აღმოჩნდა.

— ვალე კარი! — უბრძანა მასპინძელს კოჭლმა ჯამბაზმა.

— ეგ ბიჭუნა ორივეს ვეცხოვრებს, ჩემო...

— მძარცველო, შარავნის ყაჩაღო, ახლავე გავვიღე კარი! — დაწყებული სიტყვა გააწყვეტინა ალე ჰოპმა.

— ბიჭუნა, შენ განზე დადექი. — მიმართა სალამურას მიდი მოადემ, — ამ ბებერსა და კოჭლ ქოფაკს მე ვაჩვენებ, როგორ უნდა ლანძღვა-ვინება!

— იმუქრები კიდეც, შე დაობებულო?! იქნებ გინდა ეგ თუნუქის კოლო-

ფივით დაჭეჭილი ცხვირი გავისწორო! ამდენ შეურაცხყოფას ველარ გაუძლო მიდი მოადემ. მოულოდნელად მოუქნია მუშტი და შიგ ყბაში სთხლიშა ალუ ჰოპს. კოჭლი ჯამბაზი ჰაერში აიწია, ამოტრიალდა და იატაკზე გაადინა ზღარ-თანნი.

— ეგეც შენი ოთხმაგი სალტო! — ნიშნისმოგებით უთხრა მიდი მოადემ.

სალამურა შიშით კუთხეში მიიკუნტა. შეშინებული უყურებდა მიწაზე გულად-მა გამოტოლ კოჭლ ჯამბაზს.

მიდი მოადე მიუახლოვდა იატაკზე დაუდებულ მეგობარს, დაიხარა და სახეზე დახედა.

— როგორა გრძნობ თავს, ჩემო კეთილო მეგობარო? — სიცილით ჰკითხა ალუ ჰოპს და გამობრუნდა.

უეცრად, ელვის უსწრაფესად წამოიჭრა ალუ ჰოპი და მთელი ძალით ამოსცხო წიხლი ძველ მეგობარს. მიდი მოადე წაბარბაცდა, მოტრიალდა... ისე კი ერჩია, არ მოტრიალებულიყო, მაშინვე მოხედა ცხვირში ვეებერთელა მუშტი.

მიდი მოადე ჩაიკეცა. მუხლებზე ჩაიჩოქა.

— ჰა, გემრიელია? — ახლა ალუ ჰოპმა ჰკითხა ნიშნისმოგებით. — ხომ გადინე ცხვირიდან ძმარი?! გააღებ თუ არა კარს?!

კიდევ ერთხელ იგემა მიდი მოადემ ალუ ჰოპის მუშტის ძალა. მაგრამ აქ სასწაული მოხდა, იმის მაგიერად, რომ მეორე დარტყმას წაეჭკია და საბოლოოდ მოესპო მიდი მოადე, გამოაფხიზლა. ძველი მოკრივე სწრაფად წამოხტა და სეტყვისავით დააყარა მუშტები კოჭლ ჯამბაზს. კოჭლი ჯამბაზი დარეტიანდა, ხელს უმწეოდ ასაფსავებდა ჰაერში, ცდილობდა ერთხელ მაინც მოერტყა ძველი მეგობრისათვის, მაგრამ ვერცერთხელ ვერ მოახვედრა.

ალუ ჰოპი რამდენჯერმე დაეცა და წამოდგა, ისე იყო დარეტიანებული, რომ გარტყმა აღარ სჭირდებოდა, თვითონვე აწყდებოდა და ეხეთქებოდა კედლებს.

მიდი მოადემ კარი გააღო, ქეჩოში წაავლო ზელი ალუ ჰოპს და გარეთ ბურ-

თვით გაისროლა, თან ერთი გემრიელი პანჩურიც მიაყოლა.

კარი ისევ ჩაკეტა.

— ეგეც შენი ალუ ჰოპი! — თქვა მიდი მოადემ და ცხვირით დაუსტვინა. ეტყობა, წედან მოხვედრილი მუშტი სუნთქვას უშლიდა.

სალამურა სკამის ქვეშ იყო შემალული და შიშისაგან ცახცახებდა.

— სალამურა, სადა ხარ? — დაუძახა ძველმა მოკრივემ.

— აქა ვარ, ბატონო მიდი მოადე.

— გამოდი და ისაუბმე. როგორ მოგელა შიშშილით, შე საცოდაო, მაგ ბებერმა ძუნწმა.

სალამურა სკამის ქვეშიდან გამოძვრა.

— აბა, მითხარი, სალამურა, კმაყოფილი ხარ თუ არა, ძველი პატრონი რომ დაგიზილევ?

მწყემსს არც ალუ ჰოპი ეპიტნავებოდა და არც მიდი მოადე. ახლა ორივე ერთნაირად ეჯავრებოდა. ამიტომ შეკითხვაზე პასუხი არ გაუტია.

მიდი მოადემ მაგიდაზე პური, ყველი და ცივი წყალი მოიტანა.

— აბა, ჭამე! — მიუბრუნდა სალამურას.

ამ დროს კარის კაკუნი გაისმა.

— რომელი ხარ? — იკითხა ძველმა მოკრივემ.

— მე ვარ, ალუ ჰოპი.

— რისთვის გარჯილხარ, ჩემო ძველო მეგობარო?

— ვალე კარი და გეტყვი.

— კარის გაღებას ტყუილად ელოდები. მითხარი, რა გინდა.

— თანახმა ვარ, ძვირფასო ძმარო... კრივიც ვასწავლოთ სალამურას და შემოსაველიც თანაბრად გავიყოთ.

— ნუთუ მართლა თანახმა ხარ, მეგობარო?

— ნამდვილად...

— ახლავე მოსცილდი აქაურობას, თუ არ გინდა მეორედ დაგიზილო გვერდები!

— ჩვენ ხომ ძველი მეგობრები ვართ...

— გეუბნები. ახლავე მოშორდი აქაურობას, თორემ შუგ დღეს დაგაყენებ!

სალამურა პურსა და ყველს შეეჭკეოდა, ზედ ცივ წყალს აყოლებდა. ძველი

მეგობრები კი ერთმანეთს უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ და ემუქრებოდნენ. მიდი მოადემ ველარ მოითმინა, კარი გააღო და ალუ ჰოპს გაუვარდა, სალამურას

არ დაუნახავს და არც იცის, გარეთ რა მოხდა. ეს კია, კოკლი ჯამბაზი მერე აღარ გამოჩენილა და არც კარზე დაუკაკუნებია.

### პირვის ბაკვეთილეზი. პირველი ბრძოლები

ახლა მიდი მოადესთან დაიწყო ვარჯიშის გაუთავებელი დღეები. ჰერიდან ჩამოსვებული იყო თოკი. თოკზე ნახერხით გატენილი ტომარა ეკიდა. სწორედ ამ ტომარაზე ვარჯიშობდა სალამურა. დილიდან საღამომდე უშენდა და უშენდა მუშტებს. საღამოს ღონე გამოეღეოდა და სასომიხდილი ეცემოდა იატაკზე.

მიდი მოადემ სხვადასხვა ილეთებიც ასწავლა. ასწავლა, როგორ უნდა გასცლოდა მოქნეულ მუშტს, სად და რა დროს უნდა მოერტყა მოწინააღმდეგისათვის, რომ წონასწორობიდან გამოეყვანა და საბოლოოდ დაემარცხებინა.

ერთ დღეს მეზობლის ბიჭი შემოიყვანა მიდი მოადემ და სალამურას უთხრა, ბიჭთან უნდა იჩხუბო.

— რატომ უნდა ვიჩხუბო, ბატონო მიდი მოადემ? — ჰკითხა გაკვირებულმა სალამურამ.

— იმიტომ რომ, შენი მოწინააღმდეგეა.

— საიდან არის ჩემი მოწინააღმდეგე? დღეს პირველად ვხედავ.

მიდი მოადემ აუხსნა, რომ კრივი სპორტის ერთ-ერთი სახეობაა და სულაც არ ნიშნავს მოწინააღმდეგე ნამდვილ მტერს. ისიც უთხრა, რომ მოწინააღმდეგის დანდობა არ შეიძლება და მთელი ძალით უნდა იბრძოლოს საბოლოო გამარჯვებამდე.

ძველმა მოკრივემ სალამურას საგანგებოდ შეკერილი ტყავის ხელთათმანები ჩამოაცვა ხელებზე და მეზობელი ბიჭის წინ დააყენა. მეზობელი ბიჭი უკვე მომზადებული იდგა საბრძოლველად თავის ხელთათმანებიანად. სალამურა შიშნარევი რიდით შესცქეროდა მასზე ორჯერ თუ სამჯერ უფრო დიდ მოწინააღმდეგეს.

— აბა. დაიწყეთ! — ბრძანა მიდი მოადემ.

ბრძოლა კარგად არც კი იყო დაწყებული, რომ სალამურამ საშინელი დარტყმა იგემა ნიკაში. დაბარბაცდა, მერე იგრძნო, როგორ აყირავდა ოთახი და ქანაობა იწყო. მერე გონება დაპყარგა.

როცა გონს მოეგო, ტახტზე იწვა. თავი უბრუნოდა და სტკიოდა. გულხელდაკრეფილი მიდი მოადემ ოთახში სცემდა ბოლთას. როგორც კი დაინახა, სალამურა გონზე მოვიდაო, მიუახლოვდა და უთხრა.

— მაგას გასწავლიდი ამდენ ხანს, მოწინააღმდეგეს ყბა მიუშვირეო?

სალამურას კი ამ დროს იალაღებზე მიტოვებული ჭია-მაიები გაახსენდა. გაახსენდა მწვანით შემოსილი მთები, მოჩუხჩუხე ვერცხლისფერი წყაროები და ლურჯად მოკრიალებული ცა. ფიქრმა ისევ მიიყვანა ტყის პირთან, სადაც ამ თვენახევრის წინ ბაია ელოდებოდა. ბაიას გახსენებაზე ცრემლები ველარ შეიკავა და ატირდა.

— ნუ ტირი, სალამურა, — უთხრა მიდი მოადემ, — პირველი მარცხი შემდეგი გამარჯვებების საწინააღმდეგეა.

სალამურა კი ისევ ბაიაზე ფიქრობდა. ნუთუ ვერასოდეს დააღწევს თავს ამ საშინელ ადამიანებს, ველარ შეხვედბა ბაიას? ალბათ, იმასაც ისე აწვალდებენ და ტანჯავენ, როგორც სალამურას, პირადი გამდიდრებისა და სახელის მოხვეჭისათვის იყენებენ.

— იქნებ მართლა უმჯობესია კრივის თავი დაეანებოთ და ისევ ჯამბაზობა დაეაწყებინო? — ეუბნებოდა მიდი მოადემ. — არა, არა. ვინ დაიჯერებს, რომ ძველმა მოკრივემ ჯამბაზი გაწვრთნა?!

მაშინ აღე ჰოპს შეუძლია მიჩვილოს და შენი თავი წამართვას... ანდა რაში მჭირდება ეს საზოგადოებრივი ჯამბაზობა... არა, შენ ნამდვილი მოკრივე უნდა ვახდებ! პირველმა მარცხმა არ შეგაშინოს. ხვალღან განვაგრძობთ ვარჯიშს.

ორკვირიანი ვარჯიშის შემდეგ მიდი მოადემ ისევ შემოიყვანა მეზობლის ბიჭი.

— ბატონო მიდი მოადემ, მე აღარ მინდა ამასთან ბრძოლა, — თქვა ბიჭმა, — ძალიან პატარაა. ახლაც ერთი დარტყმით წავაქცევ.

სალამურა ღელავდა, თან თვალეებით ზომავდა მოწინააღმდეგეს.

— აბა დღესაც ვცადოთ, ჩემო კარგებო, — ამბობდა მიდი მოადემ.

მოწინააღმდეგენი ერთმანეთის პირისპირ დადგნენ.

— დავიწყოთ! — გასცა ბრძანება ძველმა მოკრივემ.

მეზობლის ბიჭმა მარჯვენა ხელი მოუქნია სალამურას, სალამურამ თავი უკან გადასწია და ხელი აიციდინა. ხელთათმანმა ზედ ცხვირწინ გაიზუზუნა. ახლა მარცხენა ხელი მოუქნია მეზობლის ბიჭმა. სალამურამ ამ დარტყმასაც მოარიდა თავი.

— ვახ! — წამოიძახა მეზობლის ბიჭმა. ამის წამოძახება და ყბაში ხელთათმნის მოხვედრა ერთი იყო.

— ვახ! — ისევ წამოიძახა მეზობლის ბიჭმა.

— მიდი, მიდი, ჩემო სალამურა! — აქეზებდა ძველი მოკრივე.

ორივე მოწინააღმდეგე თავგამოდებით იბრძოდა. მაგრამ სალამურას უპირატესობა აშკარა იყო. სალამურა მეტოქეს სისწრაფითა და მოქნილობით ჩაგრავდა. დარტყმებს ადვილად იცილებდა და მერე თვითონ გადადიოდა იე-

რიშზე. სალამურას მეტოქეს დაღლაც დაეტყო. ამით, რა თქმა უნდა, მაშინვე ისარგებლა სალამურამ და მთელი შესაძლებლობით შეუტია.

მოწინააღმდეგემ დიდხანს ვეღარ გაუძლო, სალამურამ რამდენიმე დარტყმით დასცა ძირს.

— საკმარისია! — თქვა გახარებულმა ძველმა მოკრივემ. — ამის მეტი მე არაფერი მინდოდა. — მერე დამარცხებულს ცივი წყალი ასხურა და ყურები დაუსრისა.

მეზობლის ბიჭი წამოდგა და ლასლასით გაემართა კარისკენ.

— ასეა, ჩემო კარგო! — მიდი მოადემ კარამდე მიაცილა სალამურას მოწინააღმდეგე, — წინდწინ არ უნდა იტრაბახო.

მიდი მოადემ მშვენიერ გუნებაზე დადგა. სალამურას აქებდა და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდა. სალამურამ ერთხელ უკვე იწვინა სახელისა და დიდების ფასი, ძველი მოკრივის ნაღაპარაკეცს ყურადღებას არ აქცევდა. კარგად იცოდა, რისთვისაც აქებდა. ყოველი მისი გამარჯვებით უამრავი ფულის მოხვეტას აპირებდა ეს ვაიძვერა და ვერავი კაცი.

მაგრამ სიმართლე მაინც უნდა ითქვას, ამ გამარჯვებამ სალამურას თავისი თავისადმი რწმენა დაუბრუნა და განუმტკიცა. გადაწყვიტა, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, გაქცეულყო. ბოლოს და ბოლოს, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? როდემდე უნდა ჰყავდეთ ასე დამწყვდეული? როდემდე უნდა იყენებდნენ სალამურას ბნელი ადამიანები თავიანთი ბნელი ზრახვებისთვის?

— დღეს დავისვენოთ, ჩემო კეთილო, ხვალღან კი საქმეს შევუდგეთ! — უთხრა სალამურას ძველმა მოკრივემ.

**გ ა ძ მ მ ე ა**

მიდი მოადემ იმავე დამეს გაღვივილი მთვრალი დაბრუნდა შინ. ნახევარი საათი კარის გაღებას ეწვალა. ძლივს გააღო. მერე ოთახში დიდხანს იბოდილა,

სიბნელეში ხან რას წამოედო და ხან რას დაეჭახა. სალამურას ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ძველმა მოკრივემ საწოლს ვერ მიაგნო.



— სალამურა, სალამურა, — ბურღუნებდა ძველი მოკრივე. — გძინავს, ბიჭო, თუ თავს იკატუნებ... ხომ მიგიბერტყე შენი მასხარა პატრონი, ჰა? მეტი რა ვინდა, ბიჭო... ისე ვარბოდა, უკან არ მოუხედავს... კარგი სირბილი სცოდნია, ვერ გაამტყუნებ.

უცებ სალამურამ ბრახუნი გაიგონა — ეტყობა, სკამი წაიქცა. ამას ბრავგანი მოჰყვა. ეს უკვე ძველი მოკრივე იყო. ძველი მოკრივე იატაკზე ეგდო.

— ეჰ, დავბერდი, სალამურა... ხედავ, როგორ მომერია ღვინო? ახალგაზრდობაში ასე ადვილად ვერ მჩაგრაგდა. ახალგაზრდობაში მაგარი ვიყავი... ვერც კრივში მერბოდა ვერავინ... მეერ ღვინო მომერია... დამჩაგრა... დამჩა... დამჩა... დამ... ხრრ... ხრრ... ხრრ...

ძველმა მოკრივემ ხვრინვა ამოუშვა. სალამურა მაშინვე წამოჯდა ლოგინზე და მიაყურა: ნამდვილად ხვრინავს თუ არაო?

თუ გაქცევია, ახლა უნდა გავიქცეო, — გაიფიქრა სალამურამ და საწოლიდან ფრთხილად ჩამოცოცდა, ასევე ფრთხილად მიუახლოვდა იატაკზე გაშოტილ კაცს და უეცრად ცხვირწინ ღიად დარჩენილი კარი დაინახა. მთვრალს დავიწყებოდა დაკეტვა.

სიზარულისაგან კინაღამ გული გაუსკდა. ერთი წუთით დაეჭვდა კიდევ, იქნებ სულაც არ არის კარი ღია და მე მეჩვენებო. მაგრამ ღია კარიდან მოკრივეთა ქალაქი და ქალაქის თავზე ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაინახა.

ვარსკვლავებით მოჭედილმა ცამ ბაია და ტყისპირას გატარებული ბედნიერი ღამე მოავონა. მაგრამ სალამურას ტკბილი მოგონებებისთვის დრო აღარ რჩებოდა. სასწრაფოდ უნდა ჩაეცვა და აქაურობას გასცლოდა.

ერთ წამში ჩაიკვა ტანსაცმელი. ასევე სწრაფად შეიკრა ქალამნები და გარეთ გავარდა. რამდენიმე წუთი სულმოუთქმელად ირბინა. თვითონაც არ იცოდა, საით მიდიოდა, დაადგა გზას და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ვარბოდა.

მოულოდნელად სალამურა შეჩერდა,

თითქოს ქამანდი მოსდეს და დააკავეს ანდა ღრმა ნაბრალს წააწყდაო. კარგა ხანს იდგა ისე გაშეშებული. რა მოუვიდა? რატომ დგას სალამურა? არც წინ მიდის და არც უკან. ბალიშის ქვეშ ამოდებული კოლოფი დააფიქრა. იმ კოლოფით ხომ ციციანთელეები და ჭიამაიები ჰყავს წამოყვანილი. როგორ უმაღავდა ჯერ ალე ჰოპს, ხოლო მერე მიდი მოადეს. დარწმუნებული იყო, ერთსაც და მეორესაც რომ მიეგნოთ, მაშინვე დაუხოცავდნენ საიდან სად წამოყვანილ ჭიამაიებსა და ციციანთელებს.

ახლა რა ქნას: დაბრუნდეს უკან, თუ გზა განაგრძოს? დაბრუნდეს! ვაითუ ძველი მოკრივე ვადვიებელი დახვდეს?! მაშინ გაქცევაზე ლაპარაკი ზედმეტია. ველარასოდეს დააღწევს თავს ძველი მოკრივის კლანკებს. თუ არ დაბრუნდა? რას იფიქრებენ საბრალონი.

არა! ამაზე ფიქრიც კი მკრეხელობაა! რა თქმა უნდა, ახლავე დაბრუნდება! თუნდაც ვადვიებელი დახვდეს, მინაც დაბრუნდება!

თურმე რამხელა გზა გამოუვლია?! ნუთუ ამდენი ირბინა... მიდის, მიდის და ძველი მოკრივის სახლს ვერა და ვერ მიაღწია. იქნებ ღამეში გზა აებნა? არა! ქალაქის ქუჩებში არც ისე ბნელა, ჯერ ისევე ანთია სანთლები და ფანჯრებიდან მკრთალი შუქი იღვრება.

აი ნაცნობი სახლი... რა ძნელია ახლა იქ მისვლა.

მაგრამ კარი ისევე ღიაა. ალბათ, ძველი მოკრივე იმგვარადვე გღია იატაკზე და ხვრინავს. მართლაც, ღვინით ვალეშილს რა ვადვიებდა ასე მალე?!

სალამურამ მიიბრინა სახლთან. კიბეები ფრთხილად აიარა და ოთახში შევიდა.

გული შეეკუმშა. ძველი მოკრივე იატაკზე აღარ ეგდო. როგორც ჩანს, ვადვიებთა და სადღაც ბნელ კუთხეშია მიმალული. სადაც არის, წაავლებს სალამურას ყურში ხელს და ერთს ლაზათიანად წამოჰკრავს ქეჩოში.

სალამურამ შიშით მიმოათვალიერა

ოთახი. არცერთი კუნჭულიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. უცებ სწრაფად გავარდა თავის საწოლისაკენ. მაგრამ სკამს დაეჯახა და საშინელი ხმაური ასტეხა.

— დავიღუპე! — წამოსცდა ხმამაღლა. იღვა და ელოდა, როდის წაავლებდა ძველი მოკრივე თავის რკინასავით მაგარ ხელს.

შემზარავ ღუმელში გავიდა ორიოდე წუთი.

სალამურა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ამ ოთახში მის გარდა არავინ იყო. ალბათ, ძველი მოკრივე გაღვიძებისთანავე მიხვდა, რაც მოხდა და მაშინვე დაედევნა გაქცეულს. ოღონდ ის სხვა მხარეს წავიდა. როგორ იფიქრებდა, რომ სალამურა მთავარი, ყველაზე ნათელი ქუჩით დააპირებდა გაქცევას.

სალამურა ეცა თავის საწოლს და ბალიშის ქვეშედან კოლოფი გამოაძვრინა, უბეში შეინახა. მერე ღია კართან მივიდა, მიიხედ-მოიხედა და სიბნელეში გაუჩინარდა.

ახლა წელანდელივით აღარ გარბოდა მთავარ ქუჩაზე, იქ გავლა უკვე საშიში იყო. მიდი მოადე ბნელ შუკებს მოირბენდა და ძებნას მთავარ ქუჩაზეც და-

უწყებდა. ამიტომ სალამურამ ბნელი შუკები აირჩია. ისედაც ერთი ციციქნა სიბნელემ შთანთქა. მიდი მოადე კი არა, თვით ეშმაკიც ველარ დაინახავდა თავისი ყოვლისმხედველი თვალით სალამურას.

როგორც იყო, ქალაქს გასცილდა.

ქალაქში, ასე თუ ისე, გზას იკვლევდა. ქალაქგარეთ კი იმდენად ბნელოდა, რომ ფეხის გადადგმაც შეუძლებელი იყო, თვალთან თითს ვერ მიიტანდი.

სალამურამ მაშინვე გახსნა თავისი ყუთი და ციცინათელები ამოაფრინა.

— აბა, ჩემო ციცინათელებო, — უთხრა სალამურამ, — ახლა თქვენ უნდა გამიკვლიოთ გზა.

— საით? — ახმაურდნენ ციცინათელები.

— საით?! ეგ არც მე ვიცი. მთავარია, აქაურობას გავშორდეთ. მერე კი ბაია უნდა მოვძებნოთ.

დამშეული და კოლოფში დამწყვდეული ციცინათელები ისე ძალუშვად აღარ ციმციმებდნენ და ანათებდნენ, როგორც ტყისპირას, მაგრამ ის მკრთალი შუქი, რასაც ისინი გამოსცემდნენ, სალამურასთვის სრულიად საკმარისი იყო.



**მარჯა გომიძე****წერილები ლენინთან**

საბჭოთა ახალგაზრდობა სიყვარულით ატარებს გულში დიდი ლენინის სახელს. ამ სიყვარულით არის ნაკარნახევი თითოეული სიტყვა მრავალრიცხოვანი წერილების, დეპეშებისა და მიმართვებისა, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის ყოველი მზრიდან უგზავნიდა იგი ვლადიმერ ილიას ძე ლენინს.

ლენინს უადრესად მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მშრომელთა ფართო მასებთან, ახალგაზრდობასთან. იგი მთელი თავისი მგზნებარე სიცოცხლით და შემოქმედებით ახალგაზრდა თაობის ბედნიერებისათვის თავდადებული ბრძოლის წარუშლელ მაგალითს იძლეოდა.

ახალგაზრდები თავიანთ დიდ მეგობარს მიმართავდნენ რჩევა-დარიგებისათვის, უზიარებდნენ სიხარულსა და გასაჭირს, უბატაკებდნენ შრომასა და სწავლაში მოპოვებულ წარმატებებს, პირობას აძლევდნენ, რომ პირნათლად შეასრულებდნენ მის მოწოდებას — „სწავლა, სწავლა და სწავლა“ — მთელ ენერგიას უანგაროდ მოახმარდნენ კომუნისტების გამარჯვებისათვის ბრძოლის დიად საქმეს.

ლენინის მზრუნველობითა და სიყვა-

რულით გარემოსილი ახალგაზრდობა ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მოვლენას პირველად დიდ ბელადს ამცნობდა.

1917 წლის 17 დეკემბერს მოსწავლე ე. ზამოშჩინა სწერდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინს: „ძვირფასო ამხანაგო ლენინ! ამ წერილს ქალაქ კრასნოიარსკიდან გწერთ: მე კრასნოიარსკის საგუბერნიო ქალთა გიმნაზიის მე-3 ნორმალური კლასის მოსწავლე ვარ. თქვენ ბოლშევიკი ხართ, მეც ბოლშევიკი ვარ. ძალიან გთხოვთ, ჩვენს გიმნაზიას გამოუგზავნოთ მოწერილობა, რომ ჩვენში სავალდებულო არ იყოს საღმრთო სჯული. რადგან ჩვენი გიმნაზია ბურჟუაზიულია, ამიტომ არ ინება, თავიდანვე არასავალდებულო გაეხადა საღმრთო სჯული. უმორჩილესად გთხოვთ, მომწეროთ საკუთრივ მე თუნდაც სულ პატარა წერილი. ჩემი მისამართია: ქ. კრასნოიარსკი, ბლაგოვეშჩენსკის ქ. № 68. ბოლშევიკ ზამოშჩინის ბინა, ბოლშევიკ ექვია ზამოშჩინას. მოკლე მისამართი კი ასეთია: ქალთა გიმნაზია, მე-3 ნორმალური კლასი“.

1960 წელს ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით ე. ზა-

მოშინა (ამჟამად კრასნოიარსკის პიონერთა სახლის მუსიკის მასწავლებელი), თავის მოვონებაში წერილის თაობაზე წერდა: „1917 წლის დეკემბერში წერილი გავგზავნე ვ. ი. ლენინთან და მალე, ჩემდა სასიხარულოდ, მომივიდა პასუხი“.

როცა ხალხის მტრები მუხანათურად დაესხნენ თავს ლენინს და მძიმედ დაჭრეს, უფროსებთან ერთად დიდი მწუხარება განიცადეს ბავშვებმა. მრავალი წერილი მიდიოდა ვაზეთ „პრავდის“ რედაქციაში. პატარა მოსკოველი მოსწავლე ვოზნესენსკაია ითხოვდა: „ამხანაგებო! გთხოვთ დამიბეჭდოთ ჩემი წერილი თქვენს ვაზეთში. მე ძალიან მიყვარს ამხანაგი ლენინი და ვწუხვარ მასზე, მაგრამ არ შემიძლია მას პირდაპირ ვუთხრა. მე არ მყავს მამა, მყავს მხოლოდ დედა და ლენინი!“

იქვე იყო მეორე წერილი ლენინისათვის:

„კარგად იყავი, ძვირფასო! მე შენი საქმეებისათვის ვიზრდები, დედა ავტორებს ასწავლის ფოტენსკის ბულვარზე. მომავალში მეც ვასწავლი, რომ შენ გამოგყვენ. შენი მოსიყვარულე შვილი ნატაშა“ (გაზ. „პრავდა“ № 191, 1918 წ. 7 სექტემბერი).

საბჭოთა ხელისუფლებამ ახალგაზრდა თაობას შეუქმნა სწავლის, შრომისა და დასვენების ყოველგვარი პირობა. დაიწყო მას ბედნიერი მომავალი. ასტრახანელი მოსწავლეები 1919 წლის 2 იანვარს იწერებოდნენ: „ძვირფასო ამხანაგო ლენინ! ასტრახანის სამდინარო სასწავლებლის გახსნასთან დაკავშირებით მოსწავლეები, სამდინარო მუშათა კავშირის წევრები, სხვა სტუმრებთან ერთად სასწავლებლის გახსნაზე შეკრებილნი, ვიჩქარით გამოვთქვათ ჩვენი უღრმესი მადლობა იმის გამო, რომ შესაძლებლობა მოგვეცა მივიღოთ პროფესიული განათლება. გთხოვთ მიიღოთ ჩვენი თავმდაბალი სალამი.“

გაუმარჯოს რევოლუციას!  
გაუმარჯოს ამხანაგ ლენინს!  
გემთა კავშირი“ (მშრომელთა 1917-

1924 წლების წერილები ვ. ი. ლენინისადმი. 1960 წ. გვ. 96).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებდანვე დიწყო ფართო მასების შრომითი საქმიანობა. ახალგაზრდები პირდებოდნენ დიდ ბეზღად, რომ მთელი შეგნებით მოჰკიდებდნენ საქმეს ხელს და თავდადებული შრომით ასახელებდნენ პროლეტარიატის საქმისათვის მეტრძოლ ავანგარდს. აი, ერთ-ერთი პატაკი:

„გორლოვსკის მეშახტე ახალგაზრდობა კომკავშირული ორგანიზაციის საში წლის იუბილეს დღეს მხურვალე სალამს გიძღვნის რუსეთის კომუნისტური პარტიის ძვირფას ბელადს და აცხადებს, რომ შენს ლოზუნგს — ვისწავლოთ — შეასრულებს მეშახტე ახალგაზრდობა და ჯანსაღ ცვლას მისცემს ბრძოლაში დადლილ ამხანაგებს!“ (გაზ. „ბედნოტა“, 1920 წ., 16 აპრილი).

საინტერესო წერილი გაუგზავნა ლენინს მოსკოვის გუბერნიის ბოგოროდსკის მაზრის სოფელ ანტონოვსკის გლეხის პატარა ბიჭმა სიმონ ალექსანდრეს ძე შირიაევამ:

„ვლადიმერ ილიას ძე! მოგესალმებით და მაგრად გართმევთ ხელს საბჭოთა რუსეთის საკეთილდღეოდ თქვენს მიერ გაწეული მტკიცე და ძლიერი მუშაობისათვის. ვჩქარობთ, რათა თქვენ გაცნობოთ ჩვენი სოფლის გლეხური ცხოვრების შესახებ. ჩვენთან 18 რიცხვში ჩატარდა სოფლის საბჭოს გადარჩენები. თავმჯდომარედ აირჩიეს კომუნისტი. წინათ კი ამ მოვალეობას კულაკი ასრულებდა. იგი ცდილობდა დაეჩაგრა უღარიბესი გლეხობა. ახლა კი ყველა დადგენილება ცხოვრებაში მტკიცედ ტარდება, კულტ-მასობრივი მუშაობა ჩვენთან ახლა იწყებს განვითარებას. ჩამოყალიბდა კომუნისტური ახალგაზრდობის წრე და ყოველ კვირას დგამენ სპექტაკლებს. კარგად ჩატარდა „ფრონტის კვირეული“, შეგროვდა ფული, კარტოფილი, პური. გაიხსნა სასაღილო და, რა კარგია, რომ შეგახედათ ბავშვებისათვის, რომლებიც თავიანთ

ქოხებში იკრიბებიან. ამ საქმის წამომწეები კი თქვენ იყავით, ძვირფასო ამბანავო.

მე 14 წლის ბიჭი ვარ, მაგრამ მთელ ჩემს ძალ-ღონეს შევწირავ საბჭოთა რუსეთს. როგორც კი გავიზრდები, მაშინვე შევალ კომუნისტურ პარტიაში, ახლა კი ახალგაზრდობის კავშირში ვაპირებ შესვლას.

ჩვენთან ჩამოაყალიბეს შრომის ფონქტი. მე დავდივარ რკინიგზაზე სამუშაოდ. ვზას ვწმენდავთ თოვლისაგან“ (ქურნალი „კოჟატი“, № 5, 1964).

აღტაცებულ ბარათებს უგზავნიდა ახალგაზრდობა დიდ ბელადს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. ეს აღტაცება გამოწვეული იყო იმით, რომ ჩვენი პარტია, რომელიც ხალხის ფართო მასების მხარდაჭერითა და უსაზღვრო სიყვარულით სარგებლობდა, მუდამ ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავდა.

საბჭოთა ბავშვებს მთელი არსებით სჯეროდათ ლენინისა და მას, როგორც კეთილ მეგობარს, თავიანთი ცხოვრების დეტალებსაც კი უზიარებდნენ.

ქალაქ პერმის რკინიგზის № 10 სკოლის თითქმის ყველა მოსწავლემ გადაწყვიტა მიელოცა ილიჩისათვის დაბადების დღე და გამოეთქვა მისი მალე გამოჩანსალების სურვილები. თითოეული მათგანი წერდა დამოუკიდებლად. მაშინ ქვეყანას არ ყოფნიდა ქალაქი, ამიტომ ბავშვები სასკოლო რვეულებიდან ამოხეულ ფურცლებზე წერდნენ, ხშირად ფურცლის მეორე მხარეზე წარწერილი იყო სავარჯიშოები რუსულ ენაში. ბარათებს სამკუთხედად კეცავდნენ და ისე აგზავნიდნენ.

ქ. ტამბოვის რკინიგზის 1 საფეხურის სასწავლებლის მე-5 კლასის მოსწავლე ნ. ოსტროვსკი 1923 წელს წერდა: „ძვირფასო ვლადიმერ ილიას ძვე! გუხეთებიდან შევიტყვე თქვენი ავადმყოფობა, ძლიერ დავღონდი, მხოლოდ ბილწსა და უღირსს, თქვენდამი მტრობით დაბრმავებულს არ შეუძლია არ აღიაროს თქვენი დამსახურება. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, საზოგადო-

ებრივი მუშაობის ერთი ზედმეტი ნაათისათვის რატომ იგდებთ თავს საფრთხეში, თქვენ საჭირო ხართ მთელი მსოფლიოს კომუნისტური პარტიისათვის! ჩემმა წერილმა შესაძლოა თქვენამდე ვერც მოაღწიოს, მაგრამ პირობას ვდებ, რომ ჩემს დღეებს შევწირავ დანაგრულთათვის ბრძოლას. მე ვსწავლობ მხოლოდ იმისათვის, რათა სრულყოფილად შეიარაღებული ვაყვე ამ ბრძოლის ვზას.

თქვენს დაწყებულ საქმეს დაამთავრებს წითელი მუშათა ახალგაზრდობა. ის არ დაიშურებს ძალას და უმალ მთლად დაილუპება, ვიდრე დაუშვებდეს დამყაყებული კაპიტალიზმის აღდგენას. გამოჯანმრთელით და თავს გაუფრთხილდით, იცოდეთ, რომ თქვენთან დგანან მილიონობით ადამიანები, რომლებიც მზად არიან, სიმართლისათვის თავი გაწირონ.

პატვისცემით, თუმცა არასოდეს ნახიხართ. ნ. ოსტროვსკი“ (მშრომელთა 1917-1924 წლების წერილები ვ. ი. ლენინისადმი, 1960 წ., გვ. 366).

საბჭოთა ახალგაზრდობა ვ. ი. ლენინში ხედავდა თავის მხსნელსა და დამხმარეს, ამიტომაც ყველაზე მძიმე მომენტში დახმარებისათვის სწორედ მას მიმართავდნენ.

პენზის გუბერნიის სოფელ სობოლეკაში მცხოვრებმა პატარა ბიჭუნამ პროშკა (პროკოფი) პართენის ძე დუდკინმა თავისი ოჯახის მძიმე მდგომარეობა გააგებინა ლენინს.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ პენზის გუბერნიის ჩემპარის სავაზრო აღმასკომს დაუყოვნებლივ აუწყა შემდეგი: „გთხოვთ, რაც შეიძლება სერიოზული ყურადღება მიაქციოთ სოფელ სობოლეკის გლეხის პართენ დუდკინის უმწეო მდგომარეობას. როგორც წითელარმიელის ოჯახს, სოცულზრუნველყოფიდან მიეციოთ ტანსაცმელი და ცხენი. მაზრის მიწგანიდან გაეციოთ ხე-ტყე, მაზრის სასურსათო კომიტეტიდან — პური.

მისი შვილი, პროკოფი, პირველი

საფეხურის ქალაქის სკოლაში გაგზავნით სახელმწიფოს კმაყოფიანად. სერიოზული ყურადღება მიაქციეთ აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედებას და მის დამოკიდებულებას ღარიბების მიმართ. შესრულების შესახებ მაცნობეთ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი).

მოსკოვი, კრემლი, 26 დეკემბერი, 1920 წ.

(ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 31, გვ. 704).

მოსკოვში, ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში, ექსპოზიციაში „ლენინი და ბავშვები“, სხვა მრავალრიცხოვან დოკუმენტებთან და მასალებთან ერთად წარმოდგენილია დედანი წერილისა, რომელიც 1922 წელს მოსკოვის „ნორჩ პიონერთა“ რაზმეულის პირველი რაზმის ბავშვებმა გაუგზავნეს ვ. ი. ლენინს:

„მსოფლიო რევოლუციის ბელადს ვ. ი. ლენინს.

ჩვენ, ბავშვთა დიადი თავისუფალი მოძრაობის პირველი მერცხლები, გაბედულად ვივლით წინ დასახული მიზნის მისაღწევად, მუშების შვილებს დავიხსენით ქუჩისაგან, მათგან აღვზრდით მშრომელთა ბედნიერებისათვის ზნეობრივად და ფიზიკურად ძლიერ მებრძოლებს, გვაქვს რა მაგალითი მსოფლიო რევოლუციის პიონერისა, რომლის ნებისყოფას ვერ გასტეხს ვერც უმძიმესი შრომა, ვერც ტერორი მსოფლიო კაპიტალისა“ (ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის დოკუმენტების მიხედვით).

ვ. ი. ლენინმა განსაკუთრებით მრავალი წერილი მიიღო 1923 წლის აპრილში, დაბადების დღესთან დაკავშირებით. ბავშვებმა იცოდნენ, რომ ლენინი მძიმედ იყო ავად და ამიტომ ყოველმხრივ ცდილობდნენ ესამოყვებინათ მისთვის.

ქ. ცარიცინის (ამჟამად ვოლგოგრადის) № 31 საბავშვო სახლის ბავშვებმა ვლადიმერ ილიჩს გაუგზავნეს თავიანთი ხელნაწერი ჟურნალი „იუნი კომუნარი“.

1923 წლის 23 აპრილს ქ. ვიატკის

(ამჟამად ქ. კიროვი) ლენინის სახელობის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებმა ლენინს გორკაში გაუგზავნეს საჩუქრები: ნახატები, მოდელები, სხვადასხვა ნაკეთობანი, საქალაღეები და ყვავილები.

„ძვირფასო პაპა ილიჩ! — წერდნენ იანი, — ჩვენ, პროლეტარიატის ბავშვები, შენი, ჩვენთვის ძვირფასი ადამიანის, სახელობის საბავშვო სახლში ბეჯითად ვსწავლობთ შენს მითითებებს, შენს ბრძოლას მშრომელთა საყეთილდგოდ, პროლეტართა ყველა ბავშვის ბედნიერებისათვის, რათა განვავარძოთ შენ მიერ დაწყებული კომუნისმის მშენებლობის საქმე!

მამ ასე, ჩვენო პაპა ილიჩ! გიგზავნით მხურვალე პიონერულ სალაშს და ჩვენ მიერ დამზადებულ საჩუქარს, რომელიც ყოველთვის გაგახსენებს რუსეთის ყველა პროლეტარის ბავშვის ბედნიერ კზოვრებას. მათთან ერთად შორეული ვიატკის ბავშვების ცხოვრებას. ჩვენი ბედნიერებისათვის უნდა იყო ჯანმრთელად, რომ უხელმძღვანელო რუსეთის კომუნისტურ პარტიას მთელი მსოფლიოს ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში.

ვ. ი. ლენინის სახელობის ბავშვთა სახლის ბავშვთა საერთო კრების დაავლებით კრების პრეზიდიუმი: ვასია ვალკინი, ვიტია გორბუნოვი, მიშა ვლასოვი. ქ. ვიატკა, 1923 წლის 23 აპრილი“.

წერილის ბოლოს კი ნაღვედა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას სთხოვდნენ: „ჩვენო ძვირფასო ბებია ნაღვედა. როგორც ყველა პიონერის ძველი მეგობარი, გაუფრთხილდით ვლადიმერ ილიას ძეს და ჩქარა გააბედნიერეთ მთელი მსოფლიო მისი გამოჯანმრთელებით“ (ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის დოკუმენტების მიხედვით).

ვიატკელ ბავშვთა საჩუქრები ლენინის თხოვნით ნაღვედა კრუპსკაიამ დააწყო ლენინის ოთახის გვერდით, რათა ბელადს ყოველთვის მჭონოდა შესაძლებლობა შეეხედა მისთვის.

„როცა ილიჩი ახლოს გაუვლიდა ხოლ-



მე, — იგონებდა შემდეგ ნადეჟდა კრუპსკაია, — შეხედავდა მათ და ეღიმიებოდა. სულითა და გულით უნდოდა, რომ ჩვენი საბჭოთა მოზარდი თაობა გაზრდილიყო შეგნებულ კომუნისტებად, სოციალიზმის ღრმად დარწმუნებულ და აქტიურ მშენებლებად“.

ყველა ეს საჩუქარი, როგორც ძვირფასი რელიქვია, ამჟამად ინახება ვორკაში ლენინის სახლ-მუზეუმში.

ქალაქ სევასტოპოლის ბავშვთა კონფერენციის პრეზიდიუმი 1922 წლის 21 დეკემბერს ვ. ი. ლენინს უპატივებდა:

„საყვარელო და ძვირფასო პაპე, ქალაქ სევასტოპოლის საბავშვო სახლებისა და პირველი საფეხურის სკოლების ბავშვები, რომლებიც დღეს პირველად შევიკრიბეთ ჩვენი გაერთიანებისა და ორგანიზებული მუშაობისათვის, ჩვენი კონფერენციის საპატიო თავმჯდომარედ გირჩევთ თქვენ, ჩვენი საყვარელო პაპა ლენინ, და გთხოვთ გვერწმუნოთ, რომ ჩვენ, სევასტოპოლის პროვინციის ბავშვები, დროს უსარგებლოდ არ ვკარგავთ, ვირაზმებით და ვიზრდებით ისე, რომ ვიყოთ ღირსეული მიმდევრები ჩვენი უფროსი ამხანაგებისა, რომლებიც ჩვენ უნდა შეეცვალოთ. შევინარჩუნებთ და წინ წაგწევთ იმას, რაც მოპოვებულია ჩვენი მშობლების სიცოცხლის ფასად. დე, იცოდეს ყველამ, რომ ჩვენ ვართ მოწინავე, შემცვლელი რაზმი დაღლილი ამხანაგებისა, რომელთაც მოგვიპოვეს ნამდვილი ცხოვრებისა და შეკავშირების შესაძლებლობა“ (მშრომელთა 1917-1924 წლების წერილები ვ. ი. ლენინისადმი, 1960 წ.).

ვლადიმერ ილიას ძეც თავის მხრივ მზრუნველობას იჩენს მათ მიმართ, უპასუხოდ არ ტოვებს ბარათებს. ეს კი ნორჩების უზომო აღტაცებას იწვევს. ლენინი ბავშვების სათაყვანებელ ადამიანად იქცა, ამიტომ ისწრაფვიან მის სანახავად, ამიტომ იწვევენ თავისთან. პირდებიან შინაარსიან დასვენებას. „ჩვენ, ლენინის სახელობის საბავ-

შვო სახლის ბავშვები, გიძღვნით სულს და გისურვებთ ჯანმრთელობას. ჩვენ ძალიან ვვინდა თქვენი ნახვა. ჩვენი საბავშვო სახლი დგას სენეჟინის ტბის ნაპირზე. ადგილი ძალიან ლამაზია. შეიძლება თევზის ქერა, ნადირობა. პაერი ჩვენთან კარგია და სუფთა, თქვენ კარგად დაისვენებთ და მოიკეთებთ. ჩვენ გვაქვს საკუთარი ძროხების კარგი რძე და შემოგათავაზებთ, რძე ძალიან გარგებთ. ზაფხულში უხვადაა ხილი, მასაც გულლიად შემოგათავაზებთ. გელით. გისურვებთ ყოველივე კარგს და, რაც მთავარია, დიდხანს, ძალიან დიდხანს სიცოცხლეს.

სადგურ პოდსოლნეჩნიასთან არსებული ლენინის სახელობის საბავშვო სახლის ბავშვები“ (მშრომელთა 1917-1924 წ. წერილები ვ. ი. ლენინისადმი, 1960.).

ქ. ტულის № 2 საბავშვო სახლის აღსაზრდელები მადლობას უხდნიან ბელადს: „დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-5 წლისთავთან დაკავშირებით ტულის გუბერნიის პროფსაბჭოს II საბავშვო სახლის ბავშვები გიგზავნით გულთბილ სალამს ჩვენი პროლეტარიატის მამას და მადლობას გიხდით, რომ გადაგვარჩინეთ შიმშილისაგან სიკვდილს, ამასთან ვამოვთქვამთ რწმენას, რომ საბოლოოდ გავიმარჯვებთ სისხლისმსმელ ბურჟუაზიაზე (იქვე).

ბავშვები მშობლიურ ადამიანს უგზავნიდნენ თავიანთ ნახატებს, თხზულებებს, ლექსებს.

კრემლში, ლენინის ბიბლიოთეკაში, წიგნებთან ერთად დატულია საბავშვო ჟურნალ „ბარაბანის“ (დაფლავი) 1923 წლის მეხუთე ნომერი, რომლის ყდაზეც ბავშვების ხელით აწერია:

„ძვირფას ილიჩს ზამოსკვორეჩის პიონერებისაგან“.

რკინიგზის № 52 სკოლის მოსწავლეები იტყუებოდნენ:

„ჩვენ, სადგურ უფალესთან არსებული 52-ე რკინიგზის სკოლის მოსწავლეები, მოგესალმებით, ძვირფასო ვლადიმერ ილიას ძეც, თქვენი დაბადების დღესთან

დაკავშირებით, ვიცით რა თქვენი ავად-  
მყოფობის ამბავი, ძლიერ ვწუხვართ,  
რომ არ შეგიძლიათ ეს დღე აღნიშნოთ  
ისე, როგორც ჩვენ. გიგზავნით სულ მა-  
ლე და მთლიანად გამოიწმინდეთ გულის  
გულითად სურვილებს“ (მშრომელთა  
1917-1924 წლების წერილები ვ. ი. ლე-  
ნინისადმი).

როდესაც მოსკოვის კრასნოპრესენ-  
სკის რაიონის პიონერებმა ლენინის მძი-  
მე ავადმყოფობა შეიტყვეს, გადაწყვი-  
ტეს მოეწაფებინათ იგი. აირჩიეს  
დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ:  
ყენია კრეშინა, ვასია ვორობიოვი და  
ნატაშა გავრილოვა. დელეგაციის დაავა-  
ლეს, გადაეცათ ლენინისათვის მალე გა-  
მოიწამრთელებს სურვილი და დაეტო-  
ვებინათ პიონერების წერილი:

„მსოფლიო რევოლუციის ბელადს  
ვლადიმერ ილიას ძე ლენინს  
ძვირფასო ილია!

ჩვენ, კრასნოპრესენსკის მბეჭდავ  
მუშათა ცენტრალურ კლუბთან არსე-  
ბული I რაზმის ნორჩი პიონერები, მო-  
გესალმებით მუშათა კლასის იდეურ ბე-  
ლადს, რუსეთის კომუნისტური პარტი-  
ის ფუძემდებელს, რომელსაც მუშები  
და გლეხები საბოლოოდ მიჰყავს მსოფ-  
ლიო ბურჟუაზიული წყობილების და-  
სამზობად. ჩვენ, თავისუფალ ბავშვთა  
დიადი მოძრაობის პირველი მერცხლე-  
ბი, თამამად ვიბრძოლებთ დასახული  
მიზნების მისაღწევად, მუშათა ბავშვებს  
გამოვგლეჯთ უსარგებლო ვარემოცვას,  
აღვზრდით მათ მშრომელ ხალხთა ბედ-  
ნიერებისათვის ფიზიკურად და გონებ-  
რივად სრულქმნილ მებრძოლებად.

იცხოვრე და იმუშავე, უფროსო ძმაო,  
და დაიმასხოვრე, რომ შენს ნაკვალევზე  
წავალთ ჩვენ, პროლეტარიატის ნორჩი,  
ბედნიერი პიონერები.

ამჟამად ჩვენ — ბავშვებს — არ შეგ-  
ვწევს ძალა კომუნისმის მშენებლობაში  
მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ იმის  
გამო, რომ ჩვენთვის ძვირფასია პირვე-  
ლი პროლეტარული სახელმწიფო, სი-  
ხარულით ვაგზავნით ჩვენს ერთ-ერთ  
უფროს ბელმძღვანელს სახელმწიფოს

საკეთილდღეოდ წითელ საბრძოლო  
ფლოტში“ (მარქსიზმ-ლენინიზმის ინს-  
ტიტუტის ცენტრალური პარტიული არ-  
ქივი).

მთელი ქვეყნის ბავშვები გაახარა  
ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გამოიწამ-  
რთელების ამბავმა. პოლტავის გუბერ-  
ნიის ქალაქ პრილუკის ლენინის სახე-  
ლობის „ნორჩი სპორტაკის“ უჯრედის  
წევრები წერდნენ:

„ჩვენ შევიტყვეთ, რომ თქვენი ჯან-  
მრთელობა გაუმჯობესდა. ეს ჩვენ დი-  
დად გვახარებს“.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინს მთელ  
საბჭოთა ახალგაზრდობასთან ერთად  
წერილებსა და დეპეშებს მზიური სა-  
ქართველოს ახალგაზრდებიც უგზავ-  
ნიდნენ.

მადლიერების დიდი გრძნობებია გა-  
მონატრული ქ. სოხუმის პირველი ტექნი-  
კუმის პედაგოგებისა და მოსწავლეების  
მიერ 1921 წელს ვაგზავნილ წერილში:  
„აფხაზეთის განსახკომის პირველი ტექ-  
ნიკუმის გახსნის გამო, ტექნიკუმის პე-  
დაგოგიური საბჭო და მოსწავლეები  
მიესალმებიან მსოფლიო პროლეტარი-  
ატის დიდ ბელადს ამხ. ლენინს. დარ-  
წმუნებულნი იმაში, რომ იგი, როგორც  
ფართო განათლებისთვის მებრძოლი,  
სრული სიმძლავრით შექმნის სამრეწვე-  
ლო და ეკონომიურ კერებს თავისუფა-  
ლი რუსეთის კეთილდღეობისათვის,  
რუსეთის ძმური გამოხმარებების იმე-  
დით ვუდგებით ახალ საქმეს (საქარ-  
თველოს მშრომელები ვ. ი. ლენინს.  
1921-1924 წწ.).

სოხუმის ოთხწლიანი პედაგოგიური  
ტექნიკუმი თავისი არსებობის 40 წლის  
მანძილზე წარმატებით ასრულებდა და-  
დებულ ფიცს და აფხაზეთის დაწყებით  
სკოლებს მრავალი ასეული მაღალკვა-  
ლიფიციური კადრი მოუშვადა.

მოსკოვში, ლენინის ცენტრალურ მუ-  
ზეუმში, ინახება ფოტოსურათი, რომე-  
ლიც თბილისის რკინიგზის საბავშვო  
კერის აღსაზრდელებს 1922 წელს გა-  
უგზავნიათ დიდი ბელადისათვის. ფო-  
ტოსურათზე აღბეჭდილია „საბავშვო



ორკესტრი“, სურათს აქვს წარწერა: „ჩვენ, რკინიგზის მუშების შეილები, მხურვალე სალაშს ვეძღვნით რევოლუციის დიდ ბელადს, ძია ლენინს, ჩვენი საბავშვო კუთხიდან, სადაც დადა, ხალისიანად ვცხოვრობთ და ვაშენებთ ჩვენს პატარა ცხოვრებას“ (ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის დოკუმენტების მიხედვით).

ამ სურათის შესახებ თბილისის მე-15 საშუალო სკოლის ზოია რუხაძის სახელობის რაზმეულის პიონერებმა ეურნალ „ეოჟატის“ 1964 წლის მაისის ნომრიდან შეიტყვეს: დაინტერესებული ბავშვები 1964 წლის 2 ოქტომბრიდან პიონერულ რაზმეულების საკავშირო ლენინური დათვლიერების ხაზზე დადგნენ და მიზნად დაისახეს ყველაფერი დაედგინათ, რაც აღნიშნულ ფოტოსურათს შეეხებოდა.

ბავშვებმა პირველად წერილი ლენინის ცენტრალურ მუზეუმს გაუგზავნეს. პასუხთან ერთად მალე იმ ფოტოსურათის პირიკ მიიღეს. მუზეუმის ლექტორი ვერა შანიგინა პატარებს წერდა: „ძალიან გაცვიხარდა, რომ სურვილი აღგეძრათ, გაიგოთ ილიჩისათვის გამოგზავნილი ამ ფოტოსურათის ისტორია, ამასთან ბედი იმ ბავშვებისა, რომლებიც აქ არიან აღბეჭდილნი. შედეგი გვაცნობთ“.

პიონერებმა დაადგინეს, რომ სურათზე აღბეჭდილია თბილისის ტელმაინის ქუჩაზე მდებარე საბავშვო კერის აღსაზრდელები. ეს იყო რკინიგზის ბავშვთა ერთ-ერთი პირველი კერა, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე გაიხსნა. შემდეგ საქსპედიციო რაზმის წევრებმა გაიგეს ამ საბავშვო კერის ყოფილი გამგის ვინაობა. ეს ყოფილა მარია ბოკენტის ასული ხუბოვა, მან დიდა დახმარება გაუწვია პიონერებს სურათზე აღბეჭდილ აღსაზრდელთა გვარების დადგენაში. საქსპედიციო რაზმის წევრებმა 19 აღსაზრდელიდან ექვსი მოძებნეს. ესენი არიან:

ვერა მაისურაძე (თბილისის პუშკი-

ნის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი), ტატიანა ხუბოვა (მოსკოვის მთავარელებტროტრანსპორტის ინსტიტუტის საპროექტო ბიუროს ხელმძღვანელი), გაიოზ ჭეჭელაძე (სპორტის დამსახურებული ოსტატი), მიხეილ ბუდუშინი (ქ. სვერდლოვის პოსპიტლის განყოფილების მთავარი ექიმი), ჯუანშერ ჭეჭელაძე (ამიერკავკასიის სპეციალიზებული გამშვებ-გამმართველის სამმართველოს უფროსი), გიორგი ლეჟავა (სამამულო ომში გმირულად დაიღუპა).

პიონერებს გადაწყვეტილი აქვთ საბავშვო კერის დანარჩენი აღსაზრდელების ვინაობის დადგენაც (გაზ. „სახალხო განათლება“, 1965 წ., 21 აპრილი).

საბჭოთა ახალგაზრდობა სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში თავის წარმატებებს დიდი ბელადის სახელს უკავშირებდა. ამიტომ მის სახელს არქმევდა მუშათა ახალ დასახლებებს, კლუბებს, ბაღებს, ქუჩებს, მოედნებს, სასწავლებლებს...

1922 წლის 3 ნოემბერს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების ახალგაზრდა მუშები ამცნობდნენ საყვარელ ბელადს: „ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ჩამოვრჩებივთ დანარჩენ ჩვენს ამხანაგებს და ოქტომბრის ხუთი წლისთავისათვის ვუშვებთ პირველ ორთქლმავალს. რასაც ერთსულოვნად ვუძღვნივთ დიდ ბელადსა და მასწავლებელს ძვირფას ილიჩს. დაე, ამ ორთქლმავალმა მძლავრად იქროლოს მთელ დიად საბჭოთა ფედერაციაში და წარმოადგენდეს ყველა მშრომელის ძმური ერთიანობისა და კავშირის სიმბოლოს (გაზ. „პრავდა გრუზი“, № 478, 1922 ).

თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა კრებამ 1922 წლის 22 ნოემბერს ლენინს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ვკითხოლობთ:

„ძვირფასო ამხანაგო ლენინ! თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტობა, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში იმყოფებოდა მენშევიკების განუწყვეტელი მეთვალყურეობის ქვეშ.

ინსტიტიუტი, როგორც ბოლშევიკური აზრის გამავრცელებელი კერა, აღგენს, მეხუთე წლისთვის აღსანიშნავად მიეკუთვნოს მას თქვენი სახელი, როგორც მშრომელი მასებისა და მოწინავე რევოლუციური ინტელიგენციისათვის ძვირფასი სახელი. მოგესალმებათ რა თქვენ, სტუდენტობა ფიცსა დებს, რომ მთელ თავის ცოდნას მოახმარს საბჭოთა ფედერაციის დანგრეული მეურნეობის აღდგენას.

გაუმარჯოს კომუნისტურ უმაღლეს სკოლას!

საერთო კრების პრეზიდიუმში“ (საქართველოს მშრომელები ვ. ი. ლენინს, 1921-1924 წწ.).

თხოვნის პირი გაგზავნა განათლების სახალხო კომისარს ა. ლუნაჩარსკის, რომელმაც იმავე დღეს, 22 ნოემბერს, გამოსცა ბრძანება თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მიკუთვნების თაობაზე.

თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მიკუთვნებით აღფრთოვანებულმა პროფესორ-მასწავლებლებმა 1922 წლის 23 ნოემბერს გაგზავნეს შემდეგი შინაარსის დეპეშა: „თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საბჭო მიესალმება სტუდენტთა გადაწყვეტილებას, დამტკიცებულს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ ინსტიტუტისათვის თქვენი სახელის მიკუთვნების შესახებ“... (საქართველოს მშრომელები ვ. ი. ლენინს, 1921-1924 წწ.).


ლენინის გარდაცვალების ცნობამ დიდად დამწუხრა დედამიწის ყველა

მშრომელი. ღრმად განიცადეს ეს მძიმე დღეები ბავშვებმა, ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობამ. აი, როგორ მიმართა ქ. სამტრედიის შრომის სკოლისა და ტექნიკუმის პედსაბჭომ 1924 წლის 26 იანვარს დიდი ბელადის დამკრძალავ კომისიას: „—ტექნიკუმის პედაგოგიური საბჭო და მასთან არსებული 3-წლიანი შრომითი სკოლა გამოხატავს ღრმა მწუხარებას მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, ლენინის გარდაცვალების გამო და მასთან დაკავშირებით საგანგებო სამგლოვიარო სხდომაზე აღგენს: სასწავლებელს ეწოდოს ლენინის სახელი, ერთ-ერთ საუკეთესო და დარიბ მოსწავლეს დაენიშნოს ლენინის სახელობის სტიპენდია (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფონდი 29, საქმე 328, ფურცელი 82).

„ძვირფასი ილიჩის საუკეთესო ხსოვნა იქნება ყველა კომუნისტის, კომკავშირელის, მუშისა და ყველა მშრომელის მტკიცე შრომა... მტკიცედ ვიშრომებთ იმ საქმის საკეთილდღეოდ, რასაც მთელი თავისი სიცოცხლე შეალია ილიჩმა და მზად ვიქნებით ახალი მკაცრი რევოლუციური ბრძოლებისათვის ჩვენი დიდი ბელადის უდიდესი ანდერძის დასაცავად.“—ვკითხულობთ კომკავშირის ამიერკავკასიის სამხარეთო კომიტეტის 1924 წლის 24 იანვრის მიმართვაში (საქართველოს მშრომელები ვ. ი. ლენინს, 1921-1924 წწ.).

და მართლაც, საბჭოთა ახალგაზრდობა წმინდად ასრულებდა და ასრულებს დიდი ბელადისადმი მიცემულ ფიცს. იგი მტკიცედ მიჰყვება ლენინის მიერ დასახულ გზას კომუნიზმისაკენ.





## სამსონ ენაქაშვილი

ფილოლოგიურ მიცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი.

### ქართული არეოპაგებიკის რამდენიმე საკითხი

ათასხუთასწლიანი კვლევა-ძიება არეოპაგებიკის დარგში იმით აღინიშნა, რომ მეცნიერთა უმრავლესობამ დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი ფილოსოფიური ტრაქტატების ავტორად აღიარა მეზუთე საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოღვაწე და მოაზროვნე პეტრე იბერიელი. უკვე მეოთხედი საუკუნეა ამ საკითხზე არსებობს ნუცუბიძე-პონიგმანის თეორია. უკანასკნელ დრომდე მეცნიერებაში არ შეწყვეტილა ცდები გამოენახათ სხვა კანდიდატი, მაგრამ ამ ცდებს წარმატება არ მოჰყოლია.

არეოპაგებიკის ისტორიის შესწავლა ამოწურულად არ ითვლება. მისი მრავალი საკითხი მოითხოვს გამომზეურებასა და მეცნიერულ ძიებას. ასე, მაგალითად, აუცილებელია იმ უძველესი ცნობებისა თუ მასალების დაძებნა-გარკვევა, რომლებიც შემონახულია არეოპაგებიკული შრომებისა და მათი ავტორის თაობაზე ძველ ქართულ მწერლობაში.



ყველაზე ადრინდელი ცნობა დიონისე არეოპაგელზე ქართულ მწერლობაში

ჯერხნობით VIII საუკუნისა მოგვეპოვება. მხედველობაში გვყავს ქართველი მწიგნობარი-მთარგმნელი სეითი, რომელიც, აკადემიკოს კ. კეკელიძის აზრით, ცხოვრობდა VIII საუკუნის მეორე ნახევარსა ან IX საუკუნის პირველ ნახევარში. სეითი მოღვაწეობდა იერუსალიმში, საბას ლავრაში. აქ თარგმნიდა აგიოგრაფიულ ნაწარმოებებს. იგი თარგმნიდა ბერძნული ენიდან ან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არაბულიდან. სეითს მიეწერება 25 აგიოგრაფიული თხზულების გადმოღება ქართულად; ამათგან ორი დაკავშირებულია დიონისე არეოპაგელის სახელთან („დიონისე არეოპაგელის ცხოვრება“ და „დიონისე არეოპაგელის ეპისტოლე ტიმოთესადმი“).

შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში ნამდვილი დიონისე არეოპაგელი, ქ. ათენის პირველი ეპისკოპოსი (I ს. ჩვ. წ.-მდე), როგორც პავლე მოციქულის მოწაფე, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მასზე ბევრი ლეგენდარული ხასიათის თხზულება იქმნებოდა. ამ ნაწარმოებებისადმი ინტერესი იმთავითვე გამოუჩენიათ ქართული მწერ-

ლობის მოჭირნახულეებსაც. ამის მა-  
უწყებელია დასახელებულ თხზულება-  
თა გადმოქართულება სეითის მიერ. ისი-  
ნი შეტანილია ათონის მრავალთავში,  
რომელიც აგიოგრაფიულ კრებულს წარ-  
მოადგენს. მათ პირველად მიაკვლია  
აკადემიკოსმა ნ. მარმა.

ორივე ნაწარმოები თითქოსდა ავტო-  
ბიოგრაფიული ხასიათისაა: დიონისე  
არეოპაგელი მოგვითხრობს თავისი ცხო-  
ვრებისა და სასწულების ამბებს. მაგრამ  
მეცნიერებაში დიდი ხანია გარკვეულია,  
რომ ისინი, ისევე, როგორც სხვა თხზუ-  
ლებანი დიონისეზე, დაწერილია არა ამ  
პიროვნების მიერ, არამედ შექმნილია  
VII-VIII საუკუნეებში სხვა ავტორები-  
საგან ბერძნულ, სირიულ, არაბულ ენებ-  
ზე და მიეკუთვნება აპოკრიფულ ლიტე-  
რატურას. ქართული სამყაროსათვის ეს  
ფაქტი უცნობი იყო. ამას არც ჰქონდა  
არსებითი მნიშვნელობა. მთავარია ის,  
რომ ძველად ქართულ მწერლობაში დიდ  
ინტერესს იჩენდნენ დიონისე არეოპაგე-  
ლის სახელთან დაკავშირებული ნაწარ-  
მოებებისადმი, კერძოდ, მისი „ცხოვრე-  
ბისადმი“, რასაც პეტრე იბერიელის ავ-  
ტორობის თვალსაზრისით გარკვეული  
ღირებულება ენიჭება.

„დიონისე არეოპაგელის ავტობიოგ-  
რაფიამ“ ფართო გამოხმაურება ჰპოვა  
მეცნიერებაში. დადგა საკითხი: ქართუ-  
ლიდან ითარგმნა იგი სომხურად თუ პი-  
რიქით. პირველად ეს საკითხი ბელგი-  
ელმა აღმოსავლეთმცოდნემ პ. პეტერს-  
მა აღძრა (ჟურნალი *Analecta Bollandiana*, ტ. 31, 1912 წ., გვ. 1-10).  
ამ ძეგლის სომხურ ტექსტს ახლავს  
მინაწერი, რომელშიც ნათქვამია, რომ ის  
სომხურად გადაუღია ვინმე იოანე მკურ-  
ნალს 880 წელს იერუსალიმში „ვისი-  
კან“ ენიდან. პ. პეტერსმა ანდერძში  
მოხსენიებული სიტყვა „ვისიკან“ ახს-  
ნა, როგორც გრაფიკულ ნიშანზე და-  
მახინჯებული სიტყვა „ვირიკან“, რაც  
ნიშნავს ივერიულს ანუ ქართულ ენას.  
მაშასადამე, ბელგიელმა ორიენტალისტ-  
მა ეს თხზულება ქართულიდან სომხურ  
ენაზე გადათარგმნილად მიიჩნია.

ამ შეხედულებას ნეგატიურად გამო-  
ეხმაურნენ სომეხი მეცნიერები. 1912-  
1914 წლებში მათ გამოაქვეყნეს მთელი  
რიგი წერილები, რომლებშიც უარყო-  
ფენ საკითხის პეტერსისეულ გადა-  
წყვეტას. კერძოდ, ცნობილმა ვენელმა  
მკვლევარმა ნ. ანიკიანმა გამოსცა „ცხო-  
ვრების“ სომხური ტექსტი გამოკვლე-  
ვითურთ, სადაც „დიონისე არეოპაგე-  
ლის ავტობიოგრაფიის“ სომხური ვერ-  
სია სირიულიდან, უფრო კი არაბული-  
დან ნათარგმნად გამოაცხადა. ხოლო  
ქართული „ცხოვრება“ — სომხურიდან  
მომდინარედ. სომეხ მეცნიერთა ამგვა-  
რი პოზიციის გამო პ. პეტერსი კვლავ  
დაუბრუნდა ამ საკითხს. 1921 წელს ზე-  
მთ მითითებულ ჟურნალში მან გამოს-  
ცა ძეგლის ქართული რედაქცია და და-  
ურთო ვრცელი საფუძვლიანი გამო-  
კვლევა. თხზულების ენობრივი ანალი-  
ზისა და მრავალი საბუთის მოშველიების  
შედეგად ის ასკვნის: „ქართული რედაქ-  
ცია, რომელიც სომხურის უშუალო წყა-  
როა, მომდინარეობს არაბული ორიგი-  
ნალიდან“ (ტ. 39, გვ. 283).

ამგვარად, პ. პეტერსმა ნათელჰყო,  
ერთი მხრით ის, რომ „დიონისე არეო-  
პაგელის ცხოვრების“ ქართული ვერ-  
სიიდან არის შესრულებული ამ თხზუ-  
ლების სომხური თარგმანი, ხოლო, მეო-  
რე მხრით, ქართული რედაქციის არა-  
ბულიდან წარმომავლობის საკითხი, მა-  
შასადამე, სეითს ეს ძეგლი უთარგმნია  
არაბული ენიდან.

„დიონისე არეოპაგელის ცხოვრების“  
ქართული თარგმანის წარმომავლობის  
საკითხს ორგზის შეეხო პროფ. ი. აბუ-  
ლაძე, პირველად გაკვრით (ენიქის მო-  
ამბე, ტ. III, გვ. 123-134), ხოლო შემ-  
დეგ გამოსცა მისი ტექსტი და დაურთო  
გამოკვლევა (ქართული და სომხური  
ლიტერატურული ურთიერთობა IX-X  
საუკუნეებში, თბილისი, 1944). ძეგლის  
პუბლიკაციისათვის, გარდა პ. პეტერ-  
სის მიერ გამოყენებული ათონური მრავ-  
ალთავისა (ხელნაწერი № 57), რომე-  
ლიც აკად. ნ. მარის აზრით X საუკუნეს  
განეკუთვნება ( *Агиографические мате-*



რიალი по грузинским рукописям Ивера, ч. I, СПб. 1900, გვ. 507, მას მოუშველდება საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა A-19, რომელსაც თ. ჟორდანიას VIII-IX საუკუნეებით ათარიღებს (Ф. Жордания, Описание рукописей Тифлисского церковного музея. т. I, 1903, стр. 90). თვით პროფ. ი. აბულაძე მას მიაკუთვნებს VIII საუკუნეს (დასახ. შრ., გვ. 172).

A-19 ხელნაწერის თარიღის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხის გასარკვევად, თუ როდის მოიხსენიება პირველად ქართულ მწერლობაში დიონისე არეოპაგელი. როგორც ზემოთ ითქვა, აკადემიკოსი კ. კეკელიძე სეითს თვლიდა VIII საუკ. მეორე ნახევრის ან IX საუკ. პირველი ნახევრის მოღვაწედ. თუ პროფ. ი. აბულაძის მოსაზრება, რომ ნუსხა A-19 შესრულებულია VIII საუკუნეში სწორია, მაშინ გარკვეულად ზუსტდება: „ცხოვრება“ სეითს გადმოუქართულებია იმავე VIII საუკუნეში და, მასაღამე, ამ დროისათვის დიონისე არეოპაგელის სახელი ცნობილი ყოფილა ჩვენში.

„დიონისე არეოპაგელის ცხოვრებასთან“ დაკავშირებით ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ მოღვაწეზე დაწერილ თხზულებაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი მის სამწერლო საქმიანობაზე. ძეგლი შექმნილია VII საუკუნის ბოლოს ან მერვის დასაწყისში და მასში სრულიად არაა ნახსენები ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორსაც არეოპაგიტული ტრაქტატები წარმოადგენენ. და ეს იმ დროს, როდესაც ოფიციალური აღიარებით მათ ავტორად სწორედ დიონისე ითვლებოდა. ამ ფაქტს გარკვეული ღირებულება ენიჭება არა მარტო დიონისე არეოპაგელის მწერლობისა და არეოპაგიტული წიგნებისადმი მისი ავტორობის მითის გასაფასტავად, არამედ იმისთვისაც, რომ პეტრე იბერიელის სამშობლოში, საქართველოში, ფართოდ იყო გავრცელებული „დიონისე არეოპაგელის ცხოვრება“, რომელშიც, წინააღმდეგ ოფიციალური

ვერსიისა, მინიშნებაც კი არ არის იმაზე, რომ ეს პიროვნება ავტორია არეოპაგიტისა.

ამგვარად, „დიონისე არეოპაგელის ცხოვრება“ ჩვენთვის სამხშირე საინტერესო ძეგლია. ჯერ-ერთი, ის წარმოადგენს დიონისე არეოპაგელის სახელის ჯერსნობით პირველ ლიტერატურულ ფიქსაციას ქართულ მწერლობაში; მეორე, ამ თხზულების საშუალებით ირკვევა, რომ დიონისეს ჩვენი მწერლობა იცნობდა უკვე VIII საუკუნეში; მესამე, თუმცა ნაწარმოები საგანგებოდ დაწერილია ამ მოღვაწის ცხოვრების ასასახავად, მასში სრულიად არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ იგი ავტორია არეოპაგიტისა.



შემდეგი ქართველი მოღვაწეები, რომელთა ნაწერებში შემონახულია ძვირფასი ცნობები არეოპაგიტული წიგნების და მათი ავტორის თაობაზე, არიან ძველი ქართული კულტურისა და აზროვნების სახელოვანი წარმომადგენლები ექვთიმე (955-1028 წწ.) და გიორგი (1009-1065 წწ.) მთაწმინდელები.

ექვთიმესა და გიორგის მოღვაწეობიდან ამჟამად ჩვენს ყურადღებას იპყრობს მათ მიერ გადმოთარგმნილი „სვინაქსარები“ — კალენდარული საკითხავები წმინდანთა ცხოვრებიდან. ექვთიმემ თარგმნა „მცირე სვინაქსარი“, რომელიც მოთავსებულია 1030 წელს კონსტანტინოპოლში შესრულებულ ხელნაწერში (ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა A-648), ხოლო გიორგიმ გადმოაქართულა „დიდი სვინაქსარი“; მისი ტექსტი გვაქვს გამოჩენილი წმინდანებისადმი მიძღვნილ ლოცვანთა შემსველ ხელნაწერში, რომელიც მიეკუთვნება XI საუკუნეს (იმავე ინსტიტუტის ნუსხა A-97).

ექვთიმეს „მცირე სვინაქსარში“ 3 ოქტომბრის თარიღის ქვეშ იკითხება: „...I წმინდისა იერთოთესი ათენელ მთავარ ებისკოპოსისაჲ, რომელი იყო მოძღუარი დიონოსიოასი საფილაფოზოსა

და შეუდგა იგიცა წმიდასა პავლეს და ისწავლნა მისგან საიდუმლონი ზეცისანი“ (A-648, გვ. 11 V.).

ხელნაწერის ეს ადგილი, სამწუხაროდ, ნაკლულევანია, მაგრამ ასეთივე ცნობა უფრო ვრცლად მოიპოვება გიორგის „დიდ სვინაქსარში“ იმავე 3 ოქტომბრის თარიღით: „დიონისიმ ხოლო ისწავლნა წმიდისა იეროთეოს ბრძნისაგან საიდუმლონი მაღალნი. და ამან ხოლო მარტოდ აღწერა წიგნთა შინა ზეცისა ძალთა და მკედრობათათვს განწყობილებისა მათისა და კუალად სამღვდელთა და საეკლესიოთა წესთა სახის-მეტყუელებამ და თარგმანებამ. ესე ცეცხლითა დამწუხარ იქმნნა წარმართთაგან და შუენიერნი იგი წიგნი მისნი მის თანა, რომელთასა იტყვან, ვითარმედ ჰრომსა ხოლო წიგნის საცაცსა დაშთეს ჰიონი. იპოებთან ჩუენთანაცა წიგნთა მისთაგანნი ათნი ხოლო მარტოდ“ (A-97, გვ. 97).

ექვთიმე და გიორგი ათონელთა „სვინაქსარებიდან“ მოტანილ ცნობებში, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ერთი საყურადღებო ფაქტი: მათში პირდაპირ და მკაფიოდ ნათქვამია, რომ დიონისე და იეროთეოსი ერთმანეთთან დაკავშირებული პირნი არიან, რომ იეროთეოსი მასწავლებელია, მოძღვარია დიონისე არეოპაგელისა, ხოლო ეს უკანასკნელი, მაშასადამე, მისი მოწაფეა.

ამ ცნობების მნიშვნელობის გასათვალისწინებლად საჭიროა გავიხსენოთ ბელგიელი მეცნიერის აკად. ე. ჰონიგმანის თეორია არეოპაგიტული ნაწერების ავტორად პეტრე იბერიელის აღიარების თაობაზე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 59, 1955 წ.). პეტრესა და ფსევდო-დიონისეს ჰონიგმანისეული იგივეობის საფუძველია იეროთეოსისა და დიონისეს, როგორც მასწავლებლისა და მოწაფის, ურთიერთკავშირი, რის დოკუმენტურ დადასტურებასაც მან მიაგნო XIII საუკუნის სირიულ კალენდარში — „რაბანა სლიბაში“. ამ 1 დეკემბერი მიჩნეულია პეტრეს გარდაცვალების თარიღად და იქვე აღნიშნულია, რომ 4 ოქტომბე-

რი ითვლება მოსახსენიებელ დღედ იეროთეოსისა, რომელიც წოდებულია „დიდი დიონისეს მასწავლებლად“. იონანე რუფუსის „პეტრე იბერიელის ცხოვრებაში“ კი გარკვეულად არის მითითებული, რომ იონანე ლაზი, პეტრეს მასწავლებელი, გარდაიცვალა 4 ოქტომბერს.

ამგვარად, ერთი მხრით, იეროთეოსის მოსახსენიებელი დღეა 4 ოქტომბერი, რომელიც იონანე ლაზის გარდაცვალების თარიღია, მეორე მხრით, იეროთეოსი დიონისეს მოძღვარია, ხოლო იონანე პეტრეს აღმზრდელი და მასწავლებელია. გამოდის, რომ იეროთეოსი იონანე ლაზია, ხოლო დიონისე არეოპაგელი პეტრე იბერიელია. ამით აიხსნება, რომ პეტრეს მოსახსენიებელ დღედ 1 დეკემბრის ნაცვლად აღინიშნა 3 ოქტომბერი, რათა დაეახლოვებინათ იონანე ევენუსის მოსახსენიებულ დღესთან — 4 ოქტომბერთან.

როგორც ზეხდავთ, იეროთეოსის საკითხი წარმოადგენს არეოპაგიტის ავტორობის ჰონიგმანისეული თეორიის გასაღებს. მაგრამ ზოგიერთი მეცნიერი (მაგალითად, კ. კეკელიძე ჩვენში, ი. ენგბერდინგი საზღვარგარეთ) არ იზიარებს ე. ჰონიგმანის ახსნას იმის გამო, რომ „რაბანა სლიბა“ გვიანდელი, XIII საუკუნის დოკუმენტია, ხოლო უფრო ადრინდელი წყაროები იეროთეოს-დიონისეს, როგორც მასწავლებელ-მოწაფის, დამოკიდებულებაზე არაფერს იუწყებიანო. ამიტომ XIII საუკუნეზე ადრეულ საბუთებს ამ მიმართებით დიდი ღირებულება ეძლევა.

აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების ზემოთ მოტანილ ცნობებს უდავოდ ფასეული მნიშვნელობა აქვს. როგორც ირკვევა, მათი სახით ქართულ მწერლობაში მოგვეპოვება „რაბანა სლიბაზე“ ორი საუკუნით ადრინდელი, XI საუკუნის საბუთები. ისინი დოკუმენტურად ადასტურებენ, რომ იეროთეოსი და დიონისე არეოპაგელი ნამდვილად დაკავშირებული არიან ერთმანეთთან როგორც მოძღვარი-მოწაფე, რის გამოც

მათ მოსახსენიებელ დღეებად საეკლესიო კალენდრებში თანმიმდევრულად დანიშნულია 3 და 4 ოქტომბერი. ამით კიდევ უფრო განმტკიცდა ე. პონიგმანის აღნიშნული თეორია და მას მეტი მეცნიერული საბუთიანობა მიეცა.

ამრიგად, ექვთიმე და გიორგი ათონელთა „სვინაქსარებში“ დაძებნილი ცნობების უპირველესი მნიშვნელობა ჩვენთვის ისაა, რომ მსოფლიო მწერლობაში ჭერხნობით პირველად ამ ძეგლებში არიან მოხსენიებულნი დიონისე და იეროთეოსი (ანუ პეტრე იბერიელი და იოანე ლაზი), როგორც მოწაფე და მასწავლებელი.

ეს ცნობები სხვა მხრივაცაა საყურადღებო, მათში აღბეჭდილია სხვა საგულისხმო მოვლენებიც. მაგალითად, გიორგის ცნობაში დიონისე არეოპაგელი წარმოდგენილია როგორც მწერალი და დასახელებულია მისი წიგნებიც: „...ამან ხოლო მართოდ აღწერა წიგნთა შინა ზეცისა ძალთა და მკედრობათათჳს განწყობილებისა მათისა და კუალად სამღდელოთა და საეკლესიოთა წესთა სახის-მეტყუელებად და თარგმანებაჲ“. აქ აღვიღად გამოიკნობა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ორი ცნობილი ტრაქტატი — „ზეციურ იერარქიაზე“ და „საეკლესიო იერარქიაზე“ (ფერემ მციარის ტერმინებით: „ზეცათა მღდელთ-მთავრობისათჳს“ და „საეკლესიოთა მღდელთ-მთავრობისათჳს“). იქვე ქვემოთ დასახელებული ათი წიგნი კი იგივე არეოპაგიტული ათი წერილია.

ზემოთ აღინიშნა, რომ „დიონისე არეოპაგელის ბიოგრაფიაში“ არაფერია ნათქვამი ამ მოღვაწის მწერლობის თაობაზე, გიორგი ათონელთან კი გარკვეულად ლაპარაკია მის მწერლობაზე და მითითებულია მისი თხზულებანი. ამაზე უფრო ადრინდელი ცნობა დიონისეს ლიტერატურულ მოღვაწეობასა და ნაწარმოებებზე ქართულ მწერლობაში არ მოიძევა. ამ მხრივაც გიორგი ათონელის „დიდი სვინაქსარი“, როგორც დიონისე არეოპაგელის ავტორობის პირველი ლიტერატურული ფიქსაცია ქარ-

თულ მწერლობაში, მნიშვნელოვანი წყაროა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ტ. რუხაძე, რომელმაც თავის საგაზეთო წერილში პირველად მიაქცია ყურადღება ექვთიმე და გიორგი მთაწმინდლების „სვინაქსარებში“ დაცულ ცნობებს, აღნიშნავს, რომ როდესაც გიორგი ლაპარაკობს დიონისეს წიგნების დაწვის შესახებ, თითქოს აქ იგულისხმება ამ მოღვაწის აწ დაკარგული თხზულებები (უცნობი ქართული წყაროები, „კომუნისტი“, 5. X. 1963). სინამდვილეში კი გიორგისთან დასახელებულია ზემოთ მითითებული ცნობილი ორი ნაწარმოები და ათი წერილი.

ექვთიმე ათონელთან დაკავშირებით აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. მისი აზრით, გრიგოლ დიალოლოს, რომის პაპს (590-604 წწ.) დაუწერია პეტრე იბერიელის ქება. რას ემყარება ეს განცხადება, გაურკვეველია, მაგრამ იგი გავრცელებულა ქართულ მწერლობაში და „ქართლის ცხოვრებაშიც“ ასახულა. პეტრე იბერიელზე „ქართლის ცხოვრებაში“ ლაპარაკია ლეონტი მროველისეული რედაქციის ორ ჩანართში — მოკლესა და ვრცელში (ქართლის ცხოვრება, გამოც. ს. ყაუხჩიშვილისა, ტ. I, 1955 წ., გვ. 133-135). ორივე ჩანართს ბოლოში ასეთი მინაწერი აქვს: „ხოლო ამის (ე. ი. პეტრეს — ს. ე.) ნეტარისა ფრიადი ქება აღეწერა გრიგოლ დიალოლოსსა, წმიდასა პატრიარქსა ჰრომისასა, წიგნსა შინა თჳსსა“ (იქვე, გვ. 135).

ექვთიმეს ამ ცნობას იქვე მოსდევს ანდრეძ-მინაწერი: „წმიდაო პეტრე, მეოხ ეყავნ წინაშე ღმრთისა ბატონიშვილს ვახტანგს მეუღლით, ძით და ასულითურთ, რომელმან მოპოვნებულ ყო ცხოვრება ესე შენი და მცირედი აღაწერინა წიგნსა ამას შინა, არამედ სრულიად არა აღიწერებოდა სიდიდით“. როგორც ძეგლის გამომცემელი პროფ. ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს (გვ. 030), ვახტანგ მეექვსეს ახალგაზრდობაში მოუძევებია „პეტრე იბერიელის ცხოვრება“ და უბრ-

ძანებია მისი შემოკლებით შეტანა „ქართლის ცხოვრებაში“ იმ დროს არსებული ვრცელი ბიოგრაფიის მიხედვით.



როგორც ცნობილია, არეოპაგიტული ტრაქტატები ბერძნულიდან ქართულად გადმოთარგმნა XI საუკუნის გამოჩენილმა მწერალმა და მოაზროვნემ ეფრემ მცირემ. მან მშობლიურ ენაზე გადმოიტანა თავისი დიდი წინაპრის პეტრე იბერიელის სახელგანთქმული შრომები, რომლებიც მაშინდელი ისტორიულ-კულტურული პირობების გამო ბერძნულ ენაზე შეიქმნა. ამ წიგნების გადმოქართულება ეფრემის მიერ ეპოქის მოთხოვნებმა განაპირობა. ეს არის წინარუსთაველური, წინარენესანსული ხანა საქართველოში, როდესაც ჩვენი კულტურა, მეცნიერება, მწერლობა აღმავლობის გზით მიდიოდა. მდიდრდებოდა როგორც ორიგინალური, ასევე თარგმნილი თხზულებებით ცოდნის სხვადასხვა დარგიდან, განსაკუთრებით ფილოსოფიიდან. ამ მოვლენის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულება იყო ეფრემის მიერ არეოპაგიტული ნაწერების ქართულად გადმოლება.

მაგრამ ამჟამად საჭიროა არეოპაგიტის ქართულად თარგმნის საკითხი ახლებურად დაისვას. ძველ ქართულ მწერლობაში მოიპოვება მასალები, რომლებიც მოითხოვს ამ საკითხზე ყურადღების საგანგებოდ გამახვილებას.

პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს იოანე საბანისძის ცნობილი თხზულება „აბო ტფილელის მარტილობა“. ნაწარმოების პირველ თავში, რომელიც ზოგადი ხასიათისა და შეიცავს ბიბლიიდან და სხვადასხვა ავტორის ნაწერებიდან მოტანილ ადგილებს, გვხვდება ასეთი მსჯელობა: „რამეთუ საშინელ და წმიდა არს და ყოვლად ძლიერ და საკრველ და უფალ და ყოველისა-მპყრობელ არს სახელი მისი; ვერ შემძლებელ ვართ ჩუენ მიწდომად სიმდიდრესა მას სახელისა მისისასა, არამედ უძლურებისა-ებრ ჩემისა და გულს მოდგინებისა თქუენისა ვი-

წყო თბრობად თქუენდა, საყუარელნო: კარ, გზა, ტარიგ, მწყემს, ლოდ, მარგალიტ, ყუავილ, ანგელოზ, კაცი, ღმერთ, ნათელ, ქუეყანა, მარილ, მატლ, მარცუალ მდოგვს, მზე სიმართლის...“ (კ. კეკელიძე, „ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა“, გვ. 60).

შემდეგ ავტორი იძლევა ჩამოთვლილ სახელთა კომენტარს ცალ-ცალკე და დასკვნის: „ხოლო ესე არათუ რაამე თავით თვსით განგიმარტე თქუენ, საყუარელნო და ქრისტეს-მოყუარენო და სწავლის მოღუაწენო, არამედ წამებითა წიგნთა-გან საწინააღსწარმეტყუელოთა და მოციქულთა ქადაგებისა-ებრ, — წმიდათა სახარებათა წერილი და ნეტართა მამათა მოძლუართა მიერ განსაზღვრებული სარწმუნოებაჲ (იქვე. გვ. 62).

ვინც იცნობს არეოპაგიტულ მოძღვრებას, მისთვის ძნელი არ იქნება შეამჩნიოს ფსევდო-დიონისეს გავლენა „აბო ტფილელის მარტილობის“ ავტორზე. ამის თაობაზე კ. კეკელიძე ჭერკიდევ 30 წლის წინათ წერდა: „როდესაც ლაპარაკია ნათარგმნ თხზულებათა გავლენის შესახებ ჩვენს ავტორზე (იოანე საბანისძეზე. ხ. ე.), არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს შემდეგს გარემოებასაც. თავისი თხზულების პირველ თავში ავტორი გვითვალისწინებს სიმბოლიური ეპითეტებით ღვთის სახელებს, როგორიცაა: კარი, გზა, ტარიგი, მწყემსი, ლოდი, მარგალიტი, მარილი, ყუავილი, ანგელოზი, კაცი, ღმერთი, ნათელი, ქუეყანა, მარცვალი მდოგვისა, მატლი, მზე სიმართლისა. დაბოლოს, აღნიშნავს, რომ ყველაფერი ეს მე არა თავით ჩემით განგიმარტეთ თქვენ, არამედ საღმრთო წერილიდ. ხ და „ნეტართა მამათა მოძლუართა მიერ განსაზღვრებულისა-განო“. ამ მამათა და მოძღვართაგან ამ შემთხვევაში ჩვენი ავტორი იცნობს სიმბოლიური ღვთისმეტყველების ელემენტებს ე. წ. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებიდან, რომელსაც ეწოდება „საღმრთოთა სახელთათვს“. ჩანს, V-VI საუკუნეთა ამ ავტორის თხზულებებს, რომელთაც საშუალო საუკუნეებში დი-



დი გავლენა ჰქონდათ მოპოვებული. ჩვენშიც იცნობდნენ ჯერ კიდევ საბანისძის ეპოქაში, თუმცა თარგმანი მათი XI საუკუნიდან, ეფრემ მცირიდან, მომდინარეობს“ (იქვე, გვ. 47-48).

ამგვარად, აკადემიკოსი კ. კეკელიძე ნათლად მიუთითებს ფსევდო-დიონისე არეობაგელის მოძღვრების გავლენას იოანე საბანისძეზე. ვაიხსენოთ ისიც, რომ, ამავე მკვლევარის მართებული მტკიცებით, „აბო ტფილელის მარტილობა“ დაწერილია არა უგვიანეს 790 წლისა (გვ. 37). მაშასადამე, არეობაგეტულ ნაწერებს ქართულ მწერლობაში იცნობდნენ უკვე VIII საუკუნეში, ე. ი. სამი საუკუნით ადრე. ვიდრე ეფრემ მცირე გადმოთარგმნიდა. ეს მოვლენა ქართული არეობაგეტოის თვალსაზრისით უადრესად საინტერესოა. გამოდის, რომ VIII საუკუნისათვის ამ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ შრომებს გზა გაკაფული ჰქონია ქართულ აზროვნებაში.

ძველი ქართული მწერლობის დიდი მკვლევარის კ. კეკელიძის დებულება, რომ იოანე საბანისძე იცნობს ფსევდო-დიონისეს მოძღვრებას, საფუძვლიანია. მაგრამ ვიზიარებთ რა ამ შეხედულებას, ჩვენს წინ ლოგიკურად წამოიჭრება არა ერთი ახალი საკითხი.

პირველ ყოვლისა, გასარკვევია: რა გზით გაიცნო იოანე საბანისძემ ფსევდო-არეობაგეტული ნაწერები; ამ თხზულებებს ის ქართულად გაეცნო თუ რომელიმე სხვა ენაზე?

როგორც ცნობილია, ეს წიგნები შეიქმნა ბერძნულ ენაზე. შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ იოანე მათ წაიკითხავდა ბერძნულ ორიგინალში? ამ შემთხვევაში დასადგენია, იცოდა თუ არა მან ბერძნული. მაგრამ არ გავგაჩნია არავითარი საბუთი, რომ საბანისძე ფლობდა ამ ენას. „აბო ტფილელის მარტილობაში“ მოიპოვება ორი ადგილი, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულია ბერძნულ სამყაროსთან — მოხსენიებული არიან ბერძნები და ბიზანტია. ერთგან ქართველების მიერ ქრისტიანობის მიღებასთან დაკავშირებით ავტორი

ამბობს: „რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისა-მიერი მოიპოვეს, არამედ ჩუენცა. შორიელთა ამათ მკვდრთა“... (იქვე, გვ. 62) მეორეგან კი აღნიშნულია: „და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებლად ქრისტეს-მსახურისა იონთა მეფისა, რომელი მოსაყდრე არს დიდსა მას ქალაქსა კოსტანტინეპოლისასა“ (გვ. 66) — ეს არის და ეს. მაგრამ აქედან არ შეიძლება დავასკვნათ, რომ მწერალი უშუალოდ სარგებლობდა ბერძნული ენით.

აკად. შ. ნუცუბიძე თავის კაბიტაულ რ „ქართული ფილოსოფიის ისტორიაში“ აღნიშნავს, რომ იოანე საბანისძე იცნობს პლატონის „ფედონს“ და ვარაუდობს, შეიძლება იგი პლატონა ბერძნულ ორიგინალში კითხულობდაო. მაგრამ იქვე დასძენს: „თუ ეს გამოსარიცხავია, მაშინ უნდა მივიღოთ, რომ ი. საბანისძემ პლატონის ტექსტი ქართულ თარგმანში წაიკითხა. რომ საშხრეთ ქართლის მოღვაწეებმა ბერძნული ფილოსოფიური ტექსტები იცოდნენ, რეალურად მოიპოვება ცნობები“ (ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, 1956, გვ. 348). ამ მოსაზრების განმტკიცების მიზნით პატივცემული მკვლევარი ქვემოთ მიუთითებს გიორგი მერჩულეს ცნობაზე, გრიგოლ ხანძთელი ფილოსოფიურ წიგნებს ბერძნულად კითხულობდაო (იქვე, გვ. 352, 477). გრიგოლ ხანძთელის მიმართ ეს აზრი საფუძვლიანია, მაგრამ იოანე საბანისძის შესახებ გამოთქმული ვარაუდი ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდად რჩება, რადგან სათანადო ხელშესახები საბუთი არ გავგაჩნია. მაშასადამე, გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს, რომ იოანე საბანისძეს შეეძლო ბერძნულ დედანში გაცნობოდა არეობაგეტულ ტრაქტატებს.

მეორე მხრით, ცნობილია, რომ VIII საუკუნე საქართველოს ისტორიაში განეკუთვნება ჩვენში არაბების ბატონობის ეპოქას. ამიტომ საჭიროა საკითხის ამგვარი წარმართვაც: შეიძლება არაბებმა აღმოსავლეთ საქართველოში, იბე-

რიაში, შემოიტანეს ფსევდო-დიონისეს თხზულებათა არაბული თარგმანი. როგორც ვიცით, ეს წიგნები ბერძნულიდან ყველაზე ადრე სწორედ სირიულ და არაბულ ენებზე ითარგმნა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც დასადგენია იგივე საკითხი: ფლობდა თუ არა იოანე საბანისძე არაბულს? ამ კითხვაზე შეგვიძლია მხოლოდ უარყოფითად ვუპასუხოთ, ვინაიდან დამოუკიდებლად იმისა, მოიპოვებოდა თუ არა VIII საუკუნის საქართველოში ამ წიგნების არაბული თარგმანი, არავითარი საბუთი არ გავვანძნია იმისა, რომ იოანე კითხულობდა არაბულად. ასე რომ, ეს გზაც გამორიცხულია.

აკადემიკოს ი. ჯავახიშვილს იოანე საბანისძე მიაჩნია განსწავლულ, ნიჭიერ და საექლესიო მწერლობაში დახელოვნებულ პირად, მაგრამ იმას არ აღნიშნავს, რომ ეს მოღვაწე სარგებლობდა ბერძნულ ენ ან არაბული ენით, თუმცა ძველ ქართველ მწერალთა საქმიანობაში ასეთ მომენტებზე ის საგანგებოდ ამხავილებს ყურადღებას (ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1945, გვ. 67).

ამრიგად, იოანე საბანისძის მიერ არეოპაგიტის გაცნობის ბერძნული და არაბული გზები გამორიცხულია; რჩება მხოლოდ ერთადერთი, ქართული გზა. ამიტომ, ბუნებრივია, დაისვას საკითხი: ხომ არ არსებობდა VIII საუკუნისათვის ფსევდო-დიონისეს თხზულებათა ქართული თარგმანი? წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია აიხსნას ის ფაქტი, რომ იოანეს ნაწარმოებში ადგილი აქვს არეოპაგიტული მოძღვრების გავლენას.

საკითხის ამგვარი დაყენების საფუძველს იძლევა აგრეთვე გიორგი მთაწმინდლის ზემოთ ციტირებული ცნობა, რომელიც დატულია მის „დიდ სვინაქსარში“: „დიონისიმ ხოლო ისწავლნა წმიდისა იეროთეოს ბრძნისაგან საიდუმლონი მაღალნი. და ამან ხოლო მარტოდ აღწერა წიგნთა შინა ზეცისა ძალთა და მკედრობათათჳს განწყობილებისა მათისა და კულაღ სამღდელოთა და საეკლესიოათა წესთა სახის-მეტყუელებათა

და თარგმანებამ. ესე ცეცხლითა დამწუხარ იქმნნა წარმართთაგან და შუენიერნი იგი წიგნი მისნი მის თანა, რომელთასა იტყვან, ვითარმედ ჰრომსა ხოლო წიგნის საცავსა დამთეს იგინი. იპოებიან ჩუენთანაცა წიგნთა მისთაგანნი ათნი ხოლო მარტოდ“ (ხელნაწერთა ინსტიტუტის A-97, გვ. 97).

ცნობაში ამჟამად ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს ბოლო ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ დიონისეს ნაწარმოებიდან „იპოებიან ჩუენთანაცა წიგნთა მისთაგანნი ათნი ხოლო მარტოდ“. ასეთი რაოდენობისა, როგორც ვიცით, არეოპაგიტკაში ეპისტოლენი ანუ წერილებია. ისიც ცნობილია, რომ ძველ ქართულში სიტყვა „წიგნი“ ჩვეულებრივ „წერილის“ მნიშვნელობით იხმარებოდა. მაშასადამე, გიორგი მთაწმინდლისათვის ცნობილი ყოფილა, რომ „ჩუენთანაცა“ ე. ი. ჩვენში ანუ ქართულად, უკვე მაშინ მოიპოვებოდა ათი არეოპაგიტული წერილი.

ამგვარად, ხელთა გვაქვს კიდევ ერთი საბუთი იმისა, რომ ეფრემ მცირემდე არსებობდა არეოპაგიტული ნაწერების ქართული ვერსია. იოანე საბანისძის „აბო ტფილელის მარტვილობასთან“ დაკავშირებით ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ეს თხზულებანი გადმოქართულებული უნდა ყოფილიყო VIII საუკუნემდე, გიორგი მთაწმინდლის ცნობის მეოხებით კიდევ უფრო რეალურად და დამაჯერებლად გამოიყურება.

აღნიშნულ გარემოებათა გამო შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უკვე VIII საუკუნისათვის გავავანდა ფსევდო-დიონისეს ტრაქტატების ქართული თარგმანი. ეს არის ამ თხზულებათა პირველი ქართული თარგმანი, რომელიც შემდეგ დიკარგა. ამიტომ ისინი ხელახლა, უკვე მეორედ, თარგმნა ეფრემ მცირემ.

მაგრამ თუ ასეთ ვარაუდს დავუშვებთ. მაშინ საძიებელია მორიგი საკითხი: ვინ იყო ამ შრომების პირველი ქართულად გადმომღები და როდის შესრულდა ეს თარგმანი. ამის გასარკვევად საჭიროა

კათვალისწინებულ იქნეს ქართული კულტურის ისტორიის ერთი საყურადღებო მოვლენა — ე. წ. ასურელი მამების საკითხი.

სირიელ მოღვაწეთა საკითხი დიდი ხანია დგას ქართველოლოგიაში. ერთი ცნობის თანახმად, როგორც აღნიშნავდა კ. კეკელიძე (საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VI, 1926, გვ. 82-107), სირიიდან ქართლში მოსულა ცამეტი მოღვაწე, ხოლო სხვა წყაროების მიხედვით მათ ემატებოდა კიდევ ოთხი პირი. ამ ცამეტსა თუ ჩვიდმეტ პიროვნებას დიდი როლი შეუსრულებია საქართველოს კულტურულ-რელიგიურ ცხოვრებაში და ზოგიერთი მათგანის მოღვაწეობაზე აგოგრაფიული «ცხოვრებანი» შეუქმნიათ. ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა სირიელ მოღვაწეთა ეროვნების, იდეოლოგიური მიმართულებისა და საქართველოში მოსვლის დროის საკითხები.

ასურელ მამებზე ლაპარაკი ქართულ წყაროებში ჯერ კიდევ IX საუკუნიდან ვხვდებმა. მაგრამ ამ საკითხის საფუძვლიანი დამუშავება გასული საუკუნიდან დაიწყო (პ. იოსელიანი, მ. ბროსე, მ. საბანინი, დ. ბაქრაძე და სხვები). დ. ბაქრაძე, კერძოდ, დაბეჭდილებით ამტკიცებდა, რომ სირიელი მოღვაწეები ეროვნებით ქართველები იყვნენ (დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფილისი, 1889, გვ. 182-183). თ. ჟორდანია აღნიშნავდა, რომ ასურელი მამები ჩვენში მოვიდნენ VI საუკუნის შუაწლებში იმ მიზნით, რათა ქართული ეკლესია დაეცვათ სომეხი მონოფიზიტებისაგან (თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. I, 1892, გვ. 54). ნ. მარი ფიქრობდა, რომ ეს მოღვაწეები იყვნენ ნესტორიანები და ნესტორიანობის აქ შემომტანნი (Византийский временник, ტ. XII, 1905, გვ. 3).

ასურელ მოღვაწეთა პრობლემას კ. კეკელიძემ მიუძღვნა ზემოხსენებული მონოგრაფია, რომელშიც გარკვეულია ამ მამების ვინაობის, ეროვნების, ქრონოლოგიური, რელიგიურ-იდეოლოგიური

მიმართულების და სხვა საკითხები. მკვლევარი ამტკიცებს, რომ ეს მოღვაწეები მონოფიზიტები იყვნენ, რის გამოც სირიაში იდენებოდნენ და ამიტომ ამ ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ოთხ ჯგუფად მოსულან მონოფიზიტურ საქართველოში 520, 543, 545 და 571 წლებში (დასახ. შრ., გვ. 87-102). საკითხის შესწავლას ავტორი მიჰყავს ასეთ დასკვნამდე: „ამაიჩრად, ჩვენ გვგონია, რომ ეგრეთწოდებული „ათსამეტი ასურელი მამები“ იყვნენ მონოფიზიტები, რომელნიც გამოქცევიან მონოფიზიტთა დევნილობას სირიაში და ჩვენში მოსულან“ (გვ. 96). ამ მოღვაწეთა ეროვნების თაობაზე ის ვარკვეულად ამბობს, რომ „ისინი ნამდვილად ასურელები“ არ ყოფილან, არამედ ბირწავარდნილი ქართველები“ (გვ. 103).

სირიელ მამათა თაობაზე საგანგებო გამოკვლევა დაწერა აგრეთვე გ. ფერაძემ (G. Pheradze die Anfänge des Mönchtums in Georgien, Gotha, 1927). ის არ იზიარებს კ. კეკელიძის მოსაზრებებს. კერძოდ, უარყოფს ამ მოღვაწეთა მონოფიზიტობას. ფერაძის აზრით, ისინი იყვნენ დიოფიზიტები, რომელთა ჩვენში მოსვლის მიზანი იყო მისიონერობა და საეკლესიო-სამონასტრო საქმიანობის ორგანიზაცია. გ. ფერაძე ასევე უარყოფს დებულებას მათი ქართველობის შესახებ.

სირიელი მოღვაწეების საკითხს დიდი ადგილი დაუთმო ი. ჯავახიშვილმა „ქართველი ერის ისტორიაში“. პრობლემა შესწავლილია ფართო ასპექტით. მკვლევარი ამტკიცებს, რომ ასურელი მამების ქართლში მოსვლა გრძელდებოდა მთელი VI საუკუნის მანძილზე. მისი აზრით, ასურელი მამები აქ მოვიდნენ ქალკედონიანობის განმტკიცებისათვის. მამასადამე, ასკნის ის, „ასურელი მამები არამცთუ მონოფიზიტები არ ყოფილან, არამედ სწორედ მონოფიზიტობის დაუძინებელი მტრები იყვნენ“ („ქართველი ერის ისტორია“, ტ. I, 1960, გვ. 375). რაც შეეხება ამ მოღვაწეთა ეროვნებას, ივანე ჯავახიშვილი კატეგორიულად,

თუმცა საგანგებო მტკიცების გარეშე, აცხადებს, რომ „მათი ქართველობის აზრი უსაფუძვლო პიპოთეზად უნდა იქმნეს მიჩნეული“ (იქვე).

პროფ. ი. აბულაძემ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების საკუთარ გამოცემას წარუძღვარა გამოკვლევა, რომელშიც საფუძვლიანადაა განხილული ძველის რედაქციების წარმომავლობისა და ტექსტოლოგიური საკითხები („ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები“, თბილისი, 1955), მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე მასში არაფერია ნათქვამი. ასევე არაფერია ნათქვამი მათზე პროფ. ს. კაკაბაძის ცნობილ პუბლიკაციაში (ასურელ მამათა ცხოვრებათა არქიტაპები, 1928).

კ. კეკელიძემ სირიელ მოღვაწეთა პრობლემატიკასთან დაკავშირებით შემდეგში კვლავ გამოთქვა საგულისხმო შეხედულებანი. იგი უყვებო მის დებულებათა საწინააღმდეგო მოსაზრებებს, არ გაიზიარა გ. ფერაძის, ი. ჯავახიშვილისა და ი. აბულაძის კრიტიკული მტკიცებანი და ბოლომდე დარჩა თავის პოზიციებზე.

შალვა ნუცუბიძე „ქართული ფილოსოფიის ისტორიაში“ საგანგებოდ ჩერდება საქართველოში მოსულ სირიელ მოღვაწეთა ფილოსოფიურ შეხედულებებზე და ვრცლად იკვლევს მათ ადგილს მონოფიზიტურსა და დიოფიზიტურ მოძრაობებში. მკვლევარს ისინი უდავოდ ქართველებად მიაჩნია, მათი იდეოლოგიური მიმართულების საკითხს ახლებურად აყენებს. მისი ამოსავალი წერტილია ის გარემოება, რომ „სირიული ქართული სკოლის მეთაურია პეტრე იბერი“ (იქვე, გვ. 126, 270). ამ სკოლიდან არიან გამოსული იბერიაში დაბრუნებული სირიელი მოღვაწეები. „მათი დამოკიდებულება დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებთან არაა ნათელი. ამიტომ მათი საქართველოში დაბრუნების მიზეზი არ შეიძლება საქმის ეს მხარე იყოს, როგორც ხანდისხან ფიქრობენ. მათ ერთნაირად შეეძლოთ ორივე ქრისტიანობის მიმდინარეობასთან მშვიდობიანი

დამოკიდებულება, როგორც ეს მართლაც მოხდა მათი საქართველოში დაბრუნების შემდეგ. საქართველოში დაბრუნების მიზეზი სხვა უნდა ყოფილიყო: პეტრეს სიკვდილის შემდეგ ქართულ სკოლას სირიაში აღარ ჰყავდა ავტორიტეტული მეთაური და ამასთან, რაც მთავარია, გაძლიერდა ანტიკური ფილოსოფიის დევნა“ (იქვე, გვ. 134).

ასეთია აზრთა სხვადასხვაობა სირიელ მოღვაწეთა ეროვნების, რელიგიური იდეოლოგიისა და ქრონოლოგიის საკითხებზე. მაგრამ თუ შეხედულებათა ევოლუციას გავადევნებთ თვალს, უპირატესობა უნდა მიეცეს მოსაზრებებს, რომელთა თანახმადაც ასურელი მამები იყვნენ პეტრე იბერიელთან დაკავშირებული ქართველი მოღვაწეები, უმეტესად მონოფიზიტები. თვითონ ი. ჯავახიშვილიც იმავე „ქართველი ერის ისტორიაში“ აღნიშნავს, პეტრეს სირიული სკოლის მოღვაწეები და საქართველოს მონოფიზიტები დაკავშირებული იქნებოდნენ ერთმანეთთან. „საფიქრებელია, რომ რაკი პეტრე ქართველი მონოფიზიტობის ბურჯი იყო, მისგან დაარსებულ ქართველთა მონასტერში მყოფი ბერ-მონაზვნებიც აგრეთვე მონოფიზიტები იქნებოდნენ. მაშასადამე, უცხოეთში მანც ერთი მონოფიზიტური ქართული მონასტერი უნდა ყოფილიყო. მას სამშობლოსთან კავშირი ჰქონდა და, სხვა გზაც რომ არ ყოფილიყო, ამ გზით მანც შეიძლება საქართველოში მონოფიზიტობა გავრცელებულიყო“ (ტ. I, 1960, გვ. 310-311). აქ მთავარია არა ის, რომ დიდი ქართველი მეცნიერი პეტრე იბერიელს, ტრადიციის თანახმად, მონოფიზიტთა ბელადად მიიჩნევს, არამედ ის, რომ უშუალო კავშირს ხედავს პეტრეს სირიულ კოლონიასა და საქართველოში მონოფიზიტობას შორის.

აქვე ხაზი უნდა გაესვას ასეთ გარემოებასაც. თუ ჩვენ გავიზიარებდით აკად. ი. ჯავახიშვილის დებულებას, რომ ასურელი მამები დიოფიზიტები არიან და ქართლში მოვიდნენ მონოფიზიტობის გავრცელების გზაზე, ვფიქრობთ,

ამ შემთხვევაშიც არ არის გამორიცხული მათი ქართველობა. სირიაში მრავალი ქართველი მოღვაწე იყო, მათ შორის, ცხადია, დიოფიზიტი-ქალკედონიტებიც იქნებოდნენ. თუ საქართველოში მონოფიზიტებთან საბრძოლველად საჭირო იყო სირიიდან საეკლესიო ძალების მოზილზება, ბუნებრივია, პირველ რიგში გამოემგზავრებოდნენ სწორედ ეროვნებით ქართველები. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით ასეთ სურათს: საქართველოს საეკლესიო-რელიგიური საქმეების მოსაწესრიგებლად სირიიდან მოდიან სირიელები, ხოლო იქ მყოფი ქართველი მოღვაწენი გულგრილად განზე გამდგარან, რაც ძნელი დასაჯერებელია.

ამრიგად, საქართველოში მოსული სირიელი მოღვაწეები ქართველები არიან, ისინი გამოსული არიან პეტრე იბერიელის სირიული სკოლიდან, იდეური წრთობა მიიღეს ან უშუალოდ პეტრეს მიერ ჩამოყალიბებულ ქართულ საგანეებში ან მათი გავლენით. ბუნებრივია, სამშობლოში მათ ჩამოიტანეს თავიანთი მეთაურის შეხედულებანი, იდეები. ჩამოიტანეს მისი წიგნებიც ან უკვე ქართულად გადმოთარგმნილი, ან ბერძნულ ენაზე და აქ მოსვლის შემდეგ გადმოიღეს ქართულად. აქ უჩვეულო და მოულოდნელი არაფერია როგორც ცნობილია,

ფსევდო-არეოპაგიტული ნაწარმოებები. მაგალითად, სირიულ ენაზე თარგმნა პეტრე იბერიელის მოწაფემ და თვალსაჩინო მოღვაწემ სერიგოს რეშიანელმა. ასევე ბუნებრივად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ სწორედ ერთ-ერთმა ქართველმა „სირიელ“ მოღვაწეთაგანმა იმავე VI საუკუნეში გადმოთარგმნა ეს ტრაქტატები მშობლიურ ენაზე იმ მიზნით, რომ ქართველებში შეეტანათ და გაეგრძელებინათ პეტრე იბერიელის მოძღვრება.

ასე უკავშირდება არეოპაგიტულ თხზულებათა პირველი, ეფრემ მცირემდელი ქართული თარგმანი სირიიდან VI საუკუნის საქართველოში დაბრუნებულ ჩვენს მოღვაწეებს.

იმ გარემოებას, რომ არეოპაგიტის უძველესი ქართული ვერსია ეკუთვნის „სირიელ მამათა“ წრეს, გარკვეული მნიშვნელობა აქვს პეტრე იბერიელის ავტორობის საკითხისთვისაც. ეს წარმოადგენს კიდევ ერთ საბუთს იმისა, რომ არეოპაგიტული შრომები მკიდროდ არის დაკავშირებული ამ სახელგანთქმული მოაზროვნის სახელთან. სამწუხაროა, რომ მათი პირველი ქართული თარგმანი დაკარგულია, თორემ, ვინ იცის, ის რომ შემონახულიყო, შეიძლება მათზე პეტრეს სახელის წარწერაც გადარჩენილიყო.



# საქართველო

## ფურცლები

შალვა აუხიიძე

### ის დღეები უნე წაილა, გოგლა...

1921 წელი იყო, თებერვლის დღეები. ქუთაისში ვიყავი. დილით რაღაც საქმეზე ქალაქში გავედი. ჩემს საყვარელ ბულვარში გავიარე. ვის არ შეეხვდი, ვინ არ მოვიგონეთ. უეცრად გვერდით ჩამიარა მაღალმა ახალგაზრდამ. ჯარისკაცის ბუშლატი ეცვა, წელზე უზარმაზარი ხანჯალი ეკიდა.

— გოგლა, ეს შენ ხარ, ბიჭო? — დაგუძახე.

მოიხედა, გაელიმა და მოვიდა:

— აქ როგორ გაჩნდი? — შევეკითხე.

— ჯარში გამიწვიეს, — მიპასუხა მან, — არტილერიისტი ვარ.

გავისხენეთ თბილისი, პაოლო, ტიცინი. მიამბო, ვინ რას აკეთებდა, ვინ როგორ შეხვდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. არ ვიცი რა გზით გაიგო, მაგრამ პირველმა მან მიამბო პაოლოს მიერ გადადგმული გაბედული ნაბიჯი: როგორ მიესალმა იგი თბილისში წითელი ჯარის ნაწილებს.

მალე თბილისში დაებრუნდი. გოგლა იმის მომხრე იყო, რომ ქართველი ინტელიგენცია გვერდში ამოდგომოდა საბჭოთა ხელისუფლებას და მასთან ემუშავა.

— ბუნებას არ უყვარს სიცარიელე, — თუ ჩვენ არ დაეიკავეთ ჩვენი ადგილი, მაშინ მას სხვა დაიკავებს.

ამ აზრს იზიარებდა ცისფერყანწელთა

უმეტესობა. ასეთმა პოზიციამ ინტელიგენციის ერთი ნაწილის დიდი გულისწყრომა გამოიწვია. მახსოვს, ამ ინტელიგენციის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა ცისფერყანწელებზე პასკვილი დაწერა და მასში აკაკის „პატარა მურიადან“ ამოღებული ადგილები მოიყვანა: „ვისი არის ანდა სადაურია? ქუცი, ქუცი! კუდქიტინა მურია“...

\* \* \*

გოგლა სურამში იყო დაპატიჟებული, როგორც მახსოვს, ლიტერატურული მუშევრის თანამშრომელ დ. შულღიაშვილთან. შეეგვხვდა და შემოგვთავაზა: სურამში საღამოს უნდა ვიყოთ, მოდი, მანამდე სურამის ქედი გადავლახოთ და უბისის ტაძარი დავათვალიეროთ. გოგლამ ხომ შესანიშნავად იცოდა ყოველი მატერიალური თუ სულიერი ძეგლის ისტორია. წაგვიყვანა: ვიქტორ გოლცევი, სერგო კლდიაშვილი და მე. თბილისიდან დილით ადრე გავვედით. მშვენიერი, ალერსიანი დღე იყო.

ვიქტორ გოლცევი პირველად არ ყოფილა ამ გზაზე. ბუნების სილამაზით მოხიბლული გაჩყურებდა მდინარეს, სიმინდის ყანებს, ვენახებს და გვესაუბრებოდა საქართველოს წარსულზე, ქართველ ხალხზე, რომელიც ასე

უყვარდა! კარგად იცნობდა ჩვენს ისტორიას, განსაკუთრებით მეთორმეტე საუკუნეს, ჩვენი კულტურის აღორძინების ეპოქას. იცოდა თამარ მეფის და შოთა რუსთაველის ეპოქის მნიშვნელობა.

— Ну что скажете, Виктор, о Тамаре Георгиевне, — შეეკითხა გოგლა ვიქტორს. მეგონა, პაოლოს მიუღწევად ეკითხებოდა. თურმე თამარ მეფეს ვიქტორი თამარ გიორგის ასულს უწოდებდა. გოგლა ამაზე ესუბრებოდა თავისი კეთილი ღმირით. ვიქტორი ცდილობდა ქართულად ესაუბრა ჩვენთან და ახერხებდა კიდევ. მხიარულ საუბარში გაგლივთ ეს საუცხოო გზა.

გკლესია დაკეტული დაგვხვდა. დარაჯს გავადებინეთ. გოგლა გადარჩენილ ფრესკებს ათვალიერებდა და ყოველ დეტალს გვიხსნიდა. გარეთ გამოვედით, ძველი ნაგებობანი შემოვიარეთ. ადგილობრივი სკოლის მასწავლებლებს გავეგოთ გიორგი ლეონიძის იქ ყოფნა. რამდენიმე ახალგაზრდა მასწავლებელი მოვიდა და გოგლას სადილად დარჩენა სთხოვა. სულ რაღაც ნახევარ საათში გააწყვეს სუფრა ჩრდილში, მინდორზე. რა არ ეწყობოდა სუფრაზე: ხაჭაპურები, ჭადები, კეცზე შემწვარი წიწილები, ჭყინტი და გადასული ღვინო ყველი. ღვინო ჩაფით მოიტანეს. საიდანღაც გიტარაც გაჩნდა, გოგლას საყვარელი საკრავი.

ყველა გოგლას შესტყუროდა, ყველას სურდა მისთვის ესამოგონებინა, თამადაობას ხომ არავის დაუთმობდა. გაჩაღდა ლხინი, სიმღერა, სადღეგრძელოები და როგორი მერე! გოგლას ხომ არასოდეს დაეღეოდა სათქმელი. ლაპარაკობდა წარსულზე, მათზე, ვინც ეს ტაძარი ააგო, ვინაც მოხატა. არც ადგილობრივი მკვიდრნი დაივიწყა — კოლმეურნეები, მასპინძელი მასწავლებლები. მათ სთხოვეს გოგლას წაეკითხა ლექსები. გოგლას არ უყვარდა თავისი ლექსების კითხვა, მაგრამ მასპინძლებს ხათრი არ გაუტეხა. რამდენიმე ლექსი წაიკითხა თავისი ბუხუნა ხმით. ჩვეულებად ჰქონდა მარჯვენა ხელის აქნევით მიეცა ლაზათი თავისი დეკლამაციისათვის. ბედნიერი მასწავლებლები უსმენდნენ გოგლას, თავიანთ საოცნებო სტუმარს.

მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა, მალე

მთებს მოეფარა და მინდორზე იისფერი ბინდი ჩამოწვა. ჩაფი დაიცალა. გოგლა კი ქვიფის ეშხში მაშინ შევიდა.

— იმერლებო, ღვინო აღარა გაქვთ? ლეონიძის სტუმრობაო, ნუ გგონიათ ხუმრობაო, — იცინოდა გოგლა. მასპინძლები შეწუხდნენ. სასწრაფოდ აფრინეს კაცი ღვინოზე, მაგრამ გოგლა აღარ დაელოდა. ისევ ტაძრისაკენ გავსწვიეთ. ტაძართან მოარბენინეს ღვინით სავე დოქები, მცირე ხნით ჩამოვჯექით ბალახზე. სურამში გვეჩქარებოდა, არავის ჰქონდა ღვინის დაღვევის თავი. გოგლამ რამდენიმე სადღეგრძელო წარმოთქვა, თან ხუმრობდა: იმერლებს ღვინო შემოაკლდათო. დიდი მადლობა გადავუხადეთ ქალიშვილებს, მასწავლებლებს და უკვე სქელი ბინდი ჩაფენილიყო მთებში, როცა უკან დავბრუნდით. დავიღალეთ. ვიქტორი სთხოვდა გოგლას, აღარ შეგვევლო სურამში. გოგლამ დაიჭინა: კაცს მისცვას შევპირდი და ვერ მოვატყუებო.

დარბაზი სტუმრებს გაევსოთ. ძილი და მოსვენება ყველაფერს გვერჩია. მხოლოდ გოგლა იყო ისევ ენერჯითი სავე. სუფრაზე ადგილი დაიკავა და... განაგრძო. არც ცეკვა იცოდა, არც სიმღერა, მაგრამ მაინც ჩამოშარა, რომ ქალიშვილები ეცეკვებინა, ბოლოს იმღერა კიდევ და მთელს სუფრა აიყოლია. დიდხანს ბუბუნებდა, ხმაურობდა და სურამის სივრცეს თავისი ომახიანი ხმით ავსებდა. გვიან დავბრუნდით თბილისში. დაქანცულ ვიქტორს ტბილად ეძინა მანქანაში.

\* \* \*

გოგლას ორი უფროსი ძმა ჰყავდა: ლევანი და სიკო. ორივე წარმოსადგევი, ორივე კეთილი და გონებაშავილი. გოგლაც მათ ჰგავდა. ძმებს ესახელებოდათ და ეამაყებოდათ გოგლა. ეფერებოდნენ, მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ლევანი უფრო შეთამამებული იყო, სიკო უფრო მორიდებული, მოკრძალებული. ლევანი, ეს მეტად განათლებული ადამიანი, კარგ სპეციალისტად ითვლებოდა მესაქონლეობის დარგში. კარაქის დამზადების საკუთარი მეთოდიც ჰქონდა. ცოდნის გასაღრმავებლად გერმანიაში მიავლინეს, იქ გერმანელი ქალი

შეირთო და სამშობლოს დაუბრუნდა. მუშაობდა მესაქონლეობის ტერმინოლოგიის შედგენაზე, თუ არ ვცდები, შეადგინა და გამოსცა კიდევ ლექსიკონი.

რაც ბუნებას გოგლასთვის წაერთმია, იმით ლევანი უხვად დაეკრძოლებინა. შესანიშნავი ხმა ჰქონდა. ის რომ დაიგუგუნებდა — ერთ რამედ ღირდა.

ერთხელ ალექსანდრე ბურთიკაშვილმა (ცნობილმა თეატრმცოდნემ და სცენის მუშაკმა) წვეულება გაუმართა თავისი სიჭაბუკის მეგობრებს — თანასოფლელებს ლევანსა და გოგლას. არ მახსოვს, სიკო იყო თუ არა. სხვათაშორის, სადილზე მიგვიწვია: სანდრო შანშიაშვილი, სამსონ და შოთა დადიანები, სერგო კლდიაშვილი, რომელთან ერთადაც იგი მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა. სამსონი და შოთაც მშვენივრად მღეროდნენ. მათ სანდრომ და სერგომაც შეაწიეს ხმა. სანდროს საყვარელი სიმღერა იყო «*Помнишь ты милая...*»

გოგლა შეუჩნდა და ეს სიმღერა წამოაწყებინა. ყველა ხმას ფარავდა ლევანის შესანიშნავი ხანი. გოგლა მხოლოდ უსმენდა. ლევანი ემუდარებოდა, ნუ ჩაერევი, სიმღერას ნუ შეგვიშლით. აქ მოვისმინე პირველად ლევანის მადლიანი სიმღერა.

მგონი სამსონ დადიანმა გოგლას დღეგრძელობისას ფუტურისტი უწოდა. მაშინ ფუტურისტს ეძახდნენ ყველას, ვინც სიახლის შეტანას ცდილობდა პოეზიაში. გოგლას უკმაყოფილება დაეტყო სახეზე: მე რა ფუტურისტი ვარ, — უპასუხა მან, — ჩემი ნათლია პოეზიაში ვაჭააო...

მართლაც, როგორც ცნობილია, პოეტური ღირსების საზომი მისთვის ვაჭა იყო. ვაჭას მიუძღვნა მან მრავალი ლექსი. მოდერნისტული პოეზია და, მით უმეტეს, ფუტურისმი მას არ სწამდა.

მრავალჯერ შევხვედრივარ შემდეგ გოგლასთან ლევანს ან ლევანთან გოგლას.

— დაანებე, ბიჭო, ამ ლექსებს თავი, — ეუბნებოდა ხუმრობით ლევანი ძმას. მის სიტყვაში ირონიაც იგრძნობოდა, — ლექსებით ჩვენ ხალხს ვერ გამოვკვებავთ. მას მდლდარი პოეზია აქვს. ჩვენს ხალხს სჭირდება მეტი მატერიალური დოვლათი, — და დაუწყებდა იუმორით შეზავებულ მტკიცე-

ბას, — მეტი კარაქი, ქონი, შაშხი, რძე... ხალხი ეკონომიურად უნდა მოღონიერდეს. კუჭი ამოივსოს, მაშინ მისი სულიერი კულტურაც ამალდება. თორემ მშვიერსა და გაძვალტყავებულ ხალხს რა ელექსება.

გოგლა უსმენდა ძმას, იცოდა მისი ხუმრობის ლაზათი და გაგონილს მეორე ყურიდან უშვებდა. მისი სტიქია ლექსი იყო. ლექსით სუნთქავდა და ცოცხლობდა.

უკვე ბნელოდა. მე და გოგლა რუსთაველის პროსპექტზე მივსეირნობდით. ლევანი შემოგვხვდა და შემოგვთავაზა — წამოდით, თქვე გაქუცულებო, ვივასშმოთო. თავპატივი არ გაგვიდვია. ლადიძის წყლების პირდაპირ სარდაფი იყო. მიმავალთ წიგნის ცნობილი გამომცემელი და გამავრცელებელი ალ. არაბიძე შემოგვხვდა. გოგლას ძალიან უყვარდა თავის ქვეყანაზე შეყვარებული ეს ჩუმი მოღვაწე. ხელი მოხვია და თან წამოიყვანა. ლევანმა სანაქებო სუფრა გააწყობინა მომტანს. მაგრამ ვის ჰქონდა ჭამისა და სმის თავი. კუჭი არ შეგვრჩენია არც ერთს, იმდენი ისუმრეს და გვახარხარეს ძმებმა — ლევანმა და გოგლამ. რა არ გაიჩხენეს, რას არ მოყვნენ. ის ღამე ჩამჩრა მენსიერებაში.

ლევანი დაიღუპა 1937 წელს. დარჩა მეუღლე და ქალ-ვაჟი.

გოგლა ხშირად მეტყობდა: წამოდი, ერთად ვისადილოთო. წავყვებოდი, მაგრამ შინ არც ისე იოლად ეღირსებოდა მისვლა. ძალიან უყვარდა ბაზარი. ხორცის ყველა გამყიდველს იცნობდა. ყველას ჩამოუვლიდა. საუკეთესო ნაჭერას ჩამოაჭრევინებდა. დატვირთავდა მანქანას სანოვავით და თავისიანებს ჩამოურივებდა. დამშუღლნი გვიან მივიდოდით შინ და ახლა იწყებოდა ფეფოკოს ფაცი-ფუცი. ჩვენი მეგობრობა ამ მხრივ დიდ ჯაფად აწვებოდა საყვარელ დისახლისს.

წარმტაცი და ნათელი იყო ის დრო.

\* \* \*

გოგლამ პატარძელულში წასვლა შემომთავაზა. იქ დედა ჰყავდა, რომლის სურათიც ჩარჩოში ჩასმული საწერ მაგიდაზე ედგა. გოგლას დედას არ ეიცნობდი, არც პატარძელულში ვიყავი ნამყოფი და სიხარულით წავყვე. სართიპალიდან აღმართი ავიარეთ



და ჩვენს წინ საკმაოდ მოზრდილი სოფელი გადაიშალა.

— გოგლა, რად ჰქვია სოფელს პატარ-ძეული? — შევეკითხე.

— დანამდვილებით ვერ გეტყვი. ხალხში გამიგონია: ვიღაც პატარიძე ცხოვრობდა და აქედან შეერქვა სოფელს ეს სახელიო. იმასაც ამბობენ, პატარაძლიდან არის წარმოქმნილიო.

ვის არ უყვარს სოფელი, სადაც დაბადებულია, თვალს აუხელია, პირველად შეუხედავს მზისთვის, პირველად სმენია ფოთლემის შრიალი, წყაროს ჩუხჩუხი. მაგრამ ეს სიყვარული სოფელთან დაშორების შემდეგ ხშირად შენელებულა, ზღაპრული მომავადობლობა დაუკარგავს და ჩვენში ჩარჩენილა, როგორც მოგონება რაღაც განუყოფრებელის, პირველქმნილი სილამაზის. გოგლას სიყვარული მშობლიური სოფლისადმი ცოცხალი იყო, უჩვეულოდ ხორცმუსხმული. ეს კიდევ გამომამდევანა თავის რძიან ლექსებში.

დედა გადაკოცნა, ჯანმრთელობა გამოკითხა, თავისი ოჯახობის ამბავი უამბო, შემდეგ სთხოვა საუზმე მოემზადებინა და იქვე მინდორში გამოეტანა. ყველაფერი მწვანით იყო მოსილი. ვენახის გვერდით, კაკლის ხეების ჩრდილს შევეფარეთ.

იქაურობა მინდვრის ყვავილების გამაბრუებელ სურნელს გაეფლინათა. გოგლა მაჩვენებდა პატარა დანგრეულ სალოცავებს, რომლებიც მისი განმარტებით, წარმართული სალოცავები უნდა ყოფილიყო, სადაც ხალხი იკრიბებოდა და ღმერთებს მსხვერპლს სწირავდა.

ბავშვობიდანვე გლეხებში ტრიალებდა და მათგან ჰქონდა გაგონილი მრავალი თქმულება. გოგლა იხსენებდა აქ გატარებულ ბავშვობის წლებს, სიყრმის ამხანაგებს და მათთან გატარებულ დროს. ბუნებით მეოცნებე იყო. მე უფრო მსიბლავდა და ახლაც მსიბლავს ის ლექსები, რომლებშიც მისი ღირიკული სული შთაბერილი. ეს ლექსები მეტწილად 20—30-იან წლებშია შექმნილი. ვიჯექით ჩრდილში და გოგლა იგონებდა პუშკინის ლექსს „19 ოქტომბერი“, რომელიც ძალზე უყვარდა. სევდის მომგვრელი ხმით ამბობდა:

‘Чей голос умолк на братской переключке?  
Кто не пришел? Кого меж нами нет?’

მაშინ ჩვენ მშვენიერ ძმურ კავშირს არავინ აკლდა, ძმურ გადაძახილზე არავინ დუმდა. ყველას ხმა იხმოდა: „აქა ვარ“. გოგლა ალბათ სოფელულ მეგობრებს გულისხმობდა. მათი გზა გაიყარა და გოგლა მოწყენილად გრძნობდა თავს. იგი განაგრძობდა: Поговорим о бурных днях Кавказа, о Шиллере. о славе, о любви.

ამ სტრიქონებს ხშირად იმეორებდა ხოლმე. იმ დღესაც იგი მელაპარაკებოდა საქართველოს მშფოთვარე წარსულზე, ჩვენი ხალხის გმირობასა და დიდებაზე, გატაცებაზე. ძმობაზე, სიყვარულზე. ამ თემაზე საუბარი არ მოწყინდებოდა და არც სიტყვა უშრებოდა.

გრილმა სიომ დაბერა მთებიდან. შინ დაგბრუნდით. დედას მეზობელი ქალი დახმარებოდა, შოთი პურები დაეცხო, დედალი მოუხარშა, ნიორ-წყალი გაეკეთებინა. იცოდა შვილის გემოვნება. მაშინ გოგლას საცივს და სხვა დასავლურ საჭმელებს ვერ გააგონებდი. მისი საყვარელი კერძები იყო დედალი, ნიორ-წყალი, არტალა, ბოზბაში. მისმა მეგობრებმა ვიცოდით ეს და წვეულებისას მისთვის ცალკე ისარშებოდა დედალი. შემდეგ საცივს და სხვა დასავლურ კერძებსაც შეეჩვია და მის სუფრასაც ამკობდა ყოველთვის.

გამზადებული სადილი პოეტის დედამ კალათაში ჩააწყო. შინდაწურული საფერავი ღვინით მოზრდილი დოქი აავსო და წაგვიყვანა სახლის ახლოს, პატარა ხევში, სადაც საოცრად გრილოდა და წყაროს ცივი წყალი მოწანწკარებდა. გოგლა იქაც განაგრძობდა ენამწეობას, სვამდა ტრადიციულ საღვინელოებს, ბობოქრობდა, ილხენდა (მეზობლები შემოგვემაცა), ხალხს სიკეთეს და მარჯვენას უქებდა. შებინდებამდე დაეყავით იქ. დამე სოფელში გავათიეთ. მეორე დღეს დილითვე დედულეთში, მეზობელ სოფელ ნინოწმინდაში წამიყვანა. ძველი ეკლესია დაგათვალაიერეთ. კედლები ტყვიებით იყო დაცხრილული. გამაცნო ამ ეკლესიის ისტორია და ველური ურდოების თავდასხმების ამბავი. მიაშობდა ხანძრებსზე, არა ერთხელ რომ შემოდებოდა მის კედლებს. ეს

ხანძარი სწავდა გულს. ნახულით და განცდილით დაღლილი გამოგვემწვიდობეთ დიდი პოეტის დედას, თბილისში დაებრუნდით.

ჩემო გოგლა, დღეს შენ გახდი ჩემთვის მოსაგონარი. სიცარიელეს ვგრძნობ, რადგან ძმურ გადაძახილზე შენს მჭექარე ხმას ვეღარ გავივარებ!

\* \* \*

გოგლამ, ისევე როგორც სანდრო შანშიაშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძემ და მრავალმა სხვა პოეტმა, თავის სოფელს საუკეთესო ლექსები მიუძღვნა. არ არის საქართველო დავასახელო კახეთის სიყვარულით შთაგონებული გოგლას შედეგები. გოგლა მართლაც გატაცებული იყო კახეთით, სადაც „ციციანის ციხის აწყობა შუქი შორეულ შუქურთა და გამოჩნდება სამშობლო, როგორც მოჭრილი ჩუქურთმა“. მისი ოცნება საქართველო, ქართველი ხალხი იყო და მთელი მისი პოეზია ხომ ამ ერთ თემას, სამშობლოს თემას არ სცილდება თითქმის. შეიძლება კახეთი იმიტომაც უყვარდა ასე ძლიერად, რომ საქართველოს ტრაგიკულ წარსულს მასში ხედავდა უფრო მკაფიოდ: ამავე დროს კახეთი და დოვლათი, სიმსუფხვითის სინონიმები იყვნენ.

გოგლას განსაკუთრებით სანდრო შანშიაშვილი უყვარდა. მის პოეზიაში იგი ხედავდა ხალხურ საწყისებს, გაცოცხლებულ ჩვევა-ადათებს. მისი ფიქრით, ყოველგვარ ბუნდოვანებას მოკლებული სანდროს პოეზია კლასიკური ქართული ლექსის ტრადიციის გაგრძელება იყო.

თუ არ ვცდები, ცისფერყანწელთა „ორდენის“ სანდრო გოგლამ დაუახლოვა. მან გადო მათ შორის ხიდი, რომელიც არასდროს ჩატეხილა. სხვათა შორის, უნდა გავისვენოთ, რომ სანდროს პოეზიას გერონტი ქიქოძე მალალ შეფასებას აძლევდა. ის მიაჩნდა ახალი პოეზიის ფალავანად.

გოგლას ბუნებისათვის სრულიად უცხო იყო ქალაქური ჭარბონი, ვერტეწილებული ყარაჩოლული პოეზია და თვით ყარაჩოლელი, მით უფრო კინტო, რომელსაც დაკარგული ჰქონდა ერთგული, ინდივიდუალური სახე და ვერ გაარჩევდი მის ვინაობას. ასეთ პოეზიას იგი „პოლიაკურს“ უწოდებდა და

მას უპირისპირებდა სანდრო შანშიაშვილის პოეზიას, ჯანსაღ, ქართულ ნიდაგაზე აღმოცენებულს.

სხვებთან ერთად სანდრო დიდად დაეხმარა ნიკოლოზ ტიხონოვს საქართველოს გაცნობაში. როგორც ცნობილია, ამ გამოჩენილი რუსი პოეტის საუკეთესო ლექსებში დიდი პოეტური გზნებით არის ასახული მთლიანად საქართველო და, კერძოდ, კახეთი, მისი მეგობრული ურთიერთობა სანდროსთან და მის ოჯახთან. გოგლა ამ მეგობრობის ერთ-ერთი ნათლია იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ გოგლა ოჯახითაც დაახლოებული იყო სანდროსთან: სანდროს ქალიშვილი მისი ნათლულია.

ბოლო წლებში გოგლამ შეცვალა თავისი დამოკიდებულება პოეტებისადმი, რომელთა შემოქმედება წინათ მისთვის მიუღებელი იყო.

გოგლა არავის დაუკარგავდა დეაწლს ქართული კულტურის წინაშე. მისთვის უცხო იყო ქედმაღლობა. თუ ვინმე ამჩნევდა ასეთ რამეს გოგლაში, ეს უფრო მისი პოეზია იყო, ვიდრე ხასიათი. ვისაც მაუსმენია, არ დაავიწყდება შესანიშნავი სიტყვა, რომელიც წარმოთქვა გოგლამ მწერალთა კავშირის სახლის წინ შაქრო ნავთლუღელის დაკრძალვის დღეს. მუშა მწერლისადმი რაოდენი სითბო და პატივისცემა ჩაატყვია მან ამ სიტყვაში!

\* \* \*

პოეტები ხშირად ვიკრიბებოდით. ერთხანს მორიგეობა გვექონდა შემოდებული. ერთ კვირას პაოლოსთან ვიყრიდით თავს, მეორე კვირას — გოგლასთან, შემდეგ ტიციანთან, ჩემთან, სერგოსთან, უფრო ხშირად კი მწერალთა სახლის იმ ოთახში, სადაც ახლა სერგი ჭილაიას კაბინეტია. ვვითხულობდით ახალ ლექსებს. იყო ერთი აზრთა გაცვლა-გამოცვლა, საუბარი იმაზე, თუ როგორი ურთიერთობა უნდა ყოფილიყო დამყარებული სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობასთან: ლეფლებთან, პროლეტარული ასოციაციის წევრებთან, აკადემიური ჯგუფის წარმომადგენლებთან და სხვ.

ახალ წელს, თამარობას, ნინოობას ერთად



ვხედებოდით. არ მახსოვს, რაიმე გაუგებრობა მომხდარიყოს ჩვენს შორის. ძმური კავშირით ვიყავით შეკრულნი ერთმანეთთან.

რამდენი დამე დაგვთენებია რუსთაველის პროსპექტზე, სადაც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საკუთარი და სხვათა ლექსების კითხვაში, მეუღლენი კი შინ გველოდნენ გულშელონებულნი. ასეთი ძმობა და შეკავშირება იშვიათი იყო. ზემოთ თქმული არ ნიშნავს, რომ ყველანი ერთანბნებოდნენ ერთმანეთს რომელიმე ლიტერატურული მოვლენის, რომელიმე ლექსის შეფასებაში.

გოგლას ლექსები საერთო სიხარულს იწვევდა. მისი პოეტური ტალანტი მაშინ იფურჩქნებოდა, — ქვეყნდებოდა ერთიმეორეზე უკეთესი ლექსები. მხედველობაში მაქვს 30-იანი წლები.

იმას ვამბობდი, ნინოობას ერთად ვხედებოდით-მეთქი, მაგრამ ჩვენს წრეში ორი ნინო იყო: ნინო ტაბიძე და ჩემი მეუღლე. გული რომ არ დავუწყვეტოდა, 1 იანვარს ნინო ტაბიძესთან ვიკრიბებოდით, 14 იანვარს ჩემთან. ყოველივე ამას ერთი გარემოების გამო ვიგონებ. ამ დღეებში ყველა „ცისფერყანწელი“ ერთად ვიყავით. იყო შემთხვევები, როცა ნატა ვაჩნაძე და თამარ ციციშვილი გვესწრებოდნენ მეუღლეთთან ერთად. მაშინ ვცხოვრობდი არსებულს ქუჩაზე. ერთი მოზრდილი ოთახი მქონდა. ეს არ გვიშლიდა ხელს, დრო კარგად გაგვეტარებინა. იანვარში თოვლსა და ყინვაში ამოსვლა ძნელი იყო. გოგლა არასდროს დაკლებია ამ დღეობას.

მახსოვს ციცი იანვარი, ყინულით დაფარულ ბესიკის ქუჩაზე დამით კი არა, დღისითაც ჭირდა ამოსვლა. გოგლამ ქუჩიდან შემოგვძახა — გამიღეთ კარიო. სიცილით გვიამბო, როგორ დაუსხლტა ფეხი ყინულზე, წაიქცა და ყვავილების მდიდარი თაიგული დაეშალა. ძლივს მოეკრიბა ყვავილები. სახლის კედელს ამოყოლოდა.

— თუ დამიფასებ მაინც ამ წვალებას, — უთხრა ნინოს და კალათით თაიგული გადასცა.

ერთ-ერთ ნინოობას გოგლამ ჩემს მეუღლეს გადასცა პატარა ალბომი ასეთი წარწერით: „1933 წლის 14 იანვარს, ბედნიერი დღისათვის ნინა თოიძეს.“

ჩემს მეგობარს  
სახსოვრად და მოსაგონებლად  
ეს აბნეული ლექსები  
XX საუკუნის 30-იან  
წლების  
ერთზე პოეტის  
და ძმის  
გოგრა ლეონიძისაგან.  
ტფილისი“.

რომელია ეს „აბნეული ლექსები“, რომლებიც გოგლას ხელითვეა ჩაწერილი ალბომში: „სიმღერა პირველი თოვლისა“, „ნინოშინდის დამე“, „ივრის დამე“, „ახალი მთვარე კახეთში“, „ქილილა და დამანა“, „ზამთრის სიმღერა“, „დამე ივერიისა“, „ციცარი“, „ყიფაღური სიმღერებიდან“, „ოლე“ (ნაწყვეტი), „დეუტი“, „გადაივლიან ღრუბლები“. ამ ლექსებში გამქდავნიდა პირველად გოგლას ლირიკული გული. დამაინტერესა, რა ცვლილებები შეიტანა სხენებულ ლექსებში შემდეგში გოგლამ. შევეუდარე 1962-63 წლებში გამოცემულ ტომეულეში შეტანილ ამავე ლექსებს. გამოირკვა, რომ გოგლა განაგრძობდა გამოქვეყნებულ ლექსებზე მუშაობას, ხედავდა მათ.

გოგლას უყვარდა ექსპრომტების წერა. მისი ექსპრომტები არ გამოირჩეოდა იმ ელვარებით, რაც პაოლოს იმპროვიზირებულ ლექსებს ახასიათებდა, მაგრამ ისინი საინტერესოა, როგორც იუმორით, ისე გულწრფელობით. მე შემომჩნა ორი-სამი მისი ექსპრომტი ნინოობას დაწერილი. აი ერთი მათგანი (1939 წ.).

გავგოშეი, დისასხლისო,  
გავგოშეი, კიდეც ინათა!  
გვანდა, რომ სხვათაც ვეტრფოლფო,  
სხვა მელღეობე ნინათა.  
ნუკი გვონია მართალი,  
ჩვენ წასვლა არა გვწადია.  
რა კარგი ღრეობა არა,  
რა ტკბილი წელწაფადია.

მართლაც კარგი დრო იყო. ასაკს თავისი გააქონდა, თუმცა ჩვენს რიგებში აღარ იყვნენ პაოლო, ტიციანი, ნიკოლოზ მიწისვილი...

— მომეცით ქალადი და საწერ-კალამი, — მიმართა გოგლამ ერთ-ერთ ნინოობას ჩემს მეუღლეს. ნინომ ქალადი და სა-



### წერ-კალამი მიაწოდა. გოგლამ ეს ექსპრომ-ტი ჩაუწერა:

როდესაც მე ვულში მცევა  
 და სხვის ვულში ვეძებ ბინას,  
 როცა ჩუმი ცრემლი მცვივა,  
 შენ დაგეძებ, ჩემო ნინა.  
 რომ შენ ახლად ამიყვავო,  
 რაც ყვავილა ვულში წინათ,  
 რომ შენ ახლად გამიღვიძო,  
 რამაც გულში რაიძინა.  
 გაგიმარჯოს, მეგობარო,  
 გინდა დღეს და გინდა წინათ.  
 ვანა მცევა? მომაგონდი,  
 სიხარულთ გამეცინა.

1934 წლის 14 იანვარს კი გოგლამ ნინას მისცა მანქანაზე გადაბეჭდილი აქა-იქ შესწორებული (ზოგი სტროფი სულ ამოშლილია), ცნობილი ლექსი „სტალინს“ ასეთი წარწერით: „ძვირფასს ჩემს ნინას, სახსოვრად 14 იანვრის დღეს, 1934 წ.“.

მეტად საინტერესოა ორი მისი ლექსი, რომლებიც დაბეჭდილი არ შემხვედრია. ორივე ლექსი ჩემს ქალიშვილს, მელიტას მიუძღვნა. საერთოდ, ცისფერყანწულებს შორის ნათელ-მირონთბა იყო. ნინო ტაბიძე ყველა ცისფერყანწულს თავისიანად მიაჩნდა, ჩემი ქალიშვილის ნათლები იყვნენ ნინო ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და ფეფიკო ლეონიძე. სერგოს ქალიშვილი ჩემი ნათლულია და ასე შემდეგ.

ერთ-ერთ ლექსზე გოგლას ასეთი წარწერაა: „მისამართით... ძია გოგლა უგზავნის თავის მამის ხელითა, ამ პატარა შაირსა აფხაიძე მელიტას“.

შემდეგ მისივე ხელით გადაწერილია გოეთეს ლექსი (ალბათ მისი თარგმანი) „ვარდი ტრამალისა“. დაბეჭდილი არც ეს ლექსი მინახავს. გოგლა არ თარგმნიდა ლექსებს და ამითაც არის საინტერესო იგი:

ბიჭი მიღის ტრამალში,  
 ვარდია ტრამალისა.  
 ცისკარზე დაცვარული,  
 ყუჟუნა, თვალშისისა,  
 ბიჭი მიეშურება  
 უნდა ვარდი ლალისა.  
 ვარდო, დავარდებულ  
 შენ ვარდო. ტრამალისა.  
 ეუბნება: მოგწყვიტავ,  
 შენ ვარდო ტრამალისა.  
 უპასუხებს „გიჩხვლტავ!“

მე ვიცი წამალისა,  
 მწარე-მწარედ ვატირებ.  
 გზა ნახო სამალისა.  
 ვარდო, დავარდებულო,  
 შენ ვარდო ტრამალისა.  
 ბიჭო, შე უდიერო!  
 შენი ნატამალიცა.  
 აილო და მოსწყვიტა  
 ვაი, ვარდი ტრამალისა.  
 ვაი და ვუი რას უშველის.  
 სიცოცხლე დაამიწა...

ახ უნდა მოვითმინო,  
 ცრემლი თვალს დამალესა!  
 ვარდო, დავარდებულო,  
 შე ვარდო, ტრამალისა.

ჩემი ქალიშვილი მუსიკალურ სასწავლებელშიც სწავლობდა. შემდეგ კონსერვატორიაში. უყვარდა მუსიკა. მოსული სტუმრები სიამოვნებით უსმენდნენ ხოლმე მის დაკვრას. ერთ საღამოს გოგლამ ასეთი ლექსი ჩაუწერა ალბომში:

#### მელიტას

მაისი ხარ, მთვარე ხარ.  
 სავსე ხარ ნათელითა.  
 მე მუსიკა ნაჭრავი  
 მიყვარს შენი ხელითა.  
 ყვავილებით, ნიავით,  
 მუქი ცისარტყელითა,  
 შენი ბრძენი თვლებით  
 ცეცხლი დასაწველითა  
 და პატარა სიზმარი  
 ბელურით და შველით.  
 ნინოცა ხარ, თამარიც  
 მოხვალ ძველის ძველიდან.  
 რუსთაველის დედა ხარ  
 დიდი სპირტველითა,  
 სააკაძე გახარდე  
 ფიროსმანი რთველითა,  
 დღეს კი დედოფალა ხარ  
 ძვირფასი სახელითა,  
 გენაცვალონ ძიები,  
 პატარალო, მელიტა.

1933 წ., 10 თებერვალს. გოგლა ძია.  
 თბილისი.

• • •

ქვიშვითი ვისვენებით, გოგლამ მოისურვა შემოეგლო ქართლის სოფლები, რომელთა წარსულს, თავგადასავალს, მდებარეობას კარგად იცნობდა ვახუშტის გეოგრაფიით. იმ დროს ხაშურის რაიკომის მდივან-

ნი იყო გრიშა ფოფხაძე, შესანიშნავი, გულისმიერი ადამიანი, ლიტერატურისა და ხელოვნების კარგი მცოდნე, მწერლობის გულწრფელი პატივისმცემელი. ქვიშეთში დამსვენებელი მწერლებსა და გრიშას შორის მუდამ კეთილი განწყობილება სუფევდა. თავისუფალ დროს ისელებოდა თუ არა, ქვიშეთში ამოვიდოდა, გვეითხაუდა, ხომ არაფერი გჭირდებოდა და დახმარებასაც არ დააყოვნებდა, ხან ხაშურში მიგვიწვევდა და გვიმასპინძლდებოდა. ერთ-ერთ ასეთ წვეულებას ლეო ქიაჩელიც დაესწრო. გრიშა განსაკუთრებით გოგლას სცემდა პატივს.

ერთხელ ბაკურიანში გავესიერნეთ მანქანით. საღამო ჟამს დაგბრუნდით. მზის ჩასვლას ცოტადა უკლდა. ნაძვანარს თხელი ნისლი ეფინა. ჩუმი საღამო იყო. ნისლში მზის სხივები შეიჭრა, რაღაც საოცარი ზღაპრული შუქი ჩადგა ნაძვანარში. გოგლამ მანქანა გააჩერებინა მძღოლს. სამივენი გადმოვედით მანქანიდან და ბუნების ამ საოცრებით გაბრუნებულნი შეეჩერებოდით სილამაშეს, რომლის სიტყვებით აღწერა არ შეიძლება. გოგლა დიდხანს იდგა და მოჟადოებელი გაჰყურებდა ამ სურათს.

გოგლამ შემოთავაზა წავსულიყავით და გვენახა ტაბაწყური. გადავიარეთ ნაძვითა და ფიჭვით შემოსილი მთები, გავედით უდიდესნილზე, საიდანაც, როგორც გოგლამ მითხრა, ერთი გზა ჯავახეთში გადადის. ჩვენ მარცხნივ დავეშვით, ალპურ ზონაში შევედით. მთების ფერდობებზე ცხვრის ფარა გაშლილიყო. ჰქროდა მთის ყვავილების სურნელებით გაჟღენთილი გრილი ნიავი. გზაზე მოჩუხჩუხებდა მთის ცივი წყალი. გოგლას არ წყუროდა, მაგრამ ხარბად დაეწაფა წყალს, ჩვენი მთის მადლიათ და შესვა. შემდეგ პეშვით სახვზე შეისხა. მერე იქვე მდგომ მწყემსებს ესაუბრა. გზა დაბლა ვშვებოდა. გამოჩნდა მთებში ჩასმული ზურმუხტისფერი ტბა. მივედით. გოგლა ხან ტბას გაჰყურებდა, ხან მთებს. ხმას არ იღებდა: რაზე ფიქრობდა? ვინ ან რა წარმოუდგა თვალწინ? ვფიქრობ, იქ მიღებულ შეთბეჭდილების შედეგი იყო მისი ბრწყინვალე ლექსი „ტაბაწყური“:

მომეწყურე, ტაბაწყურო  
წყაროების ტბავ,

კიდევ ერთხელ შემოგხედე  
თვალი დამიტკბა!  
მინდა ფსკერში დაგოცნო  
თეთრული ქვა:  
მინდა ყველა შენი ზვიროთ  
ფრთხვად ავისხა.  
ბროლნამსხვრევი, ფირუზჩქერო.  
მარგალიტის ზღვაჲ!

როგორც მოგახსენეთ, იმავე ზაფხულს გოგლამ ქართლის სოფლები შემოიარა, თან წამოჰყვა გრ. ფოფხაძე, რომელმაც კოლმეურნეებს შეახვედრა. მახსოვს, რა გატაცებით ესაუბრებოდა მათ: გოგლა სოფელ ალში, მოუთხრობდა ამ სოფლის წარსულზე, მის მიერ გადატანილ ბრძოლებზე, აცნობდა მის მნიშვნელობას, მოუთხრობდა დაშლილ ციხესა და ეკლესიასზე. შემდეგ მდინარის პირას მდიდრულად გაწყობილ სუფრას შემოვუსხედით. გოგლას ძლიერ მოეწონა ალის შესანიშნავი ღვინო. მის სადღევრძელოებს, რომლებშიც გაცოცხლებული იყო საქართველოს წარსული და აწმყო, ბოლო არ უჩანდა. გოგლა ჩინებული თამადა, სუფრის ნამდვილი ოსტატი იყო.

მეორე დღეს ბრილიში წამიყვანა: მითხრა — მოდი, გიგო დიასამიძის (გაზეთ „თემის“ რედაქტორის) სოფელი და სახლი ვინახულოთ. შევედით ბაღჩა-ბაღებად ქვეულ სოფელში. პატარა გორაკზე დიასამიძის ყოფილი სახლი დავათვალიერეთ (შევინთ არ შევსუკუვართ). გორაკის ქვეშ პატარა მდინარე მოჩუხჩუხებდა. ამ მდინარის სათავე იქვე აგებული წყაროა, რომლის ხუთი, მაჯის სიმახლო მილიდან ცივი ანკარა წყალი „მოციენცხალობს“. ეს წყალი რწყავს ბაღებს. გოგლამ ამ წყაროზე ლექსი დაწერა, მისთვის ჩვეულებრივი მოქალაქეობრივი პათოსით გაჟღენთა, დამუხტა:

ერთს ვინდომებ:  
ვით მინდორ-ველს  
ესხვრება ბროლის ცვარი,  
ყოლილოვს ჩემი სიტყვაც  
ხალხის ბოლზე გადამწვარი  
და ვით ხალხი ბროლის წყარომ  
ინე ხალხმა შემოწყნაროს.

გოგლას ლექსების უმრავლესობა ასეთი უშუალო შეთბეჭდილებით არის დაწერილი, ამიტომ გამოირჩევა კონკრეტულობით. იმავე ზაფხულს გოგლამ ატოცში წაგვიყვანა

სერგო კლდიაშვილი, შოთა ძიძიგური და მე. გზაში გვეუბნებოდა: ატოცი ღარიბი სოფელი იყო. თუ ვინმეს სიღარიბე უნდოდათ აღწინააღმდეგობით, იტყოდნენ, ატოცელ გლახას ჰგავსო. როგორი იყო წარსულში ატოცი, არ ვიცი. ახლა კი სოფელი საკმაოდ მდიდრულად გამოიყურებოდა. მასწავლებლებმა გაიგეს, გიორგი ლეონიძე გვესტუმრა და დაფაცურდნენ. მოაწყვეს იმპროვიზებული დილა. მოსწავლეებმა გოგლას და სხვა პოეტების ლექსები წაიკითხეს, მასწავლებლებმა სიტყვებით მიმართეს. შემდეგ თვით გოგლა გამოვიდა, სოფლის მკვიდრთ მადლობა გადაუხადა და ლექსებიც წაუკითხა. კარგ სასაითზე იყო. ერთ-ერთი მასწავლებლის ბინაზე (სამწუხაროდ, მისი გვარი აღარ მახსოვს) სადილი გამართეს. იქვე ძველი, ჩამონგრეული ეკლესია იყო. ყოფილმა მღვდელმა რომ გაიგო გოგლას სტუმრობა, აღარ მოეშვა, პატივი უნდა მცემოდა ცოტა ხნით მესტუმროსო. ჩვენმა ერთ-ერთმა თანმხლებმა (ვინ იყო აღარ მახსოვს) დაიფინა — ყოფილ მღვდელთან რა მიწა და მასწავლებელთან დარჩენა ამჯობინა. გოგლამ ვერ გაუტეხა ხათრი მღვდელს, მას უფრო ეკლესია აინტერესებდა. გადავედით, ეკლესია (თუ ნაკლებსიარი) დავათვალიერეთ. შემდეგ გაწყობილ სუფრას დაგვბრუნდით მასწავლებელთან, მღვდელმა შეემაჯული ქათამი გამოუგზავნა გოგლას.

ცხადია, გოგლა თამაშობდა. ღრმა შინაარსიანი სიტყვით მიმართა დიასახლისს, სხვებს. ილაპარაკა ატოცის წარსულზე, მის ბედნიერ აწმყოსზე, სამშობლოსზე, ქართველი ხალხის გმირობაზე, მის დიდ სულიერ კულტურაზე, მწერლობაზე. გვიან დაგვბრუნდით ქვიშხეთში.

შემდეგ ვინახულეთ სოფელი ნაშახტევი, მისი ძველი ტაძარი, რომელიც რამდენიმე შესანიშნავი ფრესკა იყო შემორჩენილი. ამ სოფლის წარსულსაც კარგად იცნობდა გოგლა. სხვა სოფლებიც მოვინახულეთ. გოგლა რატომღაც წარმართული ძეგლების ნაკვალევს ეძებდა. ტყეში ერთ ადგილზე რაღაც თლილ ქვებს წააწყდა. დიდხანს უტრიალა მათ. მისმა მცდელობა გონებამ ქვაზე თითქოს რაღაც წარწერა შეამჩნია. ვერ გაშიფრა. იმავე დღეს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გა-

დავედით ბორნით. ვინახულეთ წრომის ტაძარი, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე. საუკუნობრივი მყუდროებისა და დროთა დუმილის ფონზე ტაძრის ზვიადი კედლები მეტყველებდნენ წარსულის დიდებაზე. გოგლას მოუსვენრობა და ეტყო, დიდხანს უტრიალა ამ დიდებულ ძეგლს გარშემო, კედლებს შორის გამეფებული სიმშვიდე დაარღვია...

გოგლას რამდენიმე ლექსი აქვს დაწერილი სვეტიცხოველზე. მიკვირს, რომ წრომზე ერთი ლექსიც არ დაწერია!

\* \* \*

გოგლას განსაკუთრებულად უყვარდა მცხეთა. მას უკავშირებდა საქართველოს წარსულ დიდებას. მცხეთა და მისი შემოგარენი გოგლას მუზის სამყოფელი იყო. „სიტყვატკბილმა და მაღალხმიანმა“ პოეტმა მცხეთას რამდენიმე ლექსი მიუძღვნა. ესენია: „სვეტიცხოველი“, „მცხეთის მთებში“, „სვეტიცხოველი, დიდო საყდარო“, „შენ და სვეტიცხოველი“. იგი მისწრაფოდა მცხეთაში, სადაც სულიერ შეებას გრძნობდა, უფრო თავისუფლად სუნთქავდა, მისი ლექსიც „მიწით ისერებოდა“ და „ტახის ღონეს“ იძენდა. გოგლა მარტო წვეთ ღვინოს არ დალევდა, პურს არ გატეხდა. მისი სტიქია მეგობრებთან ყოფნა და ლხინი იყო.

პოდა, წავიდოდით მცხეთაში, ხან მარტონი, ხან მამია ასათიანთან, ალექსანდრე ქუთათელთან, სერგო კლდიაშვილთან, ხან კიდევ მთელ ჯგუფთან ერთად. ცოცხალი უყვარდა. თუ ერთ სასადილოში არ იყო, მეორეში შევიდოდით და დაიწყებდა საუბარს მცხეთაზე, ჯერის მონასტერზე, სამხედრო გზაზე... ყველაფერს რომანტიკულად აღიქვამდა. გაიხსენებდა ილიას და „მგზავრის ჭერილებს“, ყაზბეგს, ვაჟას — ყველა გამოჩენილ ადამიანს, ვისაც ამ გზაზე გაველო და თერგის წყალი შეესვა. გაიხსენებდა ლერმონტოვს, მის „მწირს“. პუშკინს და მის ლექსს «Не пош, красавица, при мне». რომელიც ძლიერ უყვარდა, შეზღვევ სვეტიცხოველის გალავანში შევიდოდით, იქედან ზოგჯერ საგურამოში წაგვიყვანდა. მისი თაოსნობით მოეწყო ილიას სახლში მუზეუმი. პირადად ხელმძღვანელობდა ამ



საქმეს. რამდენი დრო და ენერგია შეალია ექსპონატების დამზადებას!

ერთხელ, უკვე შედამებულზე, გოგლამ მთხოვა, წეროვანში ავიდეთ და ფეფიკოს ადგილის დედა დავლოცოთო. ჩააწყო მანქანაში ორი თუ სამი ბოთლი ღვინო, საუზმე და წავედით. დამე მთვარით იყო განათებული. წეროვანი აქვეა, მცხეთასთან, გორაკზე. სააგარაკო ადგილია. ამ სოფელში სხვა დროსაც ვყოფილვარ ფეფიკოსა და გოგლასთან ერთად. ახლა გვიანი იყო. თუ მესხიერება არ მღალატობს, ფეფიკოს სახლის გვერდით მისი ძმა ცხოვრობდა. ის გამოიყვანა გოგლამ, სუფრა გააშლევინა, სიტაბუკე გაიხსენა, გაიხსენა თავისი პირველი ვატაცება. დიდხანს შევრჩით იქ ტკბილ, მეგობრულ საუბარს. რა დაუდევარი ხასიათი ჰქონდა, რა სასიცოცხლო ძალა, რა ბოძი მოიშალა და წაიქვა!

უდიდესი ენერგია მოახმარა გოგლამ ლიტერატურული მუშეუმის მოწყობას. დღესა და დამეს იქ ატარებდა. გოგლა ხშირად იყო საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საქმის თაოსანი. რაღაცას მოგონებდა, ახალ სასარგებლო რამეს წამოიწყებდა, ხორცს შეასხაძდა. ბევრი რამ გააკეთა მან გამოჩენილი ქართველი მწერლების, ჩვენი კლასიკოსების ბიოგრაფიების შესავსებად, შესასწავლად. აგზავნიდა მუშეუმის თანამშრომლებს ადგილებზე თუნდაც სულ წვრილმანი ბიოგრაფიული ხასიათის ცნობების შესაგროვებლად, აწერინებდა მოგონებებს. მერე ყოველივე ამას თავს უყრიდა და ცალკე კრებულად სცემდა „ლიტერატურული მატრიანეს“ სახელწოდებით. ჩემს ხელთაა ერთი ასეთი კრებული წარწერით: „ჩემს შალიკოს სიყვარულით, სიხარულით. გოგლა. 26, XII-42“. მის გულს მართლაც არ აკლდა სიყვარული და სიხარული. კრებულში მრავალი საინტერესო მასალა, მოგონებაა ილიაზე, ვაჟაზე, ბარნოვზე და სხვებზე. აქვეა მოთავსებული გოგლას ვრცელი გამოკვლევა ნიკოლოზ ბარათაშვილზე. ყოველივე ეს შემდეგი გარემოების გამო მოვიგონე.

1941 წელს მუშაობა დავიწყე მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში. გავიდა ხანი და გოგლამ მომმართა წინადადებით, გამომეცა ცალკე წიგნად მისი მონოგრაფია

ნიკოლოზ ბარათაშვილზე, რომელიც სარედაქციო კოლეგიამ დაამტკიცა. მოტანილი მასალა აიწყო. 10 თუ 11 თაბახი გამოვიდა. გოგლამ დაიწყო მისი სწორება. დამატებითი მასალების ძიებას შეუდგა. დადიოდა ანჩისხატის მიდამოებში; გოგლას ვარაუდით ნიკოლოზ ბარათაშვილი აქ ცხოვრობდა რომელიღაც სახლში. მოხუც მცხოვრებთ ესაუბრებოდა, კრებდა ცნობებს. ერთ დღეს, სადილობისას ხუმრობით მითხრა: ვინ იცის, ერთ დროს იქნებ ჩემი ბიოგრაფიაც შესასწავლი იქნეს, ბარათაშვილივით გამომჩენილ პოეტად მიმიჩნიონ. თუმცა მის ბედს მაინც დამაინც არ შეგნატრი. სიცოცხლეში ცოტა ვინმე თუ იცნობდა, როგორც დიდ პოეტს. დიდების გვირგვინი მას სიკვდილიდან კარგა ხნის შემდეგ ილიამ დაადგა. მე მიინდა სიცოცხლეში მოვესწრო ხალხის აღიარებას. თქვა და გაილიმა. დაუმატა: თავის კარგ ბედს ყველა შენატრის. და ამით მოჭრა ამ საგანზე საუბარი.

დიდხანს ეძია დამატებითი ცნობები. კორექტურა აღარ დამიბრუნა. ანაწყობი სტამბამ ჩაშალა, ასე რომ წიგნი აღარ გამოუსულა.

1924-39 წლებში გამომცემლობა „ტექნიკა და შრომას“ ვხელმძღვანელობდი. ეს გამომცემლობა პროფესიული კავშირების გამომცემლობის „შრომას“ ბაზაზე შეიქმნა. „შრომა“ თავის დროზე კარგ საქმიანობას ეწეოდა, ერთგვარ მორალურ და უმნიშვნელო მატერიალურ დახმარებას უწევდა ახალგაზრდა პროლეტარულ მწერლებს. საკმარისი იყო მეთხოვა გიორგი ყურულაშვილისათვის ამა თუ იმ წიგნის გამოცემის ნებართვა, იგი უყოყმანოდ მისრულებდა თხოვნას. ასეთ თავმდაბალ, უბრალო, ქართული ლიტერატურის მოყვარულ ადამიანს ცოტას შევხვედრივარ. უმეტეს თავისუფალ დროს მწერლებს შორის ატარებდა. ერთხანს ჟურნალ „მნათობს“ რედაქტორობდა. განსაკუთრებით აფასებდა გალაკტიონ ტაბიძეს. როგორც მოვასხენეთ, გამომცემლობა „შრომა“ შემდეგ „ტექნიკა და შრომა“ გადაკეთდა. ტექნიკური შინაარსის წიგნების გამოცემაც დაიწყო. გამომცემლობა მოთავსებული იყო ახლანდელ სასტუმრო „თბილისის“ ქვედა სართულში.

გოგლამ მომმართა წინადადებით, გამოგვეცა სულხან საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, რომელსაც წამღვარებული ექნებოდა მისი (გოგლას) გამოკვლევა საბას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. უკეთესი რა უნდა გამოგვეცა!

საერთოდ გოგლა ძლიერ დაინტერესებული იყო საბას პიროვნებითა და შემოქმედებით. მოსკოვში ვიყავით პაოლო, ტიცინი, გოგლა და მე. არ მახსოვს პაოლომ თუ გოგლამ შემოგვთავაზა ვესვიატსკოეში წაესულიყავით საბას საფლავის საპოვნელად. ისინი ოცნებობდნენ საბას ნეშტის თბილისში გადმოსვენებაზე. ბევრი ვეძებეთ, არც ერთი საფლავი, ბუჩქის ძირი არ დაგვიტოვებია გაუსინჯავი, მაგრამ ძვირფას საფლავს ვერ წაგვადგინა...

გოგლამ ისურვა სხვა ძველი დაედგა დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნისათვის; გამოეცა მისი იგავ-არაკები და თავისივე შრომა საბაზე. ამ წიგნზეც ბევრი მაწავლა გოგლამ გაუთავებელი შესწორებებისა და დამატებების შეტანით. თითქოს წიგნის აწყობის პროცესში წერდა თავის შრომას. ბოლოს წიგნი გამოვიდა კარგ ქალღმერთ დაბეჭდილი და იმ დროისათვის კარგად გაფორმებული. წვალუბა ღირდა იმად, რომ საბას უკვდავი ქმნილება შესანიშნავი წინასიტყვაობით გამოსულიყო. საბას შემოქმედების ვერც ერთი მკვლევარი ვერ აუვლის გვერდს ამ შრომას.

\* \* \*

თუ რა პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობდა გოგლა ხალხში, ჩემთვის უფრო ნათელი გახდა 1959 წელს, როცა ხალხმა ბახტრიონთან მოპოვებული გამარჯვების და ამ ციხე-სიმაგრის ყიზილბაშებისაგან განთავისუფლების 300 წლისთავი იზეიმა. დღესასწაულს თბილისიდან მრავალი მწერალი დაესწრო და მონაწილეობაც მიიღო მიტინგში. გოგლამ თამარ ანდლუაძე და მე წაგვიყვანა თბილისიდან მანქანით. დღესასწაულს უამრავი ხალხი დაესწრო ახლომახლო სოფლებიდან, თვითონ ასმეტიდან. იშვიათი მზიანი დღე იყო, ცხელიდა კიდევ. მიტინგზე მრავალი პატრიოტული სიტყვა წარმოთქვეს, მრავალი ლექსი წაიკითხეს.

მიტინგის შემდეგ სტუმართათვის საუბრო სუფრა გაიწყო. შეკრება სახალხო დღესასწაულად იქცა. უკან ვბრუნდებოდით. ჩრდილოში ხალხი გამოიღო სუფრას უკდა ჯგუფ-ჯგუფად. დანახეს გოგლა და ვინ გამოვიცა!

გოგლა ხან ერთ ჯგუფთან მიდიოდა, ხან მეორესთან, ყველას სუფრას ულოცავდა. ბოლოს პანკისიდან ჩამოსულ კოლმეურნეებთან მივიდა. მათგან თავი ვეღარ დაიხსნა. გოგლაც პურ-მარილის კაცი იყო და მერე როგორი! მოლხენა უყვარდა. ნამდვილი ლხინი იყო გაჩაღებული ამ სუფრასთან. ერთი მშვენიერი, მგონი, მასწავლებელი ქალი ფანდურს უკრავდა და ხალხურ სიმღერებს ამღერებდა. გოგლას დანახვაზე მეტი აღფრთოვანება დაეტყო, ხმაც თითქოს უფრო დაეწმინდა, ფანდურის ქღერასაც მეტი ემსი მიეცა. რა სიტყვებით არ მიმართეს გოგლას ახალგაზრდებმა, როგორ შეამცეს მისი პოეზია, კალამი და მარჯვენა დაულოცეს, ლექსები წაიკითხეს ზეპირად, რა სიმღერები არ დააგუგუნეს. გოგლას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შექმნილი და პატივინაცემი, ნასიამოვნები დაბრუნდა თბილისში.

\* \* \*

ეს ძველი ამბავია. გოგლა გაზეთ „ბახტრიონს“ სცემდა. ეს გაზეთი არ იყო ცისფერიანწილების, თუმცა მასში უმთავრესად ისინი თანამშრომლობდნენ. გოგლა იმ ხანებში აპირებდა დაეწერა მონოგრაფია ვანო მაჩაბელზე. მუშაობდა აგრეთვე ფიროსმანიშვილის ბიოგრაფიაზე. იმ დროს შალვა დადიანი კახეთს გაემგზავრა. ვთხოვეთ ფიროსმანიშვილის მშობლიურ სოფელში — მირზაანში გამოველო, შევეკრიბა ბიოგრაფიული ხასიათის ცნობები დიდ მხატვარზე და ჩვენთვის მოეწოდებინა. შალვამ სიამოვნებით შეასრულა ჩვენი თხოვნა, წერილიც მომიწერა. ეს წერილი „ბახტრიონში“ მოთავსარედაქტორმა.

მხატვრებიდან გოგლა ლალო გუდიაშვილს მეგობრობდა. მას ალერსით ბევოს ეძახდა. ლადოსთან, პაოლოსთან, ტიცინთან, ზდანევიჩთან, არჩილ მიქაძესთან ერთად ეძებდა იგი ფიროსმანის სურათებს სარდაფებში. მისი სამუშაო ოთახის კედლებს ფი-





როსმანის რამდენიმე სურათი ამკობდა. შემდეგ ყველა ეს სურათი მუზეუმში გადასცა. მას მოსწონდა ფიროსმანიშვილის უმუშალობა, სინამდვილის გულუბრყვილო აღქმა, მისი ნახატების „მიწიერება“, ხალხურობა. გარდა ამისა, როგორც ვთქვით, გოგლას მოსწონდა და უყვარდა ლაღო გუდიაშვილის შემოქმედება, მისი სურათების ეროვნული კოლორიტი, დიდი ფანტაზია, ფილოსოფიური დაფიქრება სინამდვილეზე. უყვარდა და მეგობრობდა აგრეთვე მხატვარ ა. ციმაკურიძეს. რას არ უგონებდა ხუმრობით მას და თვითონვე კედებოდა სიცილით. განსაკუთრებით მოსწონდა ამ მხატვრის მიერ დასატული ქვიშხეთიდან დანახული პეიზაჟები, მიწაში ღრმადფესვგადგმული ხეები. გოგლა ასევე მეგობრობდა მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძესთან, თუმცა მათ შორის კარგა დიდი ასაკობრივი სხვაობა იყო. არ ვიცი, სხვა რომელ მხატვართან იყო დაახლოებული. მგონი არავისთან. არც ის ვიცი, რით დამთავრდა მისი ცდა დაეწერა ფიროსმანიშვილის ვრცელი ბიოგრაფია, შეაგროვა თუ არა სამისოდ საჭირო მასალები.

გოგლას თეატრი არ უყვარდა მაინცდამაინც. მას თავისი შეხედულება ჰქონდა სასცენო ხელოვნებაზე. იშვიათად თუ ნახავდით თეატრში. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული თეატრის ისტორია კარგად იცოდა. თუ მეხსიერება არ მღალატობს, წერილიც აქვს გამოქვეყნებული ერეკლესდროინდელ თეატრზე. პიესის დაწერაც განიზრახა, თუმცა სცენას ნაკლებად იცნობდა. „გიორგი ბრწყინვალე“ ეწოდებოდა მგონი ამ პიესას, რომლის პირველი მოქმედება კიდევაც დაბეჭდვა. როგორც ვიცი, პიესაზე მუშაობა შეწყვიტა და იგი აღარ დაუმთავრებია.

როგორც თეატრმცოდნე ალექსანდრე ბურთიკაშვილი იგონებს, ადრეული სიტაბუკის წლებში გოგლა თურმე აქტიურად მონაწილეობდა სოფელში გამართულ წარმოდგენებში. იგი შეუცვლელი მოკარნახე ყოფილა, ძმა ლევანი კი — ჩინებული მსახიობი.

მე, პირიქით, როგორც იტყვიან, თეატრში „ჩამწვარი“ ვიყავი. არ დარჩენილა არც ერთი ოპერა და არც ერთი ქართული სპექტაკლი, რომ არ მომესმინა და არ მენახა. ვწერდი რეცენზიებსაც. გოგლა მიკითხებდა,

დაანებე თავი ამ თეატრს, რად კარგავ ძვირფას დროს თეატრში სიარულით, სჯობს შენს საქმეს მიხედო.

გოგლას სპორტი დიდად არ იზიდავდა. არ მახსოვს ფეხბურთზე წასულიყოს. სულ ის აოცებდა: რატომ არის, რომ რომელიც გნებავთ ფეხბურთელი უფრო პოპულარულია, ვიდრე მწერალი, მეცნიერი და სხვაო.

ერთადერთი, რაც უყვარდა, იყო თევზაობა. ჩავიღოდით პატარძელში თუ არა, გოგლა იორზე წაგვიყვანდა.

ქვიშხეთში ვისვენებდი. გოგლაც ჩამოვიდა ოჯახობით, ახალი დაბრუნებული იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. თან ჩამოიტანა ანკესები და რაღაც ფაცერის მსგავსი რამ. ერთ დილას ანკესებით მტკვარზე გავეშურეთ. სად არ ვისროლეთ ანკესი, მაგრამ ვერაფერი დაეჭირეთ. კარგა დიდ მანძილზე ავეყვით მტკვარს, ხელცარიელი დაებრუნდით. ვიღაცამ დაგვანახაო — იძახდა გოგლა.



სამამულო ომი მძვინვარებდა. ქალაქი საღამოს ბინდში გახვეულიყო. გოგლა და მე ელბაქიდის დაღმართზე მივიჩქაროდით. სახლის წინ, სადაც შალვა რადიანი და ქეთო ირემიძე ცხოვრობდნენ, პატარა სკამი იდგა. სკამზე ვიღაც ქალი ჩამომჯდარიყო, გავეწვრიოდით.

— შენ რას აკეთებ აქ, ქალო? — მიმართა გოგლამ. ეს ქალი ქეთო აღმოჩნდა.

— ვმორიგეობ. საპაეო თავდაცვის რაზმის წევრი ვარ, — უპასუხა ქეთომ.

— კარგი, იჯექი აქ, სახლში დივერსანტი არ შეგეპაროს, — უთხრა ქეთოს და გზის განვლობდა დააპირა. მაგრამ ვინ აცალა, ქეთო წამოდგა: — მორიგეობას სულ მალე დავამთავრებ და ჩემთან შემოდითო.

ქეთოს და შალვას ვემგობრობდით. ხშირად დავდიოდით მათთან. მათ ერთგვარი ლიტერატურული სალონი ჰქონდათ. საუბარი პოეზიისა და ხელოვნების ფარგლებს იშვიათად თუ გასცდებოდა. ქეთოს და მის მეგობარს — ქსენია სინარულიძეს პოეზია თავდავიწყებით უყვარდათ. ქეთო დიდად განათლებული, გემოვნებადახვეწილი ქალი იყო. კარგად იცოდა ფრანგული ენა. მაშინ

მას უკვე თარგმნილი ჰქონდა აბაჯ პრე-  
ვის „მანონ ლესკო“, ბენჟამენ კონსტა-  
ნის „ადოლფი“ და სხვ. მთარგმნელობას ის  
დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. გოგლას იგი  
დასავით უყვარდა, აქეზებდა, არიგებდა,  
განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქეთო თა-  
ვისი რომანის „ქეთევან წამებულის“ წერას  
შეუდგა.

იმ საღამოსაც შევედით ქეთოსთან, დია-  
სახლისი დატრიალდა და უმაღლე პატარა  
სუფრა გაშალა. შემდეგ გოგლას ლექსების  
წიგნი გამოიტანა. ჯერ თვითონ წაიკითხა,  
შემდეგ გოგლას სთხოვა წაეკითხა. უყვარ-  
და მისი როსროსა ხმის მოსმენა. მეტადრე  
თუ თავის ლექსებსა კითხულობდა. შემდეგ  
ქეთომ მოგვახარა: გალაკტიონმა ეს ლექსი  
ჩამიწერა „მანონ ლესკოში“. ლექსი ქეთოს  
მიერ წაკითხული პირველად აქ მოვისმინეთ.

ნაზი, ხავერდოვანი ხმით კითხულობდა  
ქეთო მისდამი მიძღვნილ ლექსს:

„მარად ისმის მარადისი  
სიყვარული მწელია,  
ვის ისარი მოხვდა მისი  
მუდამ ცრემლის მღვრელია.  
ვარდო კონის, ბნელა გონის,  
ტავერხების ნღოშანი...  
ღე-გრივისა და მანონის  
სევდიანი რომანი...“

როგორც აღვნიშნეთ, ქეთო რომანის წე-  
რას შეუდგა. საქირო მასალების დასაგრო-  
ვებლად და შესასწავლად გრემსა და მის მი-  
დამოებში დადიოდა, ეცნობოდა ისტორიულ  
წყაროებს. ამ საქმეში გოგლაც ეხმარებო-  
და, კონსულტაციას უწევდა. ქეთევანი გახა-  
რებული და აღფრთოვანებული ბრუნდებო-  
და გრემიდან. გვიამბობდა, რა ნახა, რა  
ძეგლებს გაეცნო.

რომანის რამდენიმე ნაწყვეტი დაბეჭდა.  
სისარულით გვიკითხავდა წერილებს, რომ-  
ლებსაც მკითხველებისაგან ღებულობდა.  
გვთხოვდა, მიგვეთითებინა ნაკლზე.

ქეთო ირემაძე ამ შემთხვევაში გოგლასთან  
დაკავშირებით მოვიგონე (საერთოდ კი ქე-  
თოს ლიტერატურული და საზოგადოებრივი  
მოღვაწეობა ღირს იმად, რომ არ იქნას და-  
ვიწყებული).

გოგლას სხვა მეგობარი ქალებიც ჰყავდა.  
თამარ ოქროშიძე, ნუცა ანანიაშვილი, თამარ  
ანდლულაძე და სხვ., რომლებსაც გოგლას-  
თან მისი პოეზიის სიყვარული და ადამიან-  
ობა აახლოვებდა. ბევრჯერ მინახავს გოგ-  
ლა თამარ ანდლულაძესთან. გოგლას არ  
ენახა გურია. ჩვენ ვუქმედით ამ მხარის სი-  
ტურფეს, სიმდიდრეს, ხალხის სტუმართ-  
მოყვარეობას. თამარი სთხოვდა, სწევოდა  
გურიას. ბოლოს გადაწყვიტა გურიას სტუმ-  
რებოდა.

გურიიდან დაბრუნებული გოგლა აღ-  
ფრთოვანებული გვიამბობდა: ეს რა ხალხი  
ყოფილა გურულები, დაუფიქარი პატივი  
მცეს, ყველგან ხელგამოიღონ, გულმხი-  
რული მფებებოდნენო. ძლიერ კმაყოფილი  
იყო, რომ ეს უღამაშესი მხარე ასელოს გა-  
იცნო. სიყრმის ამხანაგი, უდროოდ დაღუ-  
პული ნიჭიერი პოეტი გრიგოლ მეგრელი-  
შვილი („მთის ნიაგი“) გაეხსენებინა, მისი  
საფლავი ენახა და პატარა მიტინგზე მის-  
დამი მიძღვნილი ლექსი წაეკითხა.

გოგლას ჰქონდა თავისი ნაკლი, ისე რო-  
გორც ყოველ ადამიანს. მის იუმორს ხანდა-  
ხან წიწაკის სიმწარე ემჩნეოდა. ვინც ასელოს  
არ იცნობდა, მართლაც უხეშ კაცად მოეჩე-  
ნებოდა. რამდენჯერ უთქვამს ფეფიკოს: ნუ  
ხარ, კაცო, ასეთი, ვინმეს მართლა უდიერი  
ეგონებო.

ნამდვილად კი გოგლა ფრიად კეთილი  
იყო, გული ადამიანის სიყვარულით, ჩვენი  
ხალხის დიდი სიყვარულით ჰქონდა სავსე.

კიკეთში ვისვენებდით მე და მამია ასა-  
თიანი. ხელოვნებათმცოდნე ოთარ ფი-  
რალიშვილი შეგვგვდა გზაში, გვთხოვა სა-  
დილად გწევოდი. დღეს გოგლა ამოვა ჩემ-  
თანო. დანიშნულ დროზე მივედით. სახ-  
ლი, რომელშიც ოთარის ოჯახობა ცხოვ-  
რობდა და ისვენებდა, ტოტემზრავლი ხე-  
ბის ჩრდილში იდგა. წინ მიწდორი ბიბი-  
ნებდა, ბალახი მუხლებამდე გვეწვდებოდა.  
ჩრდილში გაეწყობთ სუფრა. მალე გოგლაც  
ამოვიდა წყნეთიდან. სუფრას შემოგუსხვ-  
დით, რა თქმა უნდა, თამადად გოგლა და-  
ვაყენეთ. ერთი რამ უნდა აღვნიშნო, თუ

სუფრასზე გოგლა თვითონ არ თამადაობდა, საოცრად მოიწყენდა, ლხინის ეშხი ეკარგებოდა ხოლმე. იმ დღეს კი შესანიშნავ ხასიათზე იყო. წამოიწყო სადღევრძელოები. რამდენჯერ მომისმენია მისი სიტყვა საქართველოზე, ქართველ ერზე, ჩვენი ხალხის მიერ გადატანილ გმირულ ბრძოლებზე, მაგრამ არც ერთი მისი სიტყვა არ ჰკავდა მეორეს ამავე თემაზე თქმულს ისევე, როგორც მისი არც ერთი პატრიოტული ლექსი არ ჰკავს მეორეს: ყოველი მათგანი თავისებურ პოეტურ სახეებზეა აგებული, ყოველ მათგანს თავისი ინტონაციური ქვეყნობა აქვს. გოგლა ლაპარაკობდა კიკეთის წარსულზე, ძუძუ დაულოცა ქართველ დედას, რომელმაც ცხრა შვილი ხერხეულიძე აღზარდა. გვიამბო, მარაბდის ველზე გმირულად დაღუპული ძმები ხერხეულიძეები კიკეთლები იყვნენ.

მარაბდის ველი ნანახი მქონდა, ისიც გოგლას წყალობით. გოგლას საოცრად უყვარდა გამოჩენილი მწერალი, თავისი ყოფილი მასწავლებელი ვასილ ბარნოვი. ამ სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორად ყოფნისას თანამშრომლებს მოამზადებინა ვასილ ბარნოვის თხზულებათა ათბუნეული, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა.

ერთხელ გოგლამ შემომთავაზა: წამოდი, კოდაში ვასილ ბარნოვის სახლი ვნახოთ. სიამოვნებით წავეყვი, დავათვალიერეთ სახლი. იქიდან მარაბდაში წამიყვანა. მოვნახეთ სასაფლაო, მიმითითა ქვის ლოდებზე და მითხრა: აქ არიან დამარხულნი ძმები ხერხეულიძეები. ბევრი უტრიალა მდუმარემ ამ ლოდებს, რომლებზედაც ვაჟაკები იყვნენ გამოსახულნი. შემდეგ გაიხსენა მარაბდის ბრძოლა, ჩვენი ხალხისათვის ასე ტრაგიკულად რომ დასრულდა. დადიოდა მინდორში, თითქოს გიორგი სააკაძის ხმლის ნამსხვერვეს ეძებსო. მარაბდიდან უკან დავბრუნდით. გზაში, რომელიდაც მაღლობზე ავედიო, ეკლესია ვნახეთ, იქ მიჩვენა მანანა ორბელიანის საფლავი, მარმარილოს ქვაზე გარდაცვლილის ვინაობა ამოიკითხა. ამოიოხრა, თითქოს გული თან ამოატანა.

ყოველივე ეს გამახსენდა იმ დღეს, ჩრდილში რომ ვისხედით და გოგლას სიტყვებს ვისმენდით. დაღამდა კიდეც. მასპინძელმა შუქი აანთო. შუქზე პეპლები დაგვეხვია. ზოგი ჭიჭაში ცვიოდა, ზოგი — თევზებში. ამ აბეზარი მწერებისაგან რომ თავი დაგვეცვა, ეხოცავდით. გოგლას წყინდა: როგორ შეიძლება სულიერი არსების მოკვლაო. ამოიყვანდა ჭიჭაში თუ თევზში ჩავარდნილ პეპელას და ათავისუფლებდა. შორს ვარ წასასვლელიო და ღვინის ნაცვლად უფრო ღვინოს ეძებებოდა. შუაღამე იქნებოდა მოტანებული, როცა ავიშალენით. გოგლა მანქანაში ჩაჯდა და წყნეთისაკენ გაუყვა გზას. მე და მამია ფეხით დავბრუნდით შინ. გზა გოგლაზე საუბრით გავლიეთ. ერთ ხანს ჩვენს უზოში ვისხედით და გოგლას შემოქმედებაზე ვლაპარაკობდით, მისი უშრეტეი ტემპერამენტით აღსავსე, ქართული მიწით განოყიერებული და ქართული მთის ჯანსაღი პაერით მსუნთქავი პოეზიით მოხიბლულები.

\* \* \*

სტალინისადმი მიძღვნილი პოემის პირველი ნაწილი გამოქვეყნებამდე მწერალთა კავშირში წაიკითხა. პოემამ მსმენელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მსმენელთა შორის იყვნენ მისი ახლო მეგობრებიც პაოლო, ტიცინი, ვალერიანი და სხვ. პოემა გამოქვეყნდა, საბჭოთა კავშირის რომელი ხალხის ენაზე არ ითარგმნა. ავტორის სახელი მეტად გახმაურდა. გადიოდა წლები, პოემის გაგრძელება არ ჩანდა. როგორც გამოირკვა, გოგლა საჭირო მასალებს აგროვებდა, წერდა ნაწყვეტებს, რომლებსაც დროგამოშვებით მიკითხავდა.

გოგლა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო. რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ წინადადებით მიმართა: აიღე შემოქმედებითი შვებულება და პოემა დაასრულო. გოგლა ასეც მოიქცა. ზაფხულში მას მშვენიერი აგარაკი დაუთმეს ოქროყანაში. იქ ცხოვრობდა ფეფიკოსთან ერთად. დროდადრო ავდიოდი. აღარ მიშვებდა. ერთად ვსადილობდით და გვიანობამდე იქ ვრჩებოდი.

ერთხელ გამოიტანა პატარ-პატარა ფურ-

ცლები და მითხრა: პოემის გაგრძელების მოზრდილი ნაწილი უკვე დავწერე. მიძნელება კი წერა, რადგანაც საქმე მაქვს უკვე არა იმდენად პოეტურ გამონაგონთან, არამედ რევოლუციური მოძრაობის დოკუმენტურ მასალასთან. პოეტური თავისუფლება შეზღუდული მაქვს, მხატვრულ სახეებში უნდა ავსახო, რაც ნამდვილად მოხდაო. დაუწყო ნაწერ ქაღალდებს ქექვა, ძებნა, თუ სად რა ჰქონდა ჩაწერილი. ერთ ფურცელს წაიკითხავდა, მეორეს, მესამეს... გახარებული ვუსმენდი: შესანიშნავი იყო. ცოტაღა მაკლიაო — მითხრა. არ ვიცი, დაასრულა თუ არა პოემა, რა მდგომარეობაში დარჩა.

შეგვედრისას ხშირად მეტყოდა ხოლმე: წუხელ ლექსი დავწერე, თუ ხალისი გაქვს, წაგიკითხავო. გახსნიდა პორტფელს და დაუწყებდა ძებნას გადაუთვთერებელი ლექსის ნაწილებს, რომლებიც ქაღალდის ცალკე ნაგლეჯებზე ეწერა, ალაგ წაშლილი, ალაგ შესწორებული. მეც სიამოვნებით ვუსმენდი და მიხაროდა, რომ ახალი ლექსის პირველი მსმენელი ვიყავი.

გოგლას ახასიათებდა საოცარი „პოეტური უწესრიგობა“. არ ვიცი, როგორ ართმევდა თავს ამდენ მიყრილ-მოყრილ ქაღალდის ნაგლეჯებს, ჩანაწერებს, შენიშვნებს. მახსოვს, მწერალთა კავშირში შემოვიდა. მითხრა, გიორგი ნატროშვილს (მაშინ ის იყო „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორი) მოთხრობა უნდა წავუკითხო და დამესწარიო. გავეყვი. გიორგიმ კარები ჩაკეტა. გოგლამ კითხვა დაიწყო („ნატურის ხეში“ შეტანილი რომელიღაც მოთხრობა იყო). ძნელი წაწერი ქაღალდები. მიუხედავად ამისა, მოთხრობამ მოგვინბლა. გიორგი ნატროშვილი აღფრთოვანებული ეუბნებოდა „მოიტა, მოიტა. მე გადავაბეჭდინებ და რიგს გარეშე დავბეჭდავო“.

ქაღალდების, წიგნების, ჟურნალების სრული ანარქია სუფევდა მის სამუშაო ოთახში. ყოველ შემთხვევაში, ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა გარეშე პირებზე, პირადად ჩემზეც. თვითონ ალბათ კარგად იცოდა, სად რა წიგნი, მასალა მოეძებნებოდა.

თუ ვეტყოდით, მოიყვანე წესრიგში, გოგლა, ეს შენი მაგიდა, წიგნის თაროები,

ქაღალდებიო, გვიპასუხებდა: ჩინოვნიკი კი არა ვარ, პოეტი ვარო. ალბათ, რამდენი რამ დარჩა ჩაფიქრებული, წამოწყებული და ბოლომდე მიუყვანელი. ყოველივე ეს, დარწმუნებული ვარ, ძვირფასი იქნება მომავალი თაობისათვის, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების გასაცნობად და შესასწავლად. გოგლა მეტად მდიდარი ბუნების კაცი იყო და მისი შემოქმედებაც, პირადი და სასოგადოებრივი ცხოვრებაც განუზომლად მდიდარია.

გოგლას საოცრად არ უყვარდა მშრალი, თავის ნაჭუჭში ჩაკეტილი კაცი. მისი ფართო ბუნება ვერ ურიგდებოდა ვიწროს, დანიავებულს. გოგლას პოეზიაც ხომ ასეთია. ფართო გატანების, ხშირად გრიგალის ძალისაა, ფესვები ღრმად აქვს წასული მშობლიურ მიწაში, აქვს ჩანჩქერების ხმა, არწივის თვალი და მადლა ნავარდის ხალისი. წარსულსაც რომანტიკულ-ტრაგიკულ ასპექტში აღიქვამდა, ცოცხლად ხედავდა. მისთვის არ იყო უცხო რომანტიკული გატაცება. ეს სახეებით ბუნებრივად იყო. ბოლოსდაბოლოს ასეთმა გატაცებებმა, სიყვარულის შუქმა გაამდიდრა შედევრებით მსოფლიო ლირიკული პოეზია.

გოგლას ჩემთვის დაუსახელებია რამდენიმე ლექსი, რომლებიც სულიერად შეძრულს დაუწერია. ვინ იყო მისი შთაგონების წყარო, — არ ვიცი. შეიძლება არც არავინ იყო, შეიძლება ოცნებით ჰყავდა ვინმე წარმოდგენილი.

ნინოწმინდა... პალატები მეფეთა...  
გალავანში — ჯამი აქაფებული;  
შენი სახე რისთვის შემომეფეთა,  
ხატი იყავ — ვეფხვი დაქალებული...

ორი უკანასკნელი გაუშიფრავი სტრიქონი ელვასავით ანათებს მთელ ლექსს. ანდა გავისხენოთ მისი ლექსი „ანგელოზის ფრესკა“:

დღეს ანგელოზის ფრესკა მაჩვენა,  
დიდთვალემა და გრძელი ფრთიანი,  
ზედ მიაშვირა ხელი მარჯვენა,  
ნახატს მიხსნიდა ტბილი ხშიანი.

მოსწონდა, ხატი რომ ბრწყინავლებდა  
თამარისეულ დროის დიდებით,  
ცოცხალ ფრესკას კი იღვა ნათელი  
და პირს ეფრქვა მარგალიტები.  
და უცხად მივხვდი მე, აბნეული,  
რომ ორ ანგელოზს შუა ვიდექი!



ასეთი ლექსები, მისი ლირიკული გულის ცხცხლით დაწერილი, გოგლას საკმაოდ მოეპოვება. თუ რა კარგად იცნობდა ვარდასული ეპოქების მაჯისცემას, მათში ჩამდგარ სურნელებას, ამას ადასტურებს გოგლას მართლაც დრმა განცდით დაწერილი ერთ-ერთი შედევრი — „ნინა ჭავჭავაძეს“. ეს ლექსი თვითონაც ძლიერ უყვარდა: ან რა გამოუთქმელი სევდა და ნაღველია ჩადვრილი ლექსში „მაია, მანანა, ნინო, ეკატერინა“. სწორად იგონებდა გრიგოლ თრებლიანის სიტყვებს — „დაბნულდა საქართველო“, რომელიც ეკატერინე ჭავჭავაძის სიკვდილის გამო ეთქვა. გოგლა სიცოცხლისა და სილამაზის მომღერალი იყო; უფრო კი საქართველოს დიდების, ქართველი ხალხის გმირობის, მშობლიური ქვეყნის ბუნების, მისი სკვდისა და ღვინისა.

\* \* \*

გარკვეული დროის მანძილზე ახალ წელსა და თამარობას თამარ ციციშვილისა და დიმიტრი გედევანიშვილის ოჯახში ვხვდებოდით. სტუმართმოყვარე მასპინძლები არაფერს იშურებდნენ, რომ დრო სასიამოვნოდ გაგვეტარებინა. ვსაუბრობდით ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, კინოზე, თეატრზე. ამ შეხვედრებს ესწრებოდნენ ჩვენი გამოჩენილი არაბისტი, აკადემიკოსი გიორგი წერეთელი, ლიტერატურათმცოდნე გიორგი აბზიანიძე, თამარის ახლო მეგობრები თამარ ოქროშიძე და რუსუდან ხარაძე. რუსუდანი მაშინ უკვე ცნობილი ეთნოგრაფი იყო.

გაწყობილ სუფრას შემოგუსხდებოდით, თორმეტს აღარაფერი აკლდა, შამპანურიც სახვე ბროლის ტიქებით უნდა შეგხვედროდით ახალ წელს, გოგლა კი არ ჩანდა. აუცილებლად უნდა დაეგვიანებინა (ასე იცოდა საერთოდ). ისმოდა საყვედურები.

ამ დროს რეკდა ზარი და პირმცინარე შემოვიდოდა, სუფრის თავში დაიკავებდა თამადის ადგილს. იცოდა, თამადობა არ აცდებოდა. და დაიწყებდა... სადღეგრძელოების წარმოთქმისას ყველას თავისას უსლაგდა, შეამკობდა, წაახალისებდა. საოცარი ფანტაზია ჰქონდა, მის სიტყვას ყოველთვის პოეტური იერი დაჰკრავდა, სადღეგრძელო, რა თქმა უნდა, არასოდეს არ იყო ჩვეულებ-

რივი, მოსაწყენი და მოსაბეზრებელი. ყველაში გამოძენიდა რაღაც დირსეულს, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელს და სასოგადოებრივ ცხოვრებას, დაუკავშირებდა. ხალისიან სუფრას დიასახლისის კდემამოსილება, სიტურფე და კეთილი ხასიათი მატებდა ლაზათს.

მახსენდება ერთი ასეთი შეხვედრა ახალი წლის წინა დამეს. გოგლა თამადაა. ჩემი სადღეგრძელო უნდა დალიოს. თამარს სთხოვა, რამე დაეკრა. გაისმა სმენის დამატკობელი პანგი. გოგლამ ამ პანგს აუწყო თავისი სიტყვა. რა არ მითხრა, რა სიყვარული არ დააფრქვია. ყველა სულგანაბული უსმენდა. საერთოდ, საშინლად არ მიყვარს, როცა სუფრაზე ამკობენ კაცს... ვიცი, რომ სწორად ასეთ სიტყვას გულწრფელობა აკლია, რაღაც მიღებული ფორმალური მხარე უნდათ შეასრულონ. ამ დროს ვიტანჯები სუფრაზე, სიმწრის ოფლი მასხამს ხოლმე, მინდა მაგიდის ქვეშ ჩავიმალო, სულ გავეცალო იქაურობას. მაგრამ ის სიტყვა სხვა იყო. ყველანი მოგვაჯადოვა... ეს იყო ნამდვილი ღვინი, ერთმანეთისადმი პატივისცემის, სიყვარულისა და მეგობრობის ზეიმი. რა კარგი დრო იყო, რა კარგი წლები! გოგლა! შენ წაიღე თან ეს დრო, ეს წლები.

\* \* \*

თავისი მსოფლმხედველობით, მსოფლმეგრძნებით გოგლა არ იყო სიმბოლისტი. მისთვის სრულიად მიუღებელი იყო ბუნდოვანი, მისტიციზმის ბურუსში გახვეული, განწყენებული, ძნელად წარმოსადგენი პოეტური სახეებით გადატვირთული ლექსი. სიმბოლიზმის წინაშე მან სულ რამდენიმე ლექსით მოიხადა ხარკი. გოგლას რეალისტის გამჭრიახი თვალი და რომანტიკოსის გული ჰქონდა. მის პოეზიაში ვერ ნახავთ მოდერნიზმის კვალს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გოგლა ახალი პოეზიის ერთ-ერთი მედროშეა. საკმაოდ რთული სახეობრივი აზროვნება, წერის მანერა, ყველაფერი იმას ადასტურებს, რომ გოგლა კარგად იცნობდა სიმბოლისტურ პოეზიას და მისი სკოლა ჰქონდა გავლილი. გოგლა იცნობდა როგორც რუსული, ისე ფრანგული სიმბოლიზმის განთქმული წარმომადგენლების შემოქმე-

დებას. მას უფრო ფრანგი სიმბოლისტიები მოსწონდა: ბოლღერი, ვერლენი, რემბო.

უყვარდა ქართული კლასიკური ლიტერატურა. ძველი სახეები გააცოცხლა სწორედ თავის ლექსებში. გოგლამ კლასიკური ლიტერატურის ტრადიციები განაგრძო და მათში სიახლეს შეიტანა, ახალ შინაარსს, ახალ თემებს ახალი ფორმაც მიუყენა. აქაც იგი ხალხურ შემოქმედებას დაეყრდნო უმთავრესად. ამ საკითხების გაშუქება, ცხადია, გოგლას პოეტური სამყაროს მკვლევარის საქმეა. ჩემი კინი სიტყვა და ცოდნა ასეთი კვლევისათვის არ გამოადგება.

გოგლას ძალიან უყვარდა რუსული ლიტერატურა, განსაკუთრებით ჩეხოვის მოთხრობები. თითქმის ყველა მოთხრობის შინაარსს მოგიყვებოდა, თან იცინოდა. საუბარში ხშირად იყენებდა ჩეხოვის გმირების მოსაზრებულ სიტყვებს და საერთოდ ჩეხოვის იუმორს. ასევე გატაცებული იყო დოსტოევსკით, განსაკუთრებით „ძმები კარამაზოვები“ მოსწონდა. თუ ვინმე არ მოუვიდოდა თვალში, სმერდიაკოვს მიახმავებდა.

\* \* \*

სიტაბუკის წლებში გოგლას ყოველდღე თუ არა, ძალიან ხშირად ვხვდებოდი. მთელ დღეებსა და ხანდახან ღამეებსაც ერთად ვატარებდით. ბევრი რამ ჩამრჩა მესსიერებაში, რაც მის ადამიანურ თვისებებსა და პოეტურ ბუნებას ჩემთვის შუქსა ჰფენს. თუ მოვასწარი, გავიხსენებ. მისი უყვარი, მოულოდნელი სიკვდილი ისე განვიცადე, თითქოს ორივე სასიცოცხლო ფრთა მომწყვდა, წამოდგომა მინდა და ვერ ვახერხებ. ვერ შევრიგებია არსს, რომ გოგლა არ შემხვდებოდა, არ გამამხნივებს, არ დამაიმედებს.

უკანასკნელ წლებში იშვიათად ვხვდებოდი. მწერალთა კავშირში თუ გამოივლიდა, აუცილებლად მომინახულებდა, ჩემს ჯანმრთელობას იკითხავდა. მაშინ მძიმე ავადმყოფი შინ მნახა. რომ მორჩები ერთად გავიდეთ ქალაქგარეთ და ვისადილოთო. ვუთხარი, რად გინდევარ, დიეტაზე ვარ და ღვინოს სულ არ ვსვამ-მეთქი. არც მასე ვარგაო, — მითხრა, ორგანიზმი ღვინოს არის მიჩვეული და ღვინოზე სავესებით ხელის ადება არ შეიძლებაო. კარგა ხანს მესაუბრა. წასვლისას, როგორც იცოდა, ისე მითხრა: „აბა ყოჩაღად იყავი, ყოჩაღადო“.

იანვარი იყო. სერგო კლდიაშვილი, მე და ჩემი მეუღლე გოგლას ვეწვიეთ. შესანიშნავი სუფრა გააწყო ფეფიკომ. სუფრას ლაზარის აძლედა იშვიათად გაკეთებული საქმელები და... საცივი, რომელიც ასე არ უყვარდა წინათ გოგლას. შესანიშნავი კახური ღვინოც მოიტანა დოქით, მაგრამ ვინდა იყო დამღვევი. სამი „სტარიკა“ ვუსხედით სუფრას. ვიგონებდით წარსულს, დაუღვარ წლებს, კარგ დროს. გოგლამ კიდევ ერთხელ მოიგონა პაოლო, ტიცინი, ნინა ტაბიძე და ყველა, ვინც უკვე აღარ იყო ჩვენთან. სევდა შეეპარა თვალეში და გარემოდა. სერგომ სცადა ხალისი შემოეტანა, მაგრამ წლებით დამძიმებულებს უკვე აღარ გვქონდა ამის თავი. შუალამემდე არ გამოგვიშვა. დარჩით რა, დარჩით, ჯერ ადრეაო, — გვთხოვდა ფეფიკო. ავდექით, გოგლამ გარეთ გამოგვაცილა. ტაქსი ველოდეთ, რომ არ გამოჩნდა, შეილიშვილს სთხოვა: გამოიყვანე მანქანა და თავ-თავიანთ სახლებში ჩამოარიგეო. ეს იყო ჩემი უკანასკნელი შეხვედრა სუფრასე და მეგობრული საუბარი...



## სოლომონ ხატიშვილი

ფილოლოგიურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი.

### გავიხსენოთ ადამიანი!

გავიხსენოთ ადამიანი, ქართული მზისა და ლექსისათვის რომ იწვოდა.

გენო ქელბაქიანის წერილში („ცისკარი“, № 11, „მოგონებათა ფურცლები“) დასახელებულია ვანლერ დაისელი. „მან თავისი პოეტური ბიოგრაფია მეტად თბილი ლირიკული ლექსებით დაიწყო, მაგრამ შემდეგ გადასინჯა პოეზიაზე თავისი შეხედულება... ვანლერ დაისელი ახალგაზრდა იყო, ამასთან მეტად ნიჭიერი. ნეტა არ დაღუპულიყო, დღეს ნამდვილად გამოჩენილი პოეტი იქნებოდა!“ — ასე წერს გ. ქელბაქიანი.

ჩემს ხელთაა ვანლერ დაისელის ერთ-ერთი წიგნაკი, რომლის გარეკანზე გრივოლ ჩიხლაძის კუბისტური მხატვრობით გატაცებისდროინდელი სურათია დაბეჭდილი. წიგნაკის სატიტულო ფურცელზე ავტორის მიძღვნაა: „ტფილისის უნივერსიტეტის 10 წლისთავის გამო ამ წიგნს გულწრფელად ვუძღვნი: ქართული ახალი კულტურის შემოქმედებს. ჩვენს მეცნიერებს და ჩემს ძვირფას კოლეგებს — სტუდენტობას. ავტორი“. წიგნაკს ჰქვია „გუშინ და ხვალ“. ეს იყო ვანლერ დაისელის მეოთხე წიგნი. მანამდე ვანლერ დაისელს დაბეჭდილი ჰქონდა ლექსების ორი და ერთიც მოთხრობების მცირე კრებული. დასაბეჭდად

გამზადებული ჰქონდა დრამები, რომანი, მოთხრობები და ლექსები. ბევრს მუშაობდა, ბევრს წერდა და ამხანაგ სტუდენტებს ბევრჯერაც გვიკითხავდა თავის ნაწერებს.

ამ საუკუნის 20-იან წლებში ერთი სენსაციური ამბავი მოხდა ჩვენში: საიდანღაც ვეფხვი გადმოიხვეწა საქართველოში, მოვიდა აქ და თბილისთან დამთავრა სიცოცხლე. ზოგი ამბობდა, შუამდინარეთიდან იქნებოდა წამოსულიო, ზოგი სპარსეთს ასახელებდა. მისი ფიტული ახლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ზოოლოგიურ განყოფილებაში დგას. იგი მაშინ ქართული პოეზიის თემად იქცა. ვანლერ დაისელმაც დაწერა პოემა „ვეფხვი საქართველოში“.

იგი სტუდენტი იყო 1927 წლიდან, მაგრამ ლექციებზე იშვიათად დადიოდა, ყოველთვის ქალღმერთად გავსებული ჩანთა ეჭირა და საღაღაც წასასვლელად გამზადებულ კაცს ჰვავდა. შესვენებისას ზოგჯერ კათედრაზე ავიდოდა და ლექსებს იტყოდა. მერე უტობდ დაიკარგა...

ვანლერ დაისელმა (ივანე ბაბუაძემ) ვერ მოასწრო თავისი ნიჭის შესაფერი ადგილის დაკავება ჩვენს პოეზიაში. გავიხსენოთ მისი ლექსები: „ლივილა“;

„გუშინ და ხვალ“... ის ძიების გზაზე იდ-  
ვა მაშინ. ისევე, როგორც მთელი ქარ-  
თული პოეზია, ისიც ეძებდა დასაყრ-  
დენსა და ადგილს. ამ ძიებაში ზოგჯერ  
საფუძველიც იკარგებოდა და მიწის სიმ-  
ძიმეც არ იგრძნობოდა. პოეტები სად-  
ღაც ეძიებდნენ სადგურს. ასეთი ძიებაა  
ვანლერ დაისელის პოეზიაც. შემდეგში  
მან გადასინჯა თავისი დამოკიდებულე-  
ბა სამყაროსთან.

ვანლერ დაისელს მაშინდელი თბილი-  
სის კონტრასტები იზიდავდა. მინც რა  
საოცრად იცოდა თბილისმა დაპირისპი-  
რებულთა გავრთიანება. მეოცე საუკუნ-  
ის საქართველოს დედაქალაქი და გო-  
ნებადამბინდულ ფანატიკოსთა რიტუ-  
ალი — „შახ ჰუსენი! ვახ ჰუსენი“, ზა-  
ჰესი და წყნეთელი ქოსა მენახშირე, საჩ-  
ხერელი კონტრახანდისტი შაფათა და  
თბილისელი აქტიორები. თბილისი —  
პოეტების გოლგოთა, „რომელშიც ქარ-  
თული გულის სიყვარულით გაელექ-  
ტრობულ ძველას წიგნში დაუმწყვდე-  
ვია ეპოქა“, „თბილისი ხომ აზიის სიმ-  
ხურავაღუში ვეფხვის სუნთქვასავით ის-  
როდა სიძლიერესი ნაროყალა ხომ ბრინ-  
ჯაოს მუშტია მტრების საწინააღმდეგოდ!  
უცნაური ქალაქია თბილისი და უცნა-  
ური პოეზიაც თბილისში“.

ვანლერ დაისელს უყვარდა თავისი  
ქვეყანა და უყვარდა თავისი ხალხი. მის  
შემოქმედებაში, მიუხედავად ფორმა-  
ლისტური ძიებისა, მთავარი იყო შინა-  
არსი, აზრი, მიზანი, რისთვისაც იგი მი-  
მართავდა სხვადასხვა ქანრსა და ხერხს.  
უნევერსიტეტის სტუდენტობას უძღვ-  
ნა მან ლექსი 1928 წელს:

ჩვენ გვახარებდა სხვა მნათობები,  
თითოდენ გულები თავგამეტებით,  
თითქოს მეორე მზეს ათოვებდნენ  
სისხლით ნაწერი პერგამენტები...

სამშობლო ახლა ყველას გვაშმაგებს  
თავისუფალი და უშლელო,  
მზის, დროშებივით სული გაშალეთ,  
ახალ სიცოცხლეს ჰიშნი ვუმდეროთ...

საჭართველო ხომ არის მინდია,  
ჩვენ რვა ათასი — მზეში ვაშლილი,  
ჩვენ ხომ აარღვევში სისხლი გვიღვია  
რუსთაველის და ბარათაშვილის.

ვანლერ დაისელი სომნამბულიზმის  
მეზობტე არ ყოფილა. მას აქვს ასეთი  
სტრიქონი: „შორს აწი ჩემგან აბსტრაქ-  
ცია... მე მინდა ახლა ახალი სტილის სხვა  
ნაწერები“. მისთვის სინამდვილე იყო  
სისხლ-ხორცეული და უმთავრესი.

ჩემი სალამი მგობობობას, მზეს და დაისელს,  
დღეს მე ვწერ, ძმებო! პოეზიის სხვა  
სახარებას.  
ჩემი თემაა: მგობობობა, მზე და ეროსი...

ეს ხომ ქართული პოეზიის მარადიუ-  
ლი თემებია. მას სიცოცხლე და სიყვა-  
რული უყვარდა. სევდაც ჩნდებოდა მის  
ლექსებში:

საგნებს ვხედავდი დამლოლს,  
შავი ფრინველი სტვენდა.  
და მე ვფურცლავდი მაშინ  
ბარათაშვილს და სტენდალს.

როცა ცა ღამეს დაღვრის,  
ვფიქრობ, სიცოცხლე შრება,  
გული მეცხება ნაღლით  
და წიგნებშია შეება...

ვანლერ დაისელის პოეზიაში არა იყო  
რა შემორჩენილი ძველი დროიდან. თუ  
იყო წინააღმდეგობები იმიტომ, რომ  
პოეტი მაშინ ეძიებდა ადგილს თავისთ-  
ვის და თავისი შემოქმედებისათვის.

გზოში ცხენი მოვაჯიროთ,  
იდვა საღამო, წვიმა-ვედარი.  
შემომგებეთ მოაჯირიდან  
შენ და მოხუცი ნათავადარი.  
მითხარ, ძვირფასო, გასახარელი,  
თუ გულს წარსული როგორ მოკვფათ,  
ბედნიერების დასამყარებლად,  
ახალი ქვეყნის ვახდეთ მოკეთე.  
მარჩენე ჩემი ლექსთა რვეული,  
ტუჩებს ღიმილი როგორ შენოლდა  
ჩანდა საყდარი თვემონგრეული  
და სასწაულებლის თეთრი შენობა.

ქუთაისელი პოეტებისადმი მიმართვა-  
ში იგი ხაზს უსვამდა ამ ქალაქის ერთ  
დიდ თვისებას — მან ქართულ პოეზიას  
ბეგერი ნიჭიერი პოეტი შესძინა.

ძმებო! მოთხარეთ სიტყვა მიწიდან,  
სწოვეთ მუსიკა და ირმების რძე,  
სად პოეზიის ალით იწვოდნენ  
შალვა კარმელი და ცირაკიძე.

მახატრული სისხლი გულებს გვაწვება,  
მსურს მზე ჩამეყვას სისხლში რიტმებალ.





მიწავ! შორის ვნება გვაწოვე,  
როგორც სიცოცხლის ჰემოარტება...

რებ 1928 წლის 12 მარტს დაწერა  
ლექსის რამდენიმე სტროფით:

ჰკონდა თუ არა ვანლერ დაისეღს მი-  
ზანი, ერკვედა თუ არა ხელოვნებისა  
და პოეზიის დანიშნულღებაში? იცოდა,  
ყველაფერი იცოდა და ამიტომაც წერ-  
და ამ ორმოცი წლის წინათ:

გაკრთობს შველივით წყაროს შხელი,  
ღნება მკერდიღან მწიფე ყურმენი.  
ლექსები, სუფთა, აბრეშუმივით  
მე ხალხს ღაუფე, მე ხალხს ვუძღვენი.

ვანლერ დაისეღის გახსენებას ვამთავე-

იცოდე, ყალბ ლექსებს ბოროტად ზათვილან,  
სიცოცხლის ყვეიღთა ვით მანე მწერს.  
იცოდე, რომ ლექსში გულია ზათილი,  
იცოდე, მშობიელი ხალხისთვის სწერ.

ღღეს აღარ გეცალია წარსუღის საღვერად;  
ღღეს ხალხი არ არის შონა და ბრბო.  
ჩენე გენდა ლექსებიც გამოღღეს სატვერად.  
საჰირო მეღჯარი მეტვეის ღროს...

იცოდე, უსაქმო ფიქრები დაგაშრობს,  
უთხარი სიმღერა ანთბულ ღროს.  
რა არის სიცოცხლე, თუ აღარ თამაშობ  
ცხოვრების სეღნაზე აქტიურ როღს.

## ჰაკრთავლი მენაღბაი კუსალი ჰენსაღ- გაზრთავის უჩაბღაგე

ყოველგვერეული სასოგადოებრივე-პოლი-  
ტიკური და ლიტერატურულ-მსატერული  
ჰურნალის „ოგონიოკის“ მე-7 ნომერი სა-  
ჰართვეღოში საბჰოთა ხელისუფლების ორ-  
მოცდამეღვესე წლისთავს მიედღენა. ჰურ-  
ნალში ფართოდ და საინტერესოდაა წარ-  
მოღღენიღი რესპუბღიკის ლიტერატურულ-  
კულტურული და სასოგადოებრივე-ეკონო-  
მიური ცხოვრება.

ჰურნალი რესპუბღიკის ცხოვრების ამსახ-  
ვეღ სხვა მასაღებითან ერთად ბეჭდავს ჰარ-  
თვეღ მწერაღთა ნაწარმოებებს: ირაკღი  
აბაშიღის, რევაზ მარგიაღის, ხუტა ბერულა-  
ვას, მაცვაღა მრვეღიშვიღის, შორის ფოც-  
ხიშვიღის, ლია სტურუას ლექსებსა და რე-  
ზო ჰეიშივიღის მოთხრობას „ალი-რანაჰაკის  
სიკვიღის“. აქვე დაბეჭდიღია ლენინური  
კომკავშირის ლაურეატის ნოღარ დუმბაღის  
წერიღი „ნამღვიღი იღიკო“.

ჰართვეღი პოეტების ნაწარმოებებით  
იხსენება სსრკ მწერაღთა კავშირის ყო-  
ვეღთვეიური ლიტერატურულ-მსატერული  
და სასოგადოებრივე-პოლიტიკური ჰურნა-

ღის „ზნამიას“ ახალი, თებერვღის ნომერი.  
რუბრიკით „ჰართვეღი პოეტების ლექსე-  
ბი“ წარმოღღენიღია საქართვეღოს სახალ-  
ხო პოეტების გაღაკტიონ ტაბიღისა და გი-  
ორგი ლეონიღის, სიმონ ჩიქოვანის, ირაკღი  
აბაშიღის, ხუტა ბერულავას, მურმან ლება-  
ნიღის, მიხეიღ ჰელივიღის, შოთა ნიშნიანი-  
ღის, თამაზ ჰიღაღის, ოთარ მამფორიას,  
ოთარ ჰიღაღის, ხუტა გავუას, რეზო ამაშუ-  
კელიღ, ლია სტურუას პოეტური ნაწარმოე-  
ბები.

ასაღგაზრდა ჰართვეღი პოეტების იორამ  
ჰემერტელიღის, ეშზარ კვიტაიშივიღისა და  
რეზო ამაშუკელიღის ლექსები დაბეჭდიღია სა-  
კავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის  
ორგანოს — გაზეთ „კომსომოღსკიკაი პრავ-  
ღის“ 12 თებერვღის ნომერში.

ჰართვეღი პოეტების ლექსები თარგმნეს  
რუსმა პოეტებმა ბელა ასმაღულინამ, სტა-  
ნისღავ კუნიავემა, აღქისანდრე გღეწერმა,  
იუნა შორიღმა, ლეე ოზეროემა, ვღადიმიერ  
კორნიღოემა, ინა კოშევევამ, ი. შკღიარეღს-  
კიმ და ეღისო ჰალიაშიღმა.



# ლიტერატურული ქრონიკა

ვალერია ზამბახიძე

პროზმისტი.

## «დაბრუნებული ღიმილი»

რეზა ინანიშვილის ოთხი მოთხრობა

ამ ლირიკული სათაურით აერთიანებს რეზა ინანიშვილი ოთხ მოთხრობას, რომლებიც მწერალმა ერთად გამოაქვეყნა შარშან. ოთხივე ნაწარმოები სადა, დარბაისლური ქართულით გვიამბობს ერთი ყმაწვილის თავგადასავალს. ცნობილია, რომ ამბისი სადად და მხატვრული სიმართლით მოყოლა უძნელესი და უმადლესი ხელოვნებაა.

რ. ინანიშვილს თავის მოთხრობებში სწორედ ამისთვის მიუღწევია. მწერლის ოთხივე მოთხრობა, ერთად აღებული, ერთი ნოველისოდენაა, მაგრამ ამ ალაბით ნაწარმოების სიაჯარგე არავის გაუზომავს არასოდეს. იგი არც ამჯერად გამოგვადგება. ერთ რამეს კი წინასწარ ვიტყვით: რეზა ინანიშვილის ოთხივე მოთხრობა არა მარტო ლამაზად შესრულებული პროზაული ნაწარმოებებია, არამედ ადამიანური სიყვარულის ჭეშმარიტი საგალობელია.

„სიყვარული აგვამაღლებსო“. უთქვამს დიდ წინაპარს. სწორედ ადამიანის ამამაღლებელ სიყვარულზე გვიამბობს

მწერალი თვით ამ გრძნობის დაუსახელებლად, უსიტყვოდ, მაგრამ იმგვარად, რომ ართქმული, ნავულისხმევი, ნათქვამზე უფრო ღრმად ეუფლება კაცის სულს.



პირველი მოთხრობისათვის „ზამთარი“ დაურქმევია მწერალს და არა მარტო იმის გამო, რომ მასში აღწერილი ამბავი ზამთარში ხდება, არამედ, უმთავრესად, იმ მიზეზით, რომ სათქმელი ეხება ქართველი კაცის სულში მრავალი განცდის, გრძნობისა და მოგონების აღმქვერელ სიმღერას „ზამთარს“, რომელიც ქართულ გალობათა შემთხვეულ დიდოსტატებს ჩვენს ერის შორეულ წარსულში შეუქმნიათ.

რომელ ჩვენს მამულიშვილს არ ჰყვარებია ან არ უყვარს ეს შესანიშნავი ქართული სიმღერა? რომელი მსმენელისათვის არ აუტოკებია მას სიხარულით გული: ან როგორ შეეძლო მისი გულდამშვიდებით მოსმენა ოჯახის ბურჯს,



პაპს, რომელიც ყველა მშრომელი ქართველი კაცის მსგავსად თოხსა და ბარზე იყო შეზრდილი და, ამასთანავე, „ყარაბულახისა“ და „თოკების“ მტევნებიდან დაწურული ღვთაებრივი წვენი თავისიანებისა და მეზობლების ვაჟაკურად დალოცვაც ეხერხებოდა?

შრომისმოყვარე ოჯახის პატრონია ნაწარმოების მთავარი გმირი, ბერი პაპა. თუ არა კაცის დამამწვევებელ და დაუღლელ მარჯვენას, სხვას რას ან ვის შეეძლო შეექმნა ის დოვლათი, რომელიც თითოეულ ოჯახსა და ერსაც კი ანიჭებდა მუდამ და ანიჭებს ახლაც საჭირო ძალასა თუ გამძლეობას? ასეთი მარჯვენის პატრონი იყო პაპაც, კაცი, რომელსაც, „ორსართულიანი, შუშაბანდითა და რიკულებიანი აივნით გამართული“ სახლი ედგა, მაგრამ „ყველა ოთახს მარნის მომიჯნავე ძველებური დარბაზი ერჩია“.

ეს დარბაზი ოჯახის მრავალი ძველი ამბის მოწმე იყო და წმინდა ტრადიციების დამცველიც. ვანა ამ ძვირფასი საოჯახო ტრადიციების უკვდავებაზე არ მიგვანინებებს მუხის, ღედაბოძი თავისი წარწერებით, თუ ვინ და როდის დაიბადა ამ ძველ სახლში? ამ თავისებურ „მმანს“ უდგა აღმრიცხველად და დარაჯად ოჯახის კლდე, ძველი პაპა, რომლის უპირველეს ოცნებას და სურვილს ოჯახის შემკვიდრეთა, ქართველი ხალხის შეილთა გამრავლება და გამძლეობა შეადგენდა. მოთბრობის ის ადვილი, სადაც ამ დიდ სურვილზეა ლაპარაკი, ჩვენ უნებლიეთ მოგვაგონებს სერგო კლდიაშვილის დაუფიწყარი ნაწარმოების „ქინკა ბიჭების“ იმ ეპიზოდებს, რომლებიც გვარწმუნებს ჩვენი ხალხის უკვდავებაში. დიდია რ. ინანიშვილის მოთბრობის ოპტიმისტური სული. ეს ოპტიმიზმი ამოძრავებდა შინაგანად მოხუც პაპას მაშინაც, როდესაც იგი ნაჭრებად დათლილ, მოხარშულ ხორცს აიღებდა ხოლმე დანის წვერით, გაათმითიმებდა და გამარჯვებული კაცის კილოთი იტყუოდა: „ოხ-ხო, რა ნაჭერია, ვინც ამას შესკამს, ნამდვილად მოჭიდავე გამოვაო“. მოჭიდავე კი ვაჟაკს ნიშნავდა პაპისათ-

ვის და, როგორც ზემოთ ვთქვით, სწორედ ამგვარ ვაჟაკთა მოდგმის გამრავლებაზე ოცნებობდა იგი. პაპა ამიტომაც ლოცავდა თავის შვილიშვილებს: „ეგრე, გენაცვალეთ, აი, ეგრე თქვენი ჭირიმე, გაიხარდეთ და გაუმრავლდით პაპასაო“. მოხუცმა კი, რომელიც ქართული ფრესკიდან ვადმოსული წმინდანის სახით გამოიყურება მოთბრობის ნახატში, კარგად იცოდა ამ სიტყვების ფასი. იცოდა, უმთავრესად, იმის გამო, რომ თვითონ ობლობაში იყო გაზრდილი.

ობლობაში იყო პაპა გაზრდილი, მაგრამ ობლის მწარე ლუქმას არასოდეს სულიერად არ გაუტეხავს იგი. ბალოობიდანვე საოცრად თავმოყვარე მოხუცი ამგვარივე დარჩა სიკვდილამდე და ჭეშმარიტი პიროვნების ამ დასაფასებელ მხარეს უხდიდა პაპა ვალს თავისი გარეგნული სიკობტავითაც.

ვაჟაკურად პირდაპირი, მართალი და სიკეთის უხვად მთესველია პაპა და სწორედ ამის შედეგია ის დიდი ზნეობრივი სიმწნევე, რომლის გამო მუდამ „წელში გამართული დადიოდა იგი და უღვაშებასა და თვალეში სინათლე უციმციმებდა“. თვალების ეს ციმციმი ზოგჯერ ნამდვილ ელვარებად და ხანძრავად გადაიქცეოდა ხოლმე, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მოხუცი გრძელ „ზამთარს“ წამოიწყებდა თავისი კრიალა ხმით. ამ სიმღერის შესრულებისას ისეთი დამატორობელი და დამატყვევებელი იყო მისი ხმა, აღამიანს იგი ამქვეყნიური არც ეგონებოდა. ამ ღრეს მოხუცს ნამდვილი ექსტაზი ეუფლებოდა. და ეს ექსტაზი თავის მწვერვალს მაშინ აღწევდა, როცა პაპას გვერდით ედგა სოფლის გასაოცარი მობანე.

ავტორს ნამდვილი მწერლის ფერადებით აქვს დახატული ოჯახის სადღესასწაულო მხადება. მოთბრობაში ჭეშმარიტი ოსტატობითაა ნაჩვენები ის ცოცხალი ჩანახატიც, რომელიც დიდი კომბლემბით შეიარაღებულ, მამებისა და უფროსი ძმების ფარჯებში გამოიწყობილ კეთილ მომლოცველებს წარმოგვიდგენს (შეძახილები: „— აგაშენოთ, — აგაშე-

ნოთო“). ეს იყენენ ის პატარები, რომელთა ჯგუფები ისეთივე სისწრაფით მატულობდნენ ეზოში, როგორც ციდან წამოსული თოვლის ფიჭვები.

სიჩუმე ჩამომდგარიყო ირგვლივ, „მრავლის მეტყველი დიდი სიჩუმე... სიჩუმე, როგორც დიდი სიკეთე, დიდი სიმშვიდე და სიმყუდროვე“. და სიჩუმის ეს ჩარჩო განსაკუთრებით გამოკვეთდა ბუნების ყოველ დეტალს, ყოველ მოძრაობას კაცის გულისას. ერთბაშად გაირინდა თითქოს ყველაფერი და ადამიანებიც შეუღვანენ რაღაც წესის იღუმალად შესრულებას. და ამ შემთხვევაშიაც მათი ჩუმი მეთაური და წინამძღვარი პაპა იყო, რომელიც დედაბოძს მიყრდნობოდა, თავი დაეხარა და თვალებსა და უღვაშებში ჩამდგარი სინათლით აჭადოებდა ყველას.

სიჩუმეს დაესადგურებინა არა მარტო ადამიანთა გულებში. იგი სუფევდა გარეთაც, და თანაც იმგვარად, თითქოს ეზოში შემოსულნი მოჩვენებები ყოფილიყვნენ და ერთბაშად გამჭრალიყვნენ საღვთო. ამ გარინდულ გარემოში უეცრად საამოდ გაისმა ქართული სიმღერის პირველი ხმა, რომელიც ახლა დაუფიქრებლად „ზამთარს“ უჭიდებდა ცეცხლს. სიმღერის დამთავრებისთანავე თითქოს შენეულა ადამიანთა გულისცემაც და გაქრა თოვლიან ღამეში ჩამდგარი ლანდებიც. გაქრა ლანდები, მაგრამ ადამიანთა სულში სამუდამოდ დარჩა ის საღამო და გალობა, დიდი იმედებით რომ ავსებდა იქ მყოფ ხანშიშესულთა თუ ახალგაზრდების გულებს. იმედი კი იმისა ჰქონდა ყველას, რომ საბოლოოდ ადამიანთა შორის ნამდვილი სიყვარული გაიმარჯვებდა. სიხარულის ცრემლები სდიოდა პაპას, გახარებული იღიმებოდა მღვდელი, რომელმაც წინ წამოაყენა სიმღერის წამომწყები ბიჭი და გულიანად დაიგუგუნა: — „როგორია, პა! როგორია!“

ხმის ამ გუგუნმა გამოაფხიზლა პაპა და გონს მოსულმა ჯვარედინად გადაკოცნა ახალგაზრდა. შემდეგ კი მიბრუნდა, ჩხიდან ახალთახალი თეთრი ყაბა-

ლახი ჩამოიღო, იმ ახალგაზრდა ბიჭს შემოახვია ყელზე, ტოტები უკან გადაუყარა და უთხრა: — „ეს საჩუქარი არ გეგონოს, შვილო. შენ რომ მასიამოვნე, მეც მინდა ცოტა რამით გადავიხადო. ღორები ხომ არა ვართ! ადამიანებს, სალაფავს გარდა, ხან ტუბილი სიტყვა გვპირდება, ხან ტუბილი ხმა!“

და ამით ის კეშმარიტება წარმოსთქვა მოხუცმა, რომ ადამიანი სიკეთეზე სიკეთით უნდა უპასუხებდეს მუდამ, რომ არა მარტო პურით ცოცხლობს კაცი ამ ქვეყნად და რომ არც ის უნდა იყოს ყოველთვის მართალი, ვინც იწმუნება: „ტუბილი სიტყვა რას მიქვიანო!“



რ. ინანიშვილის მეორე მოთხრობას „თოვლი“ ეწოდება. საერთო ხასიათით ისიც „საშობაო“ ნაწარმოებს მოგვაგონებს. თუმც მასში ვადმოცემული ამბავი არც „შობას“ ხდება და არც მის წინააღმდეგ, მაგრამ მთელი თავისი კოლორიტით, იმ გრძნობით, რომელიც „შიგ გულში უზის“ ნაწარმოებს, იგი „საშობაოა“.

სიყვარულის მადლი დასტრიალებს მწერლის ამ ქმნილებას ისევე, როგორც ბევრ მის სხვა მოთხრობას. ალალია მისთვის სახელწოდება „თოვლი“, რადგან თოვლის სისპეტაკე ახლავს ნაამბობს, სისპირაკეცა და სითბოც.

როცესაც რევან ინანიშვილის ამ მოთხრობას კითხულობ, გული სიხარულით გევსება. ამას იწვევს დიდი შინაგანი სინათლე. თავიდანვე რომ იგრძნობა ნაწარმოებში.

ეს სინათლე და სითბო იღვრება მოთხრობიდან ყოველ წამს, იღვრება მაშინაც კი, როდესაც მწერალი გაყინული ჰაერის შესახებ საუბრობს, როდესაც გმირის მამა ატალახებულ ეზოში დააბოტებს ჩექმებით და მაშინაც, როდესაც დედა ცივ აივანზე გამოიბის საოჯახო საქმეების გამო. სითბო ტრიალებს ირგვლივ, მაგრამ სითბო ადამიანის გულისა, რომელიც არა მარტო ბევრის მსურვე-

ლია, არამედ ბევრის შემძლეცა და გამკეთებელიც.

მწერლის ამ მოთხოვნას, დიდი აღმზრდელობითი ძალა და მნიშვნელობა აქვს როგორც შვილებსათვის, ისე მშობლებისთვისაც.

მოთხოვნა თავისი ხასიათით უქვეოდ ტენდენციურია, მაგრამ ეს ამჟამად არ იგრძნობა მასში. სიტყვის ოსტატის ამოცანაც ხომ ის არის, ნაწარმოებს ახლდეს ტენდენციურობა, მაგრამ აშკარად არ მელაღნებოდეს იგი, მასზე საგანგებოდ არ იყოს მინიშნებული. იტყვიან, ეს ძველი ჭეშმარიტება არისო, მაგრამ რას გააწყობ, თუ მისი გამოკრება და გახსენება მაინც გვჭირდება.

მრავალ მწერალსა და მეცნიერს დაუწერია ოჯახის სადღეობელი, ოჯახისა, რომელიც ადამიანის ბედს, მისი მომავლის ნამდვილი სამკედლოა. ამასთან, მათ არც იმის აღნიშვნა დაეწევიან, რომ ერთ-ერთი პირველი ძალა, რითაც ოჯახი ადამიანის ბედს და ბედნიერებას სჭედს, მშობლის სიყვარულია, საოცრად გამძლე გრძნობა კაცისა. ეს გრძნობა კი, თუ ის ნამდვილია, თავისთავად გამოორიცხავს სენტიმენტალურ სიყალბეს. მრავალფეროვანია მშობლის სიყვარული შეილისადმი: ზოგჯერ იგი ხასიათის სიმკაცრესაც მოითხოვს და მუდმივ კი, შრომისადმი განსაკუთრებულ პატივისცემას, რადგან შრომაში იწრთობა და ყალიბდება ადამიანის პიროვნება.

შრომის ნამდვილი კულტი მეფობდა რევანს ინანიშვილის მიერ აღწერილ ოჯახში. დედა აძლევდა აქ საჭირო „განკარგულებებს“ მამა-შვილს, ხოლო ვაჟკაცები არც ძალას იშურებდნენ მის შესასრულებლად და არც სიყვარულს. დედის სიტყვითა და სიყვარულით წაქეზებულნი ასრულებენ მამაკაცები ყოველ დავალებას, თუმც არც სიტყვაა მისი მეტისმეტად დამტყბარი და არც სიყვარულია მკვეთრად ხაზგასმული. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ მწერალი ამ სიყვარულს გვაგრძნობინებს მაშინაც, როდესაც დედა მამა-შვილს უსაყვედურებს. აი, აქ ვლინდება სწორედ მწერ-

ლის მეტყველების ინტონაციური თავისებურება. არაფერი „ზედმეტი“ რ. ინანიშვილის ამ მოთხოვნაში არ არის და შესანიშნავადაა ნაჩვენები ისიც, თუ რა დიდი რამ აკისრია თითოეულ საგანს, ნიეთს, დეტალს ნაწარმოებში, თუ შესაფერისი ადგილი მოეძებნა მას.

ბუნებრივობა კარგი მწერლის პირველი თვისებაა და იგი არ აკლია არც რ. ინანიშვილს. მხატვრულ ნაწარმოებში ბუნებრივი უნდა იყოს ყველაფერი — თემაც, შინაარსიც, კომპოზიციაც. ასეთია რ. ინანიშვილის ყოველი მოთხოვნა და მათთან ერთად „თოვლიც“.

ბუნების ჭეშმარიტი შვილია „თოვლის“ ერთ-ერთი გმირი, — კეთილი. ალერსიანი და მხიარული ძალო პეპელა. ნამდვილი სტუმართმოყვარეობითაა დამშვენებული ეს ქართველი დიასახლისი, რომელიც სულსაც არ იშურებს ახლობელთათვის.

ხომ ცნობილია, რომ თუნდაც მცირერიცხოვან ქართულ სუფრაზე საყვარელი ქართული სიმღერა უნდა ითქვას აუცილებლად და მით დამშვენდეს პურმარხილი. ეს წესი მაღალი ოსტატობითა და სიყვარულით ძია ვანოს ოჯახშიც შესრულდა.

სიმღერა პეპელა ძალომ წამოიწყა თავისი ტკბილი ხმით. მას დანარჩენებიც აყენენ და გაჩაღდა ლხინი. ბევრი იმღერეს თანამესუფრეებმა და ბოლოს ქართველი კაცის მოგონებათა და ფიქრთა აღმძვრელი სიმღერა წამოიწყეს, — „რაც უნდა მტანჯონ, მაწამონ, მაინც ვიქნები ქართველი“. ტკბილად ისმოდა ეს სიმღერა და ამ ხმებში პატარა ვაჟსაც ტკბილად ჩასძინებოდა. როცა გაეღვიძა, ყველანი სუფრიდან აშლილიყვნენ და შინ წასასვლელად ემზადებოდნენ. ამ მზადებით გართულთ ძია ვანომ ახარა, თოვლი მოსულაო. გაეხარდა ყველას და განსაკუთრებით კი პატარას, რომელიც კარ-ფანჯრიდან გამოსულ შუქზე მართო თვალებით კი არა, მთელი არსებით ხედავდა, თუ როგორ მისდევდნენ, ეწეოდნენ, უსწრებდნენ ერთმანეთს თოვლის ფიფქები. თითქოს უხი-

ლავი დირიჟორის ხელის მოძრაობას აპყვენო, ყველამ ერთხმად წამოიწყო ურთიერთის დალოცვა: რომ გამარავლებოდათ ოჯახის დოვლაით, მრავლად ჰყოლოდათ გოგო-ბიჭები.

სტუმრები ნელი ნაბიჯით დაეშვენენ კიბეზე. ძირს ჩასვლამდე პატარა ბიჭი სულ იმას ცდილობდა, თოვლის ფიფქები დაეჭირა, თუმცა ისინი ხელის შეხებისთანავე დნებოდნენ. დნებოდა თოვლი, მაგრამ მაინც ხარობდა ბავშვი. ხარობდა მამაც, კისერზე შეესვა ვაჟიშვილი და ღონივრად მიაბიჯებდა, ხარობდა დედა და ქმრის მკლავს მიხუტებული, კეთილი თვალებით შესცქეროდა მას. ირგვლივ კი ისევ თოვდა და ამ თოვაში ეს ოჯახი „ვით დარბაზში ისე შედიოდა“.

მიდიოდა შინისაკენ ოჯახი და ირგვლივ საოცარი სიმტკიცე „იფრქვეოდა“, სიმტკიცე, რომლის საყრდენი მამის მხრებიც იყო, თვითონ დედამიწაც და ამაზე უფრო ის საყვარული, რომელიც ყოველივე არსებულის ტეშმარიტი საფუძველია ქვეყნად.



ადამიანის ბედნიერება მარადიული როდია. თითქოს ქვეყნის ფარულ, იდუმალ ძალას მისთვის კიდევაც შურს ეს ბედნიერება, მოულოდნელად გადაეღობება წინ და, როგორც იტყვიან, გზაკვალს აუბნევს. ხშირად ომი და სტიქიური უბედურებებია ამის მიზეზი. ჩვენც აქ ომისდროინდელ ისეთ ამბავთან გვექნება საქმე, რომლის მოგონება არც არავისთვის ყოფილა და არც არის სასიამოვნო და სასურველი. მოთხრობის სათაურია „წისქვილში რომ წავედი“. ეს თემა ყოველთვის ყოფილა და იქნება მიმზიდველი მწერლობისთვისაც და მკითხველისთვისაც. ჰირდა ომის დროს ბევრი რამის შოვნა: არც სიმინდი იყო საყოფად და არც წისქვილი. მწერალი კარგად ამბობს: „ჯერ სიმინდის შოვნა იყო ცეცხლი, დაფქვა პირდაპირ ცეცხლზე ნავთი ხდებოდა“. დაფქვა იმის გამო ჰირდა, რომ „კარგი მეწისქვილეები ფრონტზე იყვნენ, ბებრებსა და ბიჭბუ-

კობას კი დღეში თხუთმეტჯერ ეშლებოდათ თითო თვალი“. და ქვეყნის ამ გასაჭირის დროს მიზიდა პატარა გენამ თავისი ზურგით ფუთნახევარი სიმინდი წისქვილზე. ყმაწვილი სულ ცამეტი წლისა იყო, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ რა არის ცამეტი წელი! ამ ასაკში ქალბებიც და ვაჟებიც დიდობას იჩემებენ და ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვას ადვილ საქმედ წარმოიდგენენ.

დალოცვილი ასაკია ცამეტი წელი! კაცის ცხოვრებაში ეს ის დროა, როცა ნივთების ბოლოს თქმოს თავამდე შემოწვდენილ მდინარეს ისე გაივლის, თითქოს სიცივე არც ეგრძნოს. ასე წავიდა წისქვილში საფქვავეთი გენა, სხვების ტომარებს თავისი ამოუყენა გვერდით და თვითონ მოხუცებს მიუჯდა. და სწორედ ამის შემდეგ დატრიალდა ერთბაშად ის ამბავი, რომელიც ასე ძლიერად აქვს მოთხრობილი მწერალს. რიგში ჩამდგარი გენას სიმინდი ის იყო ხვიმირაში უნდა გადაეშვათ, რომ უეცრად ერთი თეთრცხენიანი კაცი მოიჭრა წისქვილის კართან. ცხენზე ორი თითქმის საესე ტომარა ჰქონდა გადაკიდებული. მხედარს ყელგზაჰაჭმულსული ჩექმები ეცვა, გაპრიალებულ, შემელოტებულ თავზე თუშური ქუდი ეხურა. იმ ქუდზე მეტყვეობის თითბრის ნიშანი ეკეთა. ხელში ძველებური, ტარმოკედილი მათრახი ეჭირა. ვადმოხტა, ცხენი ბოძზე მიიხა და დაჭარხალებული, დაბიჯინებული, მათრახის ჩექმაზე ტყაპუნით მეწისქვილის ოთახში შევიდა. შევიდა ოთახში და დამხდურები ზე წამოიჭრნენ „დიდი კაცის“ წინაშე. შემდეგ „იმ კაცმა“ და მეწისქვილემ კარში გამოიხედეს, რომ რიგში ჩამდგარი სიმინდის პატრონი „შეთვალაიერებინათ“.

ყმაწვილმა ყველაფერი კარგად იგრძნო. მაგრამ მაინც სჯეროდა, რომ ხვიმირისაგან მოშორებას, სიმინდის დაფქვაში ხელის შეშლას და რიგის წართმევას ვერაფერს გაუბედავდა. ამას ფიქრობდა პატარა გენა, მაგრამ ვერაფერი ეთქვა. მოსალოდნელი უსამართლობით გაბოროტებულ ყმაწვილს მუხლზე შემო-

უღო ტომარა და მარწუხივით უჭერდა ზავშვურ ხელებს. ხელებს უჭერდა თავისი სიმართლის დასაცავად და იმისათვის, რომ ლტემის მომლოდინე დედა და დაძმა დაეპურებინა. ამ სურვილმა კიდევ უფრო გააკაჟა ყმაწვილი. მის გულში ერთი მისწრაფებითა და ნებისყოფით შედუღდა ოჯახის სიბრაულისა და სიყვარულის გრძნობა. და ამ ზეადამიანური დამაბუღობის წუთში მოესმა ყმაწვილს მეწისქვილის ხმა: „— ვაღმო, ბიჭო, არ გესმის! ყრუა ეს მამაძალი-შვილი?“

ბიჭმა პასუხი არ გასცა მეწისქვილს, სამაგიეროდ მათრახიანმა კაცმა ტომარა აიღო, ხენეშით ავიდა მალა, მხარულით ყმაწვილი გვერდზე გასწია და გადავდებასაც უპირებდა, რომ ამ დროს ერთად ამოხეთქა ტირილმა და ყვირილმა: „რათა, კაცო, რათა!“

„— რათა და თავი რომ გექცეს ქვათა, კაი გაუგონარი შენა ჰყოფილხარ! — იყვირა მეწისქვილემ.“

მერე ისევ მათრახიან კაცს მიუბრუნდა, — „მიდი, დაყარე, რას უყურებ მაგ ლაწირაკს!“

„მე ახლაც არ ვიცი, რა მოხდა მაშინ, — ამბობს პატარა გენა, — თვითონ ვერ შეიკავა იმ მათრახიანმა კაცმა თავი, თუ მე ვყარი მხარი, თუ მუხლი. ტომარა დაავადო, ხელები პაერში გაასავსავა, უკან გადავარდა და იქ, ძირს, მძიმედ ვაადინა ზღართანი.“

მაგრამ ამით ყველაფერი არ გათავდა. როდესაც ვილაციებს სიცილი წასკდათ, მეტყვევე ბიჭს მათრახი გადაუჭირა. ემწარა ყმაწვილს მათრახი და, როგორც თვით ამბობს, მაშინ ნამდვილად დაჯახებია მოწინააღმდეგეს ისეთი გამეტეზით, რომ მეტყვევე თუნუქის რკალს გადაწყდომია, იქიდან საფქვილე ყუთზე გაუდენია ბრაგვანი. ყუთი ამობრუნებულა და ჩანჩქერივით წამოსულ ფქვილში გულალმა გადაფეხვილი გახვეულა.

არც აქ შეჩერებულა ეს „ორთაბრძოლა“, არც აქ დამთავრებულა ამბავი და ამის შემდეგ „ისიც დავინახე, — განაგრძობს ყმაწვილი, — როგორ დაიფრუ-

ტუნა და გააქნია თავი (მეტყვევემ), როგორ მოისვა მაჯა სახეზე... და როგორც კი ჩემსკენ წამოვიდა მთვრალივით ნაბიჯარეული, გინებით, — მოსარიდებლად გადავხტი უკან. მაგრამ იქეთ კედელს მივაწყდი, შემოვბრუნდი, აქეთაც კედელი იყო მტვრიანი თუ ფქვილიანი. ბრმასავით მოვუსვი ხელები, ალბათ ქვის მოგლეჯა მინდოდა. ვიგრძენი, რომ რალაც მძიმე და ცივი საგანი მომხვდა ხელში. ვნახე, ურმის ღერძი იყო, თვლებს ხახუნით ბოლოებჩაქდებული რკინის ღერძი, მთელი ძალით დავეჭიდე, ავწიე მალა, შევებარბაციდი, მაგრამ ვაძველ... და დავინახე, როგორ გაჩერდა ფქვილით გავანგლული მათრახიანი კაცი და ნამდვილი შიში, შორიდანვე შესამჩნევი შიში ჩაუდგა თვალებში.“

წამიერი ამბავია მოთხრობილი აქ და რა ოსტატურად და დამაჯერებლადაა გადმოცემული სურათი ბავშვის იმ ვაკაცური შებრძოლებისა მასზე ბევრად უფროსთან, როდესაც სხეულით სუსტი, მაგრამ სულით ძლიერი იმორჩილებს ფიზიკურად ძლიერს. და ახლა, როცა ზემოაღწერილ შერკინებას წარმოვიდგენ, უნებურად მაგონდება ერთი ცნობილი მწერლის ერთთვერდიანი მოთხრობა, რომელსაც ეწო პატარა, მაგრამ გულადი ჩიტის სახელი „ბელურა“ ჰქვია. ამ საოცრად მძაფრ ნაწარმოებს, პროზად დაწერილ ლექსს უწოდებს ავტორი. იგი მკითხველს მუდამ ხიზლავდა თავისი ვაკაცური სულით და იმ პატარა ჩიტის საოცარი გამბედაობით, რომლის წინაშე ნამდვილად სუსტი ჩანს ტანით მასზე შეუღარებლად დიდი და ძლიერი მეორე არსება.

ამითვე გვხიზლავს რ. ინანიშვილის მოთხრობა, ეს შესანიშნავი პიშნი ადამიანის სიყვარულისა და ნებისყოფის სადიდებლად თქმული.

„გზა კალეიდოსკოპიისკენ“ რ. ინანიშვილის მოთხრობათა ციკლის უკანასკნელი ნაწარმოებია. კალეიდოსკოპიითიქმის ყველასთვის ნაცნობი სიტყვაა.

კალეიდოსკოპია კი იმ ფანტასტიკური ქვეყნის სახელწოდება უნდა იყოს, სადაც ცხოვრება მშვენიერი, ჭრელი ფერადებითაა დამშვენებული და ყველაფერი საოცრად მომხიბლავი და წარმტაცია. იგი ერთგვარად საოცნებო მხარეა და ამიტომ მასთან დაკავშირებული ამბავიც ადამიანის საოცნებო სურვილებს მოიცავს.

როგორც ვთქვი, ფანტასტიკობის თავისებური ელფერი დაპყრავს ამ მოთხრობას და მთლად ჩვეულებრივი არც მისი ბინადარი ახალგაზრდა ქალი იყო, რომელსაც ნატის ზუსტები ეცვა, მხრებზე მარენგოსფერი ქაეტი ეხურა და ტალღებად ჩამოშვებულ სქელ თმაზე შავი ხავერდის ბაფთა ჰქონდა გადაჭერილი.

ადამიანებზე გულგატეხილი იყო ეს ქალი და აღარ სჯეროდა კაცთა შორის კეთილი ურთიერთობისა. ცხოვრებაზე იმედგაცრუებული ბუნებას მინდობოდა მთლიანად და საუბარიც მხოლოდ მასზე სურდა, რადგან კაცის ყველაზე წმინდა მეგობრად მიაჩნდა იგი. ჩანს, სწორედ ბუნებას უნდა მოეტანა მისთვის სულის სიმშვიდე, უნდა დაებრუნებინა სიყვარულის სურვილიცა და ძალაც. ამიტომ მწერალს შემთხვევით არ მოუხშია მოთხრობაში სკანდინავიის ქვეყნები, სადაც მეტნაკლებად ადრინდნვე მეფობდა ეს „მშვიდობიანი ცხოვრება“, მწერლის მიერ ასე დამაჯერებლად დახატული.

სიმშვიდე და კმაყოფილება გამოსჭვივის ნაპირზე დაბრუნებულ სკანდინავიელთა თვალებიდან, რომელთაც, შრომაში გართულთ, სხვადასხვა „აბლაბუდების მოსაქსოვად“ არც ეცალოთ. ზნეობრივად გაოგნებული ქალის სააქაოში დაბრუნება არც ისე ადვილი იყო, მაგრამ ვაჟი ყოველნაირად ცდილობდა მის სულში იმედი და ოპტიმიზმი დაენერგა. და მოთხრობაში მოულოდნელად შემოიჭრება კონტრასტული განწყობილება, გარეგნობით ბუს მსგავსი ყმაწვილის მიერ გამოწვეული. ყმაწვილი უც-

ნაურად აბრწყვიალებდა თეთრი რგოლებით გარშემორტყმულ თვალის გუგებს და ილიმებოდა. მისი გარეგნობა ერთგვარად მისტიკურ განწყობილებას უქმნიდა სკამზე გვერდი-გვერდ მსხდომ ქალსა და ვაჟს. ამ ვითარებაში წამოიწყო ვაჟმა ნორვეგიელთა ცხოვრების აღწერა და მოიგონა ის პატივისცემა, რომელსაც ქუჩის პირად აყუდებული ახალგაზრდები იჩენდნენ მძიმე შრომის ადამიანებისადმი. დიდი მხატვრული და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობითაა მოთხრობილი ნაწარმოებში, თუ როგორი სიყვარულით უბრუნდებოდნენ მეტევეზენი თავიანთ ოჯახებს, სანატრულ პაწია შეილებს, როგორ იტრებოდა მათ სულში პატრიოტული განცდა, რომლის სურათი ასე ბრწყინვალედ გადმოგვცა მწერალმა მოთხრობაში „ზამთარი“.

ბავშვია ყოველ ქვეყანაში სიყვარულის პირველი სავანი და ამ სიყვარულით ჰყავს დახატული რ. ინანიშვილს ის „ბუ ბიკი“ კალეიდოსკოპიაზე რომ ოცნებობს, მისკენ ისწრაფვის, როგორც რეალური სინამდვილისაკენ. საოცნებოს რეალურად წარმოდგენაშია ბავშვის ის განცდა ბედნიერებისა, რომელიც არასოდეს არ უნდა წაერთვას მას. და მწერალიც მართებულად იქცევა, როდესაც უფროს ძმას არ ათქმევინებს სიმართლეს კალეიდოსკოპიაზე და ორივეს საკუთარი რწმენით ისტუმრებს შინისაკენ.

წავიდნენ ძმები შინისკენ და იმ ადგილას ადრინდელმა სიმშვიდემ და მყუდროებამ დაისადგურა; ახალგაზრდა ქალში კი საოცნებო მხარისაკენ გაფრენის სურვილმა გაიღვიძა, იმ სურვილმა, რომლის წვდომაში მისივე აზრით „ბუ ბიკი“ უნდა დახმარებოდა ადრე იმედგაცრუებულს.

ასე დაიბრუნა ქალმა დაკარგული რწმენა ადამიანისადმი, ასე დაიჯერა მან კაცთა შორის კეთილი ურთიერთობის, სუფთა სიყვარულის შესაძლებლობა. ასე შეკრა მწერალმა ადამიანის უკეთილშობილესი გრძნობისადმი მიძღვნილი მოთხრობების რკალი.



# თხილავ თხავე

## გრიქედება შიო მღვიმელის იხაილა

ბრემსა და ქარმლში

7 იანვარს, დილის 12 საათზე, ბრეთის საშუალო სკოლის ეზო ხალხით აივსო. სოფელი ბრეთი ზეიმობდა თავისი სასახელო შვილის, ქართული საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსის — შიო მღვიმელის დაბადების 100 წლისთავს.

და აი, თბილისიდან ჩამოვიდნენ მწერლები, მეცნიერები, ძია შიოს ქალიშვილები, ქარელიდან — პარტიული და სამეურნეო მუშაკები. გაიმართა მიტინგი.

მშრომელთა დეპუტატების ქარელის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარემ შალვა კობახიძემ, მასწავლებელმა სონია გოგიჩაიშვილმა, აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა, შიო მღვიმელის რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ ხუტა ბერულავამ, მშრომელთა დეპუტატების ბრეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ჯემალ ჯაფიაშვილმა შეკრებილთ უამბეს შიო მღვიმელის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე; აღნიშნეს მისი დამსახურება ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში.

თანასოფლელებმა მოიგონეს, თუ როგორი სათნო კაცი იყო შიო ქურუკაშვილი, როგორ უყვარდა თავისი ქვეყანა, სწამდა ქვეყნის მომავალი და ლექსებით ნორჩ თაობას სულს უფაჩიზებდა, გონებას უმდიდრებდა.

ზ. ჩინჩალაძემ თქვა, ჩვენს სოფელში შიო ქურუკაშვილი ყოველი ოჯახისათვის მშობლიურია, ჩვენ გვსურს მისი დაბადების დღე ყოველ წელიწადს აღინიშნებოდეს. მოდიო, ეს დღე შეიდი იანვარი იყოს და შიოთბა ერქვასო. იქ შეკრებილებმა ტაშით დაუდასტურეს, თანახმა ვართო.

ასე დაიწყო და დაწესდა შიოთბა ბრეთში. დარბაზში მრავლად იყვნენ პატარები, ერთმანეთს ასწრებდნენ — ვინ უკეთესად წაიკითხავდა ძია შიოს ლექსს, ვინ უკეთ იმღერებდა.

იმავე დღეს რაიონის ცენტრში — ქარელში გაიმართა შიო მღვიმელის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საიუბილეო საღამო.

საღამო ვრცელი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ ქარელის რაიონის პირველმა მდივანმა იაკობ ტოლიაშვილმა. მან თქვა:

— მთელი საქართველო ზეიმობს ჩვენი სასოფლოვანი თანასოფლელის, უკვდავი შიო მღვიმელის დაბადების ასე წლისთავს. ის იყო ნორჩი თაობის დიდებული მოძღვარი და მოამბავე. იგი მუდამ იქნება მისი კეთილი მრჩეველი და მასწავლებელი. სწორედ ამიტომ არის, რომ ქარელის რაიონის მშრომელები დიდი სიყვარულით აღნიშნავენ ამ შესანიშნავ, სასიხარულო თარიღს.

### ლაგოდესში

ლაგოდესის რაიონის კულტურის სახლში მოეწყო საღამო, რომელიც მიეძღვნა ბავშვების გულის შესაიდუმლეს — შიო მღვიმელს.

საღამო გახსნა მოსწავლე ციცილო ოკიაშვილიმა.

საყვარელი მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენება გააკეთა ილია ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ლამარა გვევშიძემ. მან დაწვრილებით ილაპარაკა შიო მღვიმელის ღვაწლზე ქართული საბავშვო მწერლობის წინაშე. მსმენელებს გააცნო მწერლის პიროვნება — დიდბუნებოვანი, უბრალო და კეთილი ადამიანი, რომელიც თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით სიკეთეს, სიხარულსა და სიყვარულს თესავდა.

თემაზე „რატომ გვიყვარს ძია შიო“ ნორჩ მკითხველებს საინტერესოდ ესაუბრა ლაგოდესის სკოლა-ინტერნატის მოსწავლე მ. ჩაღაძე.

სცენაზე ერთმანეთს ცვლიან ქალაქის პირველი და მეორე საბავშვო ბაღისა და სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები, ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლეები. ძია შიოს ლექსი — „ობოლი“ კარგად წაიკითხა მოსწავლე ლია ლობჯანიძემ, მანვე შეასრულა სიმღერა „მერცხალი“.

განსაკუთრებით საინტერესო და მიმზიდველი იყო შიო მღვიმელის ლექსების მიხედვით წარმოდგენილი მონტაჟი, რომელიც პირველი და მეორე კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს: სცენაზე ერთმანეთს ცვლიან

ძია შიოს გმირები, ბავშვებისათვის ასე საყვარელი და ახლობელი.

საღამოზე სიტყვა წარმოთქვა შიო მღვიმელის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ პოეტმა ხუტა ბერულავამ, ხოლო ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ანა კალანდაძემ და იორამ ქემერტულიძემ.

ქართული საბავშვო მწერლობის ზეიმს ესწრებოდნენ პარტიის ლაგოდესის რაიკომის პირველი მდივანი ვახტანგ უნგიაძე, რაიაღმასკომის თავმჯდომარე აკაკი რეხვიაშვილი, პარტიის რაიკომის მდივნები ილია ტყემალაძე, თინა მაისურაძე, რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლები, ახლომასლო სოფლებიდან ჩამოსული კოლმეურნეები.

რაიონის მშრომელთა გადაწყვეტილებით ამიერიდან ქალაქის საბავშვო ბიბლიოთეკა ჩვენი სახელოვანი მწერლის სახელს ატარებს. შიო მღვიმელის სახელი ეწოდა აგრეთვე ქალაქის ერთ-ერთ ახალ ქუჩას და საბავშვო ბაღს.

### ქუთაისში

ქუთაისში გაიმართა შიო მღვიმელის საიუბილეო საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა დ. კვიციანიძემ. მოხსენება — „შიო მღვიმელის ცხოვრება და შემოქმედება“ წაიკითხა პედაგოგმა მ. თვალაშვილიმა, სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები კ. მეძველია, გ. სამხარაძე, ლ. ნუცუბიძე, აგრეთვე მკითხველები. საბავშვო ბიბლიოთეკების ნორჩმა მკითხველებმა წაიკითხეს შ. მღვიმელის ლექსები.

## დაუნიწყანი მხარაღი და პედაგოგი

7 თებერვალს საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართა ცნობილი საბავშვო პოეტისა და პედაგოგის პარმენ ცახელის (თვალჭირელიძის) დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საიუ-

ბილეო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილემ, პოეტმა მაცალა მრეკლიშვილიმა.

პარმენ ცახელის ლიტერატურული და პე-



დაგოგირი მოღვაწეობა დამსწრეთ ვრთხელ  
კიდევ მოაგონა მომხსენებელმა — მწერალ-  
მა ვანო წულუკიძემ.

თავიანთი საინტერესო მოგონებებით სა-  
ხელოვანი მასწავლებელი და საყვარელი  
პოეტი გააცოცხლეს პარმენ ცახელის ყო-  
ფილმა მოწაფეებმა: ხელოვნების დამსახუ-  
რებულმა მოღვაწემ პ. კანდელაკმა, დო-  
ცენტმა ფ. გოკიელმა, ხელოვნების დამსახუ-  
რებულმა მოღვაწემ კ. შიჭაბერიძემ, გეოგ-  
რაფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-  
მუშაკმა ნ. ასტახოვმა, ა. ნიშინაძემ, ლ.  
ჯაფარიძემ, რესპუბლიკის სახალხო არ-  
ტისტმა დ. ანთაძემ.

სიტყვები წარმოთქვეს მწერლებმა —  
ლვინიაშვილმა, ი. ნონეშვილმა, ხ. ბერულა-  
ვამ.

მსახიობებმა გ. ჭიჭინაძემ, ც. ქიტია-  
შვილმა, პოეტებმა ვ. ვორგანელმა, დ. ივარ-  
დავამ წაიკითხეს პ. ცახელის ლექსები. პოე-  
ტის ლექსები წაიკითხეს აგრეთვე საბავშვო  
ბალის აღსაზრდელებმა და პიონერებმა.

საღამოს დასასრულს დარბაზში გაისმა  
იოსებ რატილის მიერ ცახელის ლექსზე შექ-  
მნილი სიმღერა „ჩუხჩუსით ჩამორბოდა“.

პარმენ ცახელის ქალიშვილმა თამარ  
თვალჭრელიძემ მადლობა გადაუხადა დამს-  
წრე საზოგადოებას.

## ღ ი რ ი ხ ე ლ ო შ ა ნ ი

20 თებერვალს რუსთაველის სახელობის  
თეატრში გაიმართა საღობილო საღამო,  
რომელიც მიძღვნა სსრ კავშირის სახალხო  
არტისტის, სახელმწიფო პრემიების ლაუ-  
რეატის, გამოჩენილი საბჭოთა კინორეჟი-  
სორის მიხეილ ჭიაურელის დაბადების 70  
და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლის-  
თავს.

თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ საზოგა-  
დობრიობის წარმომადგენლები, მისი მრავალ-  
მხრივი ნიჭის უამრავი თავყვანისმცემე-  
ლი, მოკავშირე რესპუბლიკებიდან, მოსკო-  
ვიდან, ლენინგრადიდან ჩამოსული სტუმრე-  
ბი. ისინი მხურვალე ტაშით მიესალმნენ  
იუბილარს.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქარ-  
თველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატო-  
გრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯ-  
დომარემ ვ. კუპრაჯამ.

მ. ჭიაურელის კინოშემოქმედების შესახებ  
მოსხენება გააკეთა რესპუბლიკის სახალხო  
არტისტმა, კინორეჟისორმა რ. ჩხეიძემ.

მ. ჭიაურელის თეატრალურ მოღვაწეობა-  
ზე ილაპარაკა საქართველოს მწერალთა  
კავშირის მდივანმა ბ. ჟღენტმა.

საქართველოს მხატვართა კავშირის თავ-  
მჯდომარემ ზ. ლუქავამ თავისი გამოსვლა  
მიუძღვნა მ. ჭიაურელს, როგორც მხატვარს.

იუბილარს მიესალმნენ საქართველოს კინე-  
მატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე,  
სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. დო-  
ლიძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის  
მoadგილე ა. დვალისვილი, საქართ-  
ველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგ-  
რაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდო-  
მარის მoadგილე გ. გიგოლაშვილი, თბი-  
ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დო-  
ცენტი მ. ხუხუნი, საქართველოს თეატრალური  
საზოგადოების თავმჯდომარე, რეს-  
პუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე,  
სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე,  
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო  
მუზეუმის დირექტორი, რესპუბლიკის მეც-  
ნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი შ. ამი-  
რანაშვილი.

პოეტმა ი. ნონეშვილმა წაიკითხა მ. ჭია-  
ურელისადმი მიძღვნილი ლექსი.

70 წლის იუბილე მ. ჭიაურელს გული-  
თადად მიულოცეს ყაზახეთის კინემატოგ-  
რაფისტთა სახელით კინორეჟისორმა ა. კარ-  
საკებაევმა, სომხეთისა — კინორეჟისორმა  
ს. კეგორკოვმა და კინოდრამატურგმა მ. ჩა-  
მანიანმა, აზერბაიჯანისა — გ. სეიდ-ბეი-  
ლიმ და შ. შეისოვმა. უკრაინისა — კინო-  
რეჟისორმა ა. მურატოვმა, მოსკოვის გორ-

კის სახელობის კინოსტუდიის სახელით — ე. ბოჩაროვმა და სხვებმა.

საიუბილეო საღამოზე წაიკითხეს მისა-სალმებელი დებეშები, რომლებიც მ. ჭიაურელმა შიილო სხვადასხვა ორგანიზაციისა და პირისაგან.

შეკრებილნი გულთბილად შეხედნენ მ. ჭიაურელის გამოსვლას. მან გულითადი მადლობა გადაუხადა დამსწრეთ ესოდენ დიდი პატივისათვის.

საღამოს დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის ე. აბაშიძის, კ. მარჯანიშვილის, შ. რუსთაველის, ზ. ფალიაშვილის, ს. შაუმიანიის სახელობის თეატრების, თელავისა და სოხუმის თეატრების მსახიობები, თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივი, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიისა და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობები.

ღვაწლმოსილ იუბილარს გულთბილი მი-სალოცი წერილი გაუგზავნა საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა:

„საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი გულითადად ულოცავს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, სახელმწიფო პრემიის სუთოჯის ლაურეატს, კინორეჟისორ მიხეილ ჭიაურელს დაბადების 70 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლის-თავს.

მიხეილ ჭიაურელი სამართლიანად ითვ-ლება საბჭოთა კინემატოგრაფისტთა უფ-როსი თაობის ერთ-ერთ ნიჭიერ და თვალ-საჩინო წარმომადგენლად. მის შემოქმედე-ბას საფუძვლად უდევს სოციალისტური რეალიზმი, თანამედროვეობის აქტუალური

პრობლემები, ცხოვრების მხატვრული სი-მართლით ასახვის პრინციპები.

სოციალისტური სამშობლოსადმი განუ-საზღვრელი სიყვარული ყოველთვის აძლი-ერებდა და აფაქიზებდა მის მრავალფერო-ვან შემოქმედებას.

მიხეილ ჭიაურელის საუკეთესო ფილმები უდიდეს ზემოქმედებას ახდენენ ჩვენი ახალ-გაზრდობის სულიერ სამყაროზე, მათი ხა-სიათებისა და მსოფლმხედველობის ჩამოყა-ლიბებაზე. ის არის ერთ-ერთი დიდი ხელო-ვანი, რომლის შემოქმედებაზეც იზრდებოდ-ნენ და იზრდებიან თაობები, მისი შემოქ-მედების ჭუმანიწმი და კაცთმოყვარეობა ყო-ველთვის მაგალითის მიმცემი იყო ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

დიდი სამამულო ომის წლებში მის მიერ შექმნილი დიდებული მხატვრული ეპოპეა „ვიოტრა საკაქაძე“ პატრიოტიზმის ცხოველ-მყოფელი გრძნობით აღანთებდა მილიონო-ბით საბჭოთა მეომარს, მოუწოდებდა სამ-შობლოს დაცვისათვის, ვერაგ მტერზე შუ-რისძიებისათვის.

ჩვენი დიადი სამშობლოს ისტორია თუ თანამედროვეობა დიდი მხატვრული სიმარ-თლითა და სიძლიერით აისახა მის კინოსუ-რათებში. ამით მან შეძლო საბჭოთა კინე-მატოგრაფიის ერთ-ერთი ჭეშმარიტი ხელო-ვანის სახელის დამკვიდრება, დამსახურე-ბული სიყვარულისა და პატივისცემის მო-პოვება.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი დაბადებიდან 70 და შემოქმედე-ბითი მოღვაწეობის 50 წლისთავზე ჯანმრ-თელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს ღვა-წლმოსილ და სახელოვან კინორეჟისორს მიხეილ ჭიაურელს“.

## საპარტიოლო გზავილთა კავშირის შემოქმედებით საქსიოპი

შედგა საქართველოს მწერალთა კავშირის პოეზიის, პროზის, საბავშვო და ახალგაზრ-დული ლიტერატურის, დრამატურგიის, კრი-ტიკისა და მთარგმნელთა სექციების საანგა-რიშო-საგადარჩევნო კრებები.

### პოეზიის სმეცია

საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ბიუ-როს თავმჯდომარე ა. კომიანიშვილი.  
კამათში მონაწილეობა მიიღეს პოეტებმა: კ. კალაძემ, ს. ბერულავამ, მ. ლებანიძემ,



ნ. ჩაჩავამ, გ. კაჭახიძემ და კრიტიკოსმა ბ. ჟღენტმა.

კრებამ აირჩია სექციის ახალი ბიურო: კარლო კალაძე, რევას მარგინი, ალიო მირცხულავა, მურმან ლებანიძე, ლადო სულაბერიძე, მორის ფოცხიშვილი, ალექო შენგელია, ჯანსუღ ჩარკვიანი, ტარიელ ჭანტურია, ოთარ ტელიძე და თეიმურაზ ჯანგულაშვილი.

ბიუროს თავმჯდომარედ არჩეულია კარლო კალაძე, თავმჯდომარის მოადგილედ — თეიმურაზ ჯანგულაშვილი, მდივნად — ტარიელ ჭანტურია.

### პროზის სექცია

მოსხენება გააკეთა სექციის ბიუროს თავმჯდომარემ ს. კლდიაშვილმა.

კამათში გამოვიდნენ მწერლები: დ. შენგელია, რ. ჯაფარიძე, ე. ზედგინიძე, ლ. ავალიანი, ჟ. ამირეჯიბი, ბ. ჟღენტი.

სექციის ბიუროს ახალ შემადგენლობაში არჩეულ იქნენ მწერლები: ლადო ავალიანი, აკაკი გეწაძე, არჩილ სულაკაური, დემნა შენგელია, რევას ჯაფარიძე, ედიშერ ყიფიანი, თამაზ ჭილაძე.

ბიუროს თავმჯდომარედ არჩეულია არჩილ სულაკაური, თავმჯდომარის მოადგილედ — რევას ჯაფარიძე, მდივნად — აკაკი გეწაძე.

### საბავშვო და სხალგაზრდული

#### ლიტერატურის სექცია

მოსხენებით გამოვიდა სექციის ბიუროს თავმჯდომარე ხ. ბერულავა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა: კ. გოგიაშვილმა, ნ. ჩაჩავამ, დ. კვიციანიძემ, რ. ინანიშვილმა, მ. მრეველიშვილმა, ლ. ჭიჭინაძემ, ნ. ბეზარაშვილმა, ქ. ჭილაშვილმა და ბ. ჟღენტმა.

კრებამ აირჩია სექციის ახალი ბიურო: სუტა ბერულავა, მაცყვალა მრეველიშვილი, რევას ინანიშვილი, მარიჯანი, როდიონ ქორქია, ნიკოლოზ ჩაჩავა, ნოდარ წულგისკირი, ლავრენტი ჭიჭინაძე, კუკური გოგიაშვილი, ქეთევან ჭილაშვილი, ნინო ბეზარაშვილი.

ბიუროს თავმჯდომარედ არჩეულია სუტა ბერულავა, თავმჯდომარის მოადგილეზად —

მაცყვალა მრეველიშვილი და რევას ინანიშვილი, მდივნად — ქეთევან ჭილაშვილი.

### დრამატურგიის სექცია

მოსხენებით გამოვიდა დრამატიკის ბიუროს თავმჯდომარე მიხეილ მრეველიშვილი.

მოსხენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ო. ჩიჯავაძემ, ა. აბშილაჯამ, ი. ვაკელმა, რ. თაბუკაშვილმა, ს. შანშიაშვილმა, დ. თაქთაქიშვილმა, ვ. პატარაიამ, ს. მთვარაძემ, მ. ბარათაშვილმა, ვ. კანდელაკმა, ნ. გურამიძემ, ი. ნონეშვილმა და გ. ივანიშვილმა.

კრებამ აირჩია დრამატიკის ახალი ბიურო ამირან აბშილაჯას, იონა ვაკელის, რევას თაბუკაშვილის, ვალერიან კანდელაკის და ოთარ ჩიჯავაძის შემადგენლობით.

ბიუროს თავმჯდომარედ არჩეულია ვალერიან კანდელაკი, თავმჯდომარის მოადგილედ — რევას თაბუკაშვილი, მდივნად — ამირან აბშილაჯა.

### კრიტიკისა და

#### ლიტერატურისმცოდნეობის სექცია

მოსხენებით გამოვიდა სექციის ბიუროს თავმჯდომარე ბ. ჟღენტი

კამათში მონაწილეობა მიიღეს ს. კლდიაშვილმა, რ. ჯაფარიძემ, ს. ჭილაიამ, შ. რადიანმა, ვ. ზამბახიძემ, გ. მერკვილაძემ, პ. რატინამ, ვ. წულუკიძემ, მ. დუდუჩავამ, ლ. კალანდაძემ, გ. ციციშვილმა, გ. ასათიანმა, ნ. ჩხეიძემ, გ. გვერდწითელმა, ო. პაჭკორიამ, ე. ქარელიშვილმა.

კრებამ აირჩია ბიურო შემდეგი შემადგენლობით: გურამ ასათიანი, გურამ გვერდწითელი, ვლადიმერ ზამბახიძე, ლავროსი კალანდაძე, გიორგი მერკვილაძე, ოტია პაჭკორია, ბესარიონ ჟღენტი.

ბიუროს თავმჯდომარედ არჩეულია ბესარიონ ჟღენტი, თავმჯდომარის მოადგილედ — გურამ ასათიანი, მდივნად — ოტია პაჭკორია.

### მთარგმნელთა სექცია

საანგარიშო მოსხენება გააკეთა სექციის ბიუროს თავმჯდომარემ შ. აფხაიძემ.

მოსხენების გარშემო გამართულ კამათ-

ში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა: ა. ჭუმბაძემ, ნ. აკერმანმა, რ. თვარაძემ, ი. ქავთარაძემ, მ. თოდუამ, თ. კოპლატაძემ და გ. გაჩეჩილაძემ.

კრებამ აირჩია სექციის ახალი ბიურო: შალვა აფხაიძე, ნიკა აგიაშვილი, გივი გა-

ჩეჩილაძე, რევაზ თვარაძე და ნატალია ჩხეიძე.

ბიუროს თავმჯდომარედ არჩეულია შალვა აფხაიძე, თავმჯდომარის მოადგილედ — გივი გაჩეჩილაძე, მდივნად — ნიკა აგიაშვილი.

## გაღანი ჰიდროპი საბჭოთა მენივებს

საბჭოთა კულტურის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, სოციალისტური რელიზმის მხატვრულ ნაწარმოებთა შექმნისათვის, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვეს და აქტიურად უწყობენ ხელს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას, ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მწერლებს მიხეილ ალექსანდრეს ძე შოლოხოვს, კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ფედინს, ალექსანდრე ვედოვიჩის ძე კორნეიჩუკს, ლეონიდ მაქსიმეს ძე ლეონოვს, მირზო თურსუნ-ზადეს, პავლე გრიგოლის ძე ტიჩინასა და ანდრია მარტინის ძე უპიტს მიანიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

## ქართული პოეზიის დამსახური ღირსეუნი მწერნი

ლიტვის სახელმწიფო გამომცემლობა „ვაგამ“ გამოუშვა ბიბლიოთეკა „საქართველოს პოეტები“. მასში შეტანილია ხუთი ქართველი პოეტის ირაკლი აბაშიძის, ტიციან ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, სიმონ

ჩიქოვანისა და ხუტა ბერულავას წიგნები. თითოეულ კრებულში რჩეულ ლექსებთან ერთად დაბეჭდილია მათი ავტორების ბიოგრაფიები. ქართველ პოეტთა ნაწარმოებები ლიტერურ ენაზე თარგმნეს რესპუბლიკის გამოჩენილმა პოეტებმა.

## თუქი ხაღხს მოსწონს...

(მერაბ ბერძენიშვილის ახალი ძანდაცემა)

საბჭოთა სახვითი ხელოვნება კიდევ ერთი შესანიშნავი ქმნილებით გამდიდრდა. მე მხედველობაში მაქვს დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის ძეგლი, რომელიც მარშან მოსკოვში დაიდგა.

ხელოვნების ტემპარატი შედეგების შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხოლმე მათი შექმნის დროსა და ადგილს.

ეს ფაქტორები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შოთა რუსთაველის აღნიშნული ძეგლის შეფასებისას. როდის, რომელ ეპოქაში შეიქმნა და სად დაიდგა იგი — ეს ორი „დეტალი“ კიდევ უფრო განადიდებს შორეული წარსულის გენიოს პოეტს და ამასთანავე საოცარი მკვეთრი ფერებით გვიხატავს ჩვენი, საბჭოთა ქვეყნის, საბჭოთა



ხალხის განუსაზღვრელ აზრობრივ სიდიადესა და მისწრაფებებს. რუსთაველი მუდამ დიდი იყო. ამ სიდიადის მაჩვენებელია ის 800 წელი, რომელთაც ვერ იქნა და ვერ ჩააქრეს პოეტის მიერ დანთებული კოცონი სიყვარულისა, მეგობრობისა და ვაჟკაცობისა. მიუხედავად ამისა, შოთა რუსთაველის სიბრძნის შუქი მაინც მხოლოდ საქართველოს დაჰნათობდა. თითო-ორილა სსივი თუ გაიჭრებოდა ზვიადი კავკასიონის ქედს იქით. შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავის აღსანიშნავი საყოველთაო დღესასწაული ნათელი ფაქტია იმისა, რომ დიდი ქართველი პოეტი დღეს ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ყველა ხალხის შვილადაა მიჩნეული. სწორედ ამ ფაქტის უკვდავსაყოფად დაიდგა რუსთაველის ძეგლი მოსკოვში, ქალაქში, სადაც თავს იყრის ჩვენი დიადი ეპოქის ყველა გზა, ყველა აზრი, ყველა მისწრაფება. ეს არის არა მხოლოდ კულტურული, არამედ დიდი პოლიტიკური და ისტორიული მოვლენა.

ძეგლი დიდად საყურადღებო ქმნილებაა მსატერული თვალსაზრისითაც.

ეს გახლავთ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ფორმისა და შინაარსის ბრწყინვალე შექამება. კომპოზიცია იმდენად დახვეწილი და ლაკონურია, რომ ფიგურა პირველი დანახვისთანავე აღიქმება პლასტიკურ-აზრობრივ მოლიანობაში. ეს არის რაინდი, მგზნებარე პოეტური სულისა და ბრძნული გონების ადამიანი. მას შეიძლება კაცმა უყუროს დიდხანს, ძალიან დიდხანს და თვალი ვერ მოაშოროს. თითქოს იძირები სიბრძნის უსაზღვრო სიღრმეში. ასეთი „პიპნოზის“ საიდუმლოება ის გახლავთ, რომ პოეტის გაქვავებულ მოძრაობაში, მის სახესა და გამომეტყველებაში მაინც ყოველთვის რჩება „კიდევ ერთი“ გამოუცნობი, კიდევ ერთი ამო-

ასხნელი, კიდევ ერთი ჩასაწვდომი ნიუანსი. ამასთანავე, ქანდაკება თითქოს სითბოსა და სინათლეს აფრქვევს, თითქოს მასში შეერთებულია ყველა სულიერი საუნჯე, რასაც გენიალურმა პოეტმა უმღერა უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“.

ამ ქანდაკების ავტორი გახლავთ საქართველოს დამსახურებული მხატვარი მერაბ ბერძენიშვილი. მიუხედავად ასალგაზრდობისა, ამ ნიჭიერ ხელოვანს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოებრიობა. ჩვენი ქვეყნის გულში აღმართული ძეგლი გენიალური პოეტისა ხელოვანის დიდი გამარჯვებაა. ძეგლი შინაგანად საოცრად ექსპრესიულია. პოეტის ბუნება, მისი ბრძენი და მაღალი სული პლასტიკური ხელოვნების ენითაა ამეტყველებული.

...მოსკოვში შოთა რუსთაველის ძეგლის გახსნის დღიდან რამდენიმე თვე გავიდა, მე კი ეს პატარა წერილი ახლა დავწერე. ნუ გეგონებათ, თითქოს ეს ჩემი „დაგვიანებული მუშის“ ბრალი იყოს. უბრალოდ, ერთმა ფაქტმა (თუმცა, ამ ერთ ფაქტს ორ სხვადასხვა ადგილზე შევხვდი) მაიძულა მისი დაწერა. ერთხელ ქალაქ ბათუმში, მეორედ კი კახეთში, სოფელ წინანდალში, ამ ძეგლზე ვსაუბრობდით. იქაურებს ძეგლი ძალიან მოსწონთ. პოდა, ჩემთვის მოულოდნელად ასეთი შეკითხვა მომცეს: „ნეტავ, შეიძლება თუ არა იმ ძეგლის ასლი გაკეთდეს და სხვაგანაც დაიდგას, მაგალითად, ჩვენთანო?“

სიმართლე გითხრათ, პასუხად მხოლოდ მხრები ავიჩიე — მე თვითონ არ ვიცი და რა უნდა მეპასუხა! არა და, მართლაც საინტერესოა: შეიძლება თუ არა ასეთი რამის გაკეთება? მით უმეტეს, როცა ძეგლი სახვითი ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოებია და იგი ხალხს ასე მოსწონს!

ირაკლი გოციბირიძე.



# უიწყასი

## ქვემოთხედი სავიწრო ღუფისკენ გვექანის

ლალო ახათიანი — ლენინის ტომი . . . . . 2 გვ.

## პოეზია და პროზა

ანა კალანდიაძე — ტაუხუბისკენ (ლექსები) . . . . . 3 გვ.  
 აკაკი ვიწრო — უნივერსის სარკე (მოთხრობა, დასაწყისი) . . . . . 7 გვ.  
 ვახტანგ ჯანაშიაძე — ოთხი ლექსი . . . . . 57 გვ.  
 ვაჟა-ფშაველას ძეგლი — გამსვლელი პანიკი (მოთხრობა) . . . . . 60 გვ.

## ახალი თარგმანები

ავბტიკ იხაბიანი — ლექსი (თარგმნა კ. ლორთქიფანიძემ) . . . . . 65 გვ.  
 ილია ლავროვი — უბათი. 17 (მოთხრობა, თარგმნა ზ. ჯაფარიძემ) . . . . . 66 გვ.

## „მისკარი“ — გვერდებს

არჩილ ხუციანთაძე — სალავოვას თავგადასავალი (ზღაპარი, დასაწყისი) . . . . . 78 გვ.

## ღიმილი თარგმანი

ფალავა გოგიტი — წერილები ლენინთან . . . . . 106 გვ.

## მეცნიერება

სამსონ ენუშაშვილი — ქართული არქეოლოგიის რამდენიმე საკითხი . . . . . 114 გვ.

## მოგონებათა ფურცლები

ფალავა გოგიტი — ის დღეები უდი წაღი, გოგლა . . . . . 125 გვ.  
 სოლომონ ხუციანთაძე — გავიხსენოთ ალამინი! . . . . . 142 გვ.  
 ქართველი მწერლები რუსული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე . . . . . 144 გვ.

## ლიტერატურული კრიტიკა

ვლადიმერ ჯანაშიაძე — „დაბრუნებული ღიმილი“ . . . . . 145 გვ.

## თვიდან თვემდე

გრიგოლავა უიო მღვიმელის იუბილე . . . . . 152 გვ.  
 დაუთვიწარი მწერალი და კვლავი . . . . . 153 გვ.  
 ღიმილი ხელმწიფი . . . . . 154 გვ.  
 საქართველოს მწერალთა კავშირის შემოქმედებით სემინარი . . . . . 155 გვ.  
 ვალერი უილდოვი საბჭოთა მწერლებს . . . . . 157 გვ.  
 ქართველი კომედიის ლექსები ლიტერატურაზე . . . . . 157 გვ.  
 ირაკლი გოციანი — თუკი ხალხს მოსწონს . . . . . 157 გვ.



◆

**მთავარი რედაქტორი ხუტა პერულავა**

სარედაქციო კოლეგია: აბაძი ბატრამე, გურამ შვირდეთელი, მერაბ ვლემ-  
წიშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიშანიძე, როინ მებრძვალე,  
გურამ შანჭიკიძე, გიორგი ციციშვილი, ნოდარ წულუისიანი. ვახტანგ ვაჭიშვილი,  
სერგი ვილავია, თამაზ ვილავია, ლაშა ჯანაშია.

◆

გარეკანი და ტიტული ელგუჯა ამაშუყელის, ქრწნალი ვაჟთორმა თენგიზ სამსონაძემ.

---

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. გოდერძიშვილი

---

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლემანოვის ქროსკ. № 91.

ბელფონები: რედაქტორის — 5-08-85, კ/მ მდივნის — 5-08-86, განყოფილებების-  
აოაზიისა და პროზის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 5-08-85, კულტურისა და  
სალონების 5-08-75

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/11-67 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით  
ფორმათა რაოდენობა 13,7 შეგვ. № 33. უე 01949. ქალაქის ზომა 70×108. ტირაჟი 20.000.

---

საქ. კვ ც-ის გამოცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14  
Поллиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ფანი 60 კპ.

5125



*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ*

**«ЦИСКАРИ»**

издательство

«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

ИНДЕКС 76236